



K 204 816  
3

ქართული ხმის  
უღვლილობის  
სისუფობა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
პ.ა. ნიჟარაძის საბოლოო, დნათმეცნიერებათა ინსტიტუტი



პირველი გრძელეშვილი

# ქართული ზენის ულელილების სისტემა

სსრკ-2000  
მეცნიერებათა



თბილისი  
„მეცნიერება“

1988

499. 362. 1 - 35. 20



81.2.1p  
გ.611

### საქართველოს ენობრივი მემკვიდრეობის დაცვის საკითხები

თაქის საუკუნის წინათ არ ქუთაისელსე წერდა: „დედების მანც ვერ ევა-  
ლო ხელში ახ კლავტ, რომელაც ადებს ევლა ზმების კარს, რომ შოგ რა არის,  
გაყოფოთ. მანც ვერ გაეხსენათ დედების ახ სადუმბლოების ნახვია, რომელსაც  
ქვია უღელაღებს“. საუკუნეზე შუტი ზნის ისტორია ქონცა ქართული ზმნის  
უღელაღების საკითხების შესწავლას ამ დროს, როცა ეს სატყუები იწერებოდა.  
თაქის ამდენიც ხანი გაედა ამ სატყუების თქმდან თა გაედათა გაყოლებით  
შუტი, ვიდრე ზმნის შუტბლო წარმოუფანა კაცს. გაყოლებულმა განკვათებულაც  
შრადღად წარმოაჩინა...

ქართული ენობრივნიერების შვიდარა მონახორის საფუტეულზე ამ ნაშრომში  
არის ედა ქართული ზმნის უღელაღების ზოცა საკითხის ახლებურად გაშუქ-  
ხისა...

ნაშრომის ადრესატე ქართული ენის საკითხებით დაინტერესებული მეოხეველია

რედაქტორი: ბესარიონ ჟორბენაძე

რეცენზენტები: ავთანდილ არაბული,  
ვახტანგ შალრაძე

K 204.816

4603020200  
ბ M 007 (04)-88 115-89 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988  
ISBN 5-520-00365-3

დაქ. სსრ კ. შირქასის  
სახ. სახ. რესპუბ.  
გამომცემლობა

## წინასიტყვაობა

უღვლეობა ფართო მნიშვნელობით ზმნის ფორმათა ცვლია სა-  
უღვლელ ერთეულთა (ანუ მწკრივთა, ნაკეთთა) მიხედვით. საუღ-  
ლელ ერთეულთა სისტემას უღვლილების (ანუ დრო-კალთაა,  
ნაკეთეულთა) სისტემას უწოდებენ.

უღვლილების სისტემის ანალიზი მოითხოვს გარკვევას რიგი სა-  
კითხებისას: რა არის ნაკეთა (ანუ: საუღვლელე ერთეული, მწკრი-  
ვი); როგორია მისი ბუნება; არის თუ არა კატეგორია ნაკეთი; როგო-  
რია ნაკეთთა ჩაოდენობა; როგორ მიემართებიან ნაკეთთა ფუნქციები  
ერთმანეთს; როგორია მათი დაჯგუფების პრინციპი, რა არის საფუ-  
ძველი უღვლილების ტიპების გამოყოფისა და შესაბამისად, რა და  
რა ტიპის უღვლილება გამოიყოფა.

საკითხები, რომელთა კვლევაც წინამდებარე ნაშრომის მიზანს  
შეადგენს, თავისთავად ცხადია, ახლა არ დასმულა.

სამართლიანად ითვლება ანტონ კათალიკოსი ქართული ენათმეც-  
ნერული აზრის ფუძემდებლად. მისი გრამატიკული მოძღვრება თით-  
ქმის საუფუნენახევეარი განსაზღვრავდა და გუზს აძლევდა ქართული  
ენის გრამატიკის საკითხების კვლევას. არ იყო ეს კვლევა ბრმა შორ-  
ნილება ავტორიტეტული და ნიჭიერი პიროვნების ნაზრვესადმი.  
ანტონის შემდეგდროინდელ პრაქტიკულ გრამატიკებში იხვეწებოდა  
ზუსტდებოდა არსებული და ყალიბდებოდა ახალი თვალსაზრისები,  
დაკვირვებანი, მიგნებანი. ნ. შარის სამოღვაწეთა ასპარეზზე გამოს-  
ვლამდე, XX საუკუნის დამდეგამდე, ბევრი რამ ისეთი ითქვა და გა-  
ეთდა, რომელსაც ჯერღს დღევანდელი მკვლევარიც ვერ აფელის-  
რომელაც ფაქტულია დღესაც. მიზნად დავისახეთ, შეკლებისდაგვა-  
რად, წარმოვეჩინა პრაქტიკულ გრამატიკებში ქართული ზმნის  
უღვლილების სისტემის კვლევის თვალსაზრისით მოპოვებული შე-  
დეგები. შედარებით დაწერილობით მიმოვიხილავთ ანტონის „ქართულ  
ღრამატიკას“, როგორც საფუძველს, განმსაზღვრელს (უშეალოდ თუ  
შეალოდით) შემდეგდროინდელი ავტორების მოღვაწეობისას. ანტო-  
ნის შემდეგდროინდელი გრამატიკოსებს ნაზრვესადმი მიდგომის

პრინციპი ასეთია: რა ითქვამს ფასეული და განსხვავებული ანტონისა-  
გან. შემდეგი შთაბეჭდილება: IX საუკუნის ქართულ ენათმეცნიერე-  
ბას წინააღმდეგ პერიოდის გრამატიკებში საკმაოდ მყარი საფუძველი მო-  
უშააღეს კლდეა-ძიებისათვის. ნამრომის I ნაწილი სწორედ ამის წარ-  
მოჩენას ეძღვნება.

ქართული ზმნის უღვლილების სისტემის შესწავლის საქმეში მნიშ-  
ვნელოვანია ნ. შარის ნაღვანი; ნ. შარისა, რომლის სახელთანაცაა და-  
კავშირებული სამეცნიერო გრამატიკაში საწარმოებელი ფუძის პრინ-  
ციპის დანერგვა (არნ. ზიქობაძე), და შემდეგ: უღვლილების საკითხე-  
ბის შესწავლას მიუძღვნა მრავალი გამოკვლევა და, უნდა ითქვას, სა-  
კითხი ღრმად და მაღალმეცნიერულადაა შესწავლილი. მაგრამ არაა  
აზრთა ერთგვარობა უღვლილების სისტემასთან დაკავშირებულ სა-  
კითხთა შესახებ. უფრო მეტიც; არა ერთი და ორი ურთიერთსაწინა-  
აღმდეგო თვალსაზრისია გამოთქმული. არსებული თვალსაზრისების  
შესწავლისა და შეჭერების საფუძველზე, ენობრივ ფაქტებზე  
დაყრდნობით ზოგი რამ განსხვავებულად დავინახეთ: ახლებურად  
დაისვა საკითხი დროისა და კილოს კატეგორიათა კვალიფიკაციისა;  
ნაკეთია რაოდენობისა (ძველსა თუ ახალ ქართულში); უღვლილების  
ტაბეზად დაყოფისა. ეფიქრობთ, ქართული ზმნის სისტემის შესწავლის  
დღევანდელმა დონემ და ეითარებამ განსაზღვრა ჩვენი თვალსაზრა-  
სების არსებობა.

დიალექტოლოგიურ გამოკვლევებში უღვლილების სრული პარა-  
დიგმები არაა წარმოდგენილი; მსჯელობენ მხოლოდ ცალკეულ თავი-  
სებურებათა შესახებ. უღვლილების სისტემის სრულად აღსაქმელად,  
ნამრომის ტაბეზების სახით დავურთეთ ზოგი დიალექტის უღვლილე-  
ბის სისტემის ნიმუშები. პარადიგმების შედგენაში დახმარება გავეი-  
წიეს ა. არაბულმა (ჩეესურელი, მოხეური), გ. ცოცანიძემ (თუშური).

საკვლევი და საძიებელი, თავისთავად ცხადია, ისევ რჩება. სადა-  
ვო და საკამათოც იქნება; სამართლიან და საქმიან შენიშვნებს ვეღობ  
და მადლობით მივიღებთ.

ნაწილი პირველი

უღვლილების სისტემის  
შესწავლის ისტორიიდან

თავი I. ანტონ პირველის „ქართული დრამატისა“

უღვლილების სისტემის შესწავლის ისტორიას ანტონ პირველის გრამატიკიდან ვიწყებთ, რადგანაც „ანტონის გრამატიკა არსებითად პირველი გრამატიკაა ქართული ენისა, მასთან ყველაზე ვრცელი პრაქტიკულ (წინარეშეცნიერულ) გრამატიკათა შორის, რაც კი დღემდე დაწერილა“ (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 90) და მას „ემყარება რიგი გრამატიკა ქართული ენისა XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში და XIX საუკუნის პირველ მეოთხედში“ (იჭვე, გვ. 19). „ანტონ პირველის „ქართული დრამატის“ მნიშვნელობა არა მარტო იმით განისაზღვრება, რომ ეს არის პირველი სრული სასკოლო გრამატიკა, არამედ იმითაც, რომ მისი გავლენა შემდგომი დროის გრამატიკოსებზე დიდზე დიდი იყო და გრამატიკული აზრის განვითარება საქართველოში სრულად არ იქნება წარმოდგენილი, თუ ანტონის გრამატიკა გამოწველილვით არ იქნება შესწავლილი“ (ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 3). საკითხის ისტორიას ანტონის გრამატიკით ვიწყებთ იმიტომაც, რომ „იგია არა მხოლოდ პირველი გრამატიკის ავტორი, არამედ ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელი საერთოდ“ (ა. ფოცხიაშვილი, 1979, გვ. 11).

შენიშვნა: ქართული ენის შესწავლის ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „მოკლე დრამატიკა ქართული ენისა, ქმნილი ზურაბ შანშიოვანისაგან, 1737 წელსა“, რომელიც გამოსცა ალ. ცაგარელმა პეტერბურგში 1881 წ. ი. აბულაძის თქმით, „ზ. შანშიოვანის „ქართულ გრამატიკას“ მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი პირველი ცდაა „ქართული გრამატიკის“ შედგენისა: ცდა, რომელსაც ზურაბის თანამედროვეთაგანი და ახლო თანამშრომელი —

უახუშტი ბატონიშვილი — სამართლიანად უფურებს რე-  
ვორც „გზას დრამატიკისას უსრულეს“ (ი. ახუდაძე, 1940,  
გვ. 158). მიუხედავად ამისა, რომ ზ. შანშოვანის დრამატიკა  
სომხური დრამატიკის მიხედვით იქმნებოდა (არნ. ჩაქოსვა,  
1965, გვ. 87), მასში არის ზოგი ფასეული დაკვირვება (მაგ.  
უინისა და შინის რიგის გამოყოფა...), ტერმინოლოგიური  
სიახლე, რაც „უცვლელად (ანდა ერთგვარად ცვლილი) ან-  
ტონის დრამატიკაშიც იყო შემდეგ გამოყენებული და ქარ-  
თული ენის დრამატიკაში დამკვიდრდა (ამჟამად ძნელაა  
ამის თქმა, აქედან რა უკეთ მოაძიებოდა და რა არის  
ზ. შანშოვანის შექმნილი. სერამატიკო ტერმინების ისტო-  
რია ქართული ენის დრამატიკის ისტორიას ეკანიშნებს. სა-  
კითხს ცალკე შესწავლა ესაქაროება)“ (არნ. ჩაქოსვა,  
1965, გვ. 87). ამდენად, ანტონი გარკვეულად ეყარება წი-  
ნამორბედ დრამატიკოსთა (ყოველ შემთხვევაში ზ. შანშოვა-  
ნის) მონაპოვარს, ისევე როგორც ზ. შანშოვანი, იერაბუ-  
ღება, ადრინდელ დრამატიკებს ქართული თუ სხვა ენებისას.  
მაგრამ მთავარი ისაა, რომ პირველად ქართულ ხანაშდვი-  
ლში ანტონმა შეძლო სისტემური სახე მიეცა, ერთგვარად  
შეეცაშებისა არსებული და განეცრყო იგი თავისი უბადლო  
ნიჭის წყალობით. ფაქტობრივ შექმნა სრული დრამატიკა  
ქართული ენისა და საფუძველი მოეძაადებისა ქართული  
ენის შემდგომი კვლევისათვის. ესაა ერთ-ერთი მართადი  
მაზეზი ამისა, რომ საკითხის ისტორიას ანტონ პირველიდან  
ეიწევბთ.

ანტონის დრამატიკულ ნაბრევში გარკვევა რთული და საპასუხის-  
მგებლო საქმეა. თავის დროზე ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ  
„ანტონი კათალიკოსის ნიჭმა და მეცნიერული დაკვირვების უნარმა  
ქართული ენის აგებულების არა ერთი ამ თავისებურების შემწნევა  
და პირველად აღნიშვნა შეაძლებინა, რომელიც თანამედროვე საენათ-  
მეცნიერო მწერლობაშიც ცნობილია“. თუმცა იმასაც აღნიშნავდა, რომ  
„ანტონი კათალიკოსის ხელოვნური, სქოლასტიკური ენა და მეტადრე  
მისი დრამატიკული ტერმინოლოგიის თანამედროვე ტერმინოლოგი-  
ასთან განსხვავებულობა მისი ნაშრომის ვაგებასა და ჯეროვან შეფა-  
სებას მეტად აძნელებს. ანტონი კათალიკოსის ტერმინოლოგიის თა-  
ნამედროვე შესატყვისობანი რომ გარკვეული იყოს, მაშინ მისი ნაშ-  
რომის შინაარსიც ადვილი ვასაგები ვახდებოდა და ის ღვაწლიც,  
რომელიც ქართული ენის შესწავლაში მას მიუძღვის უფრო ცხადი  
შეიქმნებოდა“ (ივ. ჯავახიშვილი, 1937, გვ. 4—5).

მართალია, ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრება ნახევარა სიტყუნის წინათ გამოითქვა და მას შემდეგ ბევრი გაკეთდა ანტონის მეცნიერული შემკვიდრების შესწავლისათვის, მაგრამ მაინც იქნეს თავის ზოგი პრობლემა, მრავალი სირთულე, რისი სრული დაძლევისა და ვადწვევტის პრეტენზია არც ზეენ გვაქვს.

ფაქტია და არაერთგზის აღნიშნულა, რომ ანტონი გრამატიკული ანალიზისას ხშირად ედგება, არასწორ კვალიფიკაციას აძლევს ფაქტებს, ეს ყოველივე გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელი გრამატიკული აზროვნების დონეს და, ყურძოდ, ქართული ენის შესწავლის იმგამინდელ მდგომარეობას, ფაქტია ისიც, რომ ანტონს, ფაქტობრივ, წინამორბედი არა ჰყავს, ეამირს ტეხს.

ზეენი მიზანია, ძირითადად წარმოჩნდეს ანტონის დამსახურება — რა გაკეთა მან ფასეული ქართული ენის ელემენტის საქმეში და არა ის, რისი გაკეთება ვერ შეძლო მან, ანდა რაში შეცდმა.

მიანიშნებენ იმასაც, რომ ანტონის გრამატიკაში ხშირია ბელოვნიური ფორმები, გვანტერესებს, რამდენად ბელოვნიურია ესა თუ ის ფორმა და, შესაბამისად, რა არის მიზეზი ამგვარ ფორმათა გაჩენისა.

როგორც ცნობილია, ანტონის გრამატიკის ორი ვარიანტი არსებობს: პირველი — 1753 წლისა და მეორე — 1767 წლისა. ზეენი მსჯელობა დაემყარება მეორე ვარიანტის ბეჭდურ გამოცემას (ანტონი კათალიკოსი, 1885). რადგან, როგორც აღნიშნავენ, „პირველი ვარიანტი მხოლოდ სებასტიელის სომხური გრამატიკის ნიმუშებს მისდევდა... მეორე — უფრო დამოუკიდებელიც იყო და უფრო სრულიც“ (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 88). მეორე ვარიანტის უპირატესობას პირველთან შედარებით ანტონიც არაერთხელ გახაზავს (ანტონი, 1885, გვ. 169—170, 183).

მსჯელობის გასაადვილებლად ანტონისეული უღელღებების სისტემის შედარებას მოუახდენთ ა. შანიძისეულ სისტემასთან. ა. შანიძისეულ საუღღებელ ერთეულთა სისტემაში, როგორც ცნობილია, ახალი ქართულისათვის გვაქვს სამი სერია და 11 მწკრივი. 11 სერიაში ა. შანიძე ბრძანებითისა და 11 ხოლმეობითის მწკრივებსაც წარმოადგენს და მიუთითებს, რომ „აქ შემოტანილია კოლოებში შემონახული ორი მწკრივიც: ბრძანებითი და 11 ხოლმეობითი“ (ა. შანიძე, 1973, § 284). ამიტომ ზეენი მსჯელობა ამ ორ საუღღებელ ერთეულსაც შეეხება. შესადაარებლად ახალი ქართულის ნაკვეთელთა სისტემას მივმართავთ იმატომ, რომ, ჟერ ერთი, ანტონისდროინდელი ქართული ფაქტობრივ ახალი ქართულია და, მეორეც, ანალიზი ანტონის გრამატიკული სისტემისა ამის საფუძველს გვაძლევს.



ზმნის მორფოლოგიის ძირითადი საკითხები ანტონის გრამატიკის I და II ნაწილშია განხილული. პირველ ნაწილში ძირითადად წარმოადგენილია უღვლილების პარადიგმები, უღვლილების ტიპები და მათი სახეობანი; მეორე ნაწილში თეორიული შეკვლვობაა ზმნური ფორმარმოებისა და ფუნქციების შესახებ. თავისთავად, ამგვარადგება გრამატიკისა მნიშვნელოვან ფაქტად გვესახება: პრაქტიკული (I ნაწილი) და თეორიული (II ნაწილი) ღირებულება ნაშრომისა იზრდება.



უღვლილება, ანტონის აზრით, ზმნის კატეგორიაა, ისეთივე, როგორიც სხვა დანარჩენი: „უმღვეერებთან ზმნისა, რიცხტსა ტტმშე შემოსრულნი რტანი რამენი: 1. ნათესავი, 2. ნაქტითი, 3. სახე, 4. რიცხუ, 5. პირი, 6. დროა, 7. სქესი, 8. უღვტაი“ (გვ. 158).

შენიშვნა: აქ ანტონი არ ნანს ორიგინალური, რაოდენობაც და თანამიმდევრობაც ზმნური კატეგორიებისა ზ. შანშოუანისას ემთხვევა. თავს იჩენს მხოლოდ ზოგი ტერმინოლოგიური სხვაობა (მდრ.: ზ. შანშოუანი, 1881, გვ. 21-23).

საუღვლებელ ერთეულს (ე. ა. მწკრავს, ნავეთს) ანტონი დროს ეწოდებს.

შენიშვნა: გასარკვევია, ზმნური კატეგორიების ჩამოთვლისას დასახელებული დრო დროის გრამატიკულ კატეგორიაზე მიანიშნებს თუ საუღვლებელ ერთეულზე; თუ არ განახტეაეებს მას ავტორი.

უღვლილების სისტემაში ექვსი დროა წარმოადგენილი:

1. აწმყოა
2. ნამყოი უსრული
3. ნამყოი სრული
4. ნამყოი უსრულესი
5. ნამყოი უუსრულესი
6. მყოობადი

შენიშვნა: საუღვლებელ ერთეულია რაოდენობა და თანამიმდევრობა აქაც ემთხვევა ზ. შანშოუანისას; სხვაობს ტერ-

მნიშვნელობა (მყოფი; ყოფილი უსრული, სრული; მარადეს-  
სრული, ზესრული; მყოფადა).

24.01.1970

ანტონთან, ისევე როგორც მომდევნო პერიოდის ავტორთან ნაშ-  
რობებში, უღვლილების საკითხების განხილვისას ყურადღება ექცევა  
ზმნის ფორმასაც და ფუნქციასაც. სხვაგვარად: ზმნურ ფორმათა ან-  
ტონისეული ანალიზი ფორმობრივ-ფუნქციურ პრინციპს ემყარება.  
კალოს (ავტორის ტერმინოლოგიით — სქესი) კატეგორია არსებითია  
ფორმათა განაწილებისას დროებში. კალოს მიხედვით განაწილება  
ფორმათა ავტორის საშუალებას აძლევს, ზმნის ველა შემწვეული  
ფორმა ამ დროში გადაანაწილოს.

ჩა მასდას ემყარება ავტორი გრამატიკული ანალიზის დროს?  
აღნიშნავენ, რომ „ანტონის გრამატიკაში დამოწმებული ზმნის უღვლი-  
ლების პარადიგმები ეხადოფეს, რომ ანტონს ყველგან ძველი ქართუ-  
ლის მსაღა აქვს გათვალისწინებული [სქოლიოში: თუ მხედველობა-  
ში არ მივიღებთ ძველ ქართულში არარსებულ, ფსევდოარქაულ ფორ-  
მებს (პრწმნნ... აღმოხუმივს... ტიპის)...]. შეცდომავე იქ მოხდის,  
რადგანაც მის დროს ძველი ქართულს ენობრივი მოვლენები უკვე  
მკვდარია და, ამას გარდა, ენობრივი ინტუიცია მას ახალი ქართული  
ენის მოძღვლებს უკარნახებს (ამიტომაც არის გასართული პარადიგ-  
მებში ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმები“ (ე. ბაბუ-  
ნაშვილი, 1970, გვ. 176—177). ეს საინტერესო დავეიჩეება საინტე-  
რესო კითხვას აღძრავს: ანტონი ძველი ქართულის მსაღას ემყარება  
(ეს არა მარტო პარადიგმებიდან, დამოწმებული ტექსტებიდანაც ჩანს),  
მაგრამ ანტონის გრამატიკა ძველი ქართულის გრამატიკა თუ ახალ  
ქართულისა, ე. ი. ანტონისდროინდელი ქართულია? კითხვის დასმა  
იმდენად მიგვაჩნია ლოგიკურად, რამდენადაც ანტონისდროინდელი  
ქართული ახალი ქართულია. ცოცხალ, სსაებრო ენაში ძველი ქარ-  
თულს ფაქტები ნაშთის სახითღა შემორჩენილ XVIII საუკუნეში  
(ამის დასტურად სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვი-  
ლის გახსენებაც კმარა).

შენიშვნა: მართალია, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც,  
რომ იმავე სულხან-საბა ორბელიანის საერო და სასულიერო  
ხასიათის თხზულებანი სხვათბენ სტილის თვალსაზრის-  
ით: სასულიერო ხასიათის თხზულებანი არქაული სტი-  
ლით იწერება, მაგრამ იმავე არქაულ ფორმათა ფუნქციურ-  
ხემანტიკურა გააზრება, როგორც ჩანს, ახალი ქართულის  
პოზიციებიდან ხდება..

დაძველ კიბეზე პასუხს მომდევნო მსჯელობა გავვატყუინებს.

I სერიის ფორმები. ე. ბაბუნაშვილი აღნიშნავს: „ანტონის გამოუ-  
ყენებია ძველი ქართულის თითქმის ყველა მწკრივი: აწმყო, უწყვეტ-  
ლის ხოლმეობითი, I კავშირებითი, წყვეტილი, II კავშირებითი,  
I თურმეობითი, II თურმეობითი სპორადულად, აწმყოს ხოლმეობით-  
თი, უწყვეტილი, I ბრძანებითი, II ბრძანებითი, II ხოლმეობითი. არ  
ჩანს მხოლოდ III კავშირებითი (ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 177).

შართალია, I სერიის ფორმათაგან ანტონი ამჩნევს ყველა ფორმის  
ძველი ქართულისას:

აწმყოს

აწმყოს ხოლმეობითს

უწყვეტლს

I ბრძანებითს

უწყვეტლის ხოლმეობითს

I კავშირებითს

მაგრამ ამ ექვსი ნავეთის ფორმებს პარადიგმებში სამ დროში ანა-  
წილებს:

აწმყოში,

უწყვეტელში (ნაპეო უსრულში — ატორის ტერმინოლოგიით),  
I კავშირებითში (საწადისისა სქესისა აწმყო-ყოფადში).

რამაა საქმე? ფორმებს ამჩნევს, ანალიზებს და უღვლილებს  
სისტემაში ყველას ვერ უტყბნის ადგილს? ატორისათვის დამახასია-  
თებელი ენობრივი აღდოს პატრონისათვის და, საერთოდ, ენათმეც-  
ნეატული ანალიზის ხელოვანისათვის, ეს ფაქტი თითქოს უცნაურად  
ელერს.

ამთავითვე ვიტყვი: ახალი ქართულის ენობრივი სინამდვილე  
ახდენს გავლენას ანტონზე; ახალი ქართულის სემანტიკურ-ფუნქციურ-  
რი პოზიციებიდან უფურებს ძველი ქართულის ფაქტებს და ამიტომ  
ძველი ფაქტებს კვალიფიკაცია ყოველთვის ვერ იქნება სწორი; სხვა-  
გვარად: ფორმობრივად ძველი ქართულის მონაცემი სემანტიკურად  
ახალი ქართულის პოზიციებიდანაა გაანალიზებული.

აწმყო-მყოფადი. აწმყოს პარადიგმებში ანტონი ძველი ქარ-  
თულის ვითარებას ასახავს: უზმნისწინო და ზმნისწინიანი ვარიანტი  
ანტონისათვის ორივე აწმყოთა თბრობითი კილოსია; მაგ.: აწმყოთა, ერთი  
მხრივ, ვახტამ, ვახტამევი, ვაწყენ, ვაგტმმ... მეორე მხრივ, შევყარავ,  
განყმბან, განყმბანები, აღყმბამ, აღყმბი...

აქვე გვიჩნდა შევნიშნოთ, რომ ზმნისწინის საკითხი ანტონთან სა-  
განგებო უფრადლებას იმსახურებს. უღვლილებს პარადიგმებში

(I ნაწილში) ზნა ყველა დროში ან უზმნისწინოდ და წარმოდგენილი, ან ზმნისწინით. ზმნისწინის ფუნქციითავე მომავალი დროის გამოხატვაზე ანტონი არას ამბობს. ისე კი, 12 ზმნის პარადიგმაში 9 უზმნისწინოდ და წარმოდგენილი, 3 — ზმნისწინით (შევსება, ვან-ვმან, აღვიტამი) — საერთოდ კი უღველოების ტიპებზე და მის საბუთებზე მსჯელობისას ანტონი I ნაწილში 80-მდე ზმნას განიხილავს. ამათგან ათიოდეს წარმოდგენს ზმნისწინით. ჩვეულებრივ მსჯელობისას აქმყოს ფორმას (უზმნისწინოს) ასახელებს და საუბრობს მის მიმართებაზე ნაყო სრულსა და მყოობადთან (ე. ი. მეორე კავშირებითთან). ძნელი სათქმელია, ძირითადად უზმნისწინო ფორმათა შესახებ მსჯელობა ნიშნავს თუ არა იმას, რომ სწორედ ამგვარ ფორმებში ხედავს ავტორი აქმყოს მნიშვნელობას. ეფექტობით, არ უნდა იყოს გამოირჩეული ამგვარი გაგება.

ზმნისწინის ფუნქციაზე, მაინცის ზმნას მყოფადის გაგება, არაა საუბარი ანტონთან. საერთოდ, ზმნისწინის საგანგებო როლს ზმნური ფორმის სემანტიკურ გაგებაში, როგორც ჩანს, გრძნობს ავტორი, მაგრამ არაა ბოლომდე გააზრებული მისი მნიშვნელობა და ამატომ თავს არიდებს ერთსა და იმავე პარადიგმაში ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა წარმოდგენას. საველოსში ფაქტია რომ ანტონმა გამოყო ძველი ქართულსაათის დამახასიათებელი ყველა ზმნისწინი (იხ. ვე-შამიძე, 1967, გვ. 4—8). გრამატიკის II ნაწილში, სადაც საგანგებო მსჯელობაა ზმნისწინზე, აღნიშნავს, რომ ისინი არიან „მეტალეფიკური მათისა მნიშვნელობისანი, რომელთაცა ზედ-დაედებიან“. ამ შემთხვევაში, ეფექტობით, ანტონი მაინცებს ზმნისწინის არა რომელიმე კონკრეტულ მნიშვნელობაზე, არამედ ზოგადად შენიშნავს, რომ ზმნისწინის დართვა ზმნას გარვეული თვალსაზრისით მნიშვნელობას უცლის (მღრ. აღ. ფოცხიშვილი, 1979, გვ. 106). ამგვარი დასკვნის უფლებას გვაძლევს ანტონის შემდგომი მსჯელობა: „ხოლო ესენი (ზმნისწინები — გ. გ.) წბლოლ მხედტლობითა ღრამმატიკოსისათა, არიან მნიშვნელ რამესა“ (გვ. 160). ე. ი. მათ რაღაც მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ კონკრეტულად რა, ამის თაობაზე არას შენიშნავს.

საგანგებოდ ზმნისწინზე იმატომ შევჩერდით, რომ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს ავტორი იჩივეს აქმყოდ მიიჩნევს, არა იმატომ, რომ ძველი ქართული სინამდვილის გრამატიკულ აღწერას ახდენს. არამედ თავს არიდებს ზმნისწინის ფორმაწარმოებით ფუნქციაზე ყურადღების გამახვილებას. ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დამბრახპირების შესაძლებლობას ხედავს ყველა დროში. ვველგან ზმნისწინი ერთი ფუნქციისად მიიჩნევა.

ღირსსაყენობა ის ფაქტი, რომ ძველი ქართულის ე. წ. აქმყოს ხოლმეობითი, რომელსაც, რა თქმა უნდა, ამჩნევს ავტორი, მისთვის

აწმყოს ვარიანტია მხოლოდ პირის ნიშნით განსხვავებული: შენიშვნებს იმასაც, რომ ამგვარი ვარიანტი უველა ზმნას შეიძლება პქონდეს: „ყოველი ზმნა აწმყოსა დროსა შინაჲ პირისამებრ მესამისა შესამლებელ არს ნიშნითა ამით ნ განპიროვნებაჲ, მაგალითებრ: პრწამნ, შეტყრავნ, ასეცმნ და სხვანი“ (გვ. 171). აღნიშნავს იმასაც, რომ ხინიან და წარიან მხოლოდობითის ფორმებს მრავლობითებზე შესამამისთ აქეთ: „რომელსაჲა აწმყოსა შინა დროსა, პირსა მესამესა, აპიროვნებს ნ, მაგალითებრ: პრწამნ, მაპრავლებელ ექმნების ეტალად ნ. მაგალითებრ: პრწამნნ“ (იქვე). ეს ფორმა სამეცნიერო ლიტერატურაში კვალიფიცირებულია „ქართულში არარსებულ, ფსევდოარქაულ ფორმად“ (ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 176) მართალია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ანტონი ცდება, მაგრამ ამ შეცდომას საფუძველი ისევ ძველ ქართულში ეძებნება. ისეთი შემთხვევების არსებობა ძველ ქართულში, როგორცაა:

აწმყო: ა-ქუნ-ს || ა-ქუნ-ს  
ჩან-ს || ჩან-ს

აწმყ. ხოლმ. ა-ქუნ || ა-ქუნ-ს  
ჩან || ჩან-ს

უბიძგებს ანტონს პრწამნნ ფორმის შექმნისაყენ. მართალია, ფორმა ხელოვნურია, მაგრამ საფუძველს ამგვარი ფორმის შექმნისას ძველი ქართულის ენობრივი სინამდვილე იძლევა.

შენიშვნა: ეს რომ ასეა, ამას ისევ ადასტურებს, რომ ანტონისძეულ მხედლობაში აქუნნ ფორმას აწმყოს მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობით გამოიყენებს: „...მაპრავლებ და მაპიროვნებ აქუნნ იგივე ნიშანნი“... (გვ. 181) შდრ.: „შესამისა შიმართ პირისა აქუნ მაპიროვნებ მხოლოდითად“ (გვ. 187). ასევე: „პრავადნი ნაწყობსა სრულსა დროსა შინანი ზმნანი სხესა და სხესა უღლულებისანი ქსიანნ ერთმესახედაყოფად“... (გვ. 187).

სამწუხაროდ, ანტონი ვერ ამჩნევს ძველი ქართულის აწმყოს ხოლმეობითის მრავლობითის ფორმებს - ეფ ბოლოსართით, მაგრამ ფაქტი მაინც საგანგებო მსყვლობას მოითხოვს. საქმე ისაა, რომ პირველ ნაწილში, უღვლილების პარადიგმებში, წარიანი აწმყო სავრთოდ არაა წარმოდგენილი. უველა შემთხვევაში ხინიანი ფორმებია მესამე პირში შეტყრავს ტიპისა. ე. ი. ანტონი პარალელურ ხინიან და წარიან ვარიანტთაგან ძირითადად პირველს მიიჩნევს. წარიან ფორმებში აწმყოს ვაგებდას ხედავს; ვერ ამჩნევს სემანტიკურ სხვაობას არს და არც ფორმებს შორის ვითარება ნათელია: ანტონი ძველი ქართულის

ფაქტებს ახალი ქართულის ფუნქციურ-სემანტიკური პოზიციებიდან  
ხედავს.

საქართველო

და ის ფაქტი, რომ პარალელურ (ნარჩან და ხანიან) ვარიანტთაგან  
ძირითადად ხანიანს მიიჩნევს, პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთის  
უპირატესობის მინიჭების ანტონისეულ პრინციპზეც მოგვანამშნებს:  
ახს და აჩს ორივე აწმყოა (ანტონისათვის); სიხშირე ხანიანი ფორმე-  
ბის გამოყენებისა წყვეტს აჩს ფორმის ძირითადობის საკითხს. პარა-  
ლელურ ფორმათაგან ერთ-ერთის ძირითადად მიჩნევის სიხშირული  
მონაცემების გათვალისწინება უმაჯრცსა პრინციპია ანტონისათვის.  
სიხშირული მონაცემები ძველი ქართულის მიხედვით განისაზღვრება  
აქაც და სხვა შემთხვევაშიც ანტონი ცდილობს სალიტერატურო ენის  
ნორმათა დადგენასაც (ალ. ლოცხიშვილი, 1971, გვ. 117).

უწყვეტელი (ნაძყო უსრული). ე. ბაბუნაშვილი აღნიშ-  
ნავს, რომ „ანტონის ნაძყო უსრული, როგორც ეს ჩანს მისა მსჯე-  
ლობიდან და პარადიგმებიდანაც, ეს არის ძირითადად ძველი ქართუ-  
ლის უწყვეტლის ხოლმეობითი („განკჰანდი, ვანკჰანდი ვანკჰანდის,  
ვანკჰანდით, ვანკჰანდით, ვანკჰანდიან. II, 16v) თემცა ხანდახან  
მხოლოებით III პირში უწყვეტლის ფორმებიც დასტურდება  
 („შეიყვარება“. I, 21v) და მრავლობითის III პირში კავშირებითი  
1-საც (შეიყვარებენ — I, 21v)“ (ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 155).

ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას, რა თქმა უნდა, გვაძ-  
ლევს ძველი ქართული ენის ნორმათა გათვალისწინება და ანტონისე-  
ულ პარადიგმათა ანალიზი. მაგრამ, ვფიქრობთ, გასათვალისწინებე-  
ლია ზოგი რამ, კერძოდ: განსხვავებულად უნდა მივედგეთ, ერთი  
მხრივ, I და II პირის ფორმებს და, მეორე მხრივ, III პირის ფორ-  
მებს.

ფაქტია, რომ ანტონის პარადიგმებში წარმოდგენილი I და II პი-  
რის ფორმები ძველი ქართულის უწყვეტლის ხოლმეობითის ფორ-  
მებია როგორც დონიან, ისე ოდიან ზმნებში, მაგრამ ისიც ფაქტია,  
რომ ძველსავე ქართულში დონიანი ზმნების უწყვეტლისა და უწყვეტ-  
ლის ხოლმეობითის ფორმები I და II პირში ფორმოებრივად ემთხვე-  
ვა ერთმანეთს; მათი ვარჩევა არ ხერხდება ფორმოებრივად, ისიც გასა-  
თვალისწინებელია, რომ დონიანებისა და ოდიანების უწყვეტლის  
ფორმათა გაერთიანოვნება ძველსავე ქართულში იწყება. რამდენა-  
დაც ანტონი ვერ ხედავს სხვაობას აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის  
შორის (ახს-აჩს), მოსალოდნელია, რომ ვერც ის სხვაობა იქნეს ფიქ-  
სირებული, რაც უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეობითის შორისაა.  
ამ ორ ოდენობას ანტონი სემანტიკურად არ განარჩევს. უფრო მეტიც,

რამდენადაც ოდნავი ხმების ძველი ქართულის უწავებელი (ოღ-ე დაბოლოებით) არც ერთ შემთხვევაში არაა წარმოდგენილი წამყო უსრულის პარადიგმაში და, პირაქით, ოდეს ტიპის დაბოლოებებს მჭიდრო ფორმები I კავშირებითის (მეოფადის — ავტორის ტერმინოლოგიით) პარადიგმაშია წარმოდგენილი დე ტიპის დაბოლოების ფორმათა გვერდით, ამგვარაა, რომ სემანტიკურ-ფუნქციური შეფასება ამ ფორმათა ახალი ქართულის პოზიციებიდან ხდება.

უწავებლისა და უწავებლის ხოლმეობითის ფორმებზე მსჯელობა ამ შემთხვევაში ძირითადად III პირის ფორმათა მონაცემებს უნდა დავყაროს. III პირის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით სამი შემთხვევა გაირჩევა:

1. როცა მხოლოებითა და მრავლობითში უწავებლის ხოლმეობითის ფორმებია წარმოდგენილი:

შეკრვდის, შეკრვდიან (გვ. 24)

განბანიდის, განბანიდიან (გვ. 27)

2. როცა ორსავე რიცხვში უწავებლის ფორმებია წარმოდგენილი:

განიბანებოდა, განიბანებოდენ (გვ. 29)

აწყენდა, აწყენდენ (გვ. 49)

3. როცა ხდება პარადიგმათა აღრევა: მხოლოებითში უწავებლის ფორმაა, მრავლობითში — უწავებლის ხოლმეობითის და პირაქით:

განიბანებოდა, განიბანებოდიან (გვ. 29)

ასმიდა, ასმიდიან (გვ. 39)

ქეტქმდა, ქეტქმდიან (გვ. 56)

ანდა:

შეიკრეოდის, შეიკრეოდენ (გვ. 26)

აფოფინებდის, აფოფინებდენ (გვ. 72)

**შენიშვნა:** 1. ღირსხაყნობა ის ფაქტიც, რომ უწავებელში სუბიექტური მესამე პირის მრავლობითობის ფორმები ახალი ქართულაზია (-ენ სუფიქსით); ძველი ქართულის ფორმები ანტიონთან არ გვხვდება (-ეს ბოლოსართით).

2. უწავებლის პარადიგმაში წარმოდგენილი შეიყვარებდენ ტიპის ფორმათა ვაკეა I კავშირებითის ფორმებზე (მდრ. ვ. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 155) არ გვეჩვენება მარ-

თებულად. ისინი ახალი ქართულის უწყვეტლის ფორმებია, რომლებიც ფორმობრივად ძველი ქართულის I კატეგორიების ემთხვევა. როგორც ჰავეით ვნახეთ, ანტონის გრამატიკაში არ არის შემთხვევა ერთი საუღღებელი ერთეულის პარადიგმაში სხვადასხვა სემანტიკის ფორმების წარმოდგენისა. აწევნდა და აწევნენ მხოლოდ სუბიექტის რიცხვით განსხვავებული ფორმებია; შესაბამისად, მრავლობითიც, ახალი ქართულის უწყვეტლის ფორმად უნდა იქნეს მიჩნეული.

აღნიშნული სამი შემთხვევიდან II და III შემთხვევა იშვიათია. უფრო ხშირია I შემთხვევა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ III პირის უწყვეტლის ფორმები მხოლოდ პირველ ნაწილში, პარადიგმებში, არის წარმოდგენილი. II, თეორიულ, ნაწილში მხოლოდ უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმებია დამოწმებული. უფრო სწორად, მოვეხილი 15 მაგალითიდან მხოლოდ ერთია უწყვეტლისა, ისიც მხოლოლობითში: **მსწონიდა** (გვ. 179). არც ეს ჩანს შემთხვევითად მეორე ნაწილში ყურ წესებს გვაფიქრობს უწყვეტლის წარმოებისას. ხოლო შემდგომ ამ წესების შესაბამისად წარმოადგენს ფორმებს. აქ აღრვეა ნაეღებ მოსალოდნელიც იყო. ხოლო პირველ ნაწილში პარადიგმათა აგებისას სასაუბრო ენის გავლენამ იჩინა თავი და ვაიპარა რეალური ფორმები.

უფიქრობთ: უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმათა ამგვარი აღრვეა იმის მატყვებელი არის, რომ ეს ორი განსხვავებული ერთეული ანტონისათვის ფუნქციურ-სემანტიკურად ერთი და იგივეა ამავე დროს, უწყვეტლის ფორმათა (III პირის მაგალითზე) სიმკრცე და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმათა სიჭარბე მოყვანილ საბუნებისტრაქციო მასალაში გამოჩვეული უნდა იყოს ანტონის ენობრივი პოზიციით — მაღალი სტილისათვის შესაფერისად -ის/-იან ტიპის დაბოლოებთან ფორმებს მიიჩნევს (აეტირისეული მსკელობაც ამგვარი ფორმებით მიმდინარეობს). თავისი დროის სასაუბრო ქართულიდან ამომდინარე ამ ტიპის ფორმებს უფრო არქაულად თვლის.

ამდენად, უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები ანტონისათვის ერთი და იგივე ფუნქციურ-სემანტიკური ოდენობაა. აღქმა აქაც ახალი ქართულის პოზიციებიდან ხდება. სონონიმურ (ანტონის ვაგებით) ფორმათაგან ერთ-ერთას ძირითადად მიიჩნევს ამ შემთხვევაში არქაულობის პრინციპი (ანტონისავე ვაგებით) განსაზღვრავს.

ანტონი სავანებზე ყურადღებას ამასველებს ნამყო უსრულის წარმოებაზე. აღნიშნავს, რომ „სახლტრეებითისა სქესისა ნამყოსა უს-



ჩუღლსა, ესე იგი, არა სრულისა დროსა შინანი ზმნანი წარმოებენ საზღვრებითისავე სქესისა, აწმყოსა დროსა შინათა ზმნათაგან (გვ. 178); რომ „მაპროვწნედ სამთავე პირთა მიმართჳ იგივე არწნ, რაიდალა არწნ აწმყოთა დროთა შინათა ეგ-საზედ მამრავლედ-ცა ხოლო ნიშნად თვისისა არა სრულებისა, მიიღებენ მარცტალსა...“ (გვ. 179); რომ „**დ** და **ოდ** მარცტალთა მიერ არიან არა სრულ“ (გვ. 181). თუმცა ამ უკანასკნელთაჲ დაშლის და -ის გამოყოფს, რომელსაჲ საკეთარ, ზოგად ნიშნად მიიხსნევს უწყვეტლისათვის: „იგიღურებენ უწინარეს ნიშნისა არა სრულებითისა ასოსისა ამის • სამთავე პირთა შინა მხოლოობითისამებრცა და მრავლობითისა“ (გვ. 180). ნამყო უსრულის ფორმის ანალიზი, როგორც ეხედებოდნენ, სწორია: აწმყოს ფუძე + დ-ი, ანდა ოდ-ი; • საკეთარიც ნამყო უსრულის მაწარმოებელია (დ და ოდ ე-სთან კომბინაციაში პირველ კავშირებითშიც — საწადისისა სქესისა აწმყოა და მყოობადი — გვხვდება. ამასაჲ ამჩნევს ანტონი). •-ს საკეთარიც ნამყო უსრულის ნიშნად მიიხსნევა არ ჩანს შემთხვევითი ავტორისათვის. ეგვენ •, როგორც ჩანს, ავტორს ვაგავებული აქვს II ხოლმეობითის -ი სუფიქსთან.

**შენიშვნა:** საინტერესოა ჩანს ისიც, რომ ეგვენ • ვაგავებულია აწმყოში ენებითების • სუფიქსთან: „ესე (ე. ა. II ხოლმეობითის ფორმები) მსგავსი არს ენებითისა ვაბრწვანთა, ეისურვი“ (გვ. 181). აქ მხოლოდ მასალიობრივი იდეელობის საკითხი რომ არ დგას, იქიდანაც ჩანს, რომ ნამყო სრულის ი-სთან მისი ვაგავებუა არ ხდება.

II ხოლმეობითის ფორმებს ანტონი, რა თქმა უნდა, ამჩნევს, მაგრამ მიიხსნევს მათ ნამყო უსრულად: „სხეთაცა ნიშნებითა იქმნებიან ზმნანი ნამყოსა დროსა არა სრულსა შინა მხოობრილ, ხოლო ნიშანნი იგი არიან: 1. •, 2. ვ, მავალითებრ: შევიკრი, ვანეიბანი, შევიყუტარი... ვაყვ... ვამტრც... ესენი ორითა ნიშნითა არიან არა სრულნი ესე იგი ვანეიდურებითა: 1. • მარცტლისათა, მავალითებრ: ვმწერგი, 2. ვ, მავალითებრ: ვაყვ, და სხეთანი. ხოლო მამრავლედ და მაპროვწნედ აქუნწ იგივე ნიშანნი, რომელნიცა **დ** და **ოდ** მარცტალთა მიერ არიან არა სრულ“ (გვ. 181).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: „არანაყლებ საინტერესოა ანტონის მიერ II ხოლმეობითის ფორმების უწყვეტლად გავმოცადებაჲ. როგორც ჩანს, ანტონს შეუშინვევია, რომ ძველ ქართულში ასეთი ფორმები უწყვეტლის ფუნქციით გამოიყენება“ (ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 156). ძველ ქართულში რომ II ხოლმეობითი უწყვეტლის მნიშვნელობით გამოიყენება, ეს არ უნდა იყოს არსებ-

თი საფუძველი ანტონისეული ანალიზისათვის. მოგვარი აქაც ის ჩანს, რომ ანტონი ვერ ამჩნევს იმ სემანტიკურ სხვაობას, რაცაა უწვევტელსა და II ხოლმეობითს შორის. ფორმათა ამგვარი ანალიზისათვის ფუძველი აქაც ახალი ქართულის პოზიციებიდან ვერცეტას.

ამგვარად, მეორე ხოლმეობითი ანტონის ვაგვებით იგივე ნამყო უსრულთა, მისა ფორმოზბრივე ვარიანტი.

ნამყო უსრულთადაა ვაგვებული, მის ფორმოზბრივე ვარიანტად, ძველი ქართულის I ბრძანებითი: „აქვალად შაპროვენედ აქუს ზმნათა ამათა, შესამისა პირისათა, ნამყოთა არა სრულთა დროთა შინა ნ, მაგალითებრ: შეკრედინ, განშანდინ, ჰეტქოვინ, შაძრკედინ, და სხტანი“ (გვ. 181). შართალია, აქ შრავლობითის ორმაგნარიან ფორმებს ვითვალისწინებ (მსგავსად აქმუოს ხოლმეობითისა) — შეკრედინნ, შეიეტარებდინნ... — მაგრამ ცოტა ჰევეით, I კავშირებითის ფორმებზე მსგელობისას, I ბრძანებითის ფორმები მოქყავს და სწორადაც „შოლობითისამებრ შაპროვენედ აქმნებიან ნ. მაგალითებრ: შეიკრვოდინ, შეიეტარებოდინ, ხოლო შამრავლად ედ მარცტალი, მაგალითებრ: შეიკრვოდედ, განიბანებოდედ, აღიხტმოდედ და სხტანი“ (გვ. 184).

შენიშვნა: ისეც საგულისხმო ფაქტია, რომ მხოლოდობათის ნარაან ფორმას მეწვეილედ შრავლობითში ედ-იან ფორმას დაუყენებს.

K 204 816  
3

როგორც ენახეთ, ნამყო უსრულზე მსგელობისას ანტონი განიხილავს სხვადასხვა საუღღებელი ერთეულის ფორმებს: უწვევტელისას, უწვევტელის ხოლმეობითისას, I ბრძანებითისას, მეორე ხოლმეობითისას. ყველა ეს ფორმა ანტონისათვის შინაარსობრივად იდენტურია. ავტორი საჭიროდ ცნობს თითოეული მათგანის ანალიზს, რამდენადაც მიზანი გრამატიკული ფორმის დასასიათებია ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით. რადგან ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი საუღღებელ ერთეულთა გამოყოფისა ფორმის ფუნქციურ-სემანტიკური შარის ვათვალისწინებაა, ანტონი რამდენიმე ფორმა ერთ საუღღებელ ერთეულში იყრის თავს. ე. ი. ანალიზებს ძირითადად ძველი ქართული ენის მასალას, ფორმა არ რჩება შეუმჩნეველი, მაგრამ ხდება ფუნქციურ-სემანტიკურად ამ ფორმათა იდენტუფიკაცია. გრამატიკის II ნაწილში ყველა მათგანს ეძებნება ადგილი; პარადიგმებში ისე არაა. მაგრამ ღირსსაყენობია ის, რომ პარადიგმებში ფორმოზბრივე პრინციპი მკაცრადაა გატარებული (თუ მხედველობაში არ შევიღებთ უწვევტელსა და უწვევტელის ხოლმეობითის III პირის ფორმებს); ფუნქციურ-სემანტიკურად იდენტუფიკაციის) II ხოლმეო-

სახ. ს.ბ. რ. 11-ბ.  
გეგალონიძე

ბითის ფორმა არ შეიძლება მოხედეს უწყვეტლის ფორმის გვერდით ერთ პარადიგმაში. ერთადერთი შემთხვევაა როცა I ნაწილში II ხოლმეობიანის ფორმებია ნამყო უსრულის პარადიგმაში: ვაჟი, იყვი, იყვის... (გვ. 21) საგულისხმო შემთხვევაა ვარ ზმნას უწყვეტლის ფორმა არა ექვს და ანტონმა ნამყო უსრულის დროში II ხოლმეობითის ფორმა ჩასვა, მისი აზრით, იგივე ნამყო უსრულა, რა იქნა უნდა, ზმნას უწყვეტლის ფორმა რომ ჰქონოდა, II ხოლმეობითი პარადიგმაში არ მოხდებოდა.

ძირითადი საფუძველი სხვადასხვა ფორმათა ერთ სემანტიკურ-ფუნქციურ ოდენობად გააზრებისა ისაა, რომ ხოლმეობითობის კატეგორია ანტონს შეუშინეველი დარჩა. ეს კი იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ აღნიშნული კატეგორია ანტონისდროინდელი ქართულისათვის უკვე ისტორიული ფაქტია. ანტონი ფორმას ახალი ქართულის ფუნქციურ-სემანტიკური პოზიციიდან აფასებს.

I კავშირებითი (საწადისისა სქესისა აწმყოა და მუობადა).

I კავშირებითის ფორმები, ისევე როგორც საწადისი (კავშირებითი) კილოს სხვა ფორმები, ვაშათუ შორისდებულს დაირთავს.

I კავშირებითისათვის სპეციფიკურად ანტონი ჯე და ოჯე დამოლოებებს მიიჩნევს. ამასთანავე ვახაზავს, რომ ოჯე დამოლოება ენებითი ვეარის ზმნათვისაა დამახასიათებელი (გვ. 184).

უწრადლებას მივაქვევთ იმ ფაქტს, რომ ამ საუღლებელი ერთეულის ფორმობრივი ანალიზი ახალი ქართულის ეთიარებას ასახავს: ოჯ-იან ზმნებთან ე სუფიქსი გვაქვს. ე-ს სპეციფიკურ კავშირებითის ფორმანტად გააზრება ანტონს ერთ ლაფსუსს დასშვებინებს: შე-იარვოდდედ, განიხანებოდედ ტიპის ფორმებს I კავშირებითიად ვაიაზრებს (გვ. 184).

II სერიაის ფორმები, ნამყო სრული, ამ საუღლებელ ერთეულს ანტონი ერთ-ერთ ძირითად საუღლებელ ერთეულად მიიჩნევს. იგი ყველა ზმნის პარადიგმაშია წარმოდგენილი.

შენიშვნა: მხოლოდ ერთი ზმნის შემთხვევაშია აღჩეული პარადიგმა (I ნაწილში). ნამყო სრულად წარმოგვიადგენს ფორმებს: ვსციქტედ, მსციქტედ, მსციქტედა, ვსციქტემო, მსციქტემო, მსციქტემს. ეს ერთადერთი შემთხვევაა ანტონთან, როცა ერთი და იმავე ზმნის ერთი დროის პარადიგმაში მხოლოდობითი და მრავლობითი ასე სხვაობს ფორმობრივად. მხოლოდობითის ფორმები ნამყო უსრულის ფორმებია, მრავლობითისა — ნამყო სრულის. ფაქტის ახსნა ვეარის.

ნამყო სრულისთვის, ისევე როგორც აწმყოსთვის, საყრდენად ანტონის მასდარი მიანიხნა: „სრულსა დროსა შინანი ზმნანი, საზღვრებოთისა სქესისა მეზრნი, წარმოებენ ძირთავან თქმულთა“ (გვ. 187). თქმისა ამის სხვაგვარი მსგელობა მოსდევს; თუ სწორად გვესმის ანტონის აზრი, მსგელობა ასე ვრცელდება: ნამყო სრულისთვის ამოსავალია (საყრდენია) აწმყო რომლისთვისაც თავისთავად ამოსავალია მასდარი: „ეჲლაღ უფრორე შესაბამ არს, რათა პირველად აწამოიონკა ძირთავან თესთა, აწმყოსა შინა ზმნათა და შათვან სხტათა, შაგრა, ვინათვან ნამყოღ სრულად დროებითნი სხტაობენ, აწმყოღ დროებითთავან ითქმიან საშუალობითა (ხაზი ავტორისაა — ვ. გ.), აწმყოღ დროებითთა ზმნათთა ძირთავან პირველად წარმოებად ზმნანი ნამყოსა სრულსა დროსა შინანი“ (გვ. 187).

ზმნერა ფორმაწარმოებეს თვალსაზრისით ფასეულად მიგვანჩნია აწმყოსა და ნამყო სრულის ფორმათა წარმოებეს ურთიერთმიმართების საკითხის დამბა. საგულისხმოა ანტონის დაყვირება იმის თაობაზე, რომ აწმყოს ფორმის სტრუქტურა (წარმოება) არ განსაზღვრავს ნამყო სრულის წარმოების ტიპს. სხვაგვარად: ზმნები აწმყოში შეიძლება ერთგვარად აწარმოებდეს ფორმებს, შაგრამ განსხვავებულ იყოს მათი ნამყო სრულის წარმოება: „ადვებტამ, ვამდგამ არიან ერთის უღვლილებისა ქტმშენი და ერთ-მატნი აწმყოსა დროსა შინანი, შაგრა ნამყოსა სრულსა დროსა შინა განსხვავებულნი ურთიერთას, შაგალითებრ: ადვებტ, ვადგ“ (გვ. 170).

ეს ფაქტი იმდენად გვეჩვენება საინტერესოდ, რამდენადაც დღესაც ეს ნამყო სრულის წარმოების საკითხებს აწმყოს ფორმათა წარმოებიდან ამოსვლით განიხილავენ.

მიუხედავად იმისა, რომ ნამყო სრულის ფორმათა წარმოება თითქოსდა მარტოეა ყველაზე მეტი აღრევა და სიჭრელე იქ გვაქვს ანტონთან. რეა ნიშანს გამოყოფს ნამყო სრულის მაწარმოებლად ავტორი: 1. • (მეექვარ, ვანკეყე), 2. ვ (შვეფუტარე, ვეფ), 3. ოფა (მსურ-ოდა), 4. • (განვარდი), 5. ტ (ადვებტ), 6. შ (ვოსტრტმ, ემძარტტმ), 7. ვ (დავადავ) და 8. ავდ, და ოდესმე დ (ვამაღეეღ, ვამწონდ) (გვ. 187).

როგორც ვხედავთ, მართებულადაა გამოყოფილი მე-2 და მე-4 შემთხვევაში ნამყო სრულის მაწარმოებელი ვ და •; აქვე შეშოეა მე-6 შემთხვევა — შ მაწარმოებელი; ეს ავტორის ორთოგრაფიის თავისებურებაა: ტ-ს შემდგომ ვ ყოველივის შ-ს სახითაა წარმოადგენილი (ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 52). რა თქმა უნდა, შეუძლოა ვარ, ვადვაც მაგალითთა შემთხვევაში ფუძისეული ხმოვნის მაწარმოებლად მიჩნევა შაგრამ თავისთავად საინტერესოა ის, რომ ამ ხმოვანთა გამო-

ვლენა ნამყო სრულის თავისებურებად მიიჩნევა (ამ ტიპის ზმნათა ძირია სრული სახით მხოლოდ ნამყო ძირითადში წარმოგადგება). მე-3 შემთხვევაში შეცდომის წყარო მხურს სტატუტურა ზმნის ფორმარმოების თავისებურებაა: მხურადა ნამყო უსრულთა, ნამურ სრული არ ეწარმოება; ფუნქციურად მხურადა იტვირთავს ნამყო სრულის მნიშვნელობას. არასწორი ანალიზის მიზეზი მე-8 შემთხვევაშიც ნამყო სრულისა და ნამყო უსრულის ფუნქციურ-სემანტიკური მსგავსება უნდა იყოს. გაუგებარია მე-5 შემთხვევაში ბოლოკიდური ჭ-ს მიჩნევა ნამყო სრულის ნიშნად. ანტონი ჩვეულებრივ ნამყო სრულის ფორმის შეპირისპირებას ახდენს აწმყოს ფორმასთან და განსხვავებულ ნიშანს დაარქმევს ნამყო სრულის ნიშანს. ჭ ამ ტიპის ზმნებთან აწმყოშიც გვაქვს (აღვიხტამ)... ფაქტის ახსნა ქირს.

სწორია ავტორის დაკვირვება იმის თაობაზეც, რომ სუბიექტურია მესამე პირის ნიშნად ა და ო ნამყო სრულის ფორმათა წარმოების თავისებურებაა (გვ. 187). თუმცა შეცდომა იჩენს თავს მრავლობითის ფორმებზე მსჯელობისას: მსწერეს, მუჭმოეს ფორმებში მრავლობითის ნიშნად ხ არის მიჩნეული; შეცდომა I—II პირთან III პირის ფორმის შეპირისპირებამ დააშვებინა: ვასწერეთ, მსწერეთ, მსწერეს...

ყურადღებას მივაქცევთ იმასაც, რომ III პირის მრავლობითი რიცხვის შესახებ მსჯელობისას განასხვავებს ვითარებას მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებში. განმარტავს, რომ „შესამისა მიმართ პირისა, ზმნათა ამათ ვნებითთა ნამყოდ სრულ დროებითთა მამრავლად აქტსეე: 1. ეს, 2. ნენ ანუ ნეს. ნიშანთა ამათ ყოველთა მიადებენ ყოვლისა უღვლილებისა ქტმშენი ზმნანი ყოვლისა მავალითისა მებრნი“ (გვ. 190). საინტერესოა ის, რომ ნენ და ნეს ერთიგვარის ვარაუდებდაა ჩათვლილი. მიუხედავად იმისა, რომ ანტონისათვის საანალიზო მასალა ძველი ქართულისაა, ავტორი მაინც ვერ გატყუა ახალი ქართულის ფაქტებს. თუმცა პარადიგმებში (I ნაწილში) ტარბობს ნეს (ანდა ეს) ტიპის დამოლოება. ეფექტობთ, ეს ანტონის ენობრივი პოზიციით უნდა აიხსნას.

მეორე კავშირებითა (საზღვრებითისა სქესისა მყოობადო). ეს საუღლებელი ერთეული სწორადაა გამოყოფილი და ანალიზიც მართებულია. სამ მამარმოებელს გამოყოფს: ა, ე, ო. „არიან ნიშანნი მყოობადსა შინა მობრილთა ზმნათანი: 1. ა, მავალითებრ: შეეპრა, განვასსნა, ექმნა, და სხტანი, 2. ო, მავალითებრ: აფვლესო, ეპეტმოო, ემსწერო, და სხტანი. 3. ე, მავალითებრ: ვასადგე, განვარდე, განვმასლიერდე, ვასვადგე, და სხტანი“ (გვ. 195).

საყურადღებოა ის ფაქტაც, რომ I ნაწილში უღვლილების სახეობებზე მსჯელობისას, ერთ-ერთი არსებითი ნიშანი ზმნათა დაბასიათე-

ზისა ნამყო სრულისა და მყოობადეს ფორმათა ურთიერთშიმართების საკითხია: „ესე სრულსა დროსა შინა საშუალ შემოიყვანს ა. მაგალითებრ: შევქარ და მყოობადსა შინა განიკიდურებს ა. მაგალითებრ: შევქარა... სრულსა დროსა შინა განიკიდურებს ვ. მაგალითებრ: ვაქსა ვე... და მყოობადსა შინა ლ. მაგალითებრ. ეიესვი“ (გვ. 23) და მისთ.

**შენაშენა** ერთადერთ შემთხვევაში — ციქტა — აღრუ-  
ლია პარველი და მეორე კავშირებითის ფორმები; II კავ-  
შირებითად არის ვაგებული ფორმები ასციქუდეს, ასციქუ-  
დენ (გვ. 73). შტრ.: იმავე ზმნის ნამყო სრული.

საინტერესოა ბრეფიქსიანი ვნებითი ვვარის ზმნათა II კავშირე-  
ბითის მრავლობითის ფორმები. I—II პირა ახალი ქართულისაა:  
შვეყრათ, შეყრათ (გვ. 26), განვებანოთ, განიზანოთ (გვ. 29); მესამე  
პირის ფორმებში გვაქვს, ერთი მხრივ, ახალი ქართულის ვითარება —  
განიზანონ; მეორე მხრივ, ძველი ქართულისა — შეყარნენ. ერთადერ-  
თი შემთხვევაა, როცა ძველი ქართულის ვითარებაა სამსავე პირში:  
ვიუტნით, იუტნით, იუტნენ (გვ. 21) (თუ მხედველობაში არ მივი-  
ღებთ ანტონის ორთოგრაფიის თავისებურებას); თუმცა შემდგომ  
ვიუოფი ზმნის პარადიგმაში, სადაც II და III სერაის ფორმები ემ-  
თხვევა ვარ ზმნის პარადიგმებს, მეობადი ასეა წარმოდგენილი: ვიუოთ,  
იუოთ, იუტნენ (გვ. 71).

ამგვარად, II კავშირებითის პარადიგმები ანტონთან ძირითადად  
ახალი ქართულის ვითარებას ასახავს.

მეორე ხოლმეობითის შესახებ მსჯელობა უკვე გვიჩინ-  
და ნამყო უსრულის საკითხის განხილვისას. აღვნიშნავთ ისევ, რომ  
ანტონი ამ ფორმებს ამჩნევს, გამოყოფს მაწარმოებლად ი ელემენტს,  
ოღონდ არ მიიჩნევს მას დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულად.  
ავტორისათვის მეორე ხოლმეობითი იგივე ნამყო უსრულია, მისი  
ფორმობრავი ვარანტი.

მეორე ბრძანებითი (ბრძანებითისა სქესისა აწმყო).  
წართქმით ბრძანებითში ნამყო სრულის ფორმებია მოხმობილი II  
პირისათვის, II კავშირებითისა — III პირისათვის, ხოლო უკუთქმი-  
თი ბრძანებითისათვის — აწმყოს ფორმები წუ ნაწილაკითურთ. პარა-  
დიგმა ასეთ სახეს იღებს:

მხოლოობითად შექარ, ნუ შექარავ, შექარახ, ნუ შექარავს.

მრავლობითად შეტყობით, ნუ შეტყობთ. შეტყობან, ნუ შეტყობენ (გვ. 25).

„ბრძანებითისა სქესისა აწმყოთ“ სისტემებ ამ სახითა წარმოდგენილი ანტონის პარადიგმებში. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ესაა ერთადერთი შემთხვევა უფლებების პარადიგმაში, როცა ფორმობრძვად სხვადასხვა მონაცემები სისტემებზე ერთ საუფლებედ ერთფუნქციად მოქცეული. ავტორისათვის ამ შემთხვევაში მხოლოდ ფუნქციად ამოსავალი, სხვა შემთხვევაში, როგორც ვნახეთ, ფორმობრძვ-ფუნქციური მონაცემებია გათვალისწინებული და ისეა გამოყოფილი საუფლებელი ერთეული. როგორც ჩანს, ვერ ახერხებს ავტორი იმას, რომ გვერდი აუაროს ბრძანებითის ფუნქციის შქონე ფორმებს და შესაბამის საუფლებელ ერთეულსაც გამოყოფს, თუმცა გრძნობს, რომ ეს ფორმობრძვი პრინციპის დარღვევაა და მიუთითებს კიდევ, რომ: „შესაბედავი და ნაეტქითი ბრძანებითისა სქესისა აწმყოდ საზღვრებითისა იგივე არს, რაცა არს ნაშყოასა სრულისა, დროებითისა პარისა მეორისა და ესე დამტკიცებითად იქმნების, მაგალითებრ: **ქმენ** ზოლო პარისა მიმართ შესამისა, მყოობადისა დროებითისა ზმნისა, შესამისა მსგავსი არს და იგივე უოელითერთ, მაგალითებრ **ქმენას**, ზოლო ნაბრძანნი უკუთქმითრც, ანუ ნავედრნი პარისა მიმართ მეორისა, მსგავსი არს უოელითერთ აწმყოდ დროებითისა, მეორისა და შესამისა პარისა, მაგალითებრ: **ნუ იქმ, ნუ იქმს**. ზოლო მრავლობითად წარმოდგომაჲ დამტკიცებითთა და უკუთქმითთა ბრძანებითთა, იგივე არს. ვითარ იგი მხოლობითთა“ (გვ. 166—167). და რომ ბრძანებითი პრინციპია, აქლია I პარის ფორმა (მხოლობითი და მრავლობითი). ამაზეცაა მსჯელობა და მიზეზსაც იძიებს („მით რომელ არავინ არს თესადში თესისა მბრძანებელ და მვედრებელ“ — გვ. 163). როგორც ვხედავთ, ბრძანებითი ანტონისათვის მხოლოდ ფუნქციური ერთეულია ფორმობრძვად სხვა საუფლებელი ერთეულებია გამოყენებული. დაჯერება ფასეულია ასევე, ფასეულად მიგვაჩნია ობოენობრძანებითის ფუნქციის დაღანდეც („ნაბრძანნი ანუ ნავედრნი“).

ასეც უნდა აღინიშნოს აღმათ, რომ ბრძანებითის ცალკე საუფლებელ ერთეულად გამოყოფა სხვა ენათა გრამატიკების გავლენის გარეშეული შედეგი უნდა იყოს.

**III სერაის ფორმები.** შესამე სერაის ფორმათაგან ანტონის პარადიგმებში მხოლოდ I და II თურმეობითის ფორმებია წარმოდგენილი. III კავშირებითი, როგორც ითქვა, ანტონს შეუქმნეველი დარბა.

**I თურმეობითი** (ნაშყო უსრულესი). ამ საუფლებელი ერთეულის ფორმათა ანალიზი კიდევ ერთხელ დაჯერწმუნებს ანტონის

ღრმა მეცნიერული დაჯერებებისა და მსჯელობის უნარში. ნამყო უსრულესის (ე. ი. I თურმეობათის) წარმოებისას ანტონი განაჩინებს მოქმედებითი და ენებითი გეარის ზმნებს (ენებითათაგან მხოლოდ ერთი პირიანებს განიხილავს, ორპირიანებზე მსჯელობა არა აქვს) **აღმოსაქმად**

მოქმედებითი გეარის ზმნებში სამგვარ წარმოებას გამოყოფს: 1. მიიქტამს, შემოკრავს ტიბისა (თურმეა ნიშნად -ის გამოყოფს), 2. მიწერის ტიბისა (მაწარმოებელი იეს) და 3. წარმოევანია, წარმოლია ტიბისა (მაწარმოებელი -ია). აქვე ავტორი შენიშნავს, რომ „განაღა, რომელნიცა ზმნანი, მეორესა ნიშანსა მიიღებენ — შესამესაცა და რომელნიცა შესამესა — მეორესაცა“ (გვ. 192). ამგვარად, იეს და ია ტიბის დაბოლოებებს პარალელურ ვარიანტებად მიიჩნევს, რომლებიც ყველა შემთხვევაში შეიძლება შეენაცვლოს ერთმანეთს. მაგრამ ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ I ნაწილში, უღვლილების პარადიგმებში, მხოლოდ იეს დაბოლოებას წარმოადგენს. ფაქტია, ანტონი ვრძნობს, რომ ამგვარი დაბოლოება უფრო არქაულია და სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი, ავტორის ენობრივ პოზიციას თუ გაეითვალისწინებთ. ეს ტენდენცია (იეს დაბოლოების ძირითადად მიჩნევა) იმდენად ძლიერია ანტონთან, რომ ერთგან ავ თემისნიშნის ზმნსაც იეს დაბოლოებით წარმოგვიდგენს: **შემიკრავს, შეგაკრავს, შეფაკრავს** (გვ. 25). ეს ფორმები „საწადისისა სქესისა ნამყო სრულესისა და უსრულესის“ პარადიგმაშია წარმოდგენილი. ეს დრო ზევულებრივ საზღვრებითი სქესის ნამყო უსრულესისაგან მხოლოდ „ვაშათუ“ შორისდებულოთ განსხვავდება: **მიგტმშვიეს და ვაშათუ მიგტმშვიეს, მისმვეიეს და ვაშათუ მისმვეიეს** და მისთ. **შეკრავს** ზმნის შემთხვევაში თბრობით ელოში სწორი ფორმებია წარმოდგენილი (**შემიკრავს, შეგიკრავს, შეფიკრავს...**), კავშირებითში იეს დაბოლოებიათი. II ნაწილში **აღმოსაქმად** ზმნის სქემაში პარალელურად ორივე, იეს და ია, დაბოლოებაა წარმოდგენილი: **აღ-მი-გა-ტმ-ხტმშვიეს, ია, ია, ია, იათ, იათ** (გვ. 133).

ამრიგად, როგორც ე. ბაბუნაშვილი შენიშნავს, „ერთი და იმავე უღვლილების ზმნის ზოგჯერ შეიძლება სამი მაწარმოებელი დაერთოს“ (ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 168). ამათგან იეს დაბოლოებიათი ფორმები არაბუნებრივია. შეცდომის წყარო, როგორც ჩანს, სასაუბრო ენაში გაერყელებული ია დაბოლოებიათი ფორმებია. იმ წესის საფუძველთაოდ ვატარებამ („რომელნიცა ზმნანი, მეორესა ნიშანსა მიიღებენ — შესამესაცა და რომელნიცა შესამესა — მეორესაცა“) უყარნაბი ანტონის **შეფაკრავს, აღუხუმი** ფორმათა საფუძველზე **შეფაკრავს, აღუხუმი** ფორმების გაკეთება.



ძალზე საინტერესოა ერთპირიანი ვნებიანი გვარის ზმნათა I თურმეობითის ანალიზი. მოვიყვანო ციტატას: „ვნებიანთა ზმნათა ნაშენნი უსრულესსა ნამყოსა დროსა შინა არს ზმნათ არსებითი, აწმყოსა დროსა შინათ, სამთავე მიმართ პირთა, ეითარმედ პირველად ზმნათ იცვალეების მიმდრომად, ნამყოდ ვნებიანად, და მერმეტა დედებან თვთველისა პირისა მიმართნი ზმნანი არსებითნი, აწმყოსა დროსა შინანი, მაგალითებრ: შეკრულ-ვარ, შეუტარებულ-ხარ, მოწულულ-არს ანუ შეკრულ-არსან და სხვანი“ (გვ. 192), როგორც ვხედავთ. I თურმეობითის ფორმითა ანალიზი ერთპირიანი ვნებიანი გვარის ზმნათათვის სწორია: წარსული დროის ვნებიანი გვარის მიმდრობა + მესველი ზმნა აწმყოს ფორმით.

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია ისიც, რომ ანტონი მოქმედებითი გვარის ზმნათა ინვერსიულობაზეც მიანიშნებს, გაბაზავს ამ ფაქტს, რომ ობიექტურა პირის ნიშნები იჩენს თავს: „მაპროვწენი ნამყოსა უსრულესა დროსა შინა არიან, პირველსა პირისა მიმართ -ჰ, მეორისა მიმართ — ზ და მესამისა მიმართ — უ, ნიდავ და მარადის“ (გვ. 192).

**II თურმეობითი** (საზღვრებითისა სქესისა ნამყოდ უსრულესი). ამ საუღლებელი ერთველეს შემთხვევაში რაიმე არსებითი ხასიათის თავისებურება არ გვხვდება. ფორმალურების თვალსაზრისით პარადიგმა სწორადაა აგებული; მაგალითისათვის:

შეგყრა, შეგყრა, შეგყრა  
 შეგჭყრა, შეგყრათ, შეგყრათ (გვ. 25).

თუმცა როცა იმავე ზმნის ობიექტური წყობის პარადიგმას (პირნაცლ პარადიგმას — ავტორის აზრით) წარმოგვიდგენს, შესამე პირის მრავლობითობას **თ** სუფიქსის ნაცვლად **-უე** ნაწილაკით აღნიშნავს: შეგყარ-უე (გვ. 35). ამგვარივე ფორმის იმეორებს საწადისი სქესის ნამყო უსრულესში: ვაშათუ შეგყარ-უე, საერთოდ, ანტონი აწმყოში შესამე პირის მრავლობითობის გამოხატვაზე როცა მსჯელობს, **უე** ნაწილაკს მორფოლოგიურად **-ან** და **-ენ** სუფიქსთა ტოლფასად მიიჩნევს, მაგ: მსწერენ, განხვიდანი და უფვარს-უე (გვ. 171). როგორც ვხედავთ, აწმყოში **უე** მხოლოდ ობიექტური წყობის ზმნასთანაა დამოწმებული. პარადიგმებში მხოლოდ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში იჩინა თავი (შეგყარს-უე). ფაქტი ერთია, ავტორი ამკრავდ ვრძნობს, რომ **უე**-ს ფუნქცია მოცემითში დასმული სუბიექტის (ან, რეალური სუბიექტის) მრავლობითობის გამოხატვაა. ერთიყა, **უე** ნაწილაკი პარადიგმებში დეფისითაა გამოყოფილი, მსგავსად მესველი ზმნისა.

პირას ნიშნებს ზეუღლებრივ არ გამოყოფს ანტონი ფორმაში ეს აღ-  
ბათ იმაზე მივყავიშნებს, რომ ავტორი გრძნობს ვეს ნაწილატურ წარ-  
მოშედლობას. ესეცა ღირსსაყნობი, რომ ამ შემთხვევაშიც კასუბტო  
ენის გავლენა აშვარაა გრამატიკული ანალიზისას.

როგორც დავინახეთ, ანტონი ძირითადად ძველი ქართულის მისა-  
ლის ანალიზს ახდენს და ფორმობრივი თვალსაზრისით ძველი ქარ-  
თულის თითქმის ყველა საუღლებელი ერთეულია გამოყოფილი; მაგ-  
რამ აშვარაა ახალი ქართულის ენობრივი სინამდვილის გავლენა ავ-  
ტორზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, ფორმათა ფუნქციურ-სემანტიკურ  
ანალიზში იგრძნობა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მსჯელობაში ტერმინები  
„ძველი ქართული“ და „ახალი ქართული“, ასე ვთქვათ, სამუშაო  
ტერმინებია. ჩვენ ამ შემთხვევაში მივანიშნებთ, ერთი მხრივ, ძველი  
ქართულის პერიოდისათვის და, მეორე მხრივ — ახალი ქართულის  
პერიოდისათვის დამახასიათებელ ფორმებს. ანტონისათვის კი არ არ-  
სებობს ცნება ძველი და ახალი ქართულისა. მისთვის ქართული ერ-  
თია, ერთიანი ენაა, რომელშიც ზოგ შემთხვევაში ხდება ამა თუ იმ  
გრამატიკული კატეგორიის ნაირგვარი გამოხატვა, გვაქვს მარალეულ-  
ში წარმოებაში (ჩვენი თვალსაზრისით ძველი და ახალი ფაქტების  
დამიჩისპირება). ძველი ფაქტები მისთვის უფრო წიგნურია, ლიტერ-  
ატურული და ამიტომაც ეძლევა ხშირ შემთხვევაში უპირატესობა.



**უღვლელების ტაბეხი.** ანტონის გრამატიკაში ყველაზე რთული და  
საფეო უღვლელების ტიპებად დაყოფაა. სულ ანტონს გამოყოფილია  
აქვს უღვლელების 8 სახე და 59 სახეობა (პირველ უღვლელებაში —  
7, II-ში — 15, III-ში — 7, IV-ში — 10, V-ში — 8, VI-ში — 4,  
VII-ში — 1, VIII-ში — 7). უღვლელების სახეთა გამოყოფის საფუძ-  
ვლად თხრობითი კილოს აწმყოს დამოლოებაა მიჩნეული: უფრო  
სწორად, ბოლო მარცვლის ხმოვანი (ა, ე, მ, ი, უ, ო, ჯ, ჳ). ეს ფაქტი  
მითარის სომხური გრამატიკის გავლენით იხსნება: „ხმების უღვლე-  
ლებად დაყოფა ანტონმა ვერ შეძლო, რადგანაც საყლასიფიკაციო ნიშ-  
ნად ხმის უკანასკნელი მარცვლის ხმოვანი აღო. შეცდომის წყარო-  
აქ უღაოდ სომხურია, სადაც იმდენი უღვლელება გვაქვს, რამდენი  
ხმოვანიც არის აწმყოს პირველი პირის ბოლო მარცვალიში“ (ე. ბაბუ-  
ნაშვილი, 1970, გვ. 150).

ამ ფაქტს არნ. ჩიქობავა ასე აფასებს: „ეს არის პირველი ცდა ქართული ზმნის მრავალფეროვნებაში გარკვევისა (ამდენად ტერმინობანიც მოულოდნელი არ არის). ანტონიმ გარკვეული ნიშანი აიღო საორიენტაციოდ და მისი ვატარება სცადა. ცხადია, ამგვარი დაჯგუფების ცდაში სხვა ენების (სომხურის, ლათინურის...) ნიმუშთა გათვალისწინებას შეტად დიდი ადგილი ეთმობოდა... მორფოლოგიური ერთეულები (უღვლელება, უღვლელების სახე) ფონეტიკური ნიშნის მიხედვით გამოიყოფოდა... შინც ცდა ხაინტერესთა“ (არნ. ჩიქობავა, 1965, გვ. 92).

თუ უღვლელების სახეთა გამოყოფას ანტონი ცდილობს გარკვეული ფორმობრივი ნიშნის მიხედვით, მოუთხოვბენ, რომ „ძნელია იმის დადგენა, თუ რა პრინციპს ემყარება უღვლელებაში ხატების (ე. ი. სახეობების — გ. გ.) გამოყოფა“ (ა. ფოცხიშვილი, 1979, გვ. 112).

ამგვარად, უღვლელების სახეების გამოყოფა აწმყოს ფუძის სტრუქტურის, უფრო სწორად, ბოლო მარცვლის ხმოვნის მიხედვით ხდება... მაგრამ ანტონი იმასაც ამჩნევს, რომ ეს ნიშანი არაა საკმარისი და არსებითი კლასიფიკაციისათვის. სხვაგვარად, ერთსა და იმავე უღვლელებაში გამოყოფილი ხმოვნითა ელემენტი რომ სხვადასხვაა და ერთი და იმავე უღვლელების ზმნები (ამ ნიშნის მიხედვით გამოყოფილი) რომ განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს ფორმა- თუ სიტყვა- წარმოების თვალსაზრისით, იძულებულს ხდის ავტორს გამოეყოს ქვე-სახეობები (ხატები).

ამა თუ იმ უღვლელებაში შემავალ ზმნათა სახეობებზე დაყოფას ანტონი ახდენს ზმნურ ფორმა- თუ სიტყვაწარმოებით შესაძლებლობათა მიხედვით: ა) საკლასიფიკაციო ძირითადი ნიშანი წვეტილისა და მეორე კავშირებითის წარმოებაა. კერძოდ, როგორცაა შესაბამისობა წვეტილისა და II კავშირებითის წარმოებათა შორის; ბ) გარდა ამისა, დამატებით საკლასიფიკაციო ნიშნად შემოაქვს შესაძლებლობა კავშირურ და ორმაგკავშირურ ფორმათა წარმოებისა; გ) ზმნის „პირნაკლება“.

**შენიშვნა:** ანტონის მიერ პირნაკელი ზმნების გამოყოფა კიდევ ერთხელ მაინაშნებს ავტორის ლინგვისტური აზროვნების ღონეზე, ქართული ზმნის ბუნების დრმა წვდიმაზე, დაეიმოწმებთ კვლავ არნ. ჩიქობავას: „საგულისხმთა ანტონის აზრი „პირ-ნაკელ“ ზმნათა შესახებ; ნიმუშად ანტონი ასახელებს: შეგვრავ, შეგვრავს, შემვრავ, შემვრავს (5 32)... ე. ი. ობიექტის მეორე და პირველი პირის აღმნიშვნელ ფორმებს. შთა მსგავსი ფორმები არც ერთი ენის ზმნას არა ქეონდა; ანტონი რომ ამოსაეღაღ მიიჩნეუდა, იმავე დროს ქართულ ზმნაში ასეთი ფორმები თვალში საცემი

ყოფილი ანტონსაც ეს გურაძეების გარეშე არ დარჩენია. აქ ანტონი დამოუკიდებელი მხედლობის უნარს იჩენს" (არჩ. ნიჭიბაძე, 1965, გვ. 92) ანტონი პარნაკლობაში „გულუბნო ხმობს სუბიექტის მეორე პარის შეუთავსებლობას. ობიექტის მეორე პაროან... სუბიექტის პირველი პარისა და ობიექტის პირველი პარის შეუთავსებლობას ზმნის ფორმაში" (ე. ხაბუნაშვილი, 1970, გვ. 124).

ყველა სახეობა უღლებსა ამ ნიშნების მიხედვით ხასიათდება: მაგ. „განგჰსწმედ. ესე სრულსა შინა განიკიდურებს ე. მაგალითებრა: განგჰსწმიდღ და მეოობაღსა შინა ო. მაგალითებრა: განგჰსწმიდო და ესე არა იქმნებას სხმიით-გარდასლეთად, არამედ მარობლ-სხმიით-გარდასლეთად, და არცაღა მიმოიხრებოს პირნაკლისა: მესამესა, მეოთხესა და მეხუთესა ხატსა ქტმშე, ვიდრემდის არა იქცეს მარობლ-სხმიით-გარდასლეთად" (გვ. 47).

ამდენად, ანტონი ერთ სახეობაში აერთიანებს ზმნებს, რომლებიც ერთნაირად აწარმოებენ წყვეტილსა და მეორე კავშირებათს, მოებოვებათ (ან არ მოებოვებათ) კავშირებით და ორმაგკავშირებით ფორმება, ეფლელიან (ან არ ეფლელიან) „პირ-ნაკლად“. თუ ერთ-ერთი ამ პარობათაგანი სხეობს, ანტონი მათ სხვადასხვა სახეობად მიიჩნევს, რა თქმა უნდა, ამგვარი დაჯგუფებისას აღრევა და უზუსტობაც ხშირია. მაგრამ არსებობდა შეგანია ის, რომ სიტყვა- თუ ფორმაწარმოების თვალსაზრისით ქართული ზმნები ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ცდილობს გამოიჩინოს და დააჯგუფოს ისინი ამ შესაძლებლობათა მიხედვით.



პარადიგმა საუღლებელი ერთეულისა. საუღლებელი ერთეული („ღრო“) ანტონისათვის ფორმობრივი მონაცემია, საუღლებელი ერთეულის ფუძე, გარდა ორიოდგ გამოჩაყლისისა, ერთი პარადიგმის ფარგლებში საერთოა. საუღლებელი ერთეულის წევრები სხვაობენ მხოლოდ პარისა და რიცხვის მიხედვით. ერთადერთი გამოჩაყლისი, როგორც ზემოთ ითქვა, „ბრძანებითი სქესის აწმუოა“ არის, ფორმობრივი პრინციპი ერთ საუღლებელ ერთეულში ფორმათა გაერთიანებისა მხოლოდ ამ შემთხვევაში ირღვევა: ფუნქციური პრინციპითაა აქ ზმნური ფორმები გაერთიანებულნი. როგორც აღვნიშნეთ, ანტონი ამას გრძნობს და შიანიშნებს კიდევ.

ფორმობრივი პრინციპის გატარება რომ არსებითია ანტონისათვის, ეს იქიდანაც ჩანს, რომ, მისი აზრით, ერთი და იმავე ფუნქციის მჭო-

ნე ფორმები უწყვეტლსა, უწყვეტლის ხოლმეობითისა, I ბრძანებითისა და II ხოლმეობითის ერთი საფუძვლებელი ერთეულის პარადიგმაში არაა წარმოდგენილი, აღრეული, გამოჩაყლის უწყვეტლსა და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები ქმნის; თუმა ამჟამად რეგულარული ვითქვით, ეძებნება გამართლება.

თქმული არ ნიშნავს იმას, რომ ფორმის ფუნქციის ნაყლები ყურადღება ექცევა ანტონთან. ავტორი საგანგებოდ ამხეილებს ყურადღებას ამ ფაქტზე, რომ ესა თუ ის ფორმა სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა კილოურა და დროული მნიშვნელობის გამოხატველი შეიძლება იყოს.

დრო და კილო ანტონისათვის ფუნქციური კატეგორიებია. იგი ამ კატეგორიებს ასახელებს ზმნის სხვა კატეგორიათა გვერდით, მაგრამ პირისა და რიცხვის კატეგორიათაგან განსხვავებით, არ მსჯელობს (არ მიუთითებს) მათ მორფოლოგიურ გამოხატვაზე.

ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ ანტონი ამჩნევს, რომ ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა კილოურა მნიშვნელობის შემთხვევაში სხვადასხვა დროულ მნიშვნელობას იძენს. მაგ.: ანტონი შენიშნავს, რომ წყვეტილის II პირის ფორმებს თბრობითი კილოს შემთხვევაში ნამყო დროის გაცება აქვს, ბრძანებითი კილოს შემთხვევაში — აწმყოსი. მაგ.:

შეკარ		საწადისისა სქესისა ნამყო სრული
შეკართ		ბრძანებითისა სქესისა აწმყო

სხვა შემთხვევები, როცა კილოური სხვაობა დროულ სხვაობას იწვევს:

შეკრას		საწადისი სქესისა მყოობადი
შეკრან		ბრძანებითი სქესისა აწმყო

ასევე:

შეკრუდეთ	}	ბრძანებითისა სქესისა მყოობადი
შეკრუდი, შეკრუდეთ		
შეკრუდეს, შეკრუდენ		

**შენიშვნა:** საწადისი სქესის შემთხვევაში, როგორც ვთქვით, მორიხდებულად დაერთვის ფორმას.

ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ რიც შემთხვევაში ანტონი დროული თვალსაზრისით ფორმის პოლიფუნქციურობაზეც მიგვანიშნავს.

ნებს. უღვლილების სისტემაში ვაშაოთ შევქარვდე ტაბის ფორმებს ასე სახელდება: „საწადისისა სქესისა აწმუოა და მყოფადი“; ანდა: ვაშაოთ განმზანინეს ტაბის ფორმებს — „საწადისისა სქესისა ნამყოფ სრული და უფსრულესი“.

კილო ერთ-ერთი ძირითადია იმ კატეგორიათაგან, რომელთა გათვალისწინებითაც უღვლილების სისტემა ითვება.

ანტონი ანგარიშს უწევს იმასაც, რომ ერთსა და იმავე ფორმას სხვადასხვა კილოს გამოხატვის უნარი შესწევს; ამიტომაც, რომ ერთი და იგივე ფორმა რამდენიმე საუღვლებელ ერთეულად წარმოგვიდგება. მაგ:

- განმზანინდი — ა) საზღვრებითი სქესის ნამყო უსრული
- ბ) საწადისი სქესის ნამყო უსრული

- განმზანინეს — ა) საზღვრებითი სქესის ნამყო უსრული
- ბ) საწადისი სქესის ნამყო სრული და უსრულესი

- განმზანა — ა) საზღვრებითი სქესის ნამყო უფსრულესი
- ბ) საწადისი სქესის ნამყო უფსრულესი

ამ ფუნქციურ სხვაობას რომ კონტექსტი ქმნის, ესეც ნათელია ანტონისათვის. ამიტომაცაა, რომ საწადისი სქესისათვის ადგილებელ ელემენტად შორისდებულებს „ვაშაოთ“ და „ნეტარაუშაო“ მიიჩნევს (გვ. 167). პარადიგმებში მხოლოდ „ვაშაოთ“ შორისდებულია წარმოდგენილი.

საზღვრებითი და საწადისი სქესის გვერდით ანტონი „ეპოტეტუკასა სქესსა“ გამოყოფს („თუობითი“, პარობითი კილო). უღვლებს პარადიგმებში ეპოტეტუკა არ ასახება სრულიად გასაგები მიზეზების გამო: „ეპოტეტუკასა სქესისა ზმნანი ყოველნი იხრებიან ყოველსა შინა პირსა, ყოველსა შინა რიცხტსა და უოველსა შინა დროსა შემოქმედებთადცა და ვნებითად, ვითარ იგი იხრებიან ზმნანი საწადისისა სქესისანი, გარნა განიჩრევიან ამით, ვითარმედ დაიდების ნიდაგ ყოველთა ზმნათა ზედა საწადსა შინა ვაშაოჭ. ხოლო ეპოტეტუკასა შინა უაეოჭ“ (გვ. 25).

ჩვენს აზრით, დროული და კილოური მნიშვნელობებისადმი ასეთი დამოკიდებულება (მეფასება) საკვლისხმოა. სხვაგვარად: ჩვენს ინტერესს ის აღძრავს, რომ ზმნური ფორმის მეფასება დროისა და კილოს თვალსაზრისით ცალსახად არ შეიძლება. ეს ჩანს ანტონის პარადიგმებიდანაც.



თავი II. ანტონიანე მარკაშვილი

ჩოგორაც ვთქვით, მიუთითებენ, რომ ანტონის შემდეგფროინდელი გრამატიკოსები ძირითადად ანტონის მოძღვრებას ემყარებიან. ჩვენი შემდგომი მსჯელობის მიზანს არ შეადგენს სრული მიმოხილვა ამა თუ იმ ავტორის გრამატიკული ნააზრებისა, ამა თუ იმ გრამატიკის განხილვა. ვეანტერესებს: მომდევნო პერიოდის გრამატიკოსებთან უღვლოების სისტემაში რა მნიშვნელოვანი სახელე გვაქვს, რა მნიშვნელოვანი დაკვირვებანი, მივხვდებით.

•  
• •

საუღვლოებელ ერთეულთა ჩაოდნობა. ზმნისწინის ფუნქციაზე, აწმყოსაგან აწარმოოს მყოფად, უკვე გაიზ რეპტორის გრამატიკაში გვაქვს მითითება: ზმნისწინები „უკეთეს ოდესმე მოცულობიან ზმნათა აწმყოთა დროსათა, მაშინ მნიშვნელობასა მისსა ჰყოფენ მყოფადად; მაგალ. ვსწერ არს ზმნა აწმყო, მარტაეი, საზღვრებითისა სქესისა და უკეთეს მოცუდოს რა ამას ზემოხსენებულ იგი მარტაელნი, მაშინ ყოვლითურთ, მსეტლიან ვითარებასა მისსა დროითურთ. მაგალ. დავსწერ, რომელიცა არღარა მნიშნავს აწმყოთა დროსა, არამედ მყოფობასა“ (გაიონი, 1970, გვ. 68). დაკვირვება სწორია და ფასეული. მაგრამ გაიონთან დავსწერ ტიპის ფორმები პარადიგმებში არ არსებ. ამ სახის მყოფადი ცალკე საუღვლოებელ ერთეულად არ გამოიყო. ეს ანტონის გავლენა ჩანს: ფორმებზე მსჯელობს, მაგრამ დროკილოთა სისტემას ანტონისას იმეორებს.

ზმნისწინიანი აწმყო (მყოფადი) ცალკე საუღვლოებელ ერთეულად პირველად დ. უიფიანი წარმოადგინა უღვლობის პარადიგმებში — ჩვენებითი დასრის დრო მომავალი ვასთაგებელი; მაგ.

გააკეთებ	გააკეთებთ	
გააკეთებ	გააკეთებთ	
გააკეთებს	გააკეთებენ	(დ. უიფიანი, 1882, გვ. 93).

დ. ყოფიანის გრამატიკა იმითაც აქცევს ყურადღებას, რომ III კავშირებითის ფორმები ცალკე საუღლებელ ერთეულად პირველად აქ გამოიყო. ოღონდ ერთია: ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს III კავშირებითისას ავტორი სხვადასხვა საუღლებელ ერთეულად წარმოადგენს ნატივით დაბრაშე:

დრო განვლილი უსრული — გვეყებინოს  
 გვეყებინოს  
 ეყებინოს

დრო განვლილი სრული — გამეყებინოს  
 გავეყებინოს  
 გვეყებინოს (გვ. 100).

ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა ასეთი დაპირისპირება დ. ყოფიანისათვის არაა გამონაკლისი. ამაზე ჭკვევით გვექნება საუბარი.

საინტერესო ისტორია აქვს II ხოლმეობითის ფორმებს. როგორც ითქვა, ანტონი მათ ნამყო უსრულის ფორმობრივ ეარიანტად გააზარებს. ამ ფორმებზე საგანგებოდ ამხელებს ყურადღებას პ. იოსელიანი: „არიან რომელიმე ზმნის აწმდგომსა დროსა შინა სმარებულნი სმარობითად დაშტებითა ბოლოსა ასოთა **ა**. მაგ. უფალი მშაყელ-**არს**, ესე დაამდაბლ**ის**, და ესე აღამაღლ**ის** და სხ. ხოლო პირიქედ: დაეამდაბლ**ი**, ავამაღლ**ი** და სხ.“

სხო, ესე ვტარსა ოდესცა მღაბიურსა საუბარსა შინა დაემატების მარცხელი ხოლმე, მაშინ ნიშნავს ქმნილსა უსრულსა დროსა, მაგ. დაეამდაბლ**ი** ხოლმე, შეესწირა ხოლმე და სხ.“ (პ. იოსელიანი, 1840, გვ. 72).

როგორც ვხედავთ, მიანიშნებს მრავალგზისობის ფუნქციაზე. მაგრამ უნაწილაყოდ მას განიხილავს როგორც აწმყო დროის ფორმას, ხოლო ხოლმე ნაწილაყოთ — როგორც ნამყო უსრულისას.

დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულად მიიჩნევს II ხოლმეობითის თ. ეორდანიას „ქართულ ენას აქვს დრო სამარადისო ანუ გაზმარებთი, რასათვის დაემატება ასო **ი**“, მაგ. „ვა-**რი**“, „ხა-**რი**“ ე. ი. მუდამ ვარ, ხარ (და არა მხოლოდ ეხლა), მაგ. „**მე** ჩემი ხარ-ი შენ“ (ტსალ. 2). ნამყო დროს კი სმირად მიემატება „მოვიდ-ის, წავიდ-ის, მონახი-ის... გამოვიდ-ი, გამოვსცა-ი, ვისმინ-ი და სხვ. (მრავლ. მოვიდი-ან, გამოვიდი-ან)“ (თ. ეორდანიას, 1889, გვ. 60). მიუხედავად იმისა, რომ ავტორი გამოყოფს დრო სამარადისოს ანუ გაზმარებთის, უღვლილების სრულ პარადიგმაში მონაც არ მოაქცევს მას. მოყვანილი ციტატა შენიშვნის სახით დაერთვის უღვლილების პარადიგმას. ასე, რომ



II ხოლმეობითის ფორმები ანტონმა გამოყო, პ. ოსელაიანმა და განსაჯუტრებით, თ. ეორდანიამ მოგვეცეს მისი ზუსტი მორფოლოგიური და სემანტიკური დასასიათება, უღვლალების სისტემაში მაინც ვერ მოეპტა რამდენადაც მოულოდნელია, II ხოლმეობითი, როგორც ნაკეთი, არაა გამოყოფილი ნ. მარის არც „ტაბულუმში“ და არც „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკაში“; თუმცა ზოგი ზმნის უღვლალებისას ნ. მარი ამ ფორმათა აღსანიშნავად ხმარობს ტერმინს „ნამყო ზევულებითი“. ამის თაობაზე შეუთითებდა არნ. ზიქობაია ვერ კიდევ 1926 წელს (არნ. ზიქობაია, 1926, გვ. 317).

II ხოლმეობითის ფორმები რომ ძველი ქართულის ფაქტია, ამის თაობაზე მინიშნება გვაქვს პ. კვიციანიძესთან: „ამ ფორმის ახალი მწერლები ქირსავით ერთდებან, თითქოს ზოგჯერ უმისობა შეიძლე-ბოდეს. ვარნა აქა-იქა ახალს მწერლებსაც უხმარიათ, მაგ. „გადამბრუნ-დის ზენი ციგა, კოტრიელა კოტრიელა!“ რ. ე.“ (პ. კვიციანიძე, 1888, გვ. 125).

\*  
\* \* \*

**ზმნისწინა და ზმნური ფორმა.** გაეიხსენოთ: ანტონი პარადიგმაში ან ზმნისწინიან ფორმას წარმოადგენს, ან უზმნისწინოს, ანტონისაგან განსხვავებით, გაიოზის გრამატიკაში ერთი და იმავე ზმნის პარადიგ-მაში კვხდება როგორც ზმნისწინიანი, ასევე უზმნისწინო ფორმები. ამ შემთხვევაში გაიოზის პრინციპი ასეთია: უზმნისწინოდ საზღვრე-ბითი სქესის (თხრობითი კილოს) აწყო და ნამყო უსრულია წარმო-დგენილი; სხვა საუღვლაბელ ერთეულში ზმნისწინიანი ფორმებია და-მოწმებელი.

**შენიშვნა:** ეს ფაქტი აღნიშნის ღირსია, მაგრამ არ მთ-კვანია წინადადებულ ნაბიჯად ანტონთან შედარებით.

გაიოზის მსჯელობიდან ისიც ხანს, რომ ავტორს ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირება ვეღა შემთხვევაში მიანნია შესაძლებლად, თუმცა ცალკე ერთეულად ამგვარად დაპირისპირებუ-ლი ფორმები არ გამოყოფა. ერთი კია, ავტორი ცდილობს ზმნისწი-ნიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირებით შეამციროს ფორმა-თა პარალელიზმი უღვლალების სრულ პარადიგმაში. ამის ნიშნად გვესახება ის ფაქტი, რომ „საზღვრებითისა სქესისა ნამყო უსრული და აპოტეოთიკისა სქესისა ნამყო უსრულისი“ პარადიგმებში გარ-

და შორსდებულისა, რაც შემთხვევაში ზმნისწინითა განსხვავებულია მგ.

საქართველო  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტრო

ვმსწერად — ვაშაოვ ანუ უკეთესად ვაშაოვად (გვ. 291).

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა ერთ პარადიგმაში წარმოდგენის პრინციპი გაიოზის გრამატიკაში თანმიმდევრულად არაა გატარებული.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო ვითარებაა დ. ყიფიანის გრამატიკაში. დ. ყიფიანი, ისევე როგორც გაიოზი, შესაძლებლად თვლის ყველა შემთხვევაში ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირებას. და, რაც მთავარია, ოდენ ზმნისწინით დაპირისპირებულ ფორმებს ცალ-ცალკე საუღლებელ ერთეულებად წარმოადგენს:

- 1) ვაყეოებ (დაბრა ჩვენებითი, დრო ახლანდელი — აწმყო) და ვაყეოებ (დაბრა ჩვენებითი, დრო მომავალი ვასათყეებელი);
- 2) ვაყეოებდი (დაბრა ზეენებითი, დრო გავლილი უსრული) და ვაყეოებდი (დაბრა ზეენებითი, დრო გავლილი სრული);
- 3) ვაყეოებდე (დაბრა პირობითი, დრო ახლანდელი უსრული) და ვაყეოებდე (დაბრა პირობითი, დრო ახლანდელი სრული).

როგორც ვხედავთ, აქ ისეთივე ვითარებაა, როგორც ა. შანიძეძე-ულს სისტემის I სერიაში აწმყოსა და მყოფადს წრეთა მიმართების საკითხში. მაგრამ დ. ყიფიანი ამ პრინციპს ბოლომდე გაატარებს და ცალ-ცალკე საუღლებელ ერთეულებად წარმოგვიდგენს II და III სერიის საუღლებელ ერთეულთა ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს:

- 4) ვაყეოე (დაბრა ჩვენებითი, დრო გავლილი უსრულესი) და ვაყეოე (დაბრა ზეენებითი, დრო გავლილი უსრულესი სარწმუნო);
- 5) ვაყეოთ (დაბრა პირობითი, დრო მომავალი მარტივი) და ვაყეოთ (დაბრა პირობითი, დრო მომავალი სრული).

**შენიშვნა:** ამგვარ ფორმათა პარადიგმა პირობით კედლში გამოჩნენილი ჩანს. ამას ვაფიქრებინებს ბრძანებით კედლში სხვადასხვა დროის უფორმებად წარმოდგენილი აკუთოს (რწვეთი მარტივი) და ვაყეოთს (რწვეთი სრუ-

ლი). ამ უკანასკნელის ანალოგიით აღვადგენთ „მოძველებულ სრულს“.

მ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

- 6) მიკეთებია (დახრა ჩვენებითი, დრო გავლილი ბერძნული სორისტი) და გამიკეთებია (დახრა ჩვენებითი, დრო გავლილი სორისტი გამოყვებული);
- 7) მიკეთებინა (დახრა პირობითი, დრო გავლილი უსრული) და გამიკეთებინა (დახრა პირობითი, დრო გავლილი სრული);
- 8) მიკეთებინოს (დახრა ნატვრითი, დრო გავლილი უსრული) და გამიკეთებინოს (დახრა ნატვრითი, დრო გავლილი სრული) (გვ. 87—101).

ამდენად, დ. უიფიანი სულ 16 ფორმობრივ ერთეულს გამოყოფს. სისტემა მწვობრია, პრინციპი ბოლომდეა ვატარებული. მაგრამ ძალზე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დრო-კილოთა ამგვარ სისტემას ავტორი მხოლოდ შესაძლებელ ვარიანტად მიიჩნევს, ხელოვნურად გართულებულად თვლის (სასწავლო მიზნებისათვის შეუფერებლად) და შენიშნავს: „უცხოებელია, უნდა შემოკლდეს როგორმე ეს უღველილება“ (გვ. 104). ამ შენიშვნას მოსდევს საინტერესო მსჯელობა: „განა არ შეიძლება, ერთხელ ითქვას და ამით გათავდეს, რომ ზმნას საზე სრული ყოველთვის მაშინ მიეცემა, როდესაც თავს პრეფიქსად ერთერთი მიმძღობი თანდებელი მიუჭდებაო?“ (გვ. 104). ამდენად, ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შეპირისპირება ავტორს ზმნისწინის მასპექტებელ (სრული ასპექტის წარმოების) ფუნქციასზე მიაბერობინებს ყურადღებას, რაც ფაქტობრივ გამორიცხვას ზმნისწინის ფორმაციებში ფუნქციას.

გამართლებული უღველილების სისტემა ამგვარ საზეს იღებს:

#### I. დახრა ჩვენებითი

1. დრო ახლანდელი — აწმყო — ვაკეთებ
2. დრო გავლილი — ვაკეთებდი
3. დრო გავლილი უსრულესი — ვაკეთებ
4. ბერძნული სორისტი — მიკეთებია

#### II. დახრა პირობითი

5. ახლანდელი — შეკეთებინა
6. გავლილი — ვაკეთებდი
7. მომავალი — ვაკეთო

## 8. გველი — მეგობების

ამდენად, სულ 8 ფორმოზირი ერთეული გამოიყო. უწვევრებს ფორმას შენიშვნა ახლავს: „ამს რომ გათავებულის (სისრულის) სახე მიეცეს, პრეფიქსად ერთ-ერთი თანდებული უნდა მიუძღვნოს“ (გვ. 106) და შემდგომ ყველა საუღლებელ ერთეულთან მიანიშნებს: „წინ თანდებული დაასრულებს“...

ეს ვარიანტი რომ უფრო რეალურად მიანიშნავს ავტორს, ამ შენიშვნადანაც ჩანს: „და უნდა ვთქვათ, რომ მიმოხერა გამოვიდა უნაკლები“ (გვ. 112).

მოშავლ დროზე მსყელობისას აღნიშნავს: „როგორც ბერძნულში, ქართულშიც ამ ზმნის მოშავლად ახლანდელი სახე იხმარება: ვაე-თებს; და თუ წინ თანდებული მოუსხეთ, გამოვა: ვავაეოებს...“ (გვ. 107).

ეს შენიშვნა ორგვარად არის საგულისხმო: ვერ ერთი, ავტორი შენიშნავს, რომ აწმყოს უზმნისწინო ფორმამ შეიძლება მყოფადი დროის გაგებაც იტვირთოს და, მეორე, ზმნისწინი მყოფადი დროის გაგებას მხოლოდ აწმყოს ფორმას ანიჭებს, ყველა სხვა შემთხვევაში ზმნისწინს სრული ასპექტის წარმოების ფუნქცია აქვს („პრეფიქსად წინ თანდებული დაასრულებს“). ცოტა ქვევით (გვ. 123) ზმნისწინის საკითხს ისევ უბრუნდება და აღნიშნავს: ზმნისწინები „ყოველთვის უცდელიად რჩებიან და ზმნა ისე უნდა მიმოხერებოდეს, თითქოს თანდებული სულ არა მქონიყოს“.

ამდენად, დ. უიფიანმა 16 ფორმოზირი ერთეული ზმნისწინის ფუნქციის განზოგადებით 8 ფორმოზირი ერთეულზე დაიფანა. მართალია, აღრევა აქაც ვაქვს; დამატებით კაუზატორსა და ბრძანებითის შინაარსის მქონე ფორმებს გამოყოფს ცალკე საუღლებელ ერთეულად, მაგრამ ამს შეიძლება პრინციპული მნიშვნელობა არ მივანიკოთ, მთავარია, რომ დ. უიფიანმა შეძლო ახალი ქართულის ყველა ნაკეთის ფორმათა წარმოდგენა უღელილების სისტემაში და მკაცრად გაატარა ფორმოზირი პრინციპი. ამ ფაქტს ქვევით კვლავ გავიხსენებთ.

**უღელილების ტიპები.** ის, რაც ანტონის ნაზრევიდან შემდეგდროინდელ ვრამატურებში არ იხსახა და რაშიც პრინციპულად დაუპირისპირდა ანტონს, უპირველეს ყოვლისა, ვითოზი, უღელილების ტიპების გამოყოფაა.

ვაიოზი ქართული ზმნის თავისებურებათა გათვალისწინებით გვათავაზობს ორბიგინალურ პრინციპს უღვლილების ტიპებად დაყოფისათვის. ვაიოზის „ქართულ გრამატიკაში“ უღვლილების 6 სახეა გამოყოფილი: „კანონიერნი უკუშ უღვლდებანი ზმნათანი არიან ეჭუს, რომელნიცა ბირველთა, მეორეთა და მესამეთა პირთა შინა საზღვრებითისა მსკესისა აწმყოვისა დროისათა კანონიერად მიმოკრილნი ვანირსხვიან; მაგალა:

1. ეაჭებ, აჭებ, აქებს; ეაჭებთ, აჭებთ, აჭებენ.
2. მპლყდავს, ვპლყდავს, პლყდავს; ვტლყდავს, გპლყდავსთ, პლყდავსთ.
3. ეესტრი, ესტრი, ესტრის; ეესტრით, ესტრით, ესტრთან.
4. ეიქმ, იქმ, იქმს; ეიქმთ, იქმთ, იქმან.
5. ეუბნობ, უბნობ, უბნობს; ეუბნობთ, უბნობთ, უბნობენ.
6. ეასწერ, ასწერ, ასწერს; ვასწერთ, ასწერთ, ასწერენ“ (გვ. 71).

არაგორც წარმოდგენილი სქემიდან და მისი კომენტარებიდან (გვ. 71—72) ჩანს, უღვლილების სახეთა გამოყოფის საფუძველი პირის ნიშნებისა და ზმნის ხმოვანბრეფიქსთა კომბინაციებია.

ზოგადი სურათი ასეთია: I, III, IV, V და VI უღვლებში სუბიექტური უღვლების ზმნებია გაერთიანებული (სხვაგვარად: ზმნები, რომელთაც აქვთ სუბიექტური უღვლება). II უღვლებს მიაკუთვნებს იმ ზმნებს, რომელთაც არ გააჩნიათ სუბიექტური უღვლება (მღვდავს, მაქეს...). რამდენადაც I, III—VI ტიპის უღვლების ზმნებისათვის საერთო ნიშანია ვანის რივის პირის ნიშანთა მქონებლობა, დამატებით ნიშნად ხმოვანბრეფიქსებია მოშველიებული. სქემის სახით რომ წარმოვიდგინოთ, ასეთი ვითარება იქნება:

I.	ვ-ა —	ვ-ა —	თ
	ა —	ა —	თ
	ა — ს	ა —	ნ
III.	ვ-ე —	ვ-ე —	თ
	ე —	ე —	თ
	ე — ს	ე —	ნ
IV.	ვ-ი —	ვ-ი —	თ
	ი —	ი —	თ
	ი — ს	ი —	ნ
V.	ვ-უ —	ვ-უ —	თ
	უ —	უ —	თ
	უ —	უ —	ნ

VI. ვ-ს —	ვ-ს — თ
ბ —	ბ — თ
ბ — ს	ბ — ს



შენიშვნა: ჩვენ მიერ შედგენილი სქემა არსებითად განსხვავდება სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილ სქემისაგან (შტრ.: აღ. უოცხამეილი, 1979, გვ. 168—170). ავტორის აზრით, ხმოვანბრეფიქსს გაიოზი პირის ნაშანთა ტილფას ოდენობად გააზრებს. გაიოზი მსჯელობს: „პირტმლისა უკტმ უღღუღების შემოქმედებითა ხმნათა საზღტრებითა მსქესისა აწმყოისა მხოლოობითა დროსა შინა აქუნ მამაროვნებლად პირტმლისა პირისა დამწვევბული ლექსისა ასოი ვ და მეორისა პირისა — შემდეგოში მისი ა და მესამისა პირისა — უკანასკნელა ასო ს...“ (ხაზი ჩვენა — ვ. ვ.) (გვ. 71) „შემდეგოში მისი ა“ გულისხმობს ვ-ს მომდგენო ა-ს. ასე, რომ ხმოვანბრეფიქსის არსებობაზე I პირის ფორმაშიც მიახამებს; ევარაუდება III პირშიც აქ გაიოზი მხოლოდ I და II პირის ფორმათაგან განმასხვავებელ ელემენტზე (-ს-ზე) მიახამებს. ეს რომ ასეა, ამას უღღუღების პარადიგმებიც აღასტურებს:

აქებ	აქებთ
აქებ	აქებთ
აქებს	აქებუნ

მნელა ეიფიქროთ, რომ ამ პარადიგმის შემდგენო ა-ს მქონებლობას მხოლოდ II პირის ფორმაში ევარაუდობს. ასევე უნდა ითქვას უღღუღილების სხვა სახეებზეც—

გაიოზის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია მხოლოდ მოქმედებითი ვეარის ზმნებს შეეხება. მიანიშნებს, რომ შესაბამისი ვნებოთეა ერთგვარად იუღელის (გვ. 71—72).

მართალია, უღღუღილების ტიპებად დაყოფის ეს პრინციპი დღევანდელი პოზიციებიდან გაუმართლებელი ჩანს (ქცევის ფორმათა სხვაობა არ ქმნის სხვაობას უღღუღილებაში), მაგრამ ჩვენ გაიოზის უდავო დამსატრებად მიგვანჩნა ქართული ზმნის ბუნებიდან ამოსვლით უღღუღილების ტიპებად დაყოფის ვზების ძიება. ვინისა და შინის რიგების გათვალისწინება და ხმოვანბრეფიქსითა მოშველეება ჩვენ ამ ვზების ძიებად გვესახება.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაიოზი ვერ ახერხებს თავისი პრინციპის ბოლომდე გატარებას; ობიექტური უღლების ზნეებში ხმოვანპრეფიქსებს აღარ თვალსაჩინებს...

საქართველო  
საზოგადოებრივი

ამ ხარვეზს გაიოზის შემდეგდროინდელი გრამატიკოსები ასწორებენ. კერძოდ, ი. ქართველიშვილი უკვე ორი სახის უღლებას გამოყოფს: ძირითადი პრინციპი გაიოზისა რჩება — ვინისა და შანის რივის თვალსაჩინება, ოღონდ ი. ქართველიშვილი ვინის რივის შემთხვევაში ყურადღებას აღარ აქცევს ხმოვანპრეფიქსებს; უფრო სწორად, აერთიანებს გაიოზის 1, 3-ს უღლებას; მსჯელობა ავტორისა გაიოზის მსჯელობას ემთავრება: „უღლებუბანი ზმნისანი არიან ორნი: **ზმნანი პლესა უღლებუბისანი** არიან ივანი, რ'ლნიცა აწმყოსა შ'ა დროსა პირტმლსა შ'ა პირსა შემდგომითა მისითა ასოათა, ისე იგი, ანუ ა, ანუ ბ, ანუ ვ, ანუ ჟ, ანუ ჰ; და მესამესა შ'ა პირსა ასოათა ამით ს... „**ზმნანი მეორისა უღლებუბისანი** არიან ივანი, რ'ლნიცა აწმყოსა შ'ა დროსა, მხოლოდობითა შ'ა რიცხტსა პლსა შ'ა პირსა გაპიროვნდებიან ასოათა ამით მ; მეორესა შ'ა პირსა ასოათა ამით გ; ხ' მესამესა შ'ა პირსა ანუ ჰ, ანუ უ და ანუ მეორისა პირისა მამპროვნებულისა გ შემდგომითა ასოათა“ (ი. ქართველიშვილი, 1809, გვ. 44). მაგალითებიც გაიოზისა მეორდება.

ამდენად, გაიოზის მიერ შემოთავაზებული პრინციპი იხვეწება, 6 სახეობიდან 2 მივიღეთ. ამგვარი კლასიფიკაცია ზმნებისა მისაღებას შემდეგდროინდელი ავტორებისთვისაც, კიდრე კ. დოდაშვილი არ იტყვის, რომ „უღლებლება ქართულში ერთია“ (კ. დოდაშვილი, 1887) ფაქტობრივ ეარყოფილი იქნა გაიოზის პრინციპი უღლებლების ტიპებად დაყოფისა (ვიშვორებთ, ქართველიშვილს თვალსაზრისი გაიოზის თვალსაზრისის დახვეწის ცდა).

**ზმნურ ფორმათა წარმოების საკითხები.** პრაქტიკულ გრამატიკებში ვეხვდება არა ერთი საინტერესო დაკვირვება, მივჩნება: ზოგ მათგანს მეცნიერული ღირებულება დღესაც არ დაუკარგავს. ყოველ შემთხვევაში, ქართული ენობრივი სინამდვილის გრამატიკული ანალიზის ისტორიის თვალსაზრისით უცილობლად იმსახურებს ყურადღებას.

უწივეტლის წარმოებაში ოდ სეფიქსი (დ-ს პარალელურად) ვერ კიდევ ანტონმა გამოყო. მაგრამ ოდ რომ უმოთაგრესად ენებითი გვარის

ზმნებთან გვაქვს და, სავსებით, ისეთ შემთხვევებში, როცა აწმყობს ფორმა **ე** ელემენტით იწარმოება, ამის თაობაზე საინტერესო მსჯელობას გვთავაზობს თ. ეორდანი (გვ. 61—62). საგულისხმოა ამგვ. ატორის მიერ აწმყობი სტატუერ ზმნათა გამოყოფა და მათი წარმოების თავსებურებებზე ყურადღების გამახვილება: „სახე მყოფობითი აწმყობს დროისა იწარმოება სახელ-ზმნათაგან, რომელთაცა მოყვავებათ **აა** და მიემატება სმოვანი **იი** და არსებითი ზმნაცა, მავ, რვეა — ე-რვეი-ვარ (ხარ, ა); ფენა — ე-ფენი-ვარ (ხარ), წერა — ე-წერი-ვარ და სხვ. ამ სახელ-ზმნებს, რომელნიც დაბოლოდებთან **ებაა**, **ობაა**, **ოლაა**, **ამაა** და **ვაა** (წინაუბმოთი) მიემატება **იი** ძირში. მავ, გდ-ება — ვგდ-ი-ვარ, რვ-ება — ვარვ-ი-ვარ; ზმ-ა — ვამ-ი-ვარ და სხ. ნამყო უსრულს დროში შიილებს **ოდი** (იშვიათაჲ **დი**-ს) (გვ. 62). ასეთი დაწვრილებითი ანალიზი სტატუერ ზმნათი ფორმაწარმოების შესახებ სხვაგან არ გვხვდება.

საგულისხმო დაყვირებდა მიგვახწია ვაიონთან ის ფაქტი, რომ ნამყო სრულს **ე** მწარმოებელი მხოლოდ I და II პირის ფორმებთან გვაქვს (გვ. 72).

III სეროის ფორმათა ინვერსიულ ბუნებაზე ანტონე მიაჩნებდა, მარამ ვაიონი ახსტებს მას და წესის სახეს აძლევს: „ყოველი ზმნა შემოქმედებითი ნამყოსა უსრულესსა და უუსრულესსა დროსა შინა მაპროვნებლად მიიღებენ მეორესა უღლეუბისა მაპროვნებელთა ნიშანთა“ (გვ. 73). მეორე უღლეუბად ატორთან, როგორც იტყვა, ობიექტური წყობის ზმნებია გამოყოფალი.

I სტრემობითის წარმოებაში **ებე** || **ეა** პარალელიზმი ანტონმა შენიშნა: პარადიგმებში **ებე** დაბოლოებანი ფორმები შეიტანა, ვაიონის პარადიგმები ამ მხრივ ანტონისას მიჰყვება. ი. ქართული-შვილი პარადიგმებში პარალელურად წარმოადგენს **ებე** || **ეა** დაბოლოებას:

ნამყო უსრულესი: მიდიდებიეს-ია	გვდიდებიეს-ია
ვიდიდებიეს-ია	ვიდიდებიესთ-იათ
უდიდებიეს-ია	უდიდებიესთ-იათ

(გვ. 46).

ამგვე მეორდება პ. იოსელიანთან და ს. დოდაშვილთან, მხოლოდ დ. ყიფიანი დაინახავს ამ ორი ტიპის წარმოებას შორის სხვაობას. **ებე** დაბოლოებანი ფორმებს „სამწივნობაროს“ უწოდებს, ხოლო **ეა**-ზე დაბოლოებულ ფორმებს — სასაუბროს. „სამწივნობარო“ და „სასაუბრო“ დ. ყიფიანთან დღევანდელი თვალსაზრისით „ძველი ქართუ-



ლისა“ და „ახალი ქართულის“ გავებას ემთხვევა (შდრ.: სასაუბრო — არს, არი; გავაგებდნი... საწიგნობარო — არს, განვაგებდნი...) „სა-  
მწიგნობრო“ და „სასაუბრო“ ფორმათა პარადიგმებს დ. ყიფიანი უკუ-  
ლა საუღლებელ ერთეულში პარადიგურად წარმოადგენს. ეს ფაქტი  
იმითაცაა ღირსსაყნობი, რომ დ. ყიფიანმა, ქართულ გრამატიკოს-  
თავან პირველმა, ცადა უღვლილებამი ძველი და ახალი ქართულის  
ფაქტების სისტემური გამოჩენა და შედარება.

ეს დაბოლოებიანი ფორმები ძველი ქართულის ფაქტად იქნა კვა-  
ლიფიციურებული პ. კვიციანიძისათ: „ნამყო ოდეს უსრულს და სრულს  
დროს ძველს ქართულ ენაში ნაცვლად ნაბოლარისა ია უზის ზოგან  
იეს. მაგ. „შევიყრიბი, სადა არა განშობწევიეს“ სახ. მათ. თ. 25 მ. 241;  
„რაოდენი ესე ვისწავიეს ჩემგან“ სამოც: და სხ. მარამა ეს ფორმა  
სამართლიანათ უარ უყვია ახალს ქართულ ენას“ (კვ. 117—118).  
ავტორი ახალი ქართულისათვის კანონიკურად მხოლოდ ია დაბოლოე-  
ბას მიიჩნევს.

შენიშვნა ეს ფაქტი იმითაცაა საგულისხმო, რომ პ. კვი-  
ციანძე პირველია პრაქტიკულ გრამატიკათა ავტორთავან,  
ვანც სვამს საკითხს ძველი და ახალი ქართული ენის თაო-  
ბაზე.

I თურმეობითის შესახებ პრაქტიკულ გრამატიკებში მსჯელობა  
ამით არ მთავრდება. ა. ქუთათელაძე მოითხოვს საერთოდ იქნეს ამო-  
ღებული დრო-კიდობა სისტემიდან ეს ფორმა: „საზღვრებით დაბ-  
რას აკლდება. დღემდე უმართებულოდ ხმაჩებული, ნამყო უსრულესი.  
ზმნა ამ ფორმაში არის პერიფრაზა და შემდგარია მიმღებობისაგან და  
არსებით ზმნათავან. მაგ. ვუ-წერი-ვარ, უ-წერი-ხარ, უ-წერი-ა (არს,  
არის), მი-წერი-ხარ, მი-წერი-ა (არს, არის) და სხვ. აქედან ცხადად  
ჩანს — ეითომდა ნ. უსრულესის სამი პირი: მი-წერი-ა, ვი-წერი-ა,  
უ-წერი-ა, რომელიც არის შესაშე პირი. ამათი ქვემდებარე იქნება  
„ის“. ე. ი. რაც დაწერილა, ანუ დაწერა, ანუ დაწერება ჩემგან, შენ-  
გან, მისგან და სხ. — „შე, შენ, მას, იმას“ ეო დამატება იქნება. ეს  
ფორმა წინეთ ჩვენც გვქონდა შეცდომით შეტანილი ჩვენს გრამატი-  
კაში“ (ა. ქუთათელაძე, 1897, კვ. 4).

მსჯელობიდან გამომდინარე, ავტორის უურადღება ორ ფაქტს  
მიუქცევი: 1) ფორმათა აღწერით წარმოებებსა და 2) ფორმათა ცვლის  
გრამატიკული ობიექტის პირთა მიხედვით. ამ თვალსაზრისით I თურ-  
მეობითის ფორმები აშკარად სხვაობს სხვა დროთა ფორმებისაგან.  
ეს ეო საფუძველს აძლევს ავტორს, უღვლილების სრული პარადიგ-

მიდან ამოიღოს საანალიზო საფუძვლებელი ერთეული. შესწავლობა კავისთავად საინტერესოა; დასმული საკითხები — საგულისხმო.

არ. ქუთათელაძე ასევე მოითხოვს დრო-კალოთა სისტემიდან II თურმეობითის ამოღებას: „სათუო დახრაში უარეყავით ვველა ნამწუო, რადგან ისინი შეცდომით იყენენ შეპარულნი, და არიან კი ვნე-ბით ზმნის ფორმები, — მაგ. მიღებული იყო სათუო დახრაში ნამწუო-უსრულად „მე-წერ-ა“ და ნ. სრულად — „და-მე-წერ-ა“. მაგრამ ეს. სიმართლეს მოკლებულია: „მე-წერ-ა“ არის ზმნის ვნებითი სახე და-წარმოდგება ამ გვარად მისი აწმყო: ეი-წერ-ები, ვე-წერ-ები, მე-წერ-ები, გე-წერ-ები და სხ. აქედან... ნ. გავრძელებული: ეი-წერ-ე, ი-წერ-ე, ი-წერ-ა და სხ. ვე-წერ-ე, ე-წერ-ე, ე-წერ-ა და სხ. მე-წერ-ე, მე-წერ-ა, გე-წერ-ე, გე-წერ-ა, ე. ი. ჩვენგან ცნობილი „მე-წერ-ა, გე-წერ-ა, ე-წერ-ა“ (ა. ქუთათელაძე, 1897, გვ. 5). ეს შენიშვნა ფრიალ საგულისხმოა: ავტორი ვერაძღლებას მოაქცევს იმ ფაქტს, რომ ე პრე-ფიქსიანი ვნებითის წყვეტილი და გარდასვალ ზმნათა II თურმეო-ბითა ფორმობრავად იღვეტურია. ფორმობრავე პარალელიზმს კი გა-მორიცხავს სისტემიდან. არ. ქუთათელაძის თეაღსაზრობის მზარდაქერა-არ მქონია. უპირველეს უოვლისა, იმიტომ რომ ამგვარად ვერაძღლება-ფორმობრავი მონაცემებისადმი სხვას არ გაუმაწვილებია.

**შენიშვნა:** ა. ქუთათელაძესთან ფორმობრავე მონაცემებს. რომ არსებითი ვერაძღლება ექცევა, ამ შენიშენიდანაც ჩანს: „უღვლიაღების დროს დიდა ვერაძღლება უნდა მიეძიეს პრე-ფიქსებს, სუფიქსებს და ინფიქსებს...“ (ა. ქუთათელაძე, 1897, გვ. 13). თუშტა ეს საკითხი რომ არცთუ მარტივად-ესაზება ავტორს, აქედანაც ჩანს: „ღღემდის მაინც ვერ ვიგ-ღუო ზელში ის კლიტე, რომელაც აღებს ვველა ზმნების-კარს, რომ, შიგ რა არის, გაეიგოთ; მაინც ვერ ვავსხვნიოთ ღღემდის ის საიდუმლოების ნახკეი, რომელსაც მქეია უღ-ვლიაღება. ე. ი. ვერ მივაგენით იმ კანონს, რომლის ძალი-თაც შეგვძლებოდა ვოველი ზმნის ნაგღება კალაპოტში, უღვლიაღების დროს, და ისე, — რომ ვრომანეთში არ აგ-ერეოდა“ (არ. ქუთათელაძე, 1897, გვ. 12). ფაქტობრავე ეს-მსჯელობა შეფასებაა ვაკეობებულის და პროგრამაც ვასა-კეთებლის, თუშტა, უნდა ითქვას, რომ ამ ცდას მნიშენვლო-ვანი შედეგი არ მოაწვილია...

ეფიქრობთ, ერთ-ერთი დაღებითი შედეგი, რაც ა. ქუთათელაძის-ზმნათა კლასიფიკაციას აქვს, ისაა, რომ მოხდა ვველა თემის ნიშნის-გამოყოფა.

არ, ქუთათელაძე ცდილობს ზმნათა კლასიფიკაცია ისე ფორმობრივი ნიშნების მიხედვით მოახდინოს; მოქმედებითი გვარის ზმნათათვის 15 კლასს გამოყოფს, ვნებითი გვარის ზმნათათვის — 13 (არ, ქუთათელაძე, 1897).

ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშანი აწმყოს ფუძის წარმოებაა, რასაც წყვეტილის ფორმასთან შეპირისპირებით არკვევს. ითვალისწინებს უწვევტლისა და მიმღეობის ფორმათა წარმოებასაც. უწრადღება ექცევა ხმოვანპრეფიქსებსაც. ფაქტობრივ კლასიფიკაცია რთულია და გაჭირდება ამ ცდის პროგრესულობაზე საუბარი.

როგორც ვაქციით, ორთვეშიანობაზე უწრადღების გამაზეილება სისტემატური სახით უდავოდ საგულისხმო ფაქტია. თუმცა ამ ფაქტზე მინიშნება უფრო ადრე თ. ეორდანიასთან გვხვდება: ნამყო სრული „წარმოსდგება სახელზმნათაგან მიმატებით ბოლოს ხმოვანისა „ე“ („ა“-ს მაგორ), მაგ. ევ-ეთ-ა — ვე-ეთ-ე, წერ-ა — ვწ-ერ-ე (ასეა — გ. გ.), ტრიალი — ვატრიალ-ე და სხ. დაბოლოებუდნი მარცვლებითა „ობა“ და „ება“ (ხშირად „ილი“-ზე დაბოლოებულნიც) წარსულში მოიკვეცნენ ამ მარცვლებს და ღანარჩენში მიმატებენ ამავე ხმოვანსა „ე“, მაგ. შეშეობა — შევაშ-ე, მოტაცება — მოვოტაც-ე და სხ. საბოლოო „ევა“ გადაიქცევა „ეე“-დ და „ენა“ — „ინე“-დ, მაგ. ცდ-ენა — ვაცდ-ენე, წ-ება — ვწ-ეე და სხ. (თ. ეორდანია, 1889, გვ. 55) (მაზი ჩვენია — გ. გ.). აწმყოს ფორმებზე მსჯელობისას კი აღნიშნავს, რომ „სახელზმნებს მხროდ უკანასკნელი ხმოვანი მოკვეცება“ (გვ. 54). ამდენად, ებ, ობ მარცვალთა მოკვეცა ნამყო სრულის ფორმათა წარმოების სპეციფიკაციაა მიჩნეული. ასევე: ეგ → ეგ, ეწ → ეწ პროცესიც ამ საუბლებელ ერთეულში ხდებაო. ზმნურ ფორმათა წარმოების თვალსაზრისით სანტერესო დაყვირებება.

გვინდა კიდევ ერთ ფაქტს მივაქციოთ უწრადღება: თ. ეორდანია ახდენს ზმნურ ფორმათა წარმოების განზოგადებასა და გვთავაზობს ფორმაწარმოებით მოდელებს: „ბოლო თეთ მოქმედებითის ზმნების მომაველი დრო წარმოსდგება ნაკვებითა „ეი-ა-ებ“ (შეოფობითები კი ნაკვითთა „ვე-ა-ებო“), სადაც x უდრის სახელზმნას, უკანასკნელ ხმოვან მოვეცილს; მაგრამ თუ სახელზმნა დაბოლოვდება მარცვლებზე: ება, ობა და ვა; მაშინ „x“ უდრის დანარჩენს ნაწილს სახელზმნისას, მაგ. ვოვოდ-ებ, ვიჩან-ებ, ვილელა-ებ, ვიწუბ-ებ, ვიტიტინ-ებ. თუ აწმყოსა აქვს ნაკვითი: „ეი-ა-ებ“, ანუ „ვ-ა-ებო“, მაშინ მომაველი, საზოგადო კანონისაებრ, იწარმოება თანდებულთ, მაგ. ეიგვიანებ — დეიგვიანებ... (თ. ეორდანია, 1889, გვ. 36). ანდა: „ვნებითი აწმყო იწარმოება ნაკვითთა „ეი-ა-ებო“, სადაც x უდრის სახელზმნას“ (გვ. 61); აწმყო იწარმოება ნაკვითთა „ე-ა-დები“, რომელშიაც x



საუღლებელ ერთეულთა ურთიერთმიმართებას საკითხი და თანამიმდევრობა. საუღლებელ ერთეულთა ურთიერთმიმართებაზე წარმოების თვალსაზრისით მინიშნებები ანტონთანაც გვაქვს. XIX საუკუნის დასასრულს ეს საკითხები აქტუალური მსჯელობის საგანი ხდება. მსჯეველობაში გვაქვს კ. დოდაშვილის, თ. გორდანიასა და დ. ზუბინაშვილის შრომები.

სამოვე ავტორთან არის ეფა საუღლებელ ერთეულთა დალაგებისა საწარმოებელი ფუძის მიხედვით. კ. დოდაშვილმა ფაქტობრივ უარყო დროთა დალაგება კილოების მიხედვით, რასაც თავი ვერ დააწიეს მთლიანად თ. გორდანიამ და დ. ზუბინაშვილმა. მაგრამ ვასათვალისწინებელია ისიც, რომ თ. გორდანია როცა მსჯელობს საუღლებელ ერთეულთა ურთიერთმიმართებაზე, ყურადღება მხოლოდ ფორმალურმოგებაზეა გამახვილებული: ისევე როგორც კ. დოდაშვილს, თ. გორდანიასაც ორი ქვეფი აქვს გამოყოფილი:

I. მწმყოხაგან (ვტრა) წარმოებები დროებით:

- ა) დრო მომავალი („წინდასმითა რომელსამე სახშნებო თანდაბულუბის“) — გა-ვტრა.
- ბ) წამყო უსრულდი (დი ან ოდი ელემენტთა მიმატებით) ვ-ტრა-იდი, ვ-ტრა-ბ-ოდი.
- გ) წამყო ანტარაიული (მიმატებათა წინა ნაკვეთისა „მი“ (გვი, გი, უ) და ბოლო ნაკვეთისა „ია“; ბოლო დაბოლოებულნი აწმყოში -ავ- და -ამ- მიიღებენ -ავ-ის და -ამ-ის) — მი-ხეც-ია, მი-კლ-ავს.

II. წამყო სრულისაგან (სტრა) იწარმოება:

- ა) წამყო უუსრულესი ან წინარე-წარსული (წინადართვითა ნაკვეთებისა მე/გი, ვ, გვე). მაგ. თხარა (მან) — მე-თხარა).
- ბ) წამყო სრული ენებითის სახისა, ურთიერთობითისა და სათუო სქესისა სრულად ჰგავს წინარე-წარსულს... მიიმატებს მარცვლუმს „ის“ ან „ას“. იგულ-სხშმება III კავშირებით.

ვ) სქესი ზრძანებითა („განირჩევა ნამყო სრულისაგან მხოლოდ ნიშნითა მახვილით (ივულისხმება II ზრძანებითი).

დ) დრო მომავალი სათუო სქესისა (დამატებითა ბოლოს ხმოვანთა „ო“, „ა“ ანუ იშვიითად „ე“) — მივაჩებო... (გვ. 56-57).

ვითარება დ. ჩუბინაშვილითანაც ამგვარივეა ძირითადად ორ ჯგუფს გამოყოფს:

### I. აწმჯგომისაგან (ვსწერ) იწარმოება:

- ა) ქმნილი უსრული (დი და ოდი მარცვალთა მიმატებით) — ვსწერდი,
- ბ) აწმჯგომი წამოებისა (დე, ოდე-ს დართვით) — ვსწერდე,
- გ) ქმნილი უფსრულესი (ვს, ვა, ე-ს მი-თ შეცვლისა და ია, იეს დართვით) — მიწერია, მიეწერის.

შენიშვნა: ზაინტერესთა ის ფაქტა, რომ ავტორი ვრძნობს თურქობითების წარმოებაში საყრდენი უფძის ორგვარ შეხადლებლობას და შენიშნავს, რომ ზოგ შემთხვევაში აწმჯგომს უფეს მარცვალი მოეკვეცება...

### II. ქმნილი სრულსაგან (ვსწერ) იწარმოება:

- ა) ქმნილი თუობითი — ვსწერო,
- ბ) ქმნილი სრული თუობითი — მეწერა.

(დ. ჩუბინაშვილი, 1887, გვ. XIV-XVII).

კ. დოდაშვილითან ეს უფრო სისტემური სახითაა წარმოდგენილი:

### I ჯგუფი:

- აწმყო (მოთხრობითი დახტა) — ვაეუთებ,  
მომავალი (მოთხრობითი დახტა) — ვაეუთებდ,  
აწმყო (ნატვრითი დახტა) — ვაეუთებდუ,  
მომავალი (ნატვრითი დახტა) — ვაეუთებდუდ,  
ნამყო უსრული (მოთხრობითი დახტა) — ვაეუთებდრ,  
ნამყო სრული (სათუო დახტა) — ვაეუთებდრი.

### II ჯგუფი:

- ნამყო მრავალგზითი (მოთხრობითი დახტა) — ვაეუთე,  
ნამყო სრული (მოთხრობითი დახტა) — ვაეუთედ.



- აქმყო (სათუო დაბრა) — უაეუო,
- მომავალი (სათუო დაბრა) — გავაეუო,
- ნამყო უსრფლესე (მოთხრობითი დაბრა) — მიეეუა,
- ნამყო უსრფლესე (სათუო დაბრა) — შეეეუოს,
- ნამყო უსრფლესე (სათუო დაბრა) — შეეეუო.

(კ. დოდაშვილი, 1887, № 217; 1894, № 6).

**შენიშვნა** დროთა გამოყოფის პრინციპი კ. დოდაშვილისა დ. ყაფიანს ემყარება (I ვარიანტს, რთულს).

საწარმოებელი ფუძის პრინციპი რომ ბოლომდე გაეტარებინა, III სერის ზელოვნური ფორმები ჩნდება პარადიგმებში. ამის თაობაზე ნ. აბესაძე შენიშნავდა: „კ. დოდაშვილი ბრძიდ მისდევს თავის სქემებს და ამის მიხედვით სწორად უჩვენებო, ზელოვნურ ფორმებს ქმნის“ (ნ. აბესაძე, 1960, გვ. 74). აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ პრინციპით დალაგებულ ორჯგუფიან სისტემაში III სერის ფორმათა განაწილება არ მოხერხდება: III სერიაში ზმნათა ერთი ჯგუფი საყრდენად I სერის ფუძეს იყენებს (უ-კეთებია...), მეორე ჯგუფი — II სერის ფუძეს (აუ-ღ-ია...). ეს სიტყვულ კ. დოდაშვილმა ამ გზით მოხსნა (უკეთია ფორმა შექმნა). ეს სქემათა ბრძიდ გამოყოფების შედეგი კი არ არის, სურვილი უნიფიცირებული სისტემის შექმნისა, ედა პრინციპის ბოლომდე გატარებისა. შეუდომის საკვლევი საჯათხის სიტყვულ შეაბარებებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სიტყვულ დღესაც არაა დაძლეული. ამის თაობაზე ქვევით იქნება მსჯელობა.

ამგვარად, სამი აეტორის ფრიად სინტერესო ერთგვარ თვალსაზრისთან გვაქვს საქმე. საუღღებელი ერთეულები დალაგდა საწარმოებელი ფუძის მიხედვით; გამოყოფი დრო-კალითა ორი ჯგუფი: ა) აქმყოზე დამყარებული და ბ) წყვეტაღზე დამყარებული.

ამ სიტყვულს მოხსნა, რამაც კ. დოდაშვილს ზელოვნური ფორმები აწარმოებინა, ნ. მარმა III ჯგუფის გამოყოფით ედა (ნ. მარი, 1908). III ჯგუფში სამი საუღღებელი ერთეული შევიდა: I თურმეობითი, II თურმეობითი და III კემობითი: „ეს სამი დრო ერთად უნდა იყოს, რადგანაც ისინი ნაწარმოებია ერთი და იმავე წესით, თუმცა ვერც ერთ მათგანს ვერ ვანეხილავთ, როგორც საყრდენად მმარებულ დროს, რომლისგანაც სხვები არიან წარმოქმნილი“ (ნ. მარი, 1931, გვ. 138. ვიმოწმებთ ნაშრომთან: არნ. ნიქობავა, 1962, გვ. 98). როგორც ვხედავთ, სიტყვულ ამგვარ კლასიფიკაციათა (III ჯგუფის გამოყოფის) ახლავს. ამის გათვალისწინებით საოცრად ფასეულად გვეჩვენება აღნიშნულ აეტორთა (და, განსაკუთრებით, კ. დოდაშვილის) ნაბრევი.

ორიგინალურია, მაგრამ ნაყლებზე ასევე, საუღლებელ ერთეულსა  
ს. ხუნდაძისეული დაჭრულება თუ აქამდე დაჭრულება ხდებოდა ქო-  
რითადად კილოთა, ანდა სწიარმოებელი ფუძის მიხედვით, ს. ხუნდაძე  
დროთა მიხედვით აჭრულებს საუღლებელ ერთეულებს: **მეცხეობა**

I. აწმუოს ჭრუთი: ვსწერ  
ვსწერდე

II. წამუოს ჭრუთი: ვსწერდი  
ვსწერდე (დავსწერე)  
მიწერია (დამიწერია)  
მეწერა (დამეწერა)  
მეწეროს (დამეწეროს)  
ვსწერდი (დავსწერდი)

III. მყოფადის ჭრუთი: ვსწერ (დავსწერ)  
ვსწერდე (დავსწერდე)  
ვსწერო (დავსწერო)  
(ს. ხუნდაძე, 1907, გვ. 16—19).

ს. ხუნდაძისთან საინტერესო ფაქტად გვეჩვენება თითოეული სა-  
უღლებელი ერთეულსათვის კოთხეის მისაღებება (სასწავლო მიზანი  
განაპირობებდა, როგორც ჩანს, ამას). I ნაწილში დროებს აბრე ასახე-  
ლებს, კოთხეების მიხედვით წარმოადგენს პარადიგმებს (მოსაწავლე-  
ბელი კლასის კერძში): მეორე ნაწილში დროთა დასახელებას მოს-  
დევს კოთხეები (დროთა მიხედვით): რას ვშვებნი? რას უნდა ვშვებ-  
ვოდე? რას ვშვებბოდი? რა ვქენი? რა მიქნია? რა მექნა? რა მექნას?  
რას ვიზამდი? რას ვიზამ? რას ვიზამდე? რა ვქნა? (ს. ხუნდაძე, 1907,  
გვ. 16-19; 139-143). როგორც ვხედავთ, ეს ის კოთხეებია, რომლებიც  
დღეს ჩვენს პრაქტიკულ თუ სამეცნიერო გრამატიკებში გვხვდება. ეს  
უფრო დამსახურებია ს. ხუნდაძისა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ  
ამგვარი ცდა მ. ქანაშვილთანაც გვაქვს: „თუ გვირდა ვაევიგოთ მოქმე-  
დების ვითარება და დრო, როდესაც იგი სწიარმოებს, უნდა დავსვათ  
კოთხეები. საკოთხებად იხმარებიან მხოლოდ ზმნები ჩადენა, ქნა,  
შრომა, უოფნა, ეოფნა“ (მ. ქანაშვილი, 1906, გვ. 74). კოთხეებაც  
ასეთია, მაგ.: აწმუო: რას ჩადიხარ? რას იქ? რას შერებნი? რას აეეთებ?  
რას იზამ? რა? ვინა?

როგორც ვხედავთ, მ. ქანაშვილი კოთხეას სვამს ზმნის სემანტიკის  
მიხედვით. ს. ხუნდაძემ მოახდინა განზოგადება და ისეთი კოთხეა შე-  
ირჩა, რომელიც მეტად თუ ნაყლებად, უფრო სემანტიკის ზმნას შე-  
იძლება მიესადაგოს.

შენიშვნა: ძნელი ამ შემთხვევაში დაიხვას მ. ჯანაშვილისა და ს. ზუნდაძის თვალსაზრისთა მიმართ უწინააღმოსავლესობა-მემდგომადობის საკითხი. ს. ზუნდაძის „ქართული გრამატიკის“ პირველი გამოცემა 1905 წელს გამოვიდა (წევრ ესარგებლობო II გამოცემით); მ. ჯანაშვილისა — 1906 წელს. რამდენადაც ს. ზუნდაძისეული თვალსაზრისი უფრო დაბეჭდილი ხარს (და გამოთრავდება მ. ჯანაშვილის გაელენა), უნდა ეივარაუდოთ, რომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იქნებოდა ეს ორი თვალსაზრისი.

ზოგადი სურათი ასეთია: უღვლოების სისტემის ანალიზის თვალსაზრისით პრაქტიკულმა გრამატიკებმა საკმაოდ მყარი საფუძველი მოუშადას XX საუკუნის ქართულ ენათმეცნიერებას სამეცნიერო კლდევა-ბიებისათვის. პრაქტიკოს-გრამატიკოსებმა, უბიძგველეს ყოვლისა ანტონში, ფასდაუფებელი ლაწილი დასდეს ქართული გრამატიკული აზრის განვითარებას. მრავალი მიგნება და დაკვირვება ფასდებულა და დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ყველა მათგანს საკადრისი უნდა მიუზღას. ყველა აზრსა და თვალსაზრისს ანგარიში უნდა გაეწიოს, ღირსეულად შეფასდეს და კეთილი ადგილი უნდა დაიჭიროს სამეცნიერო გრამატიკაში.



შაწილი მეორე

უღვლილებების სისტემა;  
უღვლილებების ტიპები

თავი III. უღვლილებების სისტემის ანალიზის მფლობელობა  
'და ამოცანები

საუღვლილებელ ერთეულთა (ნაკვთთა) რაოდენობა ახალ ქართულში ძველისაგან განსხვავებულია. თუ პრაქტიკულ გრამატიკებში (კერძოდ ანტონთან) ძველი ქართულის თითქმის ყველა ფორმა იყო შემჩნეული, ვერ მოხერხდა ყველა საუღვლილებელი ერთეულის გამოყოფა. როგორც ითქვა, მიზეზი ისაა, რომ XVIII-XIX სუკუნეებში იქმნებოდა იმდროინდელი ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკები (ზოგ შემთხვევაში ძველი ქართული ენის მასალაზე!). ამიტომ პრაქტიკულ გრამატიკებში შემჩნეულია ახალი ქართულის ყველა საუღვლილებელი ერთეული. დაღვლების პრინციპზე გამოიყვანა, ჩვეულებრივ დაიყო. პრინციპი თითქოს ბოლომდე გატარდა, მაგრამ ვერ მოიცილა ყველა ტიპის ზმნის უღვლება: ე. წ. III სერიის ფორმებმა გაართულა საქმე. მართალია, ნ. მარსველი სისტემა ძველი ქართული ენის ეთიარებას ასახავს, მაგრამ პრინციპი უღვლილებების სისტემის დაღვლება-დაყოფისა არაა განსხვავებული ძველი და ახალი ქართულისათვის. სხვაობის ძველსა და ახალ ქართულს შორის ზმნის საუღვლილებელ ერთეულთა რაოდენობა (ზოგჯერ ამა თუ იმ საუღვლილებელი ერთეულის ფუნქციური დატვირთვა და წარმოების წესი).

ამგვარად, პრაქტიკულ გრამატიკებში გამოიყო ახალი ქართულის ყველა საუღვლილებელი ერთეული და შეძლებისდაგვარად გაარკვეა ეიდეც ამ ერთეულთა ურთიერთმიმართების საკითხები წარმოების თვალსაზრისით. ა. შანიძემ I სერიაში ორი წრე გამოყო (ა. შანიძე, 1930) „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ (ა. შანიძე, 1973) ტერმინები დაზუსტდა და საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო საუღვლილებელ ერთეულთა სისტემაში:



I სერია

I სერია

ა) აწმყოს წრე

ა) აწმყოს წრე

1. აწმყო
2. ნაწყო უწყვეტად
3. I კავშირებითი

1. აწმყო
2. უწყვეტად
3. აწმყოს კავშირებითი

ბ) მყობადის წრე

ბ) მყოფადის წრე

4. მყობადი
5. პირებითი
6. I კავშირებითი

4. მყოფადი
5. ხოლმეობითი
6. მყოფადის კავშირებითი

II სერია

II სერია

7. ნაწყო წყვეტადი
8. ნაწყო ხოლმეობითი
9. ბრძანებითი (II სუბიექტურია პირისა მხოლოდ და ისიც წარუქმითად)
10. II კავშირებითი

7. წყვეტადი
8. ბრძანებითი
9. II ხოლმეობითი
10. II კავშირებითი

III სერია

III სერია

11. I თურმეობითი
12. II თურმეობითი
13. III კავშირებითი

11. I თურმეობითი
12. II თურმეობითი
13. III კავშირებითი

„საფუძვლებში“ სქემას ახლავს შენიშვნა, რომ ორი ნავეთი — ბრძანებითი და II ხოლმეობითი — კოლონშია შემონახული. თუმცა, როგორც ითქვა, სალესტრაციოდ ბრძანებითისათვის სალიტერატურო ქართულს ფორმებია მიხმობილი: წერე (დაწერე), აწმნე (ააწმნე); ხოლო II ხოლმეობითისათვის — ძველი ქართულსა: ვწერი (დავწერ-არ), ვაწმნი (ავაწმნი) (ა. შანიძე, 1973, გვ. 223).

მომდევრო მკვლელობაში ა. შანიძე შენიშნავს: „მწერჩეებს რომ ვა-მოვადლოთ II ხოლმეობითი, რომელიც დღევანდელ ქართულში იშვია-

თავლა იხმარება და ბრძანებითი, რომელსაც სხვა მწკრივენიანგან განსხვავებული ფორმები თითქმის აღარ აქვს, 13 მწკრივისაგან 1 „დაგვრჩება“ (ა. შანიძე, 1971, გვ. 233).

„ქართული ენის ზოგად დახასიათებაში“ არნ. ჩიქობავა 10 ნავეთს წარმოადგენს (არნ. ჩიქობავა, 1950); არ ჩანს ე. წ. „მყოფადის კავშირებითი“ („აწმყოს კავშირებითი“ აღნიშნება ტერმინით „პირველი კავშირებითი“).

**შენიშვნა:** ვერადღებს მივაქცევთ ამ ფაქტსაც, რომ ტერმინით „პირველი კავშირებითი“ ა. შანიძის 1930 წლის „ქართულ გრამატიკაში“ არა ნაკვთია აღნიშნული: შემდეგდროინდელი ტერმინოლოგიით „აწმყოს კავშირებითი“ და „მყოფადის კავშირებითი“.

1967 წელს „მყოფადის კავშირებითი“ არნ. ჩიქობავას შეაქვს საუღლებელ ერთეულთა სისტემაში და უწოდებს მას „პირობით-კავშირებითს“ (არნ. ჩიქობავა, 1967, გვ. 48).

ამგვარად, საყოველთაოდ გამოარებული თვალსაზრისის მიხედვით ახალ ქართულში 11 ნაკვთი გვაქვს. ზოგ შემთხვევაში სხვაობას მხოლოდ ტერმინოლოგია ქმნის (ამგვარად ამას ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს).

ამგვარად მიღებული დაჯგუფება ნაკვთულთა სისტემისა ძირითადად საწარმოებელი ფუძის პრინციპზეა აყვებული, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში ნ. შარის დანერგილად მიიჩნევა უფრო ადრე მსგავსი პრინციპით საუღლებელ ერთეულთა დაჯგუფება სკადეს ლ. ჩუბინაშვილმაჟ კ. დოღაშვილმა და თ. კორდანიამ. თუ საწარმოებელი ფუძის პრინციპი უმეტესწილად შეიძლება გატარდეს I და II სერიაში, სირთულეს III სერიის ნაკვთები ქმნის. ამ სირთულეს ნ. შარიც ვრძნობს — აეტორი შესაშე სერიის ცალკე ჯგუფად გამოყოფისა. III სერიის, განსხვავებით I და II სერიისაგან, არ გაჩნია საყრდენი ნაკვთი. I თერმეობითის ფუძე არა თუ არ არის საყრდენი დანარჩენი ნაკვთებისათვის, არამედ უმეტეს შემთხვევაში პრინციპულად სხვაობს კიდევ მათგან... ამ წინააღმდეგობის თაობაზე ნ. შარი აღნიშნავს, რომ: „ეს სამი დრო ერთად უნდა იყოს, რადგანაც ისინი საწარმოებია ერთი დომივე წესით, თუმცა ვერცერთ მათგანს ვერ განვიხილავთ როგორც საყრდენად სმარებულ დროს, რომლისგანაც სხვები არიან წარმოქმნილნი“. ეს საერთო წესი ინვერსიულობაა; ასევე, შესაშე სერიის ფორმებს სინტაქსური კონსტრუქციის ერთგვარობაც აერთიანებს... მაგრამ დაირღვა ძირითადი პრინციპი ნაკვთულთა დაჯგუფებისა: სა-

წარმოებელი ფუძის პრინციპი. „ამოსავალი პრინციპის ცვლა კლასიფიკაციის ელემენტარული წესის დარღვევად ითვლება მეცნიერების ვველა დარგში; ენის მოვლენათა აღწერაჲ აქ გამოჩაღლის ვერ შექმნის შერეა-და; წყობის ცვლა — სინტაქსური კონსტრუქციის ცვლა — ახასიათებს ვარდამაველ ზმნებს; ვარდაუვეალ ზმნებში ასეთი ცვლა არა ვეაქვს... ამრიგად, წარმოების წესი და სინტაქსური კონსტრუქცია თურმეობითის ჭვეფის გამოსავოფად მხოლოდ ვარდამავეალ ზმნებში შეუძლიათ იმპარონ, და აქაც იგი კლასიფიკაციის ძირითადი წესის დარღვევას ნიშნავს“ (არნ. ზიქობავეა, 1962, გვ. 98).

აღნიშნული სირთელის დაძლევის სანტერესო ცდაა ა. შანიძის შიერ მწკრეფის რთულ კატეგორიად მიჩნვეა და მწკრეფის ელემენტებად აქტისა და თანამდევერობის ჩათვლა (პარის, რიცხვის, დროისა და კილოს კატეგორიებთან ერთად). ავტორის აზრით, შესამე სერიის ნაკვეთებს სავართო ფუნქცია ავრთიანებთ — ესაა თურმეობითობა (უნაზაობა) პროცესისა, მართალია, III სერიის ფორმებს „უნაზავე აქტის მწკრეფებად“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 222) მოიხსენებს, მავერამ ფაქტია, რომ უნაზაობა პროცესისა შინე არაა სავართო ფუნქცია III სერიის ფორმათათვის: „I თურმეობითში სამი ელემენტია: დრო (წარს.), კილო (თხრ.) და აქტი (უნაზავე)“... (გვ. 221). „შედგენილობის თვალსაზრისით II თურმეობითი I-საგან ერთი ელემენტით განსხვეავედება, ეს ელემენტია თანამდევერობა (უწინარესი), ეს მწკრეფი ვადმოვეცემს ისეთ უნაზავ მოქმედეებას, რომელეც სხვას უსწრებდა“ (გვ. 222). ამგვარიად, თურმეობითებისათვის სავართო ფუნქციაა უნაზაობა (ვანშასხვეავებული — თანამდევერობა); მიუხედავეად იმისა, ერთგან რომ III კავშირებითეც „უნაზავე აქტის მწკრეფებად“ მოიხსენიებდა, მისი დამასიათებისა, რა თქმა უნდა, არაფერია თქმული უნაზაობაზე მარტეო მიზეზის ვამო — ამგვარ ვაგებებს არ შეიცავს ამ ნაკვეთის ფორმება (ნაკვეთი ხასიათდება მხოლოდ დროისა და კილოს მიხედევით). ფაქტია, აქტი და თანამდევერობაც ვერ ვავერთიანებს III სერიის ნაკვეთებს ერთ ჭვეფად.

III სერიის ფორმათა ერთ ჭვეფად ვავერთიანების სავითხზე სმეციაღურად მსველოებს არნ. ზიქობავეა დასვერა ასეთია: „თურმეობითი ჭვეფის ნაკვეთები ვერ ვავერთიანდება შათი ფუნქციის მიხედევით; ვერძოდ, თურმეობითობა არ არის ამ ჭვეფისათვის დამასასიათებელი; კავშირებითი შესამისათვის თურმეობითის ვაგება უცხოა თურმეობითი მეორე არ იძლევა თურმეობითის შინაარსს, როცა რისამე პირობაზე მიუთითებს; ხოლო როცა თხრობითი კილოს ფუნქცია აქვს თურმეობით მეორეს, მაშინ მისთვის ვანშასხვერტელია სხვა დროსთან ფარდობა (ე. ი. „თანამდევერობა)“ (არნ. ზიქობავეა, 1962, გვ. 100). „მხოლოდ ნაწილობრივ ეგვება ეს შინაარსი თურმეობითს მეორეს; თურმეობითის

პირველშიც უნდაობა არ ვადმოიყვამ პირველს პირში, უარყოფითი ნაწილაკების ხმაურებისას კი — სხვა პირებშიც“ (იქვე, გვ. 101).

„სამი ჩვეულის გამოყოფა ზმნის უღვლილებაში ნაწილობრივ გამარ-  
თლებულია სინტაქსური თვალსაზრისით, ნაკვთების წარმოება კი სინ-  
ტაქსის საგანი არ არის, იგი ფუძეთა წარმოებას განეკუთვნება და  
მორფოლოგიის საგანი უნდა იყოს (იმ თავისებურებათა გათვალისწი-  
ნებით, რაც ამ რიგის ფუძეთა წარმოებას ახასიათებს)“ (იქვე, გვ. 101).

„ნაკვთების წარმოება არის ფუძეთა წარმოება და, მაშასადამე, ნაკვთე-  
ბის სისტემაში ამა თუ იმ ნაკვთმა ის ადგილი უნდა დაიკავოს, რაც მას  
ეკუთვნის წარმოების თვალსაზრისით“ (იქვე, გვ. 102).

ეს ვრცელი ამონაწერები იმისთვის მოვიყვანეთ, რომ ნათელი იყოს  
ეტიორის თვარიული პოზიცია ნაკვთეულთა სისტემის დაჩვეულების სა-  
კითხებზე (ეს პოზიცია ჩვენთვისაც ამოსავალია ამ საკითხებზე მსჯე-  
ლობისას).

ამგვარი თვარიული საფუძველი — ფორმობრივი მონაცემების  
გათვალისწინება — ეტიორს საშუალებას აძლევს ნაკვთები ორ წყებად  
დააჩვეულოს. ძირითად ნაკვთებად, რომელთაგანაც იწარმოება ყველა  
სხვა ნაკვთი უშუალოდ თუ შუალობით, პირდაპირი წყობით თუ ინვერ-  
სიულად, მიიჩნევა აწმყო და ნამყო ძირითადი და დაასკვნის: „ამისდა-  
კვლად ნაკვთების წარმოებისას გვეჩვენება ორი ჩვეუთი: აწმყოს ჩვეუთა  
და ნამყო ძირითადის ჩვეუთი. აწმყოს ჩვეუთი ამჟამად გველაზე მრავ-  
ვალრიცხოვანია.

**1. გარდამავალი ზმნის აწმყოსაგან (ცვლ-ის) იწარმოება:**

**ა) პირდაპირი წყობის ნაკვთები:**

1. ნამყო უსრული (ცვლ-ი-და) → 3. კავშირებითი პირველი (ცვლ-ი-დ-ე-ს).
2. მყოფადი (შე-ცვლ-ი-ს) → 4. მყოფადისებული ნამყო უსრული (შე-ცვლ-ი-დ-ა).
- [5. 6. 7. თურმეობითი I, II, კავშირებითი III გარდაეველ ორ-  
პირიან ზმნათა (შე<sup>1</sup>სცვლია, სცვლოდა, სცვლოდეს)].

**ბ) შებრუნებული (ინვერსიული) წყობისა:**

8. თურმეობითი პირველი გარდამავალ ზმნათა (უ-ცვლ-ი-ა).

**11. ნამყო ძირითადისაგან (ცვლ-ა) იწარმოება ნაკვთები:**

- ა) პირდაპირი წყობისა: 9. ნამყო ძირითადის ხოლმეობითი (შველ ქართულში); (ცვალ-ი-ს).
10. კავშირებითი მეორე (ცვალ-ო-ს).



ბ) შებარებული (ინტერსოლ) წილებისა

- 11. თურქობითი მეორე გარდამავალ ზმნათა ('შე'სუცვალა)
- 12. კავშირებითი მეორე გარდამავალ ზმნათა ('შე'სუცვალოს)  
(არნ. ჩიქობავა, 1962, გვ. 107).

სქემას რამდენიმე სირთულე აღსაეს: სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგება სისტემა გარდამავალ და ორბირიან გარდამავალ ზმნათათვის; ერთბირიანი გარდაუვალ ზმნათა ვითარება არ აღსაქმნა; არაა წარმოდგენილი ე. წ. მყოფადს კავშირებითი („პირობითი-კავშირებითი“ — აუტორის ტერმინით). გარდა ამისა, თუ ცვლის — უცვლია, აცოთებს — უცოთებია ტიპის გარდამავალ ზმნათა I თურქობითი ამ პრინციპით აწმყოს ქველში მოხედება, აქებს — უქია, ადებს — უღია ტიპის გარდამავალ ზმნათა იგივე ნაცეთი ნამყო ძირითადის ქველში შეეა (სქემაში ეს ფაქტი არ აღსაქა). მაშასადამე, გარდამავალ ზმნათათვისაც არაა მუარა წარმოდგენილი სისტემა.

ნაცეთულთა სისტემა, ამვე პრინციპით დაჯგუფებული (ოდნავ შეცვლილი ვარაანტი). არის წარმოდგენილი შემდეგდროინდელ ნაშრომში (არნ. ჩიქობავა, 1967, გვ. 48—50):

I. აწმყოს ქველუ

- 1. აწმყო — ზრდ-ის, აშენ-ებს
- 2. ნამყო უსრული — ზრდ-ი-ღ-ა, აშენ-ებ-ღ-ა
- 3. I კავშირებითი — ზრდ-ი-ღ-ე-ს, აშენ-ებ-ღ-ე-ს
- 4. მყოფადი — გა-ზრდ-ა-ს, ა-აშენ-ებს-ს
- 5. პირობითი — გა-ზრდ-ი-ღ-ა, ა-აშენ-ებ-ღ-ა
- 6. პირობით-კავშირებითი — გა-ზრდ-ი-ღ-ე-ს, ა-აშენ-ებ-ღ-ე-ს
- 7. I შედეგობითი — გა-ე-ზრდ-ი-ა, უ-აშენ-ებ-ი-ა.

II. ნამყო ძირითადის ქველუ

- 8. ნამყო ძირითადი — გა-ზარდ-ა, ა-აშენ-ა
- 9. ნამყო ჩვეულებრივი (მერმანსოვი) — გა-ზარდ-ი-ს, ა-აშენ-ი-ს
- 10. II შედეგობითი — გა-ე-ზარდ-ა, ა-ე-აშენ-ებ-ი-ნ-ა
- 11. III კავშირებითი — გა-ე-ზარდ-ი-ს, ა-ე-აშენ-ებ-ი-ნ-ი-ს.

სქემა მხოლოდ გარდამავალ ზმნათათვისაა გამოსადეგი (მაგალითობიც გარდამავალ ზმნათა აღსაეს). ზოგადი შენიშვნები იგივე რჩება, რაც ზემოთ აღვნიშნეთ. გარდა ამისა, რაც მთავარია, სწარმოებელი

ფუძის პრინციპი მაინც დაორღვა: ა-აშენ-ა, ა-აშენ-ო-ს და ა-ე-შენ-ებ-  
-ენ-ა, ა-ე-შენ-ებ-ინ-ო-ს ერთ ჯგუფში მოხვდა...



საერთოდ, ნაკეთის ფორმათა წარმოების (საუღლებელ ერთეულთა ფუძის) საკითხებზე მსჯელობისას ხმოვანპრეფიქსების საკითხი გარკვევას მოითხოვს. ამ შემთხვევაშიც, თურმეობითებსა და III კავშირებითში ხმოვანპრეფიქსი გამოყოფილია, სხვა ნაკეთებთან — არა... საგულისხმია ის ფაქტი, რომ თუ I-II სერიის ფორმებში ერთი და იგივე ხმოვანპრეფიქსია წარმოდგენილი ყველა ნაკეთში. განსხვავებულია ერთალება III სერიის ნაკეთებთან: გარდამავალ ზმნებს I თურმეობითში სისტემებში ფ-პრეფიქსი დაერთვის, II თურმეობითისა და III კავშირებითში — ე; ორპირიანი გარდაუვალი ზმნები, რომელთაც I-II სერიაში ე (ეზრდება) ან ფ (ფუტადება) პრეფიქსები აქვთ. III სერიის ფორმებს უპრეფიქსოდ იწარმოებს (გა-ზრდ-ია, გა-ზრდ-ოდ-ა; გა-პ-კეთ-ებ-ი-ა, გა-პ-კეთ-ებ-ოდ-ა). ვგ წესი სისტემებშია გატარებული. ზმნური ფორმაწარმოების საკითხებზე მსჯელობისას ამ ფაქტს, ალბათ, გვირდს ვერ ავლელით. ეს ფაქტი გარკვეულწილად მზარს დაუქერს ნაკეთულთა სამ სერიად დაჯგუფებას და, შესაბამისად, საწინააღმდეგო ჩვენებად გვესახება ნაკეთულთა ორ ჯგუფად წარმოდგენისას.

ამგვარად, ნაკეთულთა სისტემის ორ ჯგუფად წარმოდგენას, რომელსაც საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, ვერ მივიჩნევთ წარმატებულ ცდად.

**შენიშვნა:** არნ. ნიქობაძემ 1984 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში (არნ. ნიქობაძე, 1984, გვ. 27) ნაკეთულთა სისტემა ტრადიციულ სამ სერიად წარმოადგინა. ფაქტს დასაბუთება არ ახლავს.

საერთოდ, არის კი შესაძლებელი ნაკეთულთა დაჯგუფებისას ფორმობრივი პრინციპის ბოლომდე გატარება? შესაბამისად, ნაკეთულთა სისტემის ორ ჯგუფად წარმოდგენა?

კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებლად მიგვაჩნია იმ შემთხვევაში, როცა გავრკვევა რიგი საკითხებისას: რა არის ნაკეთი, რა არის ნაკეთის ფუძე, როგორია ნაკეთთა რაოდენობა და მიმართება წარმოების თვალსაზრისით.

#### თავი IV. ნაკვეთის რაობა

**რა არის ნაკვეთი?** არნ. ნიქობაძეს აზრით, „ნაკვეთი ტექნიკური ტერმინია და მიუთითებს უღვლილებს ერთეულზე ამ ერთეულის ფუნქციის აღუნიშნავად. ამიტომ ნაკვეთი ვერ იქნება ვრამატორული კატეგორია („უფუნქციო კატეგორია“ არ არის კატეგორია) ისევე, როგორც ვრამატორულ კატეგორიას არ ვუღოსსმობენ ტერმინები „ბეჭედი“, „მარცვალი“, „შროვანი“, „ფრე“ (არნ. ნიქობაძე, 1948, გვ. 8). საკითხს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ვ. თოფურია (ვ. თოფურია, 1956). ავტორის აზრით, რადგან მწკრივს არ გააჩნია ვრამატორული კატეგორიის არც ფუნქცია და არც ფორმა, ხოლო მწკრივის სწარმოებულ ნიშნებზე მიჩნეული სუფიქსები (-ა, -ვ, -ო, -ი...) დროის, კილოსა და ვერობის მწარმოებელი აფიქსებია, ამიტომ მწკრივი არ შეიძლება მივიჩნიოთ კატეგორიად.

**შენიშვნა** ხსონამური ტერმინები „ნაკვეთი“ და „მწკრივი“ სუღვლებელი ვრითეულის აღხანაშნავად იხმარება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში; პირველი მათგანი არნ. ნიქობაძემ შემოიღო, მეორე – ა. შანიძემ. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორთან (და ამ ავტორებთანაც) ამ ცნების აღხანიშნავად სხვა ტერმინებიც გამოიყენებოდა („გაშა“, „დრო“, „წყერი“, „რივი“, „დრო-კილი“). ამგვარად მართადად ეს ორი ტერმინია დამკვიდრებული. თითოეული მათგანის შემოღებას ხათანადო ცნების სხვადასხვაფერი ვაგვსაც ახლდა. ამიტომ შეიძლება არც იყოს გამართლებული ამ ტერმინთა პარალელური გამოყენება ამა თუ ამ გამოკვლევაში, მაგრამ ამა თუ ამ ავტორის ნაზრევის მოხშობისას ზოგჯერ არ მოხერხდება გვრდი აუვართოთ იმ ტერმინს, რომელსაც იგი გამოიყენებს. წყენს შემოხვევაში პარალელური ხმარება ამ ტერმინებსა ამათაა შემართობებული. მოუხვდავად იმისა, ეიზიარება თუ არა ცნების იშვეარ ვაგვებს, რომელიც ტერმინს „ნაკვეთი“ ახლავს, წყენ მათნე უფრო მოხერხებულად შევიჩნევთ მას და ამიტომაც მხვეულობაში, წყუღვებრაც, მას გამოვიყენებთ. სერათოდ ეი ვანსახალეული საკითხისათვის ხსონამურ ტერმინთაგან ვრითობის შერჩევას პრინციპულ შნიშვნელობას არ ვანაქვებთ.



ფივე შეიძლება ითქვას ამა თუ იმ ნაკეთის სახელად გამოყენებულ ტერმინთა შესახებაც. ა. შანიძე შენიშნავს: „იდეალური იქნებოდა, რომ შწკრიეთა სახელების დარქმევებს დროს მხედველობაში არ ყოფილიყო მიღებული მათი შემადგენელი ელემენტები, რიგორცაა დრო, კლო, ვზისობა, და სხვა, არამედ მონახულიყო ხრულიად ნეიტრალური სახელები, — თუნდაც ხელოვნური, — რომლებიც მიუკუთვნებოდა ამა თუ იმ შწკრიეს“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 217). საკითხს ამგვარადვე სვამს არნ. ნიქობაძე: „გაუგებრობას აგვაცილებდა ნაკეთის სახელი სტრუქტურული თვალსაზრისით მოვეყვება (უბრალო ნომერაციის წესითაც კი)“ (არნ. ნიქობაძე, 1962, გვ. 102). ამიტომ: წვეს შევთავაზებთ რომელიმე ტერმინსათვის უპირატესობის მინიჭებას რაიმე პრინციპული ხასიათის მნიშვნელობა არა აქვს.

განსხვავებულ თვალსაზრისს წარმოადგენს ა. შანიძე. საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიეძღვნა 1941 წელს, რომელიც საფუძვლად დედო მწკრივის შესახებ მოძღვრებას „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“. ავტორის პატივით, მწკრივი გრამატიკული კატეგორიაა. მსგელობის თანამიმდევრობა ასეთია: „არის თუ არა შწკრივი გრამატიკული კატეგორია? რომ სწორი პასუხი გავცეთ ამ კითხვას, უნდა მოვიკონოთ, რომ ყოველგვარი გრამატიკული კატეგორია უაღიბდება საპირისპირო ფორმათა არსებობის ნივთაგზე. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ შწკრიებს, დაერწმუნდებით, რომ ერთი რომელიმე ქვეფი, რომელთაც საერთოდ შწკრივი ეწოდა, ისეთ მიმართებაშია დანარჩენებთან, როგორც სხვა რომელიმე — ყველა დანარჩენთან, ისინი ერთგვარ მოვლენას ასახევენ ენაში, ერთმანეთს თანაბრად შეეზომებიან, თითქმის ყველას ერთი და იგივე რაოდენობა აქვთ ფორმებისა (სკოლიო: ბრძანებითის შწკრიეში ფორმათა რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე თბრობითში.), თვითველ მათგანთან გარკვეული ცნებაა დავაგწირებულნი და ყველა ერთად წარმოადგენს გვადლებს, რომ ისინი შეადგენენ საპირისპირო სახეებს ზოგადი კატეგორიისას...“, „ოდოდ სხვა კატეგორიები მარტივია, დაუშლელი, შწკრივი კი რთულია და შეიცავს სამდენიმე კატეგორიას, ელემენტებად წოდებულს, ქართულში უმთავრესად დროსა და კლოს“ (იქვე, გვ. 217). სხვაგან: „ელემენტები დაერქვა შწკრივის ფარგლებში უცვალბებულ კატეგორიებს, რომლებიც მის ხერხეშაღს წარმოადგენენ. ქართული შწკრივის ელემენტებია: დრო, კლო, ვზისობა, აქტი, თანამდევრობა“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 216).

ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით აღნიშნულ თვალსაზრისზე, რომ ჩვენი პატივით, ზოგი რამ დაზუსტებასა და გარკვევას მოითხოვს.



ერ ერთი: პირი, რაცხვი, დრო, კილო, ვხისობა, აქტი, თანამდევრობა და მწკრივი უღლების კატეგორიებია. ავტორის ასრევე, ამითვე მწკრივის კატეგორია ელემენტებად შეიცავს დროის, კილეს, ვხისობის, აქტისა და თანამდევრობის კატეგორიებს. სხვაგვარად: უღლების კატეგორიები ელემენტებაა იმავე უღლების სხვა კატეგორიისა... მსგელობა თითქოს ვარკვევას საჭიროებს...

მწკრივის კატეგორიის შემადგენელ კატეგორიათა შესახებ მსგელობასს მინიშნებულია, რომ თეთრეული მათგანი (დრო, კილო, ვხისობა, აქტი, თანამდევრობა) არის ზმნის ფორმა, ისევე როგორც ზმნის ფორმად მოიხსენიება რაცხვისა და პირის კატეგორიები.

ამდენად, ელემენტებად წოდებული კატეგორიები მორფოლოგიურ კატეგორიებადაა მიჩნეული; ამა თუ იმ ფორმისათვის დაშასახათებულ მუდმივ, უცვალაბელ კატეგორიებად. ვაიხსენოთ: „ელემენტები დავრქვა მწკრივის ფარგლებში უცვალაბელ კატეგორიებს, რომლებიც მის ხერხემალს წარმოადგენენ. ქართული მწკრივის ელემენტებია: დრო, კილო, ვხისობა, აქტი, თანამდევრობა“ (ხაზი ხეენია — გ. გ.).

ჩვენთვის ასეთი საკითხი იხენს თავს: არის თუ არა აღნიშნული კატეგორიები მორფოლოგიური კატეგორიები; შესაბამისად — უცვალაბელნი ერთი მწკრივის ფარგლებში. აქედან გამოიშინარე: შეიძლება თუ არა მორფოლოგიურად მწკრივის დაშასახათება აღნიშნული ელემენტების მიხედვით?

რა არის მორფოლოგიური კატეგორია? სპეციალურ ლიტერატურაში მორფოლოგიური კატეგორიის განმარტებისას არაა ერთგვაროვანი შეხედულება. რაც შემთხვევაში მორფოლოგიური კატეგორია ვაიგაგებულაა გრამატიკულ კატეგორიასთან. სხვა თვალსაზრისით, მორფოლოგიური კატეგორიაა გრამატიკული კატეგორიის შემადგენელი ნაწილია სინტაქსურთან ერთად; სხვაგვარად: სინტაქსური და მორფოლოგიური კატეგორიების ერთობლიობა ქმნის გრამატიკულ კატეგორიის გრამატიკული კატეგორიის გაგება დღესაც კამათისა და დისკუსიის საგანს წარმოადგენს. აღნიშნავენ კიდევ: „სამწუხაროდ, ტერმინსა და ცნებას „გრამატიკული კატეგორია“ ჩვენსა და საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში არ მუდლია ერთგვაროვანი განმარტება და გამოყენება. ამის კარგად გვარევენებს ზოგი განმარტება და განსახლება, თითქოსდა აღალებულზე მოყმული“ (ფ. ბერეზინი, პ. ვოლოენი, 1979, გვ. 173) (წიგნში საამისო მრავალი მაგალითია მოყვანილი).

არ არის დავა იმის თაობაზე, რომ კატეგორია საპირისპირო ფორმათა არსებობის საფუძველზე ვალიბდება. აღნიშნავენ, რომ „გრამა-

ტიველ კატეგორიას გრამატიკული ფორმისა და გრამატიკულ მნიშვნელობის ერთობა ქმნის" (ე. გაკე, 1986, გვ. 32) და რომ გრამატიკული (მორფოლოგიური) კატეგორიისათვის გრამატიკული (მორფოლოგიური) ნიშნის მქონეობა მიიხსნევა არსებითად, არნ. ჩიქობავას სისტემაში რომ ეთქვას, „მორფოლოგიური კატეგორია სათანადო აფიქსებით უნდა იქნეს წარმოდგენილი და არა ფუძის მნიშვნელობით“. ამა თუ ამ ფაქტის მორფოლოგიურ კატეგორიად მიჩნევა „მორფოლოგიური ნიშნის ქონა-უქონლობა წყვეტს“. სხვაგვარად: „მორფოლოგიურ კატეგორიას ქმნის აფიქსით ვადმოცემული მნიშვნელობა“ (არნ. ჩიქობავა, 1982, გვ. 267).

„გრამატიკული კატეგორიის გამოხატულების პლანი სისტემურად ორგანიზებული გრამატიკული 'საშუალებებით'“ (ა. ბონდარკო, 1976, გვ. 30).

ჩვენთვის ეს თვალსაზრისია საყრდენი.



არის თუ არა დრო და კილო მორფოლოგიური კატეგორია? ნაკეთის ფორმათა ფუნქციებზე შესწავლისას დროისა და კილოს კატეგორიებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ნაკეთთა სახელდებაც ძირითადად ამ ორი შახსათებლის მიხედვით ხდება. არც ისაა შემთხვევითი, რომ პრაქტიკული გრამატიკებიდან მოვლულბული საუღღებელ ერთეულს ასეც სახელდებდნენ — „დრო“, „დრო-კილო“; უღღლიღების სისტემას — „დრო-კილოთა სისტემის“ სახელით მოიხსენიებენ. ჩვეულებრივ დროსა და კილოს მორფოლოგიურ კატეგორიებად მიიჩნევენ პირის, რიცხვის... კატეგორიათა გვერდით: „მორფოლოგიური კატეგორიებია: ...პირი, რიცხვი, დრო, კილო, გვარი... — ზმნისათვის“ (არნ. ჩიქობავა, 1982, გვ. 267). „ზმნა არის მოქმედების აღმნიშვნელი ფორმა-ცვალებადი სიტყვა, რომელსაც ერთ-დროულად რამდენიმე მორფოლოგიური კატეგორია მოეპოვება: პირველ ყოვლისა პირი, რიცხვი, დრო და კილო“ (ა. შანიძე, 1979, გვ. 163). ზმნის მორფოლოგიური კატეგორიებია „პირი, რიცხვი, კილო, ქვევა, გვარი, დრო და სხვა“ (გ. მაჭავარიანი, გ. ნემოჭრაძე, 1972, გვ. 102). ეს საუოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისია. რამდენადაც დრო და კილო მორფოლოგიურ კატეგორიებად გაიარება, არის ედა ამ კატეგორიათა მორფოლოგიური ნიშნის ძიებისა.

დროის მიხედვით ზმნური ფორმის კვალიფიკაციასა და დახასიათების ხანგრძლივი-ისტორია აქვს. დროის კატეგორია ერთ-ერთი რთული და სადაყო კატეგორიაა არა მარტო ჩვენს სინამდვილეში, არამედ სა-



ერთად. არა შემთხვევითი, რომ პრაქტიკულ გრამატიკებში, და ზოგჯერ სამეცნიეროშიც, საუღლებელი ერთეული და დრო გაიყვებოდნენ. ამდენ დროზე საუბრობენ, რამდენი საუღლებელი ერთეულიცაა მისი. მაგალითისათვის ნ. შარის აზრით ძირითადი დრო რვა არის: აწმყო, წამყო უსრული, ნატვრითი, აორისტი, კავშირებითი (იგივე მომავალი), წამყო სრული, წინაზე წარსული, წამყო კავშირებითი (ნ. შარი, 1925, გვ. 142). არნ. ჩიქობავა სახალ ქართულში გვაქვს ერთი აწმყო, ერთი წყოფადი და ოთხი წამყო: წამყო უსრული ანუ უწყვეტი: აყოფა, აშენება, შრომობდა...; წამყო ძირითადი ანუ წამყო წყვეტილი (აორისტი): აეთა, აშენა, იშრომა...; თურმეობითი პირველი: უყოფებია, უშენებია, უშრომა...; თურმეობითი მეორე: უყოფებინა, უშენებინა, უშრომა... (არნ. ჩიქობავა, 1952, გვ. 274). ა. შანიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „არც-დარცვა სუფიქს დროის გაგებაში... ასეთი მცდარი შეხედულება „დროის“ შესახებ იქედან მომდინარეობს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში გრამატიკული დროის პრობლემა სწორად არ არის დასმული და გადაწყვეტილი. საზოგადოდ დროის კატეგორიის რვეინ მწკრივის ერთ-ერთ კატეგორიისთან (ცილოსთან ან თანამდევრობასთან) ან თვით მწკრივთან და ეს აღრვევა, რომელიც ქრელად ასახავს ზოგადი სენსომეცნიერო საკითხის შესწავლის უწყვეტ მდგომარეობას ენის სტრუქტურულ ნაწილში, ქართულ ნადაგზეც უკრიტიკოდ არის გადაშოტანილი. საჭიროა და აუცილებელი, რომ დროის კატეგორია გამოითქვოს სხვა კატეგორიებისაგან და მას თავისი ალავი მიეჩინოს და სხვებსაც თავთავისი მოენახოს“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 201). „გრამატიკული დრო შეიძლება მხოლოდ სამი იყოს: ეხლანდელი, წარსული და მომავალი“ (იქვე გვ. 199). ძირითადად ეს თვალსაზრისია გაზიარებული ამჟამად. საფუძველს კი დროის კატეგორიის ამგვარი გაგება ანტიკური გრამატიკებიდან იღებს.

**შენიშვნა** დროის მორფოლოგიური კატეგორიის პრობლემა მხოლოდ ქართულ ენათმეცნიერების წინაშე დასმული პრობლემა წივდა.

აღნიშნავენ, რომ „არცერთი სხვა გრამატიკული პრობლემა არ არის ასეთი რთული, რაიორც გრამატიკული დროის პრობლემა“ (პ. რობერტსი, 1954, გვ. 131). მაგალითისათვის: ვ. ენოზურადოვა მიმოიხილავს დროის კატეგორიის შესწავლას ისტორიას რუსულ ენათმეცნიერებაში და აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი ყველაზე სადავი საკითხი, რომელიც აზრთა პრინციპულ სხვადასხვაობას იწვევდა, დროის კატეგორიაა. მ. დომინოსოვმა 10 დრო გამოყო, ვისტოკოვმა — 8, ს. შაფრანოვმა — 7, ა. ბოლდარევემა — 2. ამგვა-

რო სხვადასხვაობა დროისა და კილოს კატეგორიასა ბრუნვამ გამოიწვია. ამ აღრევასთან პრძილამ მ. კატეგორია და ვ. აქსიომა დროის კატეგორიის უარყოფამდე მიიღწერა. ამდევ აზრის იყო ნ. ნეკრასოვიც, რომელმაც ზედამხედველობა ნებისმიერი რუსული ზმნური ფორმის შესაძლებლობა სრულიად განსხვავებული დროული მნიშვნელობების გამოხატვისა, ეს ვადატრით უარყოფდა რუსულ ზმნაში დროის მუდმივი გრამატიკული ფორმის არსებობას" (ვ. ვანოვრადოვი, 1972, გვ. 426-428). თვით ვ. ვანოვრადოვი რუსულში ორ დროს გამოყოფს (წარსულსა და არაწარსულს), ზოლო რუსული ენის აკადემიურ გრამატიკაში სამი დროა გამოყოფილი (აწმყო, წარსული და მომავალი) (რუსული გრამატიკა, 1980, გვ. 627). ხაკობია ამგვარად სხვა ენათა მიმართაც დგება. მთავალითაათვის, უფიქრამო, ესეც კმარა.

დროის მორფოლოგიურ კატეგორიად მიჩნევამ თავისთავად დისკვა საკითხი ამ კატეგორიის ნიშნის ძიებისა.

ახალ ქართულში წარსული დროის ვაგება რამდენიმე ნაკვთის ფორმის შეიძლება ქმონდეს. სხვაგვარად: ნაკვთთა დახასიათებისას წარსული დროის მნიშვნელობის გადმოცემა მიიჩნევა რამდენიმე ნაკვთის ფორმისათვის ნიშანდობლივად: ეწერდი, დავწერდი, დავწერე, დამაწერია, დამეწერა, დამეწეროს. ნამყო დროის მორფოლოგიურ ნიშნად რამდენიმე აფიქსია გამოყოფილი.

არნ. ჩიქობავა წერს: „როგორც ზმნაში, ისე ნაზმნარ სახელებში (მიმღებობებში) დრო აფიქსებითაა გამოხატული (აკეთებ-დ-ი... აკეთ-ი ← აკეთ-ე-ი... ვ-კეთებ-ი-ი... ე-კეთებ-ი-ი-ი...) (არნ. ჩიქობავა, 1952, გვ. 275). მაგალითებში წარსული დროის გამოხატველ მორფოლოგიურ ნიშნებად ვახაზულია: -დ, -ე, ვ, -ი, ე, ინ. ძველი ქართლის ეწვეტილში, I თურმეობითისა და წყვეტილში გამოვლენილ -ე სუფიქსს ე. თოფურია „ნამყო სახეობათა საერთო ნიშნად“ მიიჩნევს (ე. თოფურია, 1955), თუმცა დროის გამოხატველ აფიქსად მისი კვლითიკაცია არ ხდება (იქვე, გვ. 73). თითქოსდა წინააღმდეგობრივია: „ნამყოს სახეობათა საერთო ნიშანი“ „დროს უთუოდ არ გამოხატავდა“. მაგრამ წყვეტილის -ე სუფიქსს ნამყო დროის მორფოლოგიურ ნიშნად მიიჩნევს ვ. მკვათარიანი (მიმომხილველი, 1972, გვ. 531). იგივე ავტორი ნამყო დროის მაწარმოებლად მიიჩნევს აგრეთვე წყვეტილში გამოვლენილ -ი ბოლოსართს (იქვე).

ამდენად, სამეცნიერო ლიტერატურაში დროის კატეგორიის მორფოლოგიურ გამოხატვაზე მხოლოდ წარსულის მიმართ საუბრობენ. აწმყოსა და მყოფადის მორფოლოგიურ გამოხატვაზე (მორფოლოგიურ

ნიშანზე) არა მსჯელობა გამოდის; დროის სამწვერიანი სისტემებთან მარკირებულია ერთი, არამარკირებული — ორი. ამ წინააღმდეგობას მოხსნის ცდას გეაღვეს ვ. მაჭუაძისა, რომელიც დროის ორწვერიან სისტემას ვითავაზობს: მარკირებული ნამყო — არამარკირებული აქშეო ზოგადი (მომავალი დრო დამატებითი გრამატიკული მნიშვნელობა დიფერენციალურ ნიშანთა კონსოციის: აქშეო ზოგადი + გრძლივი + სრული ასპექტი) (მომომხილველი, 1972, გვ. 531).

შენიშვნა: 1. ვ. მაჭუაძისანის ნაშრომი „გრძლიობის, ასპექტისა და დროის კატეგორიების მამართება ქართულში“ არ გამოქვეყნებულა (ნაშრომი დაკარგულია). ძირითადი დებულებები აღდგენილია მ. მაჭუაძისანის მიერ. ჩვენც ამ დებულებებს ვემყარებით. ამიტომ ვეიჭირს ამ თვალსაზრისის შესახებ დაწვრილებითი მსჯელობა.

2. ასევე დროის ორწვერიან სისტემაზე მსჯელობს მ. მეგრელიძე; გამოყოფს წარსულსა და არაწარსულ დროს: „წარსული დროის არაწარსულთან დაპირისპირება არსებობს დროის სამწვერა სისტემის შიგნით და დაფუძნებულია არა მარტო სემანტიკურ, არამედ სტრუქტურულ ნიშანზე“ (მ. მეგრელიძე, 1986, გვ. 33). აგვაქვს როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური საფუძველი ჩავთვალოთ, რომ დაპირისპირება ახლანდელი-მომავალი არსებობის უფრო ფართო კატეგორიის — „არაწარსულის“ — ჩარჩოებში“ (იქვე, გვ. 82). მნელა ამ თვალსაზრისის გაზიარება, რამდენადაც ავტორის მსჯელობა წინააღმდეგობრივია ემყარება თვალსაზრისს, რომ გრამატიკულ კატეგორიას აქვს თავისი მინარხი და ფორმა (მინარხის პლანი და გამოხატულების პლანი); რომ დრო გრამატიკული კატეგორიაა (გვ. 45); მაგრამ როცა უდელილების სისტემის ცხრილს წარმოადგენს და ახლანდებს ამ სისტემის დროის კატეგორიის თვალსაზრისით, დასკვნის: „დროის გრამატიკულ კატეგორიას ამ ფორმებში არავითარი ცალკე აღებულ ფორმალური ელემენტი არ შეესატყვისება“ (გვ. 79).

ნაშრომში არც იმ სტრუქტურულ ნიშნებზეა სუბარა, რომლებიც დაპირისპირებს წარსულ დროს არაწარსულ დროსთან — აქედან გამომდინარე, შეიძლება ეს დრო სათვალის გრამატიკულ კატეგორიად? ვარკვევას მოახსოვს მსჯელობაც: „ძველ ქართულში მომავალი დროის ფორმა არ არსებობდა, ამიტომაც გამოხატულების პლანში დროთა სისტემა რთული არ იყო. უუნტკაციონარებდა დროის მხოლოდ ორი ფორმა — წარსული და ახლანდელი“ (გვ. 80). „მომავალი“

ვალე დროის ფორმა გამოიყო შედარებით ვიან\* (გვ. 81). იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მყოფადის ნაკეთის წამოყალიბებამდე ქართულში მომავალი დროის გამოხატვა არ ხდებოდა... სადაყო სხვაგ შეიძლება იყოს ამ თვალსაზრისით, მაგრამ ჩვენთვის არსებითი ისაა, რომ მსჯელობა ირან დროის არსებობის თაობაზე კრიტიკას ვერ უძლებს.

წარსული დროის მორფოლოგიურ ნიშნებად გამოიყო: -დ (უწვეტ-ლისა), -ი, -ი (წვეტილში), -ი (I თურმეობათში), -ი (II თურმეობითში).

საგულისხმო ფაქტია, რომ დასახელებული აფიქსები ძირითადად სხვაგვარადაა კვალიფიკირებული (ზოგჯერ იმავე ავტორებთანაც):

- დ — წამოყალიბების ნაკეთის მაწარმოებელი (არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. 137; 1948, გვ. 99); უწვეტლის მავრცობი (ა. შანიძე, 1973, გვ. 424); უწვეტლის ნიშანი (ა. კიზირია, 1974, გვ. 95)...
- ი — ვნებითი გვარის ნიშანი (არნ. ჩიქობავა, 1967, გვ. 49; ა. შანიძე, 1973, გვ. 288); მიანიშნებს კონსტრუქციაში ირბი ობიექტის პოენიერებაზე (ბ. კობახიძე, 1983, გვ. 105).
- ი — კაუზატივის სუფიქსი (არნ. ჩიქობავა, 1967, გვ. 46); შუალობითი კონტაქტის ნიშანი (ა. შანიძე, 1973, გვ. 360).
- ი — წამოყალიბების ფუნქციის მაწარმოებელი (არნ. ჩიქობავა, 1967, გვ. 49); წვეტილის მწკრივის ნიშანი (ა. შანიძე, 1973, გვ. 429); აორისტის თემის მაწარმოებელი (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, გვ. 240); თხრობითი კლასის მაწარმოებელი (ნ. კობახიძე, 1986, გვ. 13).
- ი — წვეტილის მწკრივის ნიშანი (ა. შანიძე, 1973, გვ. 427); უფუნქციო, ნარათული ელემენტი (არნ. ჩიქობავა, 1926); თხრობითი კლასის მაწარმოებელი (ნ. კობახიძე, 1986, გვ. 13)...

როგორც ვხედავთ, წარსული დროის ნიშნებად მიჩნეული აფიქსების მორფოლოგიური კვალიფიკაციის საკითხში არაა აშრთა ერთგვარობა. არსებობს ურთიერთგამომრიცხველი თვალსაზრისებიც, მაგრამ ჩვენთვის ამგვარად არსებითი ისაა, რომ ისინი არ არიან დროის გამოხატვეული აფიქსები.

ა. შანიძესთან, რომლის ვრამატიკულ ნაშრომშიც დრო შინის ერთერთ ძირითად კატეგორიადაა მიჩნეული, დროის მორფოლოგიურ გამოხატვაზე არაა სიტყვით, როგორც ვნახეთ, სხვა ავტორებთან დროის-

გრაფიკული კატეგორიის ნიშნად მიჩნეული აფიქსები აქ სხვაგვარა-  
და კალიფიცირებულა. ხაზგასმითაც აღნიშნავენ იმას, რომ „დრო-  
შენის ისეთი კატეგორიაა, რომელსაც ნიშანი არ გააჩნია (1)“ (ი. ვა-  
ჰაძე, 1981, გვ. 233).

თუ იმ თვალსაზრისს დავებუარებით, რომ „მორფოლოგიური მნიშ-  
ვნელობა შეიძლება გადმოიყვას აფიქსის გარეშე“ (ფ. ერთელიშვილი,  
1965, გვ. 178), დროის მორფოლოგიური მნიშვნელობა უნის სათანადო-  
სტრუქტურულ მოდელს დაუფლებელი მნიშვნელობაა (იქვე, გვ. 179).  
შეიძლება და დროის მორფოლოგიურ კატეგორიად მიჩნევა. მაგრამ  
რომელიმე წარსული დროის გამოშხატველ ფორმათათვის —

ვ-წერ-დ-ო  
და-ვ-წერ-დ-ო  
და-ვა-წერ-ე  
და-მი-წერ-ია  
და-მი-ვ-წერ-ა  
და-მი-ვ-წერ-ო-ს —

გაკორდება იმ საერთო სტრუქტურული მოდელის გამოყოფა, რომელ-  
საც მივიჩნევდით წარსული დროის გამოშხატველად. ასევე თქმის  
სხვა დროის აღმნიშვნელ ფორმათა შესახებაც.

ამგვარად, იმ თვალსაზრისზე დამყარება, რომ „მორფოლოგიური  
კატეგორია სათანადო აფიქსებით უნდა იქნეს წარმოდგენილი“, „ამა  
თუ იმ ფაქტის მორფოლოგიურ კატეგორიად მიჩნევის მორფოლოგიურ  
როი ნიშნის ქონა-უქონლობა წვევებს“ — დროის მორფოლოგიურ კატე-  
გორიად ვერ გავვაზრებინებს.

**დროის გამოშხატვა მორფოლოგიურად არ ხდება.**

თუ დავუშვებთ, რომ დრო მორფოლოგიური კატეგორიაა, ესა თუ  
ის უნეურო ფორმა ამა თუ იმ დროის გამოშხატველია, მაშინ, თავისთა-  
ვად, უნდა ვივუდისბნოთ, რომ ერთი რომელიმე ნაყეთის ფორმა ნების-  
მიერ კონტექსტში მხოლოდ ერთ დროულ მნიშვნელობას უნდა გად-  
მოგვეცემდეს. ა. შანიძე ასეც მსჯელობს: „ელემენტები დაერთება მწერ-  
ვის ფარგლებში უცვალებელ ელემენტებს“...

არის თუ არა დრო უცვალებელი ერთი ნაყეთის ფარგლებში? სხვა-  
გვარად: ერთი ნაყეთის ფორმას აქვს თუ არა მხოლოდ ერთი დროის  
გაგება?



სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულია, რომ ამა თუ იმ ნაყოთის ფორმამ, გარდა ძირითადი დროული მნიშვნელობისა, გარკვეულ კონტექსტში სხვა დროის მნიშვნელობა შეიძლება გადმოსცეს; მაგალითად, აღნიშნავენ, რომ „ერთმა და იმავე ფორმამ შეიძლება ეხლანდელის გაგებაც მოგვეცეს და მომავლისაც“. ასეთი „პოლისემიური ფორმებია: ქამს, ბრძანებს, ასწავლის, სცემს, განაგრძობს, უფროებს, იძინებს, შეადგენს, არჩენს, ათამაშებს და სხვა...“ ერთი და იგივე ფორმა შეიძლება ერთ შემთხვევაში დროიანი იყოს, სხვა შემთხვევაში კი — უდროო“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 204). დროის მიხედვით ცვალებადობას ა. შანიძე ჩვეულებრივ მიანიშნებს ნაყოთთა დახასიათებისას: „აწმყო... დრო უმეტესად ახლანდელია (ესწავლობ, ვცხოვრობ, ვწერ, ვაშენებ), მაგრამ შეიძლება მომავლის გაგებაც ჰქონდეს (ვწერ, ვაშენებ, ვასწავლო)“ (იქვე, გვ. 218); „აწმყოს კავშირებითი... დრო ეხლანდელია ან მომავალი“ (იქვე, გვ. 219); „შეოფადი... დრო უმეტესად მომავალია“ (იქვე, გვ. 219)... „კავშირებითი კალიბრი მწყობრში სამივე დრო შეიძლება იქნეს გადმოცემული: ეხლანდელი, წარსული და მომავალი“ (იქვე, გვ. 205). თუმცა ამგვარ მსჯელობას ძირითადი დებულება — „დრო უცვლელბელი ელემენტია ერთი მწყობრის ფარგლებში“ — არ შეუცვლია.

ნაყოთთა დროული მნიშვნელობის საკითხებს რამდენიმე გამოკვლევა უძღვნა ლ. გეგუჩაძემ. საკითხის დაწვრილებითმა შესწავლამ ძალზე საინტერესო სურათი წარმოაჩინა. ავტორის აზრით: „დროის გამოხატვის უნარის თვალსაზრისით ნაყოთები შეიძლება პირობითად რამდენიმე ჯგუფად დავყოთ:

ა) ნაყოთები, რომელთაც აქვთ მხოლოდ ერთი დროის მნიშვნელობა;

ბ) ნაყოთები, რომელთაც უნარი აქვთ გადმოსცენ რამდენიმე დრო (ორი ან სამივე);

გ) ნაყოთები, რომელთა დროული მნიშვნელობის დადგენა ქირს წინ შეუძლებელია).

ამ მრავალფეროვნებას განაპირობებს ის, რომ ერთი და იგივე ნაყოთი სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა ნაყოთთან ურთიერთობისას ხშირად განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს“ (ლ. გეგუჩაძე, 1984, გვ. 7).

ცალკეულ ნაყოთთა დროული მნიშვნელობის ზოგადი სურათი ასეთია: „აწმყოს მწყობრს შეიძლება ჰქონდეს ახლანდელი, მომავალი ან ე. წ. „ზოგადი აწმყოს“ მნიშვნელობა.

ნამყო უწვევებითი მხოლოდ წარსული დროის გამოხატველია. აწმყოს კავშირებითი ახლანდელ ან მომავალ დროს ეკარგება.

მუოთაფის მწკრივი გადმოსცემს მომავალ ან ახლანდელ დროს. შეიძლება სკონდეს ზოგადი აწმყოთ გაგებაჲ.

მუოთაფის ხოლმეოთითი წარსული დროთ გადმოსცემი მწკრივი, მკრამ შეუძლია შეითაქსოთ მომავალი დროთ, მნიშვნელოზბაჲ.

მუოთაფის კავშირბოთი მხოლოდ მომავალი დროთ გაგბოთ გვხვდება.

წყვეტილის მწკრივს უნარი აქვს გამოხატოს როგორც წარსული, ისე მომავალი დრო.

II კავშირბოთი მომავალთან ერთად თაქსებს ახლანდელი დროთ მნიშვნელოზბასაჲ.

I თურმეობოთი შეიძლება შეგვხედვს ახლანდელი, წარსული ან მომავალი დროთ ფუნქციოთ.

II თურმეობოთი ძირითადად ნამყო დროთ გადმოსცემს, მკრამ მისი კავშირბოთი კოლოს ფუნქციოთ სმარებოსას შეფარდებოთ მომავალს გამოხატავს.

III კავშირბოთი უბრატესად წარსულ დროთ თვალისწინებს, მას შეიძლება სკონდეს მომავალი დროთ გაგებაჲ" (დ. გუგუჩიძე, 1978, გვ. 119).

ზოგი რამ შეიძლება კიდევ დაზუსტებულყო. მაგ: წვეტილის ფორმამ შეიძლება გარყვეულ შემთხვევაში აწყო დროთ გაგებაჲ გადმოსცეს. მიუთოთებენ, რომ „ბრძანებოთობა თაქსი ბუნებოთ ისოთ აქტო, რომელიც შეიძლება აწყოფი ან მომავალში ხორციელდებოდეს" (ფ. ერთელიშვილი, 1956, გვ. 307). აქედან გამომდინარე, წვეტილის ფორმისათვის აწყო დროთ გაგებაჲ არ ჩანს უჩვეულო. სპეციალურ ლიტერატურაში ისიც არის შენიშნული, რომ უზმნისწინო ფორმებს ნამყო ძირითადისას ბრძანებოთი კოლოს შემთხვევაში აწყო დროთ გაგება აქვს (ფ. ერთელიშვილი, 1956). ვფიქრობოთ მოყვანილი მაგალითებიდან ეს ასეარაჲ:

„აქრე, სინათლე, აქრე, მე მიინც ავანთებ მას" (ვ. ლომთათიძე);

„ისინე, სწელის შებნელო" (დ. გურამიშვილი).

აწყოთ გაგებას შეოცავს აგრეოვე წვეტილის პირველი პირის ფორმა ზოგი სმნისა მსგავს შემთხვევაში:

„ელისბარო: მე წავედი (წამოდგება), მირიანო: მოიცო" (ა. ჩხაიძე);

„უცებ ქალბატონი დორა შეჩერდა და თქვა: „მე წავედი" (თ. კვიციანი);

„ბა გავიჭეცო, თორემ დამავციანდა" (ო. მამფორია).

შემთხვევითი არც ეს ჩანს, რომ ანტონ პირველი ფორმებს — შექყარ, შექყართ... — „ბრძანებითა სქესისა აწმუოს“ უწოდებს (ანტონა, გვ. 25...).

დასრულებული

ამგვარად, წვეტილის ფორმისათვის აწმუო დროის გამოხატვევ არ არის უცხო.

ასევე: გარდა მყოფადი და აწმუო დროებისა, II კავშირებითის წვეთის წარსული დროს მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს. ამ ტიპის — „თითქოს ეშინოდა, არავის არაფერი ეატყინო“ — წინადადებათა ანალიზის შედეგად ა. პაპიძე ასეთ დასკვნას აკეთებს: „თითქოს-ო ნაწილაკიან კონსტრუქციაში მოქცეული II კავშირებითის წვეთი უკვე წარსული დროის კავშირებითობის გამოხატველია, ოღონდ ისეთი წარსულის, რომელიც შემდგომია მოვარი წინადადების ზმნით აღნიშნულ დროსთან შედარებით“ (ა. პაპიძე, 1981, გვ. 153).

ასე რომ, II კავშირებითისაც, მსგავსად წვეტილისა და I თურმეობითისა, სამივე დროის გამოხატვის უნარი შესწევს. თითო დროს გამოხატავს მხოლოდ უწვეტილი და მყოფადის კავშირებითი; სხვა წვეთები ორ-ორი დროის გამოხატველია.

ფაქტი ძალიან შთაბეჭდილად გვეჩვენება. კითხვაზე — არის თუ არა დრო მორფოლოგიური კატეგორია? — უარყოფითი პასუხი უნდა ვაძეგს:

1. არ ხდება დროის გამოხატვა მორფოლოგიური საშუალებით;

2. ერთი და იგივე ფორმა ამა თუ იმ წვეთისა სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა დროის გაგებას იძენს. სხვაგვარად: წვეთის ფორმის დროულ მნიშვნელობას კონტექსტი ანიჭებს. კონტექსტის ბუნება და ხასიათი, კონსტრუქციაში შემავალი წევრები შეაპირობებენ ამ ფორმის დროულ მნიშვნელობას.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ორივე ამ მომენტზე ვეხვდება მინიშნება, ძირითადი დებულება — დრო მორფოლოგიური კატეგორია; დრო ეცვალებული ელემენტია ფორმისა — ძალაში რჩება.

გასაგებია დაშვება იმისა, რომ დრო ცვალებადი ელემენტია წვეთის ფორმისა, ნიშნავს დროის მორფოლოგიური კატეგორიის უარყოფას: თუ ფორმა თავისთავად შეიცავს ამა თუ იმ დროის მნიშვნელობას, მისი ცვლა არ უნდა ხდებოდეს კონტექსტის ცვლის შესაბამისად. კონსტრუქციის სხვა წევრთა მნიშვნელობა და თავად კონსტრუქციის ტიპი დროული მნიშვნელობის ცვლას არ უნდა იწვევდეს. შედარებისათვის: მორფოლოგიური კატეგორიებია პირი, რიცხვი, ქცევა, კონტაქტი. ფორმა ვ-ა-ე-თ-ბ-ი-ნ-ვ-ბ-თ ამ კატეგორიათა მიხედვით ასე დახასიათდება: I სუბიექტური პირი, მრავლობითი რიცხვი, ნეიტრალური ქცევა, შუალობითი კონტაქტი. ნებისმიერ კონტექსტში წარმოდგენილი ამ

ფორმის მორფოლოგიური დახასიათება უცვლელი იქნება. **სწავლა**  
**მ-ა-ხატ-ა-ე-ს** — III სუბიექტური პირი, I ობიექტური პირი, საობიექტო  
ტოპიკეა, უშუალო კონტაქტი — ამ მორფოლოგიურ მახასიათებლებზე  
ყველა კონტექსტზე არაა დამოკიდებული, მიზეზი მარტყეა, აღნიშნულ  
ლი კატეგორიები მორფოლოგიური კატეგორიებია. დროის კატეგორია  
ვერ დადგება ამთ ვეერდით.

როცა მინიშნებენ ერთი და იმავე ფორმის მიერ სხვადასხვა დრო-  
ული მნიშვნელობის გამოხატვის შესაძლებლობაზე, საუბრობენ ძირა-  
თად დროულ ფუნქციასზე, რომელია ძირითადი დროული მნიშვნელობა  
გააყვით ფორმისათვის — წარსული თუ მომავალი? წარსულში ერთ-  
გზისი, დასრულებული მოქმედების გამოხატვა თუ მომავალში შესაძ-  
რებელ მოქმედებაზე ყურადღების მიქცევა? ვფიქრობთ, ორივე.  
II პირის წართქითი ბრძანებითის გამოხატვა მხოლოდ ამ ფორმით  
ხდება. რით შეიძლება თხსნას ან დასაბუთდეს, რომ ფრაზაში —  
„ვბრძანებ, გააკეთე!“ — უკანასკნელი ფორმის დროული მნიშვნე-  
ლობა წარსულია, მაგრამ ამ შემთხვევაში მომავალს გამოხატავს? ამ-  
გვარი მსჯელობა, ვფიქრობთ, ალოგოკური იქნება. პასუხს მოითხოვს  
კითხვა: თუ გააყვით ფორმის ძირითადი დროული მნიშვნელობა წარ-  
სულია, რა არსებებს მას ამ გავებას სათანადო კონტექსტში, ანდა რა  
იწვევს სხვა შემთხვევაში მომავალი დროის მნიშვნელობის მინიშნებას.  
სხვაგვარად: წარსული დროის მნიშვნელობის გამოცვლას? და, საერ-  
თოდ, კონტექსტის გარეშე, ეზოლორებულად, შეიძლება თუ არა ზმნუ-  
რი ფორმა დახასიათდეს დროული მნიშვნელობის მიხედვით?

როცა ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება  
სხვადასხვა დროული მნიშვნელობით მოგვევლინოს, თავისთავად ცხა-  
დია კონტექსტის გარეშე დროულ მნიშვნელობაზე საუბარი გაუშარ-  
თლებელი იქნება.

შედარებისათვის: ფორმა **კაცს** კონტექსტის გარეშე არ შეიძლება  
დახასიათდეს როგორც სუბიექტი, ან ირიბი ობიექტი, ან პირდაპირი  
ობიექტი; სხვადასხვა შემთხვევაში ყველა მათგანის გამოხატვა შეიძ-  
ლება იკისროს:

**კაცს** უოქვამს — სუბიექტია,

**კაცს** უთხრა — ირიბი ობიექტია,

**კაცს** კლავს — პირდაპირი ობიექტია.

როცა ვმსჯელობთ კონტექსტზე, ფორმის ვარტყ არსებულ დრო-  
ული მნიშვნელობის შემაპირობებელ მოვლენებზე, ყურადღების გარეშე  
ვერ დაეტოვებთ ინტონაციის; მაგალითისათვის:

— მოიტანე. — პასუხი კითხვაზე: გამოიცან, მოვიტანე თუ არ  
მომიტანია?

— მოიტანე! — პასუხი კითხვაზე: მოვიტანო?

ორივე შემთხვევაში წყვეტილის ფორმა წინადადების ტოლფასია, სხვაობას ინტონაცია ქმნის. ეს სხვაობა დროული სხვაობის საფუძველია. ამ შემთხვევაში სხვადასხვა ინტონაციას სხვადასხვა კილოს გაგება შემოაქვს. სხვადასხვა კილოს გაგების შემოტანა სხვადასხვა დროული მნიშვნელობის საფუძველია. ინტონაცია კონტექსტის ტოლფასია ამ შემთხვევაში.

ეს უანსაცნელო მაგალითი იმის დასტურია, რომ ცალკე აღებულ ზმნურ ფორმაზე მსჯელობა დროული მნიშვნელობის გასარკვევად შეუძლებლად მიგვარჩია: ფორმის წარმოთქმის ყოველთვის ახლავს გარკვეული ინტონაცია; წყვეტილს, წვეულებრივ, თხრობითი. ეს კი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ფორმის დროული მნიშვნელობა წარსულია.

ასევე შეიძლება მსჯელობა სხვა ნაკვთის შესახებაც. კონტექსტის გათვალისწინება ყოველთვის იქნება საჭირო დროს მიხედვით პოლისემანტიკური ფორმების დროულ მნიშვნელობებზე მსჯელობისას.

შეა თუ ამ ფორმის „ძირითად“ და „არაძირითად“ დროულ მნიშვნელობაზე მსჯელობა იმის მიხედვით, როგორია სიხშირე ან თუ იმ მნიშვნელობის გამოვლენისა, ასევე არ ხანს გამართლებული. ფაქტია: აწმყოს ნაკვთის ფორმის ახლანდელი დროის მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევები გაცილებით უარბობს ამავე ფორმის მომავალი დროის მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებს; ისევე როგორც წყვეტილის ფორმის წარსული დროის მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევები უარბობს მომავალი დროის მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებს. ნაშნავს ეს იმას, რომ აწმყოს ნაკვთის ფორმის ძირითადი დროული მნიშვნელობა ახლანდელია, ხოლო წყვეტილისა — წარსული? ვფიქრობთ, არა. რადგან: აქ იმ ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელი, რომ ენაში სიხშირე იმგვარ კონსტრუქციითა, რომელშიც საანალიზო ნაკვთის ფორმა ე. წ. „ძირითადი დროული მნიშვნელობით“ გვხვდება, გაცილებით უარბობს ე. წ. „არაძირითადი დროული მნიშვნელობის“ მიმნიჭებელ კონსტრუქციითა სიხშირეს.

მსჯელობა გაგვიგრძელდა.

დასვენა ასეთია: დრო არ არის მორფოლოგიური კატეგორია, რადგან: ა) არ ხდება მისი გამოხატვა მორფოლოგიურად; ბ) დროული მნიშვნელობა ცვალებადია ერთი ნაკვთის ფარგლებში, კონტექსტის გარეშე ფორმის დროული მნიშვნელობა ვერ ვაირკვევა; დროის გაგების ფორმის კონტექსტი ანიჭებს.

ეს ფაქტები, რომ უწყვეტილისა და მყოფადის კავშირებითის ფორმებს შორის ერთი დროული მნიშვნელობა აქვთ, დასვენას ვერ შეცვლის; აღნიშნულ ნაკვთითა ფორმები არ არის შესაბამისი დროულ

მნიშვნელობათა მორფოლოგიური გამოხატვა. ამ ნავეთთა ფორმების დროული მნიშვნელობის გამოხატვის შესაძლებლობა ერთის ტოლია, არის ნავეთები, რომელთათვის ეს შესაძლებლობა ორის ტოლია და ისეთებიც, რომელთა შესაძლებლობა სამის ტოლია. უფრო მეტიც, ისეთი ფორმებიც გვაქვს, რომლებიც გარკვეულ კონტექსტში დაიღლია დროული მნიშვნელობისაგან. ე. ი. ზმნურ ფორმის შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე დროული მნიშვნელობის ვადმოცემის შესაძლებლობა. მათგან კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ ერთ-ერთია რეალიზებული.

შედარებისათვის: მოახრობით ბრუნვა მხოლოდ სუბიექტის ბრუნვაა. სხვა ფუნქციით იგი წინადადებაში არ შეიძლება შეგვხვდეს. სახელობითი — სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტისა; მიცემითი — სუბიექტის, პირდაპირი ობიექტისა და არიბი ობიექტისა.

ნავეთთა დახასიათებისას დროის ტოლფას კატეგორიად მოაჩვენვა კილოც. როგორც იტყვა, ეს იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ ნავეთის აღმნიშვნელ ტერმინად „დრო-კილოც“ იხმარება და, შესაბამისად, უღვლელების სისტემა „დრო-კილოთა სისტემის“ სახელით მოახსენიება.

არის თუ არა კილო მორფოლოგიური კატეგორია და, შესაბამისად, უცვალელებელი ერთი ნავეთის ფარგლებში?

კილოს კატეგორიასთან დაკავშირებულ საკითხთა სირთულეს ისიც შეაიხრობებს, რომ გერჯერობით საკმაოთა, უოველ შემთხვევაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ამ კატეგორიაში შემავალ ერთეულთა რაოდენობა.

არნ. ჩიქობავას აზრით, კილო ქართულში რთბია: თბრობითი, ბრძანებითი, კავშირებითი და პარობითი (არნ. ჩიქობავა, 1967, გვ. 48).

**შენიშვნა:** უფრო აღრინდელ შრომაში ხუთი კილოა გამოყოფილი: თბრობითი, ბრძანებითი, პარობითი, ნატერითი, კავშირებითი (შენიშვნით: „კავშირებითის ქილა კილოდ მუიარეული მოუღენა“) (არნ. ჩიქობავა, 1952, გვ. 276).

ა. შანიძის აზრით, „გვაქვს სამი კილო: თბრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 204). საინტერესოა ეს ფაქტი, რომ შემდგომ მსკელობაში განიხილება თბოენითი კილო (შთის დიალექტებისათვის დამახასიათებლადია მიჩნეული) (იტყვე, გვ. 207) და აკრძალვითი: „აკრძალვითის, ანუ უკუთქმით ბრძანებითის, საკუთარი მწკრივი

არ გააჩნდა და არც ამჟამად გააჩნია. საფუძვლად ედება, რომ ეს წარმოდგენათი ბრძანებითის მწკრივის კი არ სარგებლობს, არამედ სხვა კალოთაგან სესხულობს ფორმებს“ (იქვე, გვ. 207).



**შენიშვნა:** ავტორი კალოზ კატეგორიის განხილვისას თანმიმდევრულად, ცალ-ცალკე პარაგრაფებად წარმოადგენს „თხრობით კალოზ“ (§ 248), „კავშირებით კალოზ“ (§ 249), „ბრძანებით კალოზ“ (§ 250), „თხოვნით კალოზ“ (§ 254). ამას მოსდევს პარაგრაფი „აქრძალეითი“ (§ 255). პარაგრაფში აქრძალეითის კალოდ არ მოახსენიებს, მაგრამ მსჯელობის თანმიმდევრობა მას დასახელებულ კალოთა რიგში აყენებს. ცალკე პარაგრაფად გამოყოფილ ამას უნდა ნიშნავდეს.

კიდევ ორი კალოა გამოყოფილი „საფუძვლებში“: **პირობითი და შედეგობითი:** „პირობითი ია ზმნის ფორმა, რომელიც რომელსამე მოქმედებას წარმოგვიდგენს როგორც აუცილებელ პირობას მეორე მოქმედების შესასრულებლად. ის გვხვდება დამოკიდებულ წინადადებაში. შედეგობითი ია ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება მოხდებოდა, თუ სათანადო პირობა იქნებოდა შესრულებული“ (იქვე, გვ. 209).

ამდენად, კალოზ კატეგორიის განმარტებისას (§ 247, კალოზის რაობა) სამი კალო იქნა გამოყოფილი: თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი. შემდგომ მსჯელობაში დაემატა: თხოვნითი, აქრძალეითი, პირობითი და შედეგობითი.

ამათგან პირველი სამი იმით განსხვავდება დანარჩენებისაგან, ავტორის აზრით, რომ „მწკრივების შექმნაში იღებენ მონაწილეობას“.

როგორც ვხედავთ, გამოიყო შეიძლია კალო. მათი დაჯგუფება და დახასიათება ასეთია:

**თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი** — მონაწილეობენ მწკრივების შექმნაში;

**თხოვნითი** — მთის კალოებისათვისაა დამახასიათებელი;

**აქრძალეითი** — საკუთარი მწკრივი არ გააჩნია, სხვა კალოთაგან სესხულობს ფორმებს;

**პირობითი, შედეგობითი** — საკუთარი მწკრივის ფორმა არ გააჩნიათ; არც მწკრივების შექმნაში იღებენ მონაწილეობას.

მხოლოდ წარმოდგენილი თვალსაზრისების გაყენობაც საკმარისია, რომ გავითვდეს დასკვნა, რამდენად რთულია და საკამათო კალოზ კა-

ტეგორია, სამრავლე და აზრთა სხვადასხვაობა კილოს კატეგორიაში შემავალ ერთეულთა შესახებ პრაქტიკული ვრამატიკებიდან მოყოლებული ვლემდე გრძელდება.



**შენიშვნა:** იხევე, როგორც დროის კატეგორიის შემთხვევაში, კილოს კატეგორიის რაობის საკითხი პრობლემურია და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს სხვა ენებშიც. მაგალითისათვის: რუსულ ენაში „რაოდენობა, კილოს შესაღწელობა და ურთიერთდამოკიდებულება მათ შორის სხვადასხვა ვრამატიკაში სხვადასხვაგვარად განისაზღვრება“. ა. შახმატოვი შეიჯ ერთეულს გამოყოფს კილოს კატეგორიაში: ა. პიტეზნია – ითხს. ვ. ენოზრადოვი – ითხს (კილოთა სახეობანი არ ემთხვევა ა. პიტეზნიას თვალსაზრისს). რუსული ენის აკადემიურ ვრამატიკაში სამი კილოა გამოყოფილი (1980, გვ. 619).

სასწავლო დანიშნულებისათვის გამოხეულ გამოცემებში კილოს საშწევროვანი სისტემა წარმოდგენილია: თბრობითი, კემორებითი და პრძანებითი (ა. შანიძე, 1980, გვ. 107; ლ. კვაჭაძე, 1981, გვ. 236). ჩვეულებრივ, ეს თვალსაზრისია გამოარებული.

**შენიშვნა:** არის ცდა კილოს არი სახეობის გამოყოფისაც: რეალურისა და ირეალურის. „საუღლებელ ერთეულთა ძირითადი ნაწილი კილოური თვალსაზრისით არ ეკუთვება შეიძლება ვთქვით ა) საკვებში, რომლებაც ვადმოსცემენ რეალური მოქმედების, რეალური კილოს შინაარსს და ბ) საკვებში, რომლებაც ირეალური კილოს შინაარსს ვადმოსცემენ. რეალური იქნება კილო, რომელშიც გამოხატულია მოსახურის თვალსაზრისი, – ზმნის მოქმედება ვაგებულ იქნეს როგორც ფაქტი, – შესრულებული ან შესასრულებელი. ირეალური იქნება კილო, რომელშიც გამოხატულია მოსახურის თვალსაზრისი, – ზმნის მოქმედება ვაგებულ იქნეს როგორც სექვეო, შესაძლებელი სავარაუდო მოვლენა, ირეალობა“ (ა. პაპაძე, 1984, გვ. 15). ავტორის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ: კილო რთული კატეგორიაა და მისი სახეობის გამოყოფა-განსაზღვრება ვადამწვევტი შნიშვნელობა აქვს ამ პოზიციას ვათვალისწინებას, რომელშიც სასაღლითო ზმნა მოქმეული (გვ. 14); რომ „ირეალურ მოქმედებათა სხვადასხვა სახის ვადმოსაცემად ენაში მოვლი სისტემა შექმნილია ვრამატიკული ფორმა, ირეალურ და რეალურ მოქმედებათა გამოხატეული ზმნების პიპო-



ტაქსური მიმართება, ნაწილად-მორფეზიოდება და მათი ურთიერთმიმართებით შედგენილი მოვლულება" (გვ. 16), რომ „თანამედროვე ქართულში არეალობის სხვადასხვა ხაზის, სხვადასხვა მიდგომის გადმოსაცემად ძირითადი და განმარტებულია წინადადებათა კონსტრუქცია" (გვ. 16) — გვამდევს უფლებას, ექვე შევატანიოთ ამგვარად ვაგებულთა კილოს კატეგორიის მორფოლოგიურობაში. ამას შემდგომი მსჯელობაც უჭერს მხარს.

ამდენად, კილოს კატეგორიის არსებობა სადავოდ არ არის გამსაღარი. ყველა შემთხვევაში იგი მორფოლოგიურ (გრამატიკულ) კატეგორიად გაიპარება. კატეგორიის შემადგენელ ერთეულთა რაოდენობა კი რაოდენ შეიღამე მერვეობს. თუმცა ვაგრცულებული თვალსაზრისის მიხედვით სამ ძირითად ერთეულს გამოყოფენ: თბრობითს, კავშირებითს და ბრძანებითს.

როგორც დროის კატეგორიის შემთხვევაში, დღისეა საკითხი კილოს კატეგორიის ნიშნის ძიებისა (ცხადია: მორფოლოგიურ კატეგორიის ნიშანი უნდა ჰქონდეს). კავშირებითის ნაკეთებში გამოვლენილი -ა, -ვ, -ო სუფიქსები კავშირებითი კილოს მორფოლოგიურ ნიშნებადაა გაიპარებული (ნ. კოტინოვი, 1959, გვ. 388—389; 1986, გვ. 13).

შენიშვნა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ ავტორი ერთ შემთხვევაში აღნიშნულ სუფიქსებს კავშირებითი კილოს მაწარმოებლად მიიჩნევს — „კავშირებითის ქართულში რამდენიმე მაწარმოებელი სუფიქსი მოეპოვება, ესენია: -ვ, -ა, -ო, -ო სუფიქსები" (ნ. კოტინოვი, 1986, გვ. 28) — სხვა შემთხვევაში აღნიშნული სუფიქსები ნაკეთის მაწარმოებელ ელემენტებად გაიპარება: „კავშირებითი მეორე ნამყო სრულის ფორმიდან მომდინარეობს მისი მაწარმოებელი სუფიქსები: -ვ, -ა, -ო" (იქვე, გვ. 14); „ძველ ქართულში კავშირებით პარველს არა მაწარმოებელი აქვს..." (იქვე, გვ. 22).

საყოველთაოდ გაიპარებული თვალსაზრისის მიხედვით კი. იგივე აფიქსები ნაკეთის მაწარმოებელი ფორმირებათა და არა კილოსი (ა. შანიძე, 1973, გვ. 425, 433; არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. 139, 142; ვ. თოფურია, 1967, გვ. 167...).

თუ არის მკვლობა კილოს მორფოლოგიურ გამოხატებაზე, საუბარია მხოლოდ კავშირებითზე; თბრობითისა და ბრძანებითის კილოსი მორფოლოგიური გამოხატვა არ ხდებათ. გამოდის: კილოს სამწვევრიანი

სისტემადან (ზოგი კლასიფიკაციით კილოთა რაოდენობა მეტია...) მარ-  
ჯარბებულია ერთი; ეს თავისთავად ემპირიულ სუბსტანციას ა. ვ. რსუ-  
ფქსთა ამგვარი კლასიფიკაციისას. ამ წინააღმდეგობის მოხსნის ცდაა  
კილოს ორწევრიანი სისტემის დაშვება, რაც ასევე სადავოა.

შეიძლება, არ გვეჩვენა კილოს კატეგორიის გამომხატველი მარ-  
ფოლოგიური ელემენტი და ამ კატეგორიის გამომხატველად ამა თუ  
იმ ნაკეთის ფორმა წაგვეთვალა (ფორმის სტრუქტურა, ყალიბი), რომ  
ერთი არსებითი ხასიათის დაბრკოლება არ იყოს.

თუ დავუშვებთ, რომ ნაკეთის ფორმა არის ამა თუ იმ კილოს მარ-  
ფოლოგიური გამოხატულება, მაშინ ამა თუ იმ ფორმას შოლოდ ერთი  
კილოური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. აღნიშნავენ კიდევ, რომ კი-  
ლოს კატეგორია ერთი ნაკეთის ფარგლებში უცვლელბელი კატეგორიაა  
(ა. შანიძე, ლ. კვაჭიძე...).

არის კი ასე? მივმართოთ ისევ სპეციალურ ლიტერატურას:

**ა. შანიძე:** „...შეიძლება, რომ მწერიც, რომელიც უმთავრესად ერთ  
კილოს ემსახურება, ზოგ შემთხვევაში სხვა კილოს გადმოსაცემად იყოს  
გამოყენებული“ (1973, გვ. 208); „დამოუკიდებლად (უკავშიროდ) ხმა-  
რბული კავშირებითი შეიძლება ბრძანებითად იქნეს გამოყენებული:  
წავიდეს! წავიდეთ!“ (იქვე, გვ. 205); „ბრძანებით კილოს საკუთარი  
ფორმები არ გააჩნია, იყენებს ან თბრობით, ან კავშირებით კილოს  
ფორმებს“ (იქვე, გვ. 206—207).

**ლ. კვაჭიძე:** „თბრობითი კილოს ფორმამ იმავე კილოს სხვა ფორ-  
მასთან მიმართებით შეიძლება ასალი კილოს მნიშვნელობა მოიპოვოს“  
(1981, გვ. 238).

**ნ. კოტინოვა:** „კავშირებითი სხვა კილოებსაც გადმოსცემს: იგი  
ძველ ქართულში ძირითადი საშუალებაა თბრობითი კილოს მეოფადის  
გადმოსაცემად, ერთადერთი საშუალებაა პირველი პირის ბრძანებითი  
რიცხვის ბრძანებითი კილოს გამოსახატავად და ერთ-ერთ საშუალებას  
წარმოადგენს მეორე და მესამე პირის ბრძანებითის გადმოსაცემად.  
გამოდის, რომ კავშირებითი კილო ასრულებს სამივე კილოს — კავ-  
შირებითის, თბრობითისა და ბრძანებითის — ფუნქციებს“ (1986,  
გვ. 36).

**შენიშვნა:** კავშირებითის ნაკეთებს ფორმათა კილოს  
ფორმებად ვაჩვენებამ ამგვარ მხედლობამდეც მიგვყავანა:  
კავშირებითი კილო გადმოსცემს თბრობით (ბრძანებით,  
კავშირებით) კილოს, რაც იგივეა, ეამტკიცეთ, მოთბრობი-  
თი ბრუნვა გადმოსცემს მიცემით ბრუნვას.

ამგვარად, ფაქტია, რომ ერთი და იგივე ზმნური ფორმა სხვადასხვა  
შემთხვევაში სხვადასხვა კილოური მნიშვნელობის გამომხატველი შე-

იძლება იყოს. სხვაგვარად: კოლოტრი მნიშვნელობის ცვლა არაა უწყვე-  
ულად ამა თუ იმ ზმნური ფორმისათვის; კილო არაა უცვლელად გა-  
ტეგორია ერთი ნაკეთის ფორმებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში იმასაც აღნიშნავენ, რომ კოლოტრი  
მნიშვნელობის გამოვლენას კონტექსტი შეაბიძგებს.

გავიხსენოთ: უკვემოხოდ ხმარებული კავშირებითის ნაკეთი ბრძა-  
ნებითი კილოს ფუნქციას იძენს (ა. შანიძე). გამოდის: კავშირებითის  
ფუნქცია კონტექსტითაა შეაბიძგებული. იმ კონტექსტური გარემოს  
მოშლა კოლოტრი მნიშვნელობის ცვლას იწვევს.

ლ. კვაჭიძე: „ამ ორი კილოს გაგება (პირობითისა და შედეგობითის)  
თხრობითის ფორმას კონტექსტში ეძლევა“ (1981, გვ. 238); „კავშირე-  
ბითის ფორმა ცალკე ნაკლებად იხმარება. იგი ჩვეულებრივ მთავართან  
რომ კავშირით შეერთებულ წინადადებაში გვხვდება“ (იქვე, გვ. 236).

ა. შანიძე: „ამ კონსტრუქციითა ანალიზს ამ დასკვნამდე მივყავართ,  
რომ თანამედროვე ქართულში ირვალის სხვადასხვა სახის. სხვადა-  
სხვა მოდალობის გადმოსაცემად ძირითადი და განსაზღვრულია წინა-  
დადებათა კონსტრუქცია“ (1983, გვ. 16).

გარდა ამისა ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა გვეყვლია II სერიის  
ნაკეთთა კოლოტრი მნიშვნელობის საკითხი. აღმოჩნდა, რომ წყვეტი-  
ლის ფორმას სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა კილოს გამოხატვის  
შესაძლებლობა აქვს:

კილო თხრობითთა: „ამ უოფით გავშორდი ელადიკავკასს და ბარი  
ნებში ქვეყნისაკენ ვჭეინ“ (ილია).

კილო ბრძანებითთა: „შენ აასრფდე, რასაც გიმბრძანებენ“ (ავაკ).

კილო კავშირებითთა: „თუ ის იმერელი წაქცევი, რაც ვინდა  
მთხოვე“ (მ. ქავახიშვილი).

მაგალითების გაზრდა შესაძლებლად შეიძლება.

ასევე: მეორე კავშირებითის ნაკეთის ფორმით შეიძლება ვადმოა-  
ცეს როგორც კავშირებითი კილოს მნიშვნელობა, ასევე თხრობითი და  
ბრძანებითი კილოს მნიშვნელობები. მაგ.: „ვევბ დამბაროს მორგემა“  
(ვაჟა) — კილო კავშირებითთა;

„დაედეგო იქ, სადაც ქარიშხალია“ (გალაკტიონი) — კილო ბრძანე-  
ბითთა: „ამ შემოდეგომანზე ველარ დიბიროს ზირიკმა ხელთ მკერის  
ქამი“ (გ. ლუონიძე) — კილო თხრობითთა (ა. შანიძე, 1981, გვ. 150).

**შენიშვნა:** ამ საკითხებზე მსჯელობა გვქონდა წიგნში  
„ღრმ-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში“,  
თბ., 1984, გვ. 18–28).

მაგალითების გაზრდა ყველა შემთხვევისათვისაა შესაძლებელი.  
წარმოდგენილი მსჯელობა და ფაქტები ცხადყოფს, რომ ამა თუ იმ

ნაკეთის ფორმას ქართულში აქვს შესაძლებლობა სხვადასხვა კილოურ-  
ჩი მნიშვნელობის გამოხატვისა.

ისევე როგორც დროის კატეგორიის შემთხვევაში, აქაც მსჯელობენ  
„ძირითად, ამოსავალ“ და „შეორვეულ, შეძენილ“ კილოურ მნიშვნელობა-  
ბაზე. როცა ერთ ფორმას რამდენიმე კილოს გამოხატვის შესაძლებ-  
ლობა აქვს, რის მიხედვით უნდა მოეყვას კვალიფიკაცია ძირითადი და  
არაძირითადი მნიშვნელობისა? სიბშირელი მონაცემი ამა თუ იმ მნიშ-  
ვნელობის გამოვლენისა არ უნდა იყოს ენობრივი ფაქტის შეფასების  
ძირითადი კრიტერიუმია; კიბხვა, რომელიც დროის კატეგორიის მიმართ  
დასვა, უნდა გავიმეორათ: რა ანიჭებს ძირითად კილოურ მნიშვნელო-  
ბას ფორმას; ანდა, რა არის ის, რაც „ძირითადი კილოური მნიშვნე-  
ლობის“ მიჩქმალვასა და ახალი კილოური მნიშვნელობის მანიჭებას  
აწევს?

ფაქტია: 1. არ ხდება კილოს გამოხატვა მორფოლოგიური საშუალებ-  
ებით.

2. ერთი და იგივე ფორმა ამა თუ იმ ნაკეთისა სხვადასხვა კონტექს-  
ტში სხვადასხვა კილოს გაგებას იძენს. სხვაგვარად: კილოურ მნიშვნე-  
ლობას ამა თუ იმ ნაკეთის ფორმას კონტექსტი ანიჭებს. კონტექსტის  
სახეობა, კონსტრუქციაში შემავალ წევრთა სემანტიკა შეაძირობებენ  
ფორმის კილოურ მნიშვნელობას.

როგორც ითქვა, სპეციალურ ლიტერატურაში ორივე ამ მომენტზე  
გვხვდება მინიშნება. მაგრამ ძირითადი დებულება — კილო მორფო-  
ლოგიური კატეგორიაა: კილო უცვლელად ელემენტია ერთი ნაკეთის  
ფარგლებში — მალაში რჩებოდა.

საერთოდ, არის ეს შესაძლებელი ცალკე იდებელი კონტექსტისა-  
გან იზოლირებელი, ზმნური ფორმის კილოურ მნიშვნელობაზე საუბ-  
რისი? ვფიქრობთ, არა: როგორც ზემოთ მოვეყვანილი თვალსაზრისები-  
დან ჩანს, თითქმის ყველა შემთხვევაში ხდება გათვალისწინება კონ-  
ტექსტის ხასიათისა, კონსტრუქციის სახეობისა ამა თუ იმ ფორმის კი-  
ლოური მნიშვნელობის დახასიათებისას.

კილოური მნიშვნელობის გამოვლენა რომ კონტექსტზეა დამოკი-  
დებული, ამის გამოა ისიც, რომ არაა ერთგვაროვანი აზრი კილოთა  
რაოდენობის შესახებ. მორფოლოგიური კატეგორია, ფორმოპირივად  
შეპირობებული მნიშვნელობა ამგვარ სხვადასხვაობას კატეგორიის  
შემადგენელ ერთეულთა რაოდენობის შესახებ არ უნდა იძლეოდეს.

ისევე როგორც დროის კატეგორიის შემთხვევაში, ამა თუ იმ ფორ-  
მის „ძირითად“ და „შეორვეულ“ კილოურ მნიშვნელობაზე მსჯელობა  
იმის მიხედვით, თუ როგორია სიბშირე რომელაზე კილოური მნიშვნე-  
ლობის გამოვლენისა, ძვეე არ ჩანს გამართლებული. ფაქტია, წყვეტი-  
ლის ფორმის გამოყენების შემთხვევები უზრუნველყოფს კილოს მნიშვნე-

ლობით უფრო სწორია, ეიდრე ბრძანებითი თუ კავშირებითი ცუდის მნიშვნელობით... ეს კი შედეგია იმისა, რომ ენაში იმგვარ კონსტრუქციათა სიბშირე, რომელშიც წყვეტილის ფორმას აბრუნებდა ვიღაც მნიშვნელობა აქვს, ჭარბობს იმ ტიპის კონსტრუქციათა სიბშირეს, რომელშიც იგივე ფორმა სხვა კილოურ მნიშვნელობას იძენს. ასევე შეიძლება ითქვას სხვა ნაყვთის ფორმათა შესახებაც.

დასვენა ასეთია: კილო არ არის მორფოლოგიური კატეგორია, რადგან: ა) არ ხდება მისი გამოხატვა მორფოლოგიურად; ბ) კილოური მნიშვნელობა ცვალებადია ერთი ნაყვთის ფარგლებში. კონტექსტის გარეშე ფორმის კილოური მნიშვნელობა ვერ გაირკვევა; კილოურ მნიშვნელობას ფორმას კონტექსტი ანიჭებს.

**შენიშვნა:** ერთ ფაქტს ვვინდა მივაქციოთ გურადღება. გ. ახლადღანის რედაქციით გამოხულ „ენათმეცნიერების შესახდის საკითხებში“ ვკითხულობთ: „სახდელის კატეგორიებია ბრუნვა, რაცხვა, სქესი, განსაზღვრულობა-განუსაზღვრულობა, ხოლო ზმნისა — პირი, რაცხვა, კილო, ქვევავგარი, დრო და სხვა. განვიხილოთ თითოეული ეს კატეგორიები ცალ-ცალკე“ (გ. შიქვაარიანი, გ. ნებიერიძე, 1972, გვ. 202). საუბარია მორფოლოგიურ კატეგორიებზე. იქვე ასეთი თვალსაზრისიცაა წარმოდგენილი: „გრამატიკული კატეგორიის შესახებ ელამარაკობთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათანადო ვრამეშები ვაკტვს. რუსული ქვევავს გამოხატავს არა გრამატიკული საშუალებებით, არამედ ლექსიკური საშუალებებით, და ამიტომ რუსულში ქვევავს კატეგორია არ გამოიყოფა“ (გვ. 211). ნამროშში თანმიმდევრულადაა განხილული სახელისა და ზმნის კატეგორიები, გარდა დროისა და კილოსი. აღმათ იმიტიომ, რომ არ ხდება ამ კატეგორიათა გამოხატვა მორფოლოგიურად და ამიტომ სხვა გრამატიკულ კატეგორიათა ვერდით მათი დაფენება არ მოხერხდება.

საკითხი ამგვარადვე დაისმის გზისობის (ახალი ქართულისათვის) აქტისა და თანამდევრობის შესახებ (იბ. არნ. შიქობაძე, 1962; ი. ქვეთარიძე, 1956).

**შენიშვნა:** ხოლმეობითობა (პრავაღუზისობა) მორფოლოგიური კატეგორიაა ზმნისა ძველ ქართულსა და ქართული ენის ზოგ დიალექტში.

როგორც ზემოწარმოდგენილმა მსჯელობამ გვიჩვენა, ერთი ნაკვეთის ფორმის კონტექსტის და მიხედვით შესაძლებლობა აქვს სხვადასხვა დროისა თუ კილოს მნიშვნელობის გადმოცემისა; ასევე, უნდა იქნას ნანახი აქტის გამოხატვისა... (შეჯამებით: ბრუნვის ფორმა და ბრუნვათა ფუნქციები).

თუ დრო და კილო არ არის მორფოლოგიური (გრამატიკული) კატეგორია, რა არის იგი?

ფაქტია, რომ ქართულში არსებობს დროის სემანტიკა, დროის ფუნქცია, მაგრამ არ ხდება მისი ფორმალური გამოხატვა. შესაბამისად, დროის კატეგორია სემანტიკური კატეგორიაა. ამის თაობაზე მიანიშნებს კიდევ არს. ჩიქობაია მოგვიანო პერიოდის ნაშრომში: „დრო, კილო და კილოსთან ფუნქციურად ახლო მდგომარეობის მორფოლოგიური კატეგორიები (თანაობისა, საერთოებო, უნებურობისა, განზრახვისა...) უპირატესად სემანტიკურ-სტილისტიკური ხასიათისა ჩანს (არს. ჩიქობაია, 1979, გვ. 165). დროსა და კილოს სემანტიკურ კატეგორიად მიიჩნევს აგრეთვე ბ. ქობენაძე (1986, გვ. 134). სემანტიკური კატეგორიათა შესახებ აღნიშნავენ, რომ: „სემანტიკური კატეგორიები, როგორც წესს, გამოიხატებიან სპეციალური მორფოლოგიური (ფორმალური) საშუალებებით, მაგრამ შეიძლება გამოიხატოს არამორფოლოგიურად, ე. ი. აღწერითად, ლექსიკურად ან კონტექსტით. გამოიყენება სხვა საშუალებებიც (მაგალითად, ინტონაცია...)“ (ბ. ქობენაძე, 1986, გვ. 134 — 135). სემანტიკური მახასიათებლები შეიძლება იცვალოს არა მხოლოდ ფორმის, არამედ კონტექსტის ცვლის შედეგადაც“ (ბ. ქობენაძე, 1984, გვ. 27). დრო და კილო ის სემანტიკური კატეგორიებია, რომელთა გამოსახატვად კონტექსტი და ინტონაცია გამოიყენება.

საბოლოოდ, ჩვენი თვალსაზრისი ასეთია: დრო და კილო არ არის მორფოლოგიური კატეგორია. შესაბამისად: ერთი ნაკვეთის ფორმითა შეორისხაგან განმასხვავებლად ვერ მივიჩნევთ ე. წ. „მწკრივის ელემენტებს“. ნაკვეთის განსაზღვრა ამ „ელემენტებს“ მიხედვით არ მოხერხდება.

ნაკვეთი ზმნის სისტემაში ასეთივე ფორმოებრივი მონაცემია, როგორც ბრუნვა სახელის სისტემაში. რამდენადაც სახელის სისტემა ვაცილებით მარტივია ზმნის სისტემასთან შედარებით, ბრუნვის რაობის განსაზღვრაც უფრო იოლად ხერხდება: გამოიყოფა ბრუნვის ფორმა, როგორც ფორმოებრივი მონაცემი და შემდეგ ხდება მისი ფუნქციური დახასიათება. ზმნის სისტემაში პირიქით მოხდა: ფუნქციიდან ამოს-

ვლით ხდება შეფასება ზმნური ფორმისა... ერთმა და იმავე ფორმამ რომ რამდენიმე ფუნქცია შეიძლება იტვირთოს, ეს ბრუნვათა ანალიზიდანაც ცხადია. ამიტომ ზმნის სისტემაშიც ანალოგიურად პროცედურაა საჭირო: არსებობს ფორმა და უნდა მოხდეს მისი ფუნქციური დახასიათება... ფორმოზრივ-ფუნქციური ანალიზი ასე გვესმის...

**შენიშვნა:** ჩვენა დასკვნა პრინციპულად ეწინააღმდეგება სამეცნიერო ლიტერატურაში ვაბატონებულ თვალსაზრისს, კერძოდ ა. შანიძის მოძღვრებას მწკრივის შესახებ, მაგრამ ჩვენთვის მასალები თვალსაზრისის საფუძველს ა. შანიძის გრამატიკულ ნააზრევშივე ვიპოეთ. მოვიყვანო ერთ-ერთი ციტატა: „მწკრივს ფორმა ერთი აქვს, ფუნქცია კი – ხშირად სხვადასხვა. სახელი მწკრივს შეიძლება ერთი ფუნქციის მიხედვით აქონდეს დარქმეული, მაგრამ როგორცა და რამდენ ფუნქციასაც უნდა ასრულებდეს ამა თუ იმ შემთხვევაში, ფორმით ის მაინც ერთი ერთეულია. ნომინეტურამ არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში: აწმყოს მწკრივში შეიძლება დრო მომაგალი ვადმოსცეს და მეოფადის მწკრივში – ეხლანდელი... აღნიშნულ მოვლენას პარალელი მოვლდებაშიც სახელია ბრუნვებში: სახელობითი მუღამ სახელობითია, ასრულებს ის სუბიექტის ფუნქციას, თუ ობიექტისას... ამგვარადვე, მაკვებითი მუღამ მიცემითაა, ვადმოსცემს ის სუბიექტს, პირდაპირ ობიექტს თუ ირიბ ობიექტს...“

ბრუნვა სახელის მიმოსახერგელი ხაზუალება, მწკრივი კი – ხმისა ფუნქცია ერთსაც და მეორესაც სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვა აქონდეს, მაგრამ თვითველი ბრუნვა და თვითველი მწკრივი თითო ერთეულია... მწკრივის ელემენტები მეტად მოძრავი რამეა და ბევრად დამოკიდებული ზმნის ფორმის გარემოცვისაგან...” (ა. შანიძე, 1973, გვ. 224). როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი მოვლდება პრინციპულად ეწინააღმდეგება ავტორისავე მოძღვრებას მწკრივის კატეგორიის შესახებ, კერძოდ მწკრივის ელემენტთა უცვალელობის შესახებ.

### შანიძე: რა არის ნაყვით?

გავიხსენოთ: ერთი თვალსაზრისის მიხედვით, ნაყვით არ არის კატეგორია, იგი ტექნიკური ტერმინია. სხვა თვალსაზრისის მიხედვით, ნაყვით კატეგორიაა, მასთან რთული კატეგორია. ამ უკანასკნელი თვალსაზ-

არის შესახებ ზემოთ ვრცლად ვეჭონდა საუბარი. ნავეთის ჩაბრუნება ამგვარი ვაგება ზენნთის სადავოა. მაგრამ არ უარვევოფთიმის, რომ ნავეთი კატეგორიაა.

მეტყველების ნაწილიდან ფორმაცვლება სახელისა და ზმნის ან-სიათებს. სახელის ფორმაცვლება ხდება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით, ბრუნვა და რიცხვი სახელის მორფოლოგიური კატეგორიებია — ხდება მათი გამოხატვა ფორმობრუნად. ეს ცნობილი ფაქტია. რისთვისღაცევირდა ამის გახსენება:

მეუთათებენ, რომ „უღვლოლება ზმნის მორფოლოგიაში იმავე რიგის მოვლენაა, რაც სახელთა მორფოლოგიაში ბრუნება. ორივე ერთი და იმავე პრინციპით უნდა იქნეს შესწავლილი“ (მ. ჯორბენაძე, 1984, გვ. 17).

ნავეთი ისეთვე მონაცემია ზმნის სისტემაში, როგორც ბრუნვა სახელის სისტემაში; „ნავეთი არის ზმნის ფუნქციონირების (ენაში ზმნის არსებობისა და გამოყენების) ფორმა. ნავეთს ფორმობრუნე მოვ-პოვება თავისი ყალბი, ფუძე და შაწაშთებელი“ (მ. ჯორბენაძე, იქვე). ბრუნვის კატეგორიის შესახებ მსჯელობისას აღნიშნავენ, რომ „ივე-ეობა ლექსიკური და სხვადასხვაობა გრამატიკული, — აი ბრუნვის ფორმათა არსებობის ნიშანი“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 46). შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ნავეთის ფორმათა არსებობის ნიშანი ლექსი-კური ივეეობა და გრამატიკული (ფორმობრუნე) სხვადასხვაობა.

ბრუნვა მორფოლოგიური კატეგორიაა სახელისა; ნავეთი — ზმნისა, რამდენადაც სახელის სისტემა მარტოვია ზმნის სისტემასთან შედარე-ბით. იმდენად ბრუნვის კატეგორია მარტოვია ნავეთის კატეგორიასთან შედარებით, რომელსაც აქვს საყუთარი ფორმა და ფუნქცია, რომელიც შესაბამის კონტექსტში გამოვლინდება.

ნავეთის ფორმობრუნე სახეს ნავეთის ფუძე ქმნის. ნავეთის ფუძედ მიიჩნევა ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშნები. ნავეთს თავისი პარადიგმა აქვს. ნავეთის პარა-დიგმას ქმნის მხოლოდ პირისა და რიცხვის ნიშნებით განსხვავებული ფორმები:

ე-ავეთებ	ე-ავეთებ-თ
ავეთებ	ავეთებ-თ
ავეთებ-ს	ავეთებ-ენ

შენიშნა: ნავეთის პარადიგმაზე მსჯელობისას ვარკვე-ვას მოითხოვს ზმნისწინის საკითხი: ავეთებ-ს და ე-ავე-თებ-ს სხვადასხვა ნავეთის ფორმებად მიიჩნევა. ავეთა და ე-ავეთ-ა — ერთი ნავეთის ფორმებად. აქედან გამოშდინა-რე, მეორე და მესამე ზერაის ნავეთთა ფუძის განმარტები-



სას ესეც უნდა აიხაზოს: ნაკეთის პარადიგმა აერთიანებს ზმნისწინით, პირისა და რიცხვის ნიშნებით განსხვავებულ ფორმებს. ამასვე ვერ ეიტყვიოთ პირველი სერიის ფორმათა შესახებაც. თუმცა II და III სერიის ნაკეთთა პარადიგმის ამგვარი განსაზღვრაც არ იქნება მოლად ზუსტი: ზმნისწინიან და უზმნისწინი ფორმათა მონაცვლეობა ერთი ნაკეთის ფარგლებში არაა ნიშანდობლივი ყველა ტიპის ზმნათათვის... ზმნისწინისა და ზმნური ფორმის საკითხი საგანგებო მსჯელობას ითხოვს.

საუბარი ნაკეთთა რაოდენობაზე ნაკეთის ფუძეთა რაოდენობის გარკვევას გულისხმობს, უღვლილების სისტემის ნაკეთთა სისტემური დაფუძვლება ქმნის. უღვლილების სრულ პარადიგმას ნაკეთეულთა სისტემა ქმნის.

უღვლილება — ზმნის ნაკეთთა მიხედვით ცვლა: უღვლილების სრულ პარადიგმაში; ნაკეთის ფარგლებში — ცვლა პირისა და რიცხვის მიხედვით (ა. შანიძე).

ამგვარად, უღვლილებას ორი მნიშვნელობით ეხმარობთ: ემწრო მნიშვნელობით ნაკეთის ფარგლებში ზმნის პირისა და რიცხვის მიხედვით ცვლას გულისხმობს; ფართო მნიშვნელობით — უღვლილების სისტემაში ნაკეთთა მიხედვით ცვლას.

სემანტიკურად ნაკეთის ცალსახად დახასიათება არ მოხერხდება ნაკეთი პოლისემანტიკური მონაცემით. დრო, კილო, ასპექტი, გზისობა, თანამდევრობა, აქტი — ამ სემანტიკურ კატეგორიათა ერთობლიობა ქმნის ნაკეთის ფორმის სემანტიკას. როგორც აღინიშნა, ერთი და იმავე ნაკეთის ფორმამ სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება სხვადასხვა დროის, კილოს... და ა. შ. მნიშვნელობა გადმოსცეს. მნიშვნელობის გამოვლენა კონტექსტზეა დამოკიდებული.

ამისდაკვალობაზე ერთი და იმავე ნაკეთის ფორმა შეიძლება სხვადასხვაგვარად დახასიათდეს:

გააკეთე! — დრო — მომავალი, კილო — ბრძანებითი, ჯერობა — ერთგვისი, აქტი — ნაწახი...

გააკეთე. — დრო — წარსული, კილო — თბრობითი, ჯერობა — ერთგვისი, აქტი — ნაწახი...

ამავე დროს, სხვადასხვა ნაკეთის ფორმა შეიძლება ერთგვარად დახასიათდეს:

გააკეთე!		დრო — მომავალი, კილო — ბრძანებითი, ჯერობა —
გააკეთოს!		ერთგვისი, აქტი — ნაწახი...

სემანტიკური პოზიციებიდან ზმნურ ფორმათა შეფასება ამგვარ ფორმებს ერთ საუღლებელ ერთეულად წარმოადგენინებდა ბრექტკოს გრამატიკოსებს, რაც სამეცნიერო გრამატიკაში, თავისთავად ცხადია, გასწორდა.

ამგვარად, ნაკვთი ფორმობრივი მონაცემია, იმდენი ნაკვთია, რამდენიც განსხვავებული ფუძეა ზმნისა ერთი და იმავე ლექსიკური მნიშვნელობის შქონე.

ამ თვალსაზრისზე დგომა ახალ ქართულში ნაკვთთა რაოდენობის გადამინჯის საკითხსაც დასვამს; ვერბოდ, საგანგებო მსგელობას მოითხოვს პირველი სერისი აწმუოსა და მუოფადის წრეებად დაყოფა.

**თავი V. ნაკვეთის რაკომენობა ახალ ბაკთულში**

როგორც აღინიშნა, ახალ ქართულში 11 ნაკვეთი გამოიყოფა. პირველი სერია 6 საუღლებელი ერთეულისაა წარმოდგენილი:

**აწმუოს წრე**

1. აწმუო — ვწერ
2. უწყაბაბალო — ვწერდი
3. აწმუოს კავშირებითი — ვწერდუ

**მყოფადის წრე**

4. მყოფადი — დავწერ
5. ხოლმეობითი — დავწერდი
6. მყოფ. კავშირებითი — დავწერდუ

ფორმობრივი თვალსაზრისით დაპირისპირება

- ვწერ — დავწერ  
 ვწერდი — დავწერდი  
 ვწერდუ — დავწერდუ

იმავე რიგისაა, როგორც

- ვწერე — დავწერე  
 ვწერთ — დავწერთ  
 მიწერთა — დამიწერთა  
 მეწერთა — დამეწერთა  
 მეწერთოს — დამეწერთოს

თუ პირველი სერიის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები სხვადასხვა ნაკვეთის ფორმებადაა მიჩნეული, მეორე და მესამე სერიის შემთხვევაში ამგვარადვე დაპირისპირებული ფორმები სხვადასხვა ნაკვეთისანებად არ გაიგება:

- |                    |        |          |             |
|--------------------|--------|----------|-------------|
| ვწერ — აწმუო,      | მადრამ | ვწერე    | } წყაბაბალო |
| და-ვწერ — მყოფადი, |        | და-ვწერე |             |

როგორც ცნობილია, ძველ ქართულშიც გვაქვს ამგვარივე დაბი-  
 რისპირება პირველ სერიაში ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა  
 შორის, მაგრამ ზმნისწინით განსხვავებული ფორმები სხვადასხვა  
 ნაყოთად არ გაიანზრებოდა. ასპექტის სისტემაში მომხდარი ცვლილებები  
 აწმყოს ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შორის დროული დაბი-  
 რისპირების საფუძველი გახდა: უზმნისწინო ფორმამ აწმყო დროის  
 გადმოცემა იტვირთა, ზმნისწინიანმა — მომავლისა. „პარალელურ  
 ფორმათა განსხვავებული გამოყენებით ახალმა სისტემამ აწმყოს ჭკუ-  
 ფის სამი მწკრივისაგან წარმოქმნა სამი ახალი მწკრივი, განსხვავებუ-  
 ლი ერთმეორისაგან შესაბამისად არა მარტო ასპექტის მიხედვით,  
 არამედ დროისა და სხვა ელემენტების მიხედვითაც. ეს მოხდა ისე,  
 რომ გარეგნულად ახალი არაფერია არ უოფილა შექმნილი, — გამოყე-  
 ნებული იქნა არსებული მარაგი ფორმებისა, ოღონდ გრამატიკული  
 შინაარსის შეცვლით“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 270). „უზმნისწინო ფორმა  
 ახლანდელ დროს აღნიშნავს, ზმნისწინიანი — მომავალს, ასე მივიღეთ  
 ერთის ნაცვლად ორი მწკრივი: აწმყო და მყოფადი. ასევე გაიმიჯნა  
 მათგან ნაწარმოები სხვა მწკრივებიც: უწინააღმდეგო და ხოლმეობითი,  
 აწმყოს კავშირებითი და მყოფადის კავშირებითი“ (ზ. კუმბურძიძე,  
 1986, გვ. 5).

ამგვარად, მყოფადის დამოუკიდებელ ნაყოთად გამოყოფა დროის  
 კატეგორიის საფუძველზე მოხდა „მწკრივის ელემენტების“ მიხედვით  
 თუ შევადარებთ აწმყოსა და მყოფადს, ასეთ სურათს მივიღებთ:

აწმყო დრო — ახლანდელი	მყოფადი დრო — მომავალი
კალი — თბრობითი	კალი — თბრობითი

თუ დავუშვებთ, რომ ამგვარი დაბირისპირება საკმარისია წერს და  
 დაწერს ფორმათა სხვადასხვა ნაყოთებად მიჩნევისათვის, ვაჭირდება  
 ამგვარივე საფუძვლის მოძებნა წერდა — დაწერდა ფორმათათვის. ამ  
 ფორმებს ასე ახასიათებენ:

უწინააღმდეგო	ხოლმეობითი
დრო — წარსული	დრო — წარსული
კალი — თბრობითი	კალი — თბრობითი
გზისობა — მრავალგზისი	გზისობა — მრავალგზისი

როგორც ვხედავთ, „უღლების კატეგორიათა“ მიხედვით დახასია-  
 თება უწინააღმდეგოსა და ხოლმეობითისა იდენტურია მართალია, ა. შა-  
 ნიძე უწინააღმდეგოს მწკრივის დახასიათებისას ხაზგასმით არ მიაჩნინებს  
 მრავალგზისობაზე, მაგრამ ხოლმეობითის კატეგორიაზე მსჯელობისას  
 აღნიშნავს, რომ „ყოცხალ კალითა უმეტესობამ და სალიტერატურო  
 ქართულმა ეს ფორმები (ე. ი. მრავალგზისობის გამომხატველი ფორ-

მეზი — გ. გ.) დაკარგა, სამაგიეროდ მათი გამოხატვა უწყვეტად და მისგან ნაწარმოებ ხოლმეობითის მწკრივს დააკისრა“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 210). ლ. კვაჭიძე უწყვეტლის დახასიათებისას ხაზგასმით აღნიშნავს: „უწყვეტლის მწკრივით მრავალგზისობა გადმოიყვება“ (ლ. კვაჭიძე, 1981, გვ. 253). ამდენად, „უღლები კატეგორიათა“ მახედვით უწყვეტლისა და ხოლმეობითის ნაყვებებს შორის სხვაობა არაა, თუმცა ხოლმეობითის ნაყვთისაგან უწყვეტლისათვის განმასხვავებელ ნიშნად თანამდევრობაც მიიჩნევა: „ზოგჯერ ის თანამდევრობასაც შეიცავს, — სახელდობრ ერთდროულობას წარსულში“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 218). არაა შემთხვევითი, რომ ავტორი თანამდევრობას უწყვეტლის ფორმისთვის ჩვეულებრივ დამახასიათებლად არ მიიჩნევს („ზოგჯერ ის თანამდევრობასაც შეიცავს...“). თანამდევრობა, თუკი საერთოდ შეიძლება ნათვალის კატეგორიად, არაა მორფოლოგიური კატეგორია. მსჯელობა „ერთდროულია ზმნის ფორმა, რომელიც ვაგებინებს, რომ ერთი მოქმედება სხვა დასახელებულ (ან ნაგულისხმევ) მოქმედებასთან ერთად ხდებოდა“ — გულისხმობს რომ თანამდევრობაზე მხოლოდ რთულ კონსტრუქციებში შეიძლება საუბარი. მოყვანილი მაგალითებიც ამის დასტურია: „შინ რომ მივედი, თოვდა, „თოვდა“ ფორმით გამოხატული დრო ემთხვევა შინ დაბრუნების დროს“ (გვ. 213). მარტივ კონსტრუქციებში ხმარებულ უწყვეტლის ფორმით გამოხატულ თანამდევრობაზე ვერ ეისაუბრებთ. ფაქტობრივ თანამდევრობა გამოდის სხვადასხვა კონსტრუქციაში სხვადასხვა ზმნით გამოხატულ მოქმედებათა ერთი-ერთიმართება დროის თვალსაზრისით, რაც ამა თუ იმ ზმნის მორფოლოგიურ მახასიათებლად არ შეიძლება მივიჩნიოთ.

გარდა ამისა, ა. შანიძე უწყვეტელსა და ხოლმეობითს შორის ასპექტურ სხვაობაზეც მიაჩნნებს: უფრო ზუსტად, უწყვეტლისათვის დამახასიათებლად უსრული ასპექტის გამოხატვას მიიჩნევს: „ზოგჯერ აგრეთვე უსრული ასპექტის გადმოიყვება ეკისრება“ (გვ. 219). მაგრამ ასპექტი, ავტორის აზრით, წარმოქმნის კატეგორიაა და უღლებების საკითხების განხილვისას, კერძოდ ნაყვთთა გამოყოფისას, მხედველობაში არ მიიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში აკეთა და ვააკეთა სხვადასხვა ნაყვთის ფორმებად ჩაითვლებოდა...

გამოდის, რომ აწმყო-მყოფადის გამოყოფა მოეახდინეთ უღლებების ერთ-ერთი კატეგორიის — დროის — მიხედვით. უწყვეტელი და ხოლმეობითი უღლებების კატეგორიათა მიხედვით არ განსხვავდება. მივიჩნევთ კი მაინც სხვადასხვა ნაყვთებად აწმყოსა და მყოფადის მსგავსად-

სეთივეა მიმართება აწმყოს კავშირებითსა და მყოფადის კავშირებითს შორის.



**„აწმყოს კავშირებითი. შედეგება ორა ელემენტისაგან: დროისა და კოლოსაგან. დრო ეხლანდელია ან მომავალი, კოლო — კავშირებითი“** (ა. შანიძე, 1973, გვ. 219).

**„ყოფადის კავშირებითი. ამ მწკრივს მოეპოვება ორა ელემენტია დრო (მომ.) და კოლო (კავშ.)“** (იქვე, გვ. 220).

როგორც ვხედავთ, ამ ორ ნაყთის შორის არსებითი სხვაობა არაა. თუ შევხედვით იმას, რომ აწმყოს კავშირებითს, როგორც აღნიშნავენ, შეიძლება ზოგჯერ ახლანდელი დროს გაგებაც კონდუს.

თუ ამ ფაქტს დავეშვარებით, გამოვა, რომ აწმყოს კავშირებითი დამოუკიდებელ ნაყთად მაშინ უნდა მივიჩნიოთ, როცა ის აწმყო დროის გამომატეულია თუ მას მომავალი დროის გაგება ექნება, მისი მასპაითებლები დავითხევა ყოფადის კავშირებითისას და, ამდენად, ცალკე ნაყთად მისი გაზრება არც ექნება შესაძლებელი.

რა განსხვავებას არსებითად უწავებდეს ხოლმეობითისაგან და აწმყოს კავშირებითის ყოფადის კავშირებითისაგან? სხვაობა ასპექტური — „აწმყოს წრის მწკრივები უსრული ასპექტისაა, ყოფადის წრისა კი — სრულისა“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 263). **ვწარდი და ვწარდე უსრული ასპექტის ფორმებია, დავწარდი და დავწარდე — სრულისა ვაძეორებთ, სხვა სხვაობა ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შორის არაა.**

ანალოგიური ხასიათის სემანტიკური დამბრისპირებია მეორე და მესამე სერის ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შორის:

უსრული ასპექტი	სრული ასპექტი
ვწარე	და-ვწარე
ვწარო	და-ვწარო
მიწერია	დამიწერია
შეწერა	და-შეწერა
შეწეროს	და-შეწეროს

ამიტანა, რომ ნაყთთა გამოყოფის პრინციპი დარღვეულია: თუ მეორე და მესამე სერის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები ერთი ნაყთისანებადია მიჩნეული, სხვადასხვა ნაყთის ფორმებად არ უნდა ჩაითვალოს წარდა და დავწარდა, წერდაც და დავწერდაც; ანდა პირიქით — სხვადასხვა ნაყთის ფორმებად უნდა მივიჩნიოთ მეორე და მესამე სერის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ვარიანტებიც (როგორც ეს გააყთა დ. ყიფიანმა).

თითქოსდა სხვაგვარია ვითარება აწმყოსა და ყოფადის შემთხვევაში. მართალია, ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს შორის ასპექტური სხვაობა აქაც ისეთივეა, როგორც სხვა შემთხვევაში — აწმყოს

ფორმები უსრული ასპექტისაა, მყოფადისა — სრულს (ა. შანიძე, 1973, გვ. 263) — მაგრამ მათ შორის დროული მიმართების საკითხი დგება განსხვავებულად. არის თუ არა ეს საკმარისი აწმყოსა და მყოფადის სხვადასხვა ნაცვობად მიჩნევისათვის?

ვფიქრობთ, არა.

აწმყო-მყოფადის ფორმათა დაპირისპირებაში ზმნისწინს განსაკუთრებული როლი აქვს მიანიჭებული: როგორც ითქვამს, აწმყოს საფუძველზე ორი ნაცვთის გამოყოფა — აწმყოსა და მყოფადის — შედეგია ზმნისწინის მიერ დროული დაპირისპირების ფუნქციის შეტენისა. ზმნისწინს მწკრივთა მაწარმოებლადღაც მიიჩნევენ: „ზმნისწინს ქართულში და სავსთოდ, ქართველურ ენებში, როგორც ცნობილია, სამდენიმე ფუნქცია აკისრია: მიმართულების (გეზისა და ორიენტაციის) ჩვენება, სრული ასპექტის გამოხატვა, მწკრივთა წარმოება და ზმნის ფუძის მნიშვნელობის შეცვლა“ (ნ. ქუჭუბურაძე, 1986, გვ. 97) (ბაზი ჩვენია — ვ. ვ.). მიუხედავად იმისა, რომ მყოფადის წრის მწკრივთა გამოყოფა სამეცნიერო ვრამატიკაში ა. შანიძემ დაამკვიდრა, მის ნაპირვეში ზმნისწინის ფუნქციად მწკრივთა წარმოება არაა მიჩნეული. ა. შანიძე მიუთითებს ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შორის არსებულ დროულ დაპირისპირებაზე აწმყოსა და მყოფადს შორის და ამის საფუძველზე ახდენს ახალი ნაცვთის გამოყოფას. აწმყო-მყოფადის ანალოგიით ხდება მყოფადის წრის სხვა ნაცვთთა გამოყოფაც: „პირველურ ფორმათა განსხვავებული გამოყენებით ახალმა სისტემამ აწმყოს ჭკუფის საში მწკრივისაგან წარმოქმნა საში ახალი მწკრივი, განსხვავებული ერთიმეორისაგან შესაბამისად არა მარტო ასპექტის მიხედვით, არამედ დროისა და სხვა ელემენტების მიხედვითაც“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 270).

როგორც ვხედავთ, ასპექტის სისტემაში მომხდარი ცვლილებები იწვევს ზმნისწინთა ფუნქციების ზრდას, რაც საფუძველად ედება მყოფადის წრის გამოყოფას. ავტორი თავს არიდებს, მიიჩნიოს ზმნისწინი მწკრივის მაწარმოებლად, ეს არის საფუძველი იმისა, რომ ნაცვთთა წარმოების საკითხების განხილვისას ცალ-ცალკე არ განიხილავს აწმყოსა და მყოფადის წრის ნაცვთთა წარმოებას; მიუთითებს კიდევ: „პირველ სერიაში ორი წრის მწკრივები შემოდის, მაგრამ ფორმათა წარმოების თვალსაზრისით არსებითად ერთი რომელიმე წრის მწკრივებია საკმარისი (მაგ., აწმყოს წრისა), რადგან ორ წრედ გაყოფა ერთი სერიისა ახალი სისტემის ასპექტის შექმნასთან დაკავშირებით მოხდა და განაყოფ მწკრივებს ერთნაირი ნიშნები აქვთ“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 423). ამიტომაც, ავტორი მსჯელობს აწმყოს წარმოებაზე და გულისხმობს მყოფადსაც...

აწმყო-მყოფადის მიმართების საკითხი რომ მხოლოდ ზმნისწინიან

და უზმნისწინო ფორმათა მიმართების გარკვევით არ გადაწყვეტა, ეს რა თქმა უნდა, აშკარა და ნათელი ავტორისთვის და ამიტომაცაა, რომ ზმნისწინს ნაკეთის მაწარმოებლად არ მიიჩნევს. ა. შანიძე ხაზგასმით აღნიშნავს ამდენად მრავალფეროვანა წარმოქმნის წესებსში ზმნისწინთა გამოყენების საკითხში, რომ შეუძლებელია, სპეციალურა გამოკვლევის გარეშე, თუნდაც მიხედვებით, აღინუსხოს ძირითადი ხაზები ამ საკითხში“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 253). ა. შანიძის მოძღვრების საფუძველზე შექმნილ ნაშრომებში კი ზმნისწინი მწერლის მაწარმოებლადა მიიჩნეული (იხ. ლ. კვაჭაძე, 1981, გვ. 254; ა. კიზირია, 1984, გვ. 94).

**პასუხს მოითხოვს კითხვები:** არის კი ზმნისწინი ის ელემენტი, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ აწმყო-მყოფადის ნაკეთთა განსასხვავებლად? სხვაგვარად: აწმყო-მყოფადის ფორმათა დაპირისპირება შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ როგორც დაპირისპირება სხვადასხვა საუღლებელი ერთეულებისა? საერთოდ, გვაქვს კი რაიმე ფორმობრივი საფუძველი აწმყოსა და მყოფადის სხვადასხვა საუღლებელ ერთეულებად მიჩნევისა?

აწმყო-მყოფადის დროთა გამოხატვა, რაც აწმყოსა და მყოფადის ნაკეთთა სხვაობის საფუძველდაა მიჩნეული, ყოველთვის არაა დავაგ-შარბული ზმნისწინთან. აქ. ზ. ქუშნერძის სამართლიანი შენიშვნით, „საქმოდ ნორდფროვანი სერაითა“.

ა) მოქმედებითი გვარის ზმნითა უმრავლესობაში აწმყოსა და მყოფადის ფორმებს ზმნისწინი განასხვავებს:

აწმყო	მყოფადი
ავეთებს	გა-ავეთებს
აშენებს	ა-აშენებს
ხატავს	და-ხატავს
წერს	და-წერს და მრავალი სხვა.

**შენიშვნა** ამ შემთხვევაში, როცა ზმნისწინთა შერაკვლე-ბა დროული მიმართების თვალსაზრისით არაფერს შეცვლის, მაგალითებში მხოლოდ ერთ-ერთი მათგანს წარმოუადგენთ უფრო ნეიტრალურა, ზოგადი სემანტიკის გამომხატველს.

მაგრამ ზმნისწინთან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირება: ამ ტიპის ზმნებშიც არაა ყოველთვის ერთგვარი, თუ ზმნისწინიანი ფორმა



ჩვეულებრივ მხოლოდ მყოფადი დროის მნიშვნელობებს გამოხატავს, უზმნისწინოს შესწევს უნარი გამოხატოს როგორც აწმყო ასევე მყოფადი დრო (ა. შანიძე, 1973, გვ. 218). ა. შანიძე ამ ტიპის მავალითებად ასახელებს ზმნებს: ვცამ, ეწერ, ვაშენებ, ვასწავლი... მავალითების დასახელება შეიძლება გავრცელდეს, ფაქტია, ამგვარი ფორმები კონტრასტისდა შესაბამისად შეიძლება ერთ შემთხვევაში აწმყოს გამოხატავდეს, სხვა შემთხვევაში მყოფადს (ზოგჯერ შეიძლება დროული მნიშვნელობისაგან სავრთოდ დაკლილი იყოს). ფორმათა განაწილება დროული თვალსაზრისით ასეთი იქნება:

აწმყო

მყოფადი

ვცამ

ვცამ — შე-ვცამ

ზმნისწინა და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირება მყოფადი დროის გამოხატვის შემთხვევაში ასპექტური იქნება, ასეთივე, როგორცაა II და III სერიაში:

უსრული ასპექტი — ვცამ,

სრული ასპექტი — შე-ვცამ.

ბ) არის ერთი ნაწილი გარდაამავალი ზმნებისა, რომლებიც „ზმნისწინის დართვის უნარს მოკლებულია“ და „ერთი და იმავე ფორმით გადმოსცემს როგორც აღმანდელ დროს, ისე მომავალს. ასე მავალითად. ადღეგრძელებს ნიშნავს როგორც „სადღეგრძელოს ეუბნება“, ასევე „სადღეგრძელოს ეტყვის“ (ზ. ჭუმბურიძე, 1986, გვ. 36).

ამ ტიპის ზმნებია: აიძულებს, ანიშნებს, აგვიშნებს, აყურთხებს, ამცნობს, ამზილებს, ანაცვალავს და სხვა.

**შენიშვნა:** მყოფადის წარმოების საკითხები — წარმოების საშუალებები — საფუძვლიანად არის შესწავლილი ზ. ჭუმბურიძის მონოგრაფიაში „მყოფადი ქართულურ ენებში“ (გვ. 85—130). ჩვენი მსჯელობა ძირითადად ამ ნაშრომს ემყარება.

ასეთივეა ვითარება მხოლოდ სასხვისო ქცევით წარმოდგენილ მოქმედებითი გვარის ფორმებში: უანდერძებს, უბოძებს, უდებეშებს, უთანაგრძნობს, უთვალთვალავს, უყარნახებს და მისთანანი (ზ. ჭუმბურიძე, 1986, გვ. 87).

ზმნისწინს არ დაერთავს აგრეთვე მოზრდილი ჩვეუთი მოქმედებითი გვარის ზმნებისა, რომელთა უმეტესობა ნასახელარია და ებ თემის ნიშნით არის ნაწარმოები... ამ ტიპის ზმნათა საარვისო ქცევის ფორმა ვცხელება მოქმედებით გვარში როგორც აღმანდელის, ისე მომავალი

დროის გაგებით: აბანაეებს, (არ) აბოგინებს, ადარდებს, აღლუვრძე-  
ლებს, ავანშშებს, ათარშშებს, ათეზაეებს... და მრავალი სხვა" (იქვე).

„აქმყო და მყოფადი გარჩეული არაა უზმნისწინო ზმნათ: შეიძლო-  
ბითი კონტაქტის ფორმებშიაც, როგორცაა, მაგალითად: ავებინებს,  
ავერთებინებს, აზღვევინებს, აცემინებს, აბანაეებინებს, თავს აღებინ-  
ებს და სხვა" (იქვე, გვ. 89).

ვ) „არის ზმნათა საემაოდ დიდი რგუფი, რომელიც მოქმედებს-  
უბიპატესად ხანგრძლივი პროცესის სახით წარმოგვიდგენს და უსრულ-  
ლი ასპექტის ფორმით ამბარება. ასეთი ზმნები მყოფადში უფრო ხში-  
რად უზმნისწინოდ ვებულება, ასე რომ, აქმყოსა და მყოფადის (უსრულ-  
ლი ასპექტის) ფორმათა დამთხვევა ამ ზმნებში სისტემატურ ხასიათს  
ატარებს. ასეთია მაგალითად: აბოდებს, ათამაშებს, აცნესებს, აყო-  
ლებს, აკოტრიალებს... და სხვანი" (იქვე, გვ. 95—96).

ჩვენ ის შემთხვევები წარმოვადგინეთ, როცა უზმნისწინო ფორმა-  
გამოხატავს როგორც აქმყოს, ასევე მყოფადის მნიშვნელობას.

დ) „ფორმით აქმყო და უბიპატესად აღსაწდელი დროის გაგებას  
ატარებს, მაგრამ ამჟამად მომავალი დროის გაგებითაც შეიძლება შეგ-  
ვებდეს ენაში ვნებითის ფორმებით: ვალერსება, ვარშიყება, ებასება,  
ელღღუნება, ეთამაშება... ზოგი ამგვარი ფორმა მყოფადში ზმნისწინი-  
თაც შეიძლება წარმოგვიდგეს, რითაც გაიჩნება მყოფადის სრული და-  
უსრული ასპექტი: მაგალითად: ვალერსება — მოვალერსება, ვარშიყე-  
ბა — გაეარშიყება, ებასება — გამოებასება და სხვანი" (იქვე, გვ. 96).

ე) არის შემთხვევები, როცა ზმნისწინიანი ფორმები გამოხატავს  
როგორც აქმყოს, ასევე მყოფადის მნიშვნელობასაც. „ზმნები რომლე-  
ბიც აქმყოშიც ზმნისწინიანია, ზმნისწინს ვერ იცოდებენ ამ შინაარ-  
სობრივი სხვაობის გამო, რაც ამ ზმნისწინის მეშვეობით არის გამოხა-  
ტული... მაგალითად: მი-ბრძანდება, მი-აგებს... მი-ასწავებს, მი-უწო-  
დებს, მი-იხსენიებს... და-უდგომება, და-ეჭვრება, და-იშვება... გადმო-  
პყურება, გადმო-სცემს... შე-იღავს, შე-ეხება..." (იქვე, გვ. 89).

„განსაკუთრებით ხშირად ვებულება ასეთ შემთხვევაში აღ-, აღმო-  
და გან-, გამო- ზმნისწინები: აღ-ამყოთებს, აღ-ბეჭდავს, აღ-აღგენს...  
აღმო-ფხვრის, აღმო-აყენებს, აღმო-ცენდება... გან-აგებს, გან-აგრძობს,  
გან-აერცობს... გამო-რიცხავს, გამო-საბავს... და სხვანი..." „რაცეც ეს  
ზმნები აქმყოშიაც ზმნისწინიანი არიან, აქმყოსა და მყოფადს ვეღარ  
განასხვავებენ და ორივე მწკრავში ერთი ფორმით წარმოგვიდგებიან...  
საზიარო ფორმათა შორის განსხვავება კონტაქტის მეშვეობით მყარ-  
დება" (იქვე, გვ. 89—90).

ვ) ისეთი შემთხვევებშიც არის, როცა ზმნას აქვს როგორც უზმნისწინო, ასევე ზმნისწინიანი ფორმები, მაგრამ დროული მნიშვნელობა მხოლოდ აწმყოსი აქვს: ასეთი ვითარება, ჩვეულებრივ, ხაზგასმული ვე-არის ზმნებთან ვეაქვს:

ბბის — მიბბის  
 ქრის — დაქრის  
 ხტის — დახტის და მრავალი სხვა.

ზ) არის შემთხვევებიც, როცა ზმნისწინიან თუ უზმნისწინო ფორმებს მხოლოდ მყოფადის ვაგება აქვს:

ითამაშებს — გაითამაშებს  
 ირბენს — გაირბენს  
 იფრენს — გაიფრენს  
 იყოთხავს — წაყოთხავს და მისთანანი.

ეს უკანასკნელი შემთხვევები სხვა მხრივაც არის საინტერესო: თუ უზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს მხოლოდ აწმყოს ვაგება აქვთ, ისინი იმავე ფუძისაგან მყოფადის ვერ წარმოებენ: ნასესხები ფორმებით იესებენ ნაეღულ ნაეფთებს:

ბბის — იბბენს  
 ქრის — იქროლებს  
 ხტის — იხტუნებას

და შესაბამისად, თუ უზმნისწინიან ან უზმნისწინო ფორმებს მხოლოდ მყოფადის ვაგება აქვთ, აწმყოში სხვა ფუძისაგან წარმოებულ ფორმები ენაცულებათ:

ითამაშებს — თამაშობს  
 იფრენს — ფრენს || ფრინავს  
 იყოთხავს — ყითხულობს...

ფაქტები იმიოთა საინტერესო, რომ ამ ტიპის ზმნებში უზმნისწინებს დროული ვაგება არ შეაქვთ...

თ) არის საგანგებო შემთხვევებიც, როცა მყოფადის მნიშვნელობის მქონე უზმნისწინო ფორმებს უზმნისწინის დაზოგა აწმყოს მნიშვნელობას ანიჭებს:

მყოფადი ფაო

აწმყო ფაო

იფრენს — „ვიფრენთ მოიქცევა“; მოიგებებს — „ყოტათი ვიგია, მოლად ქვეიანი არ არის“;



- ზარმაცებს** — „ზარმაცობას და მოზარმაცებს — „ზარმაცის თუ იწევს, ზარმაცობას მობეჯება“; სებაებს იჩენს, ოდნავ ზარმაცობა“;
- თავბეჯელებს** — „თავბეჯდობას გამოიხსენს, თავბეჯდურად მოიქცევა“;
- ყოკლებს** — „ყოკლობით ივლის“;
- თავადმყოფებს** — „თავად იქნება გარკვეული დროის განმავლობაში“;
- თავადებს** — „იგივეა, რაც თავადმყოფებს“;
- სხუდელებს** — „სედღეღეით, სედღეღურად მოიქცევა, სისუდეღეს ჩაიდენს“;
- წათავბეჯელებს** — „ცოტა არ იყოს, თავბეჯდა“;
- მოყოკლებს** — „ოდნავ კოკლია“;
- წათყოკლებს** — „იგივეა, რაც მოყოკლებს“;
- მოთავადმყოფებს** — „ოდნავ თავად არს“;
- მოთავადებს** — „იგივეა, რაც მოთავადმყოფებს“;
- მოთხუდელებს** — „ცოტა სედღეღეა, მოსედღეღეა“.

**შენიშვნა:** განმარტებები აღებულია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“.

ასევე: იბრიყვებს და მოიბრაყვებს;  
 იავეებს და წათავეებს;  
 იბეჭითებს და წათბეჭითებს და მისთანანი.

წარმოდგენილი შემთხვევების განხილვა აშკარად წარმოაჩენს, რომ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დამიჯობობა არაა მუდმივი საფუძველი აწმყოსა და მყოფადის სხვადასხვა ნაკვთებად გამოყოფისა; სხვაგვარად: აწმყოსა და მყოფადის ნაკვთებზე მსჯელობისას განზოგადება იმისა, რომ მყოფადის ფორმა იწარმოება აწმყოსაგან ზმნისწინის დაბთვით, არ ხანს გამართლებული, რადგან სურათი ასეთია:

- უზმნისწინო ფორმის აქვს:
  1. მხოლოდ აწმყოს გაგება
  2. აწმყოსა და მყოფადის გაგება
  3. მხოლოდ მყოფადის გაგება
- ზმნისწინიან ფორმის აქვს:
  1. მხოლოდ აწმყოს გაგება
  2. მხოლოდ მყოფადის გაგება
  3. აწმყოსა და მყოფადის გაგება

და თუ იმასაც გაეჩხვინებთ, რომ „დრო და კილო არ არის მორფოლოგიური კატეგორია. შესაბამისად: ერთი ნაკვთის ფორმათა მეორისაგან

განმსხვავებულად ვერ მივიჩნევთ ე. წ. „მწკრივის ელემენტებს“ ნაკეთის განსაზღვრა ამ ელემენტების მიხედვით არ მოხერხდება — დროის კატეგორიის საფუძველზე აწმყოსა და მყოფადის სხვადასხვა ნაკეთებად ჩათვლა გაჭირდება.

განმარტებისა

ამდენად, ფორმაწარმოების თვალსაზრისით ფორმათა დაპირისპირება

აეთებს — გააეთებს

აეთებდა — გააეთებდა

აეთებდეს — გააეთებდეს იმავე რიგისაა, როგორც

აეთა — გააეთა და სხვა.

ფორმათა განსხვავება ზმნისწინს ემყარება. I სერიაში ორი წრის გამოყოფის საკითხი მარტოვად ვერ გადაწყდება: გვარდს ვერ ავუვლით გარეგნულად ასევე განსხვავებულ II და III სერიაში ფორმებს. აქ ერთი არსებითი ხასიათის საკითხია გადასატრელი რამდენადაც ნაკეთთა სხვაობა ფუძეთა სხვაობაზეა დამყარებული, ზმნისწინისა და ზმნური ფუძის ურთიერთმიმართების საკითხი მოითხოვს გარკვევას.



შეფის თუ არა ზმნისწინი ფუძეში? ზმნური ფუძის განმარტებისას ყურადღება პირისა და რიცხვის ნიშნებზეა გამახვილებული („ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშნები“). ამ განმარტების შესაბამისად, ზმნისწინი, თავისთავად ცხადია, ფუძის ნაწილად გაიზარება. პირველი სერიაში ნაკეთთა ანალიზი მხოლოდ ამ თვალსაზრისს უჭერს მხარს: ზმნისწინი აქ ნაკეთებს განასხვავებს:

აეთებს — გა-აეთებს

აეთებდა — გა-აეთებდა

აეთებდეს — გა-აეთებდეს

სხვაგვარია ვითარება II და III სერიაში შემთხვევაში: ზმნისწინის ქონა-არქონა ნაკეთის ფორმათა განმსხვავებელი ფაქტორი არ არის ერთი და იმავე ნაკეთის ფორმებია:

აეთა და გა-აეთა

აეთოს და გა-აეთოს

აეთებია და გა-აეთებია

აეთებინა და გა-აეთებინა

აეთებინოს და გა-აეთებინოს

ზმნისწინი ამ შემთხვევაში ფუძისეულად აღარ გაიხარება; წინააღმდეგ შემთხვევაში აეთა და გააეთა სხვადასხვა ნაკეთის ფორმებად უნდა იქნეს გაგებული (როგორც აეთებდა და გააეთებდა), რამდენადაც ნაკეთთა შორის სხვაობას ფუძეთა სხვაობა ქმნის.

მოკლედ, ზმნისწინისა და ზმნური ფუძის მიმართების საკითხი პრობლემურია და რთული, გარკვეული პასუხი კიხოვზე — ზმნისწინი შედის თუ არა ზმნურ ფუძეში (ნაკეთის ფუძეში) — არაა გაცემული. მეტოც ეს საკითხი არცაა დასმული სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვეულებრივ, ზმნურ ფუძეზე მსჯელობისას უზმნისწინო ფორმებს განსხვავებენ. უფრო მეტოც, თუცა ამის შესაძლებლობა არსებობს, უღვლელუბნის ტიპებზე და სახეობებზე მსჯელობისას ძირითადად უზმნისწინო ფორმებს წარმოგვიდგენენ.

არის ფაქტორები, რომლებიც ზმნისწინს ფუძისეულად გაგვახარებინებს. ერთი ცალკეული ჩვეულის ზმნები ამა თუ იმ ნაკეთის ფორმებში უზმნისწინოდ არ გვხვდება. მაგ.: „უწინდებულად დონიანი ენებითა (ყოფდა, შენდა, ძლიერდა...) ნამყო ძირითადად შეუძლებელია“ (არნ. ზიქობაძე, 1950, გვ. 81); ისიც ცნობილია, რომ ზმნისწინი ზმნას ლექსიკურ მნიშვნელობას უცვლის: „წინდებულის დაბრუნების ფუძის მნიშვნელობა შეიძლება არსებითადაც შეიცვალოს. შერა: გა-იგო, მო-იგო, და-იგო“ (არნ. ზიქობაძე, 1950, გვ. 861). გარდა ამისა, „იშვითადაც ისეთი ზმნებიც გვხვდება, რომლებიც უზმნისწინოდ არ იხმარება; გვაქვს: მო-ვიდა, მო-ვიდა... მაგრამ ცალკე ვადა ამჟამად არ მოვეუბოვება“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 239). ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა სხვადასხვა სალექსიკონო ერთეულებად მიჩნევა (მაგ. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“) ზმნისწინის ფუძისეულობას დაუმტკიცა შიბარს. და, როგორც ითქვა, აწმყოს წრისა და მყოფადის წრის ნაკეთთა სხვადასხვა საფუძვლებად ერთეულებად წარმოდგენა მხოლოდ ამ თვალსაზრისზე დაფუძნებით შეიძლება; ზმნათა უმრავლესობაში აწმყოსა და მყოფადის წრის ნაკეთთა ფორმების დაპირისპირება მხოლოდ ზმნისწინის საშუალებით ხდება.

მაგრამ ზმნისწინის ფუძისეულად გახარებას ზმნურ ფორმაწარმოებაში რამდენიმე სირთულე ახლავს. პირველ რიგში, როგორც ითქვა, II და III სერის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები (წერა — დაწერა, ან წაწერა...) სხვადასხვა საფუძვლებად ერთეულებად უნდა იქნეს გაგებული, როგორც ეს პირველ სერიაშია; ანდა, სხვადასხვა ზმნის (წერს, დაწერს, წაწერს...) ერთი და იმავე ნაკეთის ფორმებად. მაგრამ ამგვარად ვადაწმყოთა საკითხისა წინააღმდეგობაში მოვა პირველი სერის ნაკეთეულთა გამოყოფის პრინციპთან.

თუ ზმნისწინს ფუძისეულად გავიაზრებთ, იმდენი ფუძე გვაქვს ერთი და იმავე ზმნური ძირისაგან წარმოებულს. რამდენიც ზმნისწინიანი ეპითეტი გვაქვს ამა თუ იმ შემთხვევაში. მაგ: დაწერეს, წაწერეს, მიწერეს, მოწერეს, გაწერეს, აღწერეს, ამოწერეს, გადამწერეს, გაწმენაწერეს, ჩამოწერეს, გადმოწერეს... დღეს მიღებული თვალსაზრისის მიხედვით ყველა ეს ფორმა ერთი და იმავე წერს ზმნის მყოფადის ფორმებია, ზმნისწინით განსხვავებული სხვადასხვა ფუძეზე ან სხვადასხვა ზმნაზე ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ არ საუბრობენ. ზოგადად მივინიშნება, რომ ფორმა ზმნისწინიანია და ნიშნულად რომელიმე მათგანს (ჩვეულებრივ ნეიტრალური, ზოგადი სემანტიკური მნიშვნელობისას) წარმოადგენენ (მაგ. წერს ზმნისათვის დაწერს ფორმას). თუ ზმნისწინს ფუძისეულად გავიაზრებთ, იმდენ ფუძეზე უნდა ვილაპარაკოთ, რამდენი ზმნისწინიანი ფორმაც გვაქვს.

არის კიდევ ერთი არსებითი ხასიათის ფაქტორი: ა. შანიძე წერს — „ზმნისწინი იგივეა ზმნისათვის, რაც თანდებელი საბელისათვის. ერთი და მეორეც დამოუკიდებელი სიტყვა იყო ერთ დროს. მაგრამ დამოუკიდებლობა დაკარგეს და შეეზარდნენ საბელს ან ზმნას. მსგავსება ამით არ ამოიწურება. ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე „სიტყვა“ (ოდესღაც დამოუკიდებელი) საბელთან თანდებულად არის გამოყენებული, ზმნასთან კი — ზმნისწინად“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 260). ტმესის მოვლენა ძველი ქართლისათვის ამ თვალსაზრისის ნათელი დადასტურებაა. სავსებით გასაზიარებელია ა. შანიძის დასკვნა, ამ მოვლენის განხილვის შედეგად გაცეობებული: „როგორც მაგალითებიდან ჩანს, ზმნისწინს ერთგვარი დამოუკიდებლობა აქვს. ის ატყობდება მიერთული არ არის ზმნაზე... დიდი არ არის ეს დამოუკიდებლობა. მაგრამ მაინც გვაჩვენებს იმ ვხას, რომელიც ზმნისწინს გაუღვია სრული დამოუკიდებლობიდან სრულ დაქვემდებარებამდე და პორტუგალი ქვეყანაშიღღ. დღეს ტმესისა შორეული მოგონებაა გვაქვს, რამდენადაც ზმნა და ზმნისწინი მაინც იყოფა პირისა, ქცევისა და გვარის ნიშნებით ან მიმღობათა აფიქსებით“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 259—260).

ზმნური ფორმაწარმოების საკითხების განხილვისას ჩვენ ამ უკანასკნელ თვალსაზრისს დავყვარდნობით: „ზმნისწინი იგივეა ზმნისათვის, რაც თანდებელი საბელისათვის“. ეს თვალსაზრისი ზმნისწინს ფუძისეულად არ გავიაზრებინებს.

მართალია, ამგვარი მსჯელობის საფუძველზე ზმნისწინის არაფუძისეულად მიჩნევა ერთგვარად პირობითია. მაგრამ ზმნურ ფორმათა წარმოების საკითხების განხილვისას ამ პირობითობას აქვს საფუძველი: ნაკეთის ფუძეთა წარმოება არაა მკიდრო კავშირში ზმნისწინთან; სხვადასხვა ზმნისწინთა მონაცვლეობა ერთი და იმავე ნაკეთის ფორმასთან ასევე არ ქმნის პირობულმას ფორმაწარმოების თვალსაზრისით. ყველა

ნაცვლის ფორმათა გათვალისწინებით შესაძლებელია ზმნისწინთა ფუნქციების განზოგადება: ფუძის სემანტიკიდან გამოშდინარე, ზმნისწინი ან მიმართულებას აღნიშნავს, ან ასპექტურ დაპირისპირებას (აქვეყნება ან უკუსიყურ მნიშვნელობას უცვლის ზმნის (აწმყო-მყოფადის შემთხვევაში ვაშლი). განზოგადება არ მოხერხდება, როცა ზმნისწინი დროულ მიმართებას უცვლის, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც კი მხოლოდ დროული მნიშვნელობით დაპირისპირებას არასოდეს არ ახდენს; სხვა ფუნქციებიც არ გამოირჩევა ზმნისწინისა.

**შენიშვნა** როგორც ითქვა, ზმნისწინის ფუნქციის განზოგადება პირველად დ. ყოფიანმა მოახდინა. შედეგად გამართივდა უღუღიღუბის სისტემა და ანალიზიც გათიულა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზმნისწინი პოლისემანტიკური მონაცემია: ერთსა და იმავე დროს რამდენიმე სემანტიკის შემცველი, რომელშიც კონკრეტულ ზმნურ ფუძესთან რა მნიშვნელობაც აქვს მას ერთ შემთხვევაში, იგივე მნიშვნელობა ექნება ამავე ზმნის სხვა ნაცვლის ფორმებთან. სხვაობას რიც შემთხვევაში აწმყო ზმნის (დროის ფაქტორია შემოდის აქ), მაგრამ ეს არ არის ზოგადი კანონზომიერება აწმყო-მყოფადის დაპირისპირებისა და, შესაბამისად, საფუძველი იმისა, რომ აწმყო და მისგან ნაწარმოები ნაცვლები განვასხვავოთ მყოფადისა და მისგან ნაწარმოებ ნაცვლთაგან.

ამგვარმა ვადამწვევებმა საკითხისა გააბუნდოვნა ზმნურ ფორმათა წარმოების საკითხი: ერთგვარი წარმოების შემთხვევები სხვადასხვა ნაცვლებად იქნა აღქმული:

ი-ყვო-ებ-ს	და	ი-მეფ-ებ-ს
უ-თვალთვალ-ებ-ს	და	უ-პატრონ-ებ-ს
და-ფონ-ფ-ს	და	და-ხატ-ფ-ს

რაც თქმა უნდა, ეს სირთულე აწმყო-მყოფადის დაპირისპირებაში შემჩნეული იყო. ა. შანიძე საკითხს ასე სვამს: „თუ წარმოებას მივაჯ-ცევთ უფრადლებას, ისინი ყველა აწმყოს ფორმებია, მაგრამ მნიშვნელობით უფროდ მყოფადის წრის ზმნებთან ერთად არიან, აწმყოში მათ სხვა ზმნები ენაცვლებათ... და, ამის მიხედვით მათ მყოფადში აქვთ მოპოვებული ადგილი: „ვენახე“ მყოფადის ფორმაა, „ენახე“ კი — აწმყოსი, მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარად ნაწარმოები ფორმებია“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 275). ამ შემთხვევაში, თუ ფორმას ორივე დროის გაგება შეიძლება პქონდეს, ზმნისწინიანები მყოფადში უნდა მოვათავსოთ (მაგ. ვანსაზღვრავს, აღნიშნავს...), ხოლო უზმნისწინოები — აწმყოში (მაგ. აღდგებრძულს, ავანშებებს...) (იქვე). გამოდის, რომ თუ



ფორმა პოლისემიური და დროის თვალსაზრისით, ანგარიშს ექვემდებარება მხოლოდ ფორმის და უგზავლებულყოფი აწმყო-მყოფადის დამატისპირების სემანტიკურ საფუძველს; ხოლო თუ ფორმა არა პოლისემიური დროის მიხედვით, ანგარიშს ექვემდებარება სემანტიკის და უგზავლებულყოფილი რჩება აწმყო-მყოფადის დამატისპირების ფორმოობრივი საფუძველი. ე. ი. თავს იჩენს წინააღმდეგობა.

ზ. კუმბურიძის აზრით, „მართებული იქნება, რომ ის ზმნისწინაში თუ უზმნისწინა ფორმები, რომლებიც ვხვდებით როგორც ახლანდელი, ისე მომავალი დროის გაგებით, მწკრივის მიხედვითაც პოლისემიურად ეცნობ და, თუ ახლანდელი დროა, აწმყოს მწკრივს მიეკუთვნება, მომავლის გაგებით კი — მყოფადის მწკრივს“ (ზ. კუმბურიძე, 1986, გვ. 91). ნაკვთა გამოყოფის ფორმოობრივი საფუძველი აქაც ირღვევა: თუ რომელი ნაკვთია, ვარჩევა მხოლოდ კონტექსტის მიხედვით უნდა მოხდეს. ფორმოობრივი საფუძველი დამატისპირებისა ირღვევა მაშინაც, როცა ზმნისწინა ფორმებს მხოლოდ აწმყოს გაგება აქვს, ანდა უზმნისწინა ფორმებს — მხოლოდ მყოფადისა. საბოლოოდ, აწმყო-მყოფადის გამოყოფა ძირითადად სემანტიკურ პრინციპს ემყარება და არა ფორმოობრივს. ფორმოობრივი პრინციპის ვატარება სემანტიკურს დაარღვევს...

თუ ერთსა და იმავე ფორმის დროული მნიშვნელობის სხვაობის მიხედვით სხვადასხვა ნაკვთებად მივიჩნევთ აწმყოსა და მყოფადში, ამ პრინციპით ბრძანებითის ნაკვთის გამოყოფაც იქნებოდა შესაძლებელი ახალ ქართულშიც მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში სემანტიკური სხვაობა უფრო შევეთრება (კლას მიხედვითაც განსხვავდება). ვიდრე აწმყო-მყოფადის შემთხვევაში (აქ მხოლოდ დრო ზმნის სხვაობას); მაგრამ სრულიად სამართლიანად „გააყეთე“ და „გააყეთე“ სხვადასხვა ნაკვთის ფორმებად არ მიიჩნევა. ეს ფაქტიც უნდა იქნეს გათვალისწინებული აწმყო-მყოფადის ნაკვთის საკითხის გადაწყვეტილისას.

როგორც ვხვდებით, აწმყოსა და მყოფადის დამოუკიდებელ ნაკვთებად გამოყოფის საკითხი გადაულახავ სირთულეებს აჩვენებს. უპირველესს ვთვლით, ირღვევა ზოგადი პრინციპი ნაკვთის გამოყოფისა — სწარმოებელი ფუძის პრინციპი. ხოლო ხოლმეობითისა და მყოფადის კავშირებითის დამოუკიდებელ ნაკვთებად მიიჩნევა არა მარტო არღვევს ამ პრინციპს, არამედ არსებითად ეწინააღმდეგება მას. თუ აწმყო-მყოფადის შემთხვევაში ზოგჯერ შეიძლება სემანტიკური მომენტი (დროული დამატისპირება) მოგვეშველიებინა, მყოფადის წრის სხვა ნაკვთის შემთხვევაში ესეც გამოირიცხება.

ვიმეორებთ: მყოფადის წრის ნაკვთის გამოყოფის გამართლება ზმნისწინის ფუძისკენად გავსაზრებინებს. მაშინ, ისევე უნდა გადაწყდეს II და III სტრუქტურის ნაკვთის საკითხიც — ზმნისწინის

აქაც უნდა ვაეწიოს ანგარიში; ამგვარი დაშვების შემთხვევაში ასპექტი გამოვა ის სემანტიკური მახასიათებელი, რომლის მიხედვითაც ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს სხვადასხვა ნაკვობად ჩვეულებით ასე ვი საკითხი ჟერ არ დასმულა და, აღბათ, არც უნდა დაისვას, როგორც აღინიშნა, ანგარიშგასაწევია და ვასაზიარებელი დ. ყიფიანისეული გადამწვევტა საკითხისა: „აუცოდებელია, უნდა შემოყლდეს როგორმე ეს უღვლილება... ვანა არ შეიძლება, ვრთხელ თქვეს და ამით ვათედებს, რომ ზმნის სახე სრული ყოველთვის მაშინ მიეცემა, როდესაც თავს პრეფიქსად ერთ-ერთი მიმძღოლი თანდებული მიუჭდებაო“ (დ. ყიფიანი, 1882, გვ. 104).

ამ თვალსაზრისის ისიც დაუკერს მხარს, რომ, ჩვენი აზრით, დრო და კლო, ისევე როგორც ასპექტი, გეზი და ორიენტაცია, არაა მორფოლოგიური კატეგორიები და მხოლოდ დროული და კლოური მნიშვნელობების მიხედვით განსხვავებული ფორმები დამოუკიდებელ ნაკვობად არ უნდა ჩაითვალოს.

ამგვარად, ზმნის ფუძის განმარტებისას ჩვენთვის ძალაში არება ტრადიციული თვალსაზრისი მცირე დაზუსტებით: ნაკვთის ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ნამოშორებული აქვს ზმნისწინი, პირისა და რიცხვის ნიშნები.

რამდენადაც ნაკვთთა გამოყოფა და დაჯგუფება საწარმოებელი ფუძის პრინციპს ემუარება, იმდენ ნაკვთზე უნდა ვისაუბროთ, რამდენი განსხვავებული ფუძეც არსებობს.

ნაკვთის ფუძის ამგვარი გაგების საფუძველზე უღვლილების სისტემა უნდა გაიმართოს იმ პრინციპზე, რა პრინციპითაც არის წარმოდგენილი II და III სერიაში. ეს თვალსაზრისი I სერიაში სამი ნაკვთის გამოყოფას ვართულობს. ამისდაყვალად, ახალ ქართულში ზმნური ფორმები დაჯგუფდება სამ სერიად და 8 ნაკვთად:

### I სერია

- 1-ლი ნაკვთი (აწმყო-მყოფადი) — (ზმნისწ.)-აყეთებს
- მე-2 ნაკვთი (უწმყვებელ-ბოლმეობითი) — (ზმნისწ.)-აყეთებდა
- მე-3 ნაკვთი (I კავშირებითი) — (ზმნისწ.)-აყეთებდეს

### II სერია

- მე-4 ნაკვთი (წვეტილი) — (ზმნისწ.)-აყეთა
- მე-5 ნაკვთი (II კავშირებითი) — (ზმნისწ.)-აყეთოს



- მე-6 ნაკეთი (I თურმეობითი) — (ზმნისწ.)-უკეთებია  
 მე-7 ნაკეთი (II თურმეობითი) — (ზმნისწ.)-ეკეთებინა  
 მე-8 ნაკეთი (III კავშირებითი) — (ზმნისწ.)-ეკეთებინოს

**შენიშვნა 1.** რამდენადაც ერთსა და იმავე ზმნასთან მე-საძღვრულია სხვადასხვა ზმნისწინათა მონაცვლეობა, ვამჯობნებთ, პირობითად მივანიშნოთ მათზე.

2. ტერმინთა პირობითობის თაობაზე ზემოთაე ითქვა. I სერიაშიც ამჯერად ტრადიციული ტერმინების დაცვების ვამჯობინებთ. ვარკვეულ უზერხელობას შეიძლება ქმნიდეს პირველი და მეორე ნაკეთის სახელები (აწმყო-მყოფადი, უწყვეტად-ხოდმყობითი), მაგრამ ახალი ქართულისათვის მსჯელობის ვასაადვილებლად ეს პირობითობაც დასამუშავდ შეგვიჩნია.

აწმყოსა და მყოფადის ერთ ნაკეთად წარმოდგენას მხარს დავუჭერს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, რომლის წინასიტყვაობაში ვკითხვლობთ: „ზმნის ლექსიკონი ერთეულად კომისიამ მიიღო აწმყოს (მყოფადის) მესამე პირი ყველა იმ წარმოებისა, რაც ზევით აღენიშნეთ: თესავს, ითესავს, უთესავს, ათესვენებს, ეთესება, ითესება, თესია, უთესია (თითოეული მათგანი დროებს აწარმოებს: თესავდა, თესავდეს, თესა, თესოს, უთესავს, ეთესა, ეთესოს, მაგრამ ესენი ლექსიკონი ერთეულებად არ მიიხსნევა და ლექსიკონში არ შედის)“ (ქველ. I, 1950, გვ. 011).

როგორც ვხედავთ, ვ. წ. „მყოფადის წრის“ ნაკეთები დროთა (ნაკეთთა) სათვალავში არაა მოქცეული. ამ რვა ნაკეთის ფორმას დასახელებულა:

1. თესავს, 2. თესავდა, 3. თესავდეს, 4. თესა, 5. თესოს, 6. უთესავს, 7. ეთესა, 8. ეთესოს.

დათესავს, ზათესავს, შეთესავს, მითესავს, განთესავს, მოთესავს, გამოთესავს დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულებად არის წარმოდგენილი. სალექსიკონო ერთეულები ერთი მორტოლოგიური ოდენობაა, ამდენად თესავს და დათესავს ერთი ნაკეთის ფორმად უნდა ვავიარბოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ ერთი და იმავე ზმნის ორი ნაკეთის ფორმას წარმოდგენილი სალექსიკონო ერთეულად, ლექსიკონში კი ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ერთი და იმავე ზმნის სხვადასხვა ნაკეთის ფორმები „ლექსიკონი ერთეულებად არ მიიხსნევა და ლექსიკონში არ შედის“. ამ თვალსაზრისის მიხედვით საუღლებელ ერთ-

თეულთა რაოდენობა რვაა, როგორც ეს აქვს ზმნის მავალითზე ნაჩვენები შესაბამისად, დათვას ზმნის ნაკეთთა ფორმები იქნება:

1. დათვას, 2. დათვასდა, 3. დათვასდეს, 4. დათვა, 5. დათვას, 6. დაუთვას, 7. დაუთვა, 8. დაუთვას.

**შენიშვნა:** „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მთავარი სარედაქციო კოლეჯის წინასიტყვაობაში წარმოდგენილი ეს თვალსაზრისი ეწინააღმდეგება „ქართული ენის ზოგად დახასიათებაში“ წარმოდგენილ სქემას – იქ **ზრდის** და **გაზრდის** ერთი და იმავე ზმნის სხვადასხვა ნაკეთის ფორმებადაა შინგული.

ნაკეთთა რაოდენობის საკითხი მხოლოდ ფორმოპრივი პრინციპის მიხედვით არ გაირკვევა გვაქვს პარალელური წარმოების შემთხვევები:

ი-თქ-მ-ის	და	ი-თქმ-ებ-ა
შე-ე-ი-პერ	და	შე-ე-ი-პერ-ე
და-ე-ი-მენ-ა	და	და-ე-ი-მენ-ო
და-ე-ბატ-ე-ს	და	და-ე-ბატ-ი-ა
გა-ე-კო-ა	და	გა-ე-კო-ებ-ი-ნ-ა

და მისთანანი.

მხოლოდ ფუძეთა სხვაობის პრინციპი თუ დავებმა საფუძვლად საუღლებელ ერთეულთა გამოყოფას, წარმოდგენილ წველთა შემაღგნელი ცალები სხვადასხვა ფუძის შემცველი არიან; შესაბამისად სხვადასხვა ნაკეთად უნდა იქნეს გავებული, საკითხის ამგვარად დასმა, თავისთავად ცხადია, უმართებულოა იმდენად, რამდენადაც წარმოდგენილ პარალელურ ფორმებს ერთსა და იმავე კონტექსტში ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს.

მაგ.: მბატვარს სურათი დაუბატავს;  
მბატვარს სურათი დაუბატია.

ანდა: ყველასთან ყველაფერი არ ითქმის;  
ყველასთან ყველაფერი არ ითქმება.

ამგვარად, ერთი და იმავე ზმნის სხვადასხვა ფუძის შქონე ფორმები ერთ ნაკეთად ჩაითვლება ამ შემთხვევაში, თუ ნებისმიერ კონტექსტში მათი ჩანაცვლება შესაძლებელია სხვაგვარად: ერთსა და იმავე კონტექსტში განსხვავებული ფუძის შქონე ფორმათა სემანტიკა იდენტურია ამ შემთხვევაში საჭმე გვაქვს ნაკეთის ფორმათა წარმოების თავისებურებებთან, რაც ცალკე კვლევის საგანია.

**თავი VI. ნაკვეთთა რარულენობა ძველ ბართულში**

6. მარი ძველი ქართულსათვის 8 ნაკვეთს (დროს — ფტორის ტერ-  
მინოლოგიით) გამოყოფს:

- I ჯგუფი: 1. აწმყო (ვაქებ)
- 2. ნამყო უსრული I (ვაქებდი)
- 3. ნამყო უსრული II (ნატერითი — ვაქებდე)
- II ჯგუფი: 4. აორისტი (ვაქე)
- 5. კავშირებითი (ვაქო)
- III ჯგუფი: 6. ნამყო სრული (წიგნიერი — შიქიეს,  
ხალხური — შიქია)
- 7. წინააღმართული (მექო)
- 8. ნამყო კავშირებითი (მექოს)

(6. მარი, 1908)

თითქოსდა მოულოდნელად, შავრამ ფაქტია, რომ 6. მარი ამჩნევს  
ხოლმეობითის ფორმებს, ზოგი ზმნის უღვლელეებისას მსჯელობს მათზე  
და უწოდებს „ნამყო ზვეულებითს“; თუმცა ნაკვეთთა სისტემაში ცალკე  
საუღვლელე ვართუღვლად არ წარმოგვიდგენს.

როგორც ითქვა, ხოლმეობითის ფორმა 6. მარამდე დამოუკიდებელ  
საუღვლელე ვართუღვლად მიიჩნია თ. ეორდანიამ (უწოდებს მას „დროს  
სამართლისოს ანუ ვაქშირებითს“). ა. შანიძემ ამ ფორმას ადგილი შეო-  
რე სერიაში მიუჩინა და უწოდა „ნამყო მრავალგზითი“ და ახასიათებს  
მას: „ნამყო მრავალგზითი, კაცმა რომ თქვას, განსაზღვრული დრო არ  
არის: იგი ვამობატავს ხოლმე მოქმედებას არა რომელსამე დროში გან-  
საზღვრულს (ნამყოსა, აწმყოსა თუ მყოფადში), არამედ ისეთს, რო-  
მელიც უოველთვის ზვეულებრივია და მართა დამახასიათებელია მოქ-  
მედი პარისათვის. ამიტომ ეფიქრობო, რომ მრავალგზითი ნამყოს ფორ-  
მები ქართული ზმნის უზველესი ფორმაციის დროისა უნდა იყოს“  
(ა. შანიძე, 1920, გვ. 6).

**შენიშვნა:** ამავე შრომის რუსულ ვარიანტში ტერმინი  
პერსიანულია ხმარებული (ა. შანიძე, 1957, გვ. 52). საბოლოო-  
ოდ სავანთმეცნიერო ლიტერატურაში ადვილი დაიმკვდრა

ტერმინმა ხოლმეობითი, რომელიც ა. შანიძემ 1930 წლის გრამატიკაში ნამყო წევულებითის სინონიმად იხმარა, ამჟამინაკეთის აღსანიშნავად არნ ნიქობავამ გამოიყენა ტერმინი კამიტუალისი (არნ ნიქობავა, 1968, გვ. 146).

1920 წელს ა. შანიძე საუღღებელ ერთეულთა სისტემას ამგვარი სახით წარმოადგენს:

#### A (ნამყო სრულის ჩგუფი)

1. ნამყო სრული
2. მყოზადი (ანუ ნატერითი კ.)
3. ნამყო მრავალგზითი
4. ბრძანებითი კ.

#### B (აწმყოის ჩგუფი)

5. აწმყო ერთგზითი
6. აწმყო მრავალგზითი
7. ნამყო უსრული (ანუ ნატერითი კ.)
8. ბრძანებითი კ. (ა. შანიძე, 1920, გვ. 6—7)

შენიშვნა: ა) III სერიის ფორმები არ არის განხილული ნამროში, ამიტომ სქემაშიც არ აისახა.

ბ) საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სქემის მიხედვით ავტორი პირველ ეგვფად (სერიად) ნამყო სრულის ეგვფს მიიჩნევს.

ძველი ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელოში ავტორი საუღღებელ ერთეულთა სამ ჩგუფს (სერიას, წყებას) წარმოადგენს. აქ უკვე ნამყო სრულის ჩგუფი მეორე სერიადაა წარმოადგენილი ისევე როგორც 1930 წლის გრამატიკაში; ტერმინები დაბუნტებულთა და სისტემა ასეთ სახეს იღებს:

#### I წყება (სერია)

1. აწმყო
2. აწმყო ხოლმეობითი
3. ნამყო უწყვეტადი
4. I კავშირებითი



II წყება (სერია)

- 5. ნაშრომები წყვეტილი (ანუ არისტი)
- 6. ნაშრომები ხოლმეობითი
- 7. მეორე კავშირებითი (იგივე მეოფადი)
- 8. წართქმითი ბრძანებითი

III წყება (სერია)

- 9. პირველი თურმეობითი
- 10. მეორე თურმეობითი
- 11. მესამე კავშირებითი (ა. შანიძე, 1935, გვ. 025)

უფრო მოგვიანებით I სერიას კიდევ ერთი ნაყვით დაემატა **უწყვეტლის ხოლმეობითი**, რომელიც ავტორის აზრით, პირდაპირად (ა. შანიძე, 1945, გვ. 835): თუმცა 1976 წლის „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ სრული პარადიგმითაა წარმოდგენილი (ა. შანიძე, 1976, გვ. 90). 1946 წელს ა. შანიძე აქვეყნებს ნაშრომს „ერთი უცნობი მწკრივი ქართულში“ (ა. შანიძე, 1946), სადაც საუბარია „ებრძანის“ ტიპის ფორმათა შესახებ. მათ ავტორი **III ხოლმეობითად** მიიჩნევს. ამ ნაყვთს ადგილი მესამე სერიაში მიეჩინა. ა. შანიძის სქემას კიდევ ერთი ნაყვით დაემატა მეორე სერიაში — **შერეული კავშირებითი** (მისკოდიან) (ა. შანიძე, 1948).

**შანიძის** ამ ფორმებს პირველად ეურადღება მიაქცია კ. აკელიძემ, რომელიც აღნიშნავს: „საყურადღებოა არანაყვრულებრთეა, თითქოსდა დიალექტური ფორმეა ზმნისა: ადასრულნიდიან, ეხიარნიდიან, ყოდიან, განათიოდიან“ და უღარებს მათ ვაგა-ფშაყელისთან დადასტურებულ ფშაყური კილოს ფორმებს — „საყლაყი გამოთხაროდი, მიწანა მოთხაროდი“ (კ. აკელიძე, 1946, გვ. 168).

სამილოოდ, დაზუსტებული ტერმინოლოგიითა და შევსებულ სმით უფელილების სისტემა ა. შანიძის შრომათა მიხედვით ასეთ სმებს მიიღებს:

I სერია

- 1. აწმყო
- 2. აწმყოთ ხოლმეობითი
- 3. უწყვეტილი
- 4. პირველი ბრძანებითი
- 5. უწყვ. ხოლმეობითი
- 6. პირველი კავშირებითი (პირველი მეოფადი)

## II სერია



7. წვეტიანი
8. მეორე ბრძანებითი
9. მეორე ხოლმეობითი
10. მეორე კავშირებითი (მეორე მყოფადი)
11. შერეული კავშირებითი (შერეული მყოფადი)

## III სერია

12. პირველი თვრმეობითი
13. მეორე თვრმეობითი
14. მესამე ხოლმეობითი
15. მესამე კავშირებითი

როგორც ვხედავთ, ა. შანიძისეული სქემა სისტემისა ნ. მარის სქემასთან შედარებით 7 ერთეულით გაიზარდა. დამოუკიდებელ ნაყოფზედ გამოიყოფა

## I სერიაში

1. აწმყოს ხოლმეობითი
2. პირველი ბრძანებითი
3. უწვეტილის ხოლმეობითი

## II სერიაში

4. მეორე ბრძანებითი
5. მეორე ხოლმეობითი
6. შერეული კავშირებითი

## III სერიაში

7. III ხოლმეობითი

ძველი ქართლის ელვადების სისტემის უფრო რთულ ვარიანტს ვეთავაზობს ლ. კოჩიაძე. ავტორის აზრით, II სერიაში დამატებით შესაძლებელია სამი ნაყოფის გამოყოფა:

1. შერეული ნაშვი
2. შერეული ხოლმეობითი
3. შერეული ბრძანებითი.





შენიშვნა ფორმებს, რომელთაც ლ. კიენამე I თურმეობითის ხოლმეობითის უწოდებს (უცნობენ, შეუარაცხენ), ვერადღება მიაქვია ა. აბულაძემ და მას მიიჩნევს ოდესღაც არსებული კიდევ ერთი ხოლმეობითის გადმონამთაჲ (ა. აბულაძე, 1954, გვ. 145). ამ თვალსაზრისს იზიარებს ზ. სარჯველაძე და მიიჩნევს, რომ უცნობენ ტიპის ფორმები უნდა იწოდოს „მესამე ხოლმეობითაჲ“, ხოლო ებრაძის ტიპის ფორმები IV ხოლმეობითაჲ (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 406).

ასე რომ, ნაკვთთა რაოდენობა უღვლილების სისტემაში 19-მდე გაიზარდა ლ. კიენაძის თვალსაზრისს შერეული წვევტილის, ბრძანებითისა და ხოლმეობითის ნაკვთთა არსებობის თაობაზე იზიარებს და მაგალითებითაც ადასტურებს ზ. სარჯველაძე (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 454—457).

ი. იმნაიშვილი ა. შანიძის თვალსაზრისზე დგას და თავის ტაბულაში 15 ნაკვთს წარმოადგენს (ი. იმნაიშვილი, 1982).

არნ. ჩიქობავას აზრით, დრო-კალითა სისტემა ძველ ქართულში შედარებით მარტივია ატორის ნაშრომთა მიხედვით სქემა ამგვარ სახეს მიიღებს:

#### პირველი ჩვეულება

1. აწყობა
2. ნამყო უსრული
3. კავშირებითი I
4. ნამყო უსრულის ხოლმეობითი

#### მეორე ჩვეულება

5. ნამყო ძირითადი (აორისტი)
6. ხოლმეობითი
7. კავშირებითი მეორე

#### მესამე ჩვეულება

8. თურმეობითი პირველი
9. თურმეობითი მეორე
10. კავშირებითი მესამე

(არნ. ჩიქობავა, 1968, გვ. 144—151; 1948, გვ. 55).

შენიშვნა: არნ. ჩიქობავა ნაშრომში „ერგატული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“ (1, 1948) მე-9 პარაგრაფში აწმყოს ნაკეთია წყებას 4 ერთეულით წარმოადგენს: აწმყო, წმყო უსრულა, კავშირებითი I, წმყო უსრულის ზოდმეობითა; 26-ე პარაგრაფში უღვლილების სრული სისტემის წარმოადგენისას წმყო უსრულის ზოდმეობითს აღარ ასახვლებს. ჩვენ პირველ ვარიანტს ვამყარებთ.

როგორც ვხედავთ, ნ. მარსის მოყვანილი ნაკეთია რაოდენობა ძველ ქართულში მერყეობს რვიდან ცხრამეტამდე.

ძირითადად ოთხი ვარიანტია უღვლილების სისტემისა; სურათი ასეთია:

- ნ. მარსის სქემა — 8 საუღვლილებელი ერთეული;
- არნ. ჩიქობავას სქემა — 10 საუღვლილებელი ერთეული;
- ა. შანიძის სქემა — 15 საუღვლილებელი ერთეული;
- დ. კენაძის სქემა — 19 საუღვლილებელი ერთეული.

ყველა ის ნაკეთი, რომელიც ნ. მარსის სქემაზეა წარმოდგენილი, მეორდება სხვა ავტორებთანაც. სისტემის შემადგენელ ერთეულთა დამოუკიდებელ ნაკეთად მიჩნევის საკითხი დავას არ იწყებს. ნაკეთის გამოყოფის პრინციპი — ფორმოზრავ-ფუნქციურია — ამ სისტემაში დაცულია ყველა საუღვლილებელი ერთეული დამოუკიდებელი ფორმოზრავი მონაცემია: ნაკეთთა შორის სხვაობას ფუძეთა სხვაობა ქვნიის:

### I სტრია

- აწმყო — ვ-ა-ქ-ებ
- წმყავებელი — ვ-ა-ქ-ებ-ღ-(ა)
- I კავშირებითი — ვ-ა-ქ-ებ-ღ-ე

### II სტრია

- წყვეტილი — ვ-ა-ქ-ე
- II კავშირებითი — ვ-ა-ქ-ო

### III სტრია

- I თურმეობითი — მ-ე-ქ-ი-ე-ს
- II თურმეობითი — მ-ე-ქ-ო (\*<sup>ა</sup> მ-ე-ქ-ე-ო)
- III კავშირებითი — მ-ე-ქ-ო-ს

ღივის არ იწვევს I სერიაში უწყვეტლის ხოლმეობითის ნაკეთის გამოყოფა: ვ-ა-ქ-ებ-ღ-ი, ა-ქ-ებ-ღ-ი, ა-ქ-ებ-ღ-ი-ს; ფუძეთა სტერობის უწყვეტობისა და უწყვეტლის ხოლმეობითის შორის, რეგორც ენობილია, -ი სუფიქსი ქმნის, რომელიც ნაკეთის მაწარმოებლად ვაძახარება, უწყვეტლობში გამოვლენილი ი ელემენტი ფონეტიკური დანართია, ფუძისეულად არ გაიზრება.

**შენიშვნა:** ის ფაქტი, რომ ერთმანეთს ემთხვევა ღონიანი ზმნების უწყვეტლის I და II პარის ფორმები მრავლობითაში (და მხოლოდობითშიც, თუ -ი ელემენტი დაერთვის), არ ღმკვამს სურათი ფუძის საკითხს ამ არი ნაკეთისათვის და, შესაძამისად, მათა ერთ ნაკეთად მიჩნევისას. სხვაობს ჩვეულებრივ პარადიგმის შესამე წვერა (III პარის ფორმები). ფუძეთა სხვაობა ამ შემთხვევაში ამკარია:

უწყვეტლი	უწყვეტლის ხოლმეობითი
ვ-წერ-ღ-(ი)	ვ-წერ-ღ-ი
ხ-წერ-ღ-(ი)	ხ-წერ-ღ-ი
წერ-ღ-ა	წერ-ღ-ი-ს
ვ-წერ-ღ-ი-თ	ვ-წერ-ღ-ი-თ
ხ-წერ-ღ-ი-თ	ხ-წერ-ღ-ი-თ
წერ-ღ-ეს	წერ-ღ-ი-ან

I შემთხვევაში ი არ შეიძლება გავიზრთოთ ფუძისეულად: იგი ამკარა დანართი ელემენტი, მხოლოდობითაში სპორადულად გამოვლენილი. II შემთხვევაში - ფუძის ორგანული კუთვნილება.

სხვაგვარია ვითარება ოდ-იანი ზმნების შემთხვევაში: უწყვეტლის ხოლმეობითისა და I კავშირებითის პარადიგმებს იდენტურია:

ვ-ტირ-ოდ-ი	ვ-ტირ-ოდ-ი-თ
ტირ-ოდ-ი	ტირ-ოდ-ი-თ
ტირ-ოდ-ი-ს	ტირ-ოდ-ი-ან

რომ ვეღლა შემთხვევაში ასეთი ვითარება გვექონდეს, თა-ვისათვად ცხადია, დადგებოდა საკითხი ამ ფორმათა ერთა ნაკეთის ფორმებად მიჩნევისა, მაგრამ არსებობთ ისა, რომ ფორმათა დამთხვევა ხდება მხოლოდ ერთი ტიპის ზმნებში და არა ვეღლა შემთხვევაში. ნაკეთის ფორმათა წარმოების

საკითხებზე მხედლობისას ეს ფაქტი აღინიშნება: მაგრამ არ  
ღვება საკითხი ნაკეთი აღენტიფიკაციისა...

14705320  
30870000

საგვ ეთქმის II ხოლმეობითზეც — ძველი ქართულიდან ამჟა-  
რად გამოკვეთილი დამოუკიდებელი ფორმისა და ფუნქციის ნაკეთზე:  
ე-ი-ქ-ი, ა-ქ-ი, ა-ქ-ი-ს... ფორმოებზე და ფუნქციური თვალსაზრისით  
კანონზომიერება ე-ბრძან-ი-ს ტიპის ფორმათა დამოუკიდებელ ნაკე-  
თად — შესაშე ხოლმეობითად — გამოყოფაც.

**შენიშვნა:** ღვა III ხოლმეობითის თაობაზე სპეციალურ  
ლიტერატურაში არ არის არც ნიქობაზე მითხმებში ამ ნაკე-  
თის შესახებ მხედლობა არაა. თუმცა არც ნიქობაზე რედაქ-  
ციით გამოსულ ა. ჭინჭარაულის მითხრაფიში „ხეცხერუ-  
ლის თავისებურებანი“ (1961) ამ ნაკეთის თაობაზე არის სა-  
უხარი (გვ. 144—145).

სამეცნიერო ლიტერატურაში არაა ახრთა ერთგვარობა შერეული  
კავშირებითის ნაკეთის შესახებ. როგორც ითქვამს, ამ ფორმებს ბირვე-  
ლად უწოდებდა ა. ყველიძემ მიქცია, მაგრამ მისი ცალკე ნაკეთად  
გამოყოფა და მორფოლოგიურ-სემანტიკური დამსიათება ა. შანიძის  
სახელთანაა დაკავშირებული: „წარმოების თვალსაზრისით ისინი II  
სერიის ეკეთენიან — მის ფუძეს უწოდნობიან, მაგრამ ხეც ურთაფენ  
ოდ სერციობს, რომელიც I სერიიდან არის აღებულნი. ამის გამო ისინი  
ორმაც ბუნებას იხენენ: სინტაქსური თავისებურებანი II სერიის მწერი-  
ვებისა აქეთ (გარდაშავალი ხმენი ქვემდებარეს მოთხრობითში შეი-  
წყობენ, პირდ. დამატებას ეკ — სახელობითში), ხოლო ერთი მორ-  
ფოლოგიური კატეგორიის მხედვით ისინი I სერიის მწერიეთა რაგში  
ღვანანს ასპექტო უსრული აქეთ. ღრო მათ მომავალი აქეთ, კალო —  
ახრობითი ან კავშირებითი, ხოგერ ბრძანებითაფ“ (ა. შანიძე, 1948,  
გვ. 18).

**შენიშვნა:** შეამღება დახუსტებას მოთხროფეს კანმარ-  
ტება, რომ —ოდ ხუფიქია „I სერიიდან არის აღებულნი“. —ოდ  
ხუფიქია გუხუდება I სერიის ნაკეთებთანაფ, III სერიის  
ნაკეთებთანაფ და, როგორც ეხეღათ, II სერიის ნაკეთთანაფ.  
ახე რომ, სერციობიანი ნაკეთები ყველა სერიაში გვაქვს.  
ამიტომ პრიორიტეტო I სერიის აღმათ არ უნდა მთენიქოს.

არც ნიქობაზე „ალოლოდ-ი-ს“. „მისც-ოდ-ი-ს“ ტიპის ფორმებს  
დამოუკიდებელი ნაკეთის ფორმებად არ ვთაბრებს. აეტორი მის  
„ხოლმეობითისაგან წარმოებ ნამყო უსრულს“, ანდა „არქაულ ნამ-

ყო უსრულეს უწოდებს. წარმოების მიხედვით განარჩევს ორგვარ ნაშრომს:



ა) აკუმულატი — აწმყოს ფუძისაგან ნაწარმოები ორდინალური (რიგითი) ნაშრომ უსრული;

ბ) ვიდეო — ხოლმეობითისაგან ნაწარმოები აქტული ნაშრომ უსრული (არნ. ჩიქობავა, 1948, გვ. 58).

ვფიქრობთ: „ა-ბ-გ-დ-ე-ვ-ზ... ტიპის ფორმათა ანალიზი ამ ტიპის წარმოების დამოუკიდებელ ნაკეთად შიშნევას დაუჭერს მხარს. ფაქტია, გვაქვს განსხვავებული ფიქცი (II სერიის -ოდ სუფიქსიან წარმოებასთან თემის ნიშნით განსხვავებული) განსხვავებული ფუნქციებით.

**შენიშვნა:** ა) ძველ ქართულში უწვევტლის ფუნქციებად ასახელურ: დრო — წარსული, კალო — თხრობითი, ასპექტი — უსრული (ა. შანიძე);

შერეულა კავშირებითის ფუნქციება: დრო — მოძავალი, კალო — თხრობითი (ან კავშირებითი, ან ბრძანებითი), ასპექტი — უსრული.

ბ) ა. შანიძე ამ ნაკეთის ერთ-ერთ თავისებურებად იმახიკ მიიჩნევს, რომ II სერიის სხვა ნაკეთაგან განსხვავებით ეს ფორმა უსრული ასპექტისაა.

გ) წარმოების თვალსაზრისით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ობიექტის მრავლობითობის ნ (+-ენ) ფორმანტი -ოდ სუფიქსის წარმა:

შეწარმოდის (შან იგი) — შეწარმოდის (შან იგანი). ეს ფაქტი ა. შანიძეს იმის საბუთად მიიჩნია, რომ „შეწარმევა უთუოდ მეორეული წარმოშობისაა“ (ა. შანიძე, 1948, გვ. 18). დაკვირება უდავოდ საინტერესოა, მაგრამ ამ ნაკეთის მეორეული (გვანდელი) წარმომადელობის საბუთად ეს ფაქტი შეიძლება არ გამოდგეს: -ენ სუფიქსი მხოლოდ მეორე სერიის ფორმებთან გვხვდება და იგი ჩვეულებრივ უშუალოდ მარტო ფუძეს (resp. ძარს) მიერთვას; ძარისა და რიცხვის ნიშნები თუ ნაკეთის შიწარმოებლები, ჩვეულებრივ, -ენ (+-ენ) სუფიქსს მოსდევს:

- |               |                |            |
|---------------|----------------|------------|
| და-წერ-ერ,    | და-წერ-ენ-ი-თ, | და-წერ-ნ-ა |
| და-წერ-ენ-ინ, | და-წერ-ნ-უდ,   |            |
| და-წერ-ნ-ი-ბ, | და-წერ-ნ-ი-ან, |            |
| და-წერ-ნ-ე-ბ, | და-წერ-ნ-ე-ნ,  |            |

ასეთივე ვითარებაა შერეული კავშირებითი შემთხვევაშიც:

შე-წირ-ნ-ოღ-ი-ს,

აღა-სრულ-ნ-ოღ-ა-ან.

არ ვაქვს შესაძლებლობა ამ თვალსაზრისით ვაეკონტროლოთ სხვა -ოდ ფორმატიანი ნაკვთები — I და III სერიაში -ენ (→ ნ) სუფიქსი პირდაპირი ობიექტის მრავლობითობისა არა ვაქვს. II სერიის ფორმათა ანალიზი კი შერეული კავშირებითი ვითარებას განცალკევებით არ წარმოგვიდგენს.

სხვაგვარია ვითარება აწმყოს ხოლმეობითის და, შესაბამისად, I და II ბრძანებითების შემთხვევაში. სამივე ნაკვთის პარადიგმა პირნაკლია. აწმყოს ხოლმეობითის პარადიგმაში მხოლოდ III პირს ფორმებს წარმოადგენენ:

წერ-ნ (იგი მას)

წერ-ედ (იგინი მას)

I და II ბრძანებითების პარადიგმები II და III პირს ფორმებითა წარმოდგენილი:

I ბრძანებითი

II ბრძანებითი

1. — — —

1. — — —

2. წერ-დ-(ი)

2. დ-წერ-ე

3. წერ-დ-ი-ნ

3. დ-წერ-ე-ნ

1. — — —

1. — — —

2. წერ-დ-ათ

2. დ-წერ-ე-თ

3. წერ-დ-ედ

3. დ-წერ-ედ

არაა აზრთა ერთგვარობა ამ სამი ნაკვთის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში. აზრთა სხვადასხვაობის საფუძველს ის ქმნის, რომ მათ საკუთარი ფუძე არ გააჩნიათ. აწმყოს ხოლმეობითის ფუძე იდენტურია აწმყოს ფუძესა; I ბრძანებითის ფუძე — უწვეატლის ფუძისა, ხოლო II ბრძანებითის ფუძე — წვეატლის ფუძისა. ეს ცნობილი ფაქტია.

ფუნქციური სხვაობა ამგვარაა აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის, უწვეატლისა და I ბრძანებითის, წვეატლისა და II ბრძანებითის ფორმებს შორის:

- ა) აწმყო — „დრო ეხლანდელია, კილო — თბრობითი“.  
 აწმყოს ხოლმეობითი — „კილო თბრობითია, გამოხატავს მრავალგზის გამეორებულ მოქმედებას წარსულში, აწმყოს მოქმედებას, რომელიც ჩვეულებრივია და მარადის ხდება“.
- ბ) უწვაბაელი — „დრო წარსულია, კილო თბრობითი“.  
 I ბრძანებითი — „დრო ეხლანდელი ან მომავალია, კილო — ბრძანებითი“.
- გ) წვაბაელი — „დრო წარსულია, კილო — თბრობითი“.  
 II ბრძანებითი — „დრო მომავალია, კილო — ბრძანებითი“  
 (ა. შანიძე, 1976, გვ. 69—70).

მაგრამ არის კი საკმარისი მხოლოდ ფუნქციური სხვაობა ამ წყვილთაგან თითოეულის დამოუკიდებელ ნაცვთად მიჩნევისათვის? ფორმობრივად მათ შორის სხვაობას კმნის ის, რომ სუბიექტურ მესამე პირში განსხვავებულ სუფიქსებს მიიღებენ:

აწმყო	აწმყოს ხოლმეობითი
წერ-ს წერ-ენ	წერ-ნ წერ-ენ
უწვაბაელი	I ბრძანებითი
წერ-და-ა წერ-და-ენ	წერ-და-ან წერ-და-ენ
წვაბაელი	II ბრძანებითი
და-წერ-ა და-წერ-ენ	და-წერ-ენ და-წერ-ენ

როგორც ვხედავთ, ვითარება სამივე შემთხვევაში ერთგვარია: ფაქტობრივ პირის ნიშანთა სხვაობას ეფუძნება დამოუკიდებელ ნაცვთთა გამოყოფა. არის კი ეს საკმარისი ნაცვთთა გამოყოფისათვის?

საკითხის ამგვარად დასმას სამეცნიერო ლიტერატურაში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ახრთა ერთგვარობა ჯერაც არაა მიღწეული.

ერთი თვალსაზრისის მიხედვით, არ-ნ — არ-ენ ფორმები აწმყოს ფორმებია, სუბიექტის უძველესი -ნ, -ენ სუფიქსებით; სხვაგვარად: არ-ს და არ-ნ, არ-თან და არ-ი-ენ პარალელური ფორმებია აწმყოს ნაცვთისა; პარალელიზმს სხვადასხვა პირის ნიშანთა გამოყენება კმნის

(არნ. ჩიქობავა, 1940, 1948, 1968; ვ. თოფურია, 1953; ვ. როჭავაძე, 1968; ა. არაბული, 1980).

მეორე თვალსაზრისის მიხედვით, სუბიექტური მესამე პირის სუფიქსებით განსხვავებული ფორმები სხვადასხვა ნავეთის ფორმებია (ა. შანიძე, 1976; ი. აბულაძე, 1954; ი. იშნაიშვილი, 1982; ლ. კიკნაძე, 1961; 1967; ზ. სარჯველაძე, 1984).

ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენთვის მისაღებია პირველი თვალსაზრისი. რა შეიძლება ითქვას მეორე თვალსაზრისზე?

მკვლევართა უმეტესობა აწმყოს ხოლმეობითს პირნაკლ ნავეთად მიიჩნევს; ეს არის ნავეთი, რომელსაც მხოლოდ სუბიექტური მესამე პირის ფორმები მოვაკვება (ა. შანიძე, ი. იშნაიშვილი...). თუ აწმყოს ხოლმეობითს დამოუკიდებელ ნავეთად მივიჩნევთ, სავსებით მართებული იქნება ზ. სარჯველაძის მიერ საკითხის ასე დასმა: „ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ ასეთ მნიშვნელოვან მწკრივს, როგორცია აწმყოს ხოლმეობითი, არ ჰქონოდა I და II სუბიექტური პირის ფორმები. როგორც ჩანს, აწმყოს ხოლმეობითის I და II პირის ფორმები აწმყოს I და II პირის ფორმებს ემთხვეოდა. ვარსებელი იყო მხოლოდ III პირის ფორმები“ (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 425). ამგვარად, აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის ნავეთთა პარადიგმები ასეთ სახეს მიიღებდა:

აწმყო	აწმყოს ხოლმეობითი
ვ-კლ-ავ	ვ-კლ-ავ
პ-კლ-ავ	პ-კლ-ავ
კლ-ავ-ს	კლ-ავ-ს
ვ-კლ-ავ-თ	ვ-კლ-ავ-თ
პ-კლ-ავ-თ	პ-კლ-ავ-თ
კლ-ავ-ენ	კლ-ავ-ენ

სხვაობას ამ ორ პარადიგმას შორის სუფიქსები -ს და -ს, -ენ და -ენ ქმნიან. არ დამბნენ იმის თაობაზე, რომ ეს სუფიქსები სუბიექტური მესამე პირის ფორმანტებია; -ს და -ენ სფიქსთა გამოყენება მიიჩნევა აწმყოს ხოლმეობითის ნავეთებისათვის სპეციფიკურ მოვლენად. მაგრამ ფაქტია, რომ ისინი სუბიექტურ მესამე პირს გამოხატავენ სხვა ნავეთებშიც კარძოდ, მიუთითებენ, რომ

ა) „ძველი ქართლის ნორმათა მიხედვით, -ენ მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში იხმარება: I და II პრძანებითში იმადლოდ-ენდ (ივინი); დაწერ-ენდ (მათ ივი); აწმყოს ხოლმეობითში: წერ-ენდ (ივინი მას); II პრძანებითში — ასეთ ზმნებითან, რომელთაც



მწერის ნიშანი არ დაერთვის: ოქუ-ედ (მათ იგი)“ (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 394). გარდა ამისა, -ედ სუფიქსი მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში დადასტურდა უწავატლის ხოლმეობითა (ზარუნ-ვ-იდ-ი-ედ...) და II ხოლმეობითში (და-სხდ-ი-ედ...), (ი. აბულაძე, 1954), II კავშირებითა (იქმნედ...) და I თურმეობითში (შეუმოს-ედ...) (ზ. სარჯველაძე, 1984).

ბ) „ნა პირის ნიშნად მხოლოდ რიცხვში -ნ ვეხვდება: აწმყოს ხოლმეობითში (ზინ, წერნ), I ბრძანებითა (წერდინ, კლევდინ) და II ბრძანებითში (მოკალნ, თქუნ) (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 403)“. გარდა ამისა, -ნ სუბიექტური III პირის ნიშნად დადასტურდა I თურმეობითშიც (ფუცრობიენ) (ი. აბულაძე, 1954) და II ხოლმეობითშიც (თიქნ, იევინ) (ზ. სარჯველაძე, 1984).

რა ფაქტის წინაშე აღმოჩნდით:

მხოლოდობით რიცხვში სუბიექტურ მესამე პირს გამოხატავს -ნ:

აწმყოს ხოლმეობითში

I ბრძანებითში

II ბრძანებითში

II ხოლმეობითში

I თურმეობითში

სუბიექტური მესამე პირის მრავლობით რიცხვს გამოხატავს -ედ:

აწმყოს ხოლმეობითში

I ბრძანებითში

უწავატლის ხოლმეობითში

II ბრძანებითში

II ხოლმეობითში

II კავშირებითში

I თურმეობითში

ამდენად, -ნ და -ედ სუფიქსთა გამოყენების სფერო საკმაოდ ფართოა. ამ დროს სამი ნაგვის — აწმყოს ხოლმეობითის, I ბრძანებითისა და II ბრძანებითის — დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულად მიხნევა მხოლოდ ამ ნიშანთა გამოყენებას ეფუძნება. პირის ნიშნით ასევე განსხვავებული ფორმები უწავატლის ხოლმეობითში, II ხოლმეობითში, II კავშირებითისა და I თურმეობითში დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულად არ გამოიჩნება. თუკი ეს ფაქტორი (პირის ნიშანთა სხვაობა) საუღლებელ ერთეულთა გამოყოფის პრინციპად შეიძლება მივიღოთ, გამოდის, რომ ეს პრინციპი ირდევია ზენი მსჯელო-

შის საწინააღმდეგოდ შეიძლება ვეთხრობან, რომ აქმყოს ხოლმეობითო-  
 სა და I—II ბრძანებითების შემთხვევაში ფუნქციურ სხვაობასაც აქვს  
 ადგილი, სხვა შემთხვევაში — არა, მართალია, მაგრამ უნდა გავითვო-  
 ლისწინოთ ისიც, რომ ხშირია შემთხვევები, როცა „I. აქმყოს გვაქვს“  
 იქ, სადაც კონტექსტის მიხედვით აქმყოს ხოლმეობითი არის მოსა-  
 ლოდნელი; II. ერთსა და იმავე წინადადებაში ერთმანეთის გვერდით  
 დასტურდება აქმყოსა და აქმყოს ხოლმეობითის ფორმები; III. ერთი  
 და იმავე ტექსტის სხვადასხვა ნუსხები საკმაოდ ხშირად ერთმანეთს  
 იმითაც უპირისპირდებიან, რომ ერთი და იმავე ზმნის ფორმას განსხვავ-  
 ვებულად წარმოადგენენ. ერთ ნუსხაში რომ აქმყოს ხოლმეობითია,  
 სათანადო ადგილას მეორე ნუსხა აქმყოს მწკრავს გამოავლენს; IV. ერთ-  
 სა და იმავე წინადადებაში აქმყ-ს გვერდით დასტურდება ზმნები,  
 რომლებიც უწვევებლად ხოლმეობითის ან III ხოლმეობითის ფორმით  
 არიან წარმოდგენილი. ამდენად, ასეთ შემთხვევებში აქმყოს ხოლმეო-  
 ბითი იყო მოსალოდნელი, გვაქვს კი აქმყო: V. ვადაქმყოს მცდარად  
 მიუჩნევია აქმყოს ფორმები და შის „გაზრდიანებას“ ცდილა“ (ზ. სარ-  
 ჭველაძე, 1984, გვ. 427), და უოველავე ეს IX—XI საუკუნის ძეგლებში  
 დასტურდება.

როგორც ვხედავთ, -ს/-ენ სუფიქსებიან ფორმებსაც შესწავს უნა-  
 რი ზოგადი აქმყოს ფუნქციის გადმოცემისა.

**შენიშვნა:** ყველა წამოთვლილი შემთხვევა ავტორთან  
 გამოხატულებად და ნორმადან გადახვევად მიიჩნევა, რომ  
 „აქმყოს ხოლმეობითის მწკრავი იმდენა, შის თავისუფლად  
 ენაცვლება აქმყო“. წარმოდგენილ შემთხვევათა მაგალითო-  
 ბის ხშირადვე, თანაც ძველი ქართულიდან იხევა მნიშვნე-  
 ლიან პერიოდში, როგორცაა IX—XI საუკუნეები. ევაქ-  
 რიბთ, იმის მიუწევებელია, უპირველეს ყოვლისა, რომ ზოგა-  
 დი და კონკრეტული აქმყოს გამოხატვა ფორმობრავ მკვეთ-  
 რად არაა გამოჩენილი.

დავეშვათ, რომ შესაძებ სუბიექტური პირის ნიშნის მიხედვით გან-  
 სხვავებული ფორმები სისტემებრ დაპირისპირებულთა ფუნქციურადაც,  
 არის კი ეს საკმარისი მათი სხვადასხვა ნაკეთის ფორმებად მიჩნევისა-  
 თვის?

არ არის შემთხვევითი ის ფაქტი, რომ ა. შანიძე აქმყოს ხოლმეო-  
 ბითის პირდაყვ ნაკეთად წარმოადგენს. ვ-წერ, ს-წერ, ვ-წერ-თ, ს-წერ-თ  
 ავტორისათვის მხოლოდ აქმყოს ფორმებია; არა იქნა უნდა, აღბათ,  
 გველაზე კარგად ა. შანიძისთვის იყო ცნობილი ის ფაქტი, რომ ამ  
 მ. გ. კოჭლავაძე

ფორმებს შესწევთ უნარი როგორც კონკრეტული, ასევე ზოგადი აწმყოს (ხოლმეობითობის) ფუნქციის გადმოცემა, მაგრამ არ სვამს საკითხს ამ ფორმათა ორი ნაკეთის სახით წარმოდგენისას. ეს დაარღვევდა ა. შანიძის მოძღვრებას მწკრივის კატეგორიის შესახებ: „ზმნის ფორმათა ისეთ ქვეფს, რომელიც აერთიანებს ერთმანეთისაგან მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებულ ფორმებს, მწკრივი მქვია“ (ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. ვაჭაძე, 1980, გვ. 109); რომ „ზმნის იმ ნაწილს, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშნები, მწკრივის ფუნქცია მქვია“ (იქვე, გვ. 11). რომ „ზმნის სხვადასხვა მწკრივში სხვადასხვა ფუნქცია აქვს“ (იქვე, გვ. 121).

ამ მოძღვრების საფუძველზე ვწერ ფორმა არ შეიძლება ჩათვალოს ერთ შემთხვევაში აწმყოდ და სხვა შემთხვევაში აწმყოს ხოლმეობითად, მიუხედავად იმისა, კონტექსტში როგორია მისი ფუნქციები.

შანიშენა ზ. სარჯველადის აზრით, „აწმყოს ხოლმეობითის I და II პირების ფორმები აწმყოს I და II პირების ფორმებს ემთხვეოდა. ვარსკვლავი იყო მხოლოდ III პირის ფორმები, მსგავსი ვითარება გვაქვს -დ სუფიქსიანა ენებითი გვარის ზმნათა უღლებების II სერიაში, სადაც აწმყობისა და II ხოლმეობითის I და II პირების ფორმები საზიაროა“ (ზ. სარჯველადე, 1984, გვ. 425). ეფიქრობთ, ამგვარი ანალოგია სადავთა წყვეტილისა და მეორე ხოლმეობითის I-II პირების ფორმათა დამთხვევა ზღვას მხოლოდ ერთი ვგუფის ზმნებში და არა სერიაოდ. სხვა შემთხვევაში ამ ორი ნაკეთის ფორმები მკვეთრად განსხვავებული I-II პირებში. აქ საქმე გვაქვს ერთი ტიპის ზმნათა წყვეტილის წარმოების თავისებურებასთან. სხვაგვარია ვითარება აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის შემთხვევაში - ფორმათა დამთხვევა (თუკი სხვადასხვა ნაკეთად მივიჩნევთ) ყველა ტიპის ზმნათათვის იქნება ჩვეულებრივი.

შეფარებისათვის სახელთა ბრუნებიდან ახალ ქართულში ზღვას ფორმულიად სახელთა მიყვებითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმათა დამთხვევა (წყაროს წყალი და წყაროს წყარწყდა). ეს ფაქტი რომ დამახასიათებელი ყოფილიყო ყველა ტიპის სახელთა ბრუნებისათვის, ორი ბრუნვა აღარ გამოიყოფოდა. წყვეტილისა და II ხოლმეობითის ფორმათა დამთხვევა ამ ვითარების ანალოგიურად გვესახება.

ა. შანიძის წარმოდგენილი მოძღვრება მწკრივის ჩაშლის შესახებ საყოველთაოდ და ვაზიარებული, როგორ შეეცვება ამ მოძღვრებას

წერ-ბ და წერ-ნ ფორმათა სხვადასხვა ნაკეთის ფორმებად მიჩნევა (შესაბამისად: უწყვეტლისა და I ბრძანებითს, წყვეტილისა და II ბრძანებითს).

ს. ა. შ. ა. შ. ა. შ.

აღმოჩნდება, რომ სისტემებზე აწმყოსა და აწმყოს ბოლმეობითს, უწყვეტლისა და I ბრძანებითს, წყვეტილისა და II ბრძანებითს ერთი და იგივე ფუძე აქვთ:

აწმყო

აწმყოს ბოლმეობითი

წერ-ს

წერ-ნ

წარ-ი-ყვან-ებ-ს

წარ-ი-ყვან-ებ-ნ

ს-ცნ-ობ-ს

ს-ცნ-ობ-ნ

თხ-ავ-ს

თხ-ავ-ნ

უწყვეტილი

I ბრძანებითი

წერ-დ-ა

წერ-დ-ი-ნ

წარ-ი-ყვან-ებ-დ-ა

წარ-ი-ყვან-ებ-დ-ი-ნ

ს-ცნ-ობ-დ-ა

ს-ცნ-ობ-დ-ი-ნ

თხ-ე-ი-დ-ა

თხ-ე-ე-დ-ი-ნ

წყვეტილი

II ბრძანებითი

ს-წერ-ე

წერ-ე-ნ

წარ-ი-ყვან-ე

წარ-ი-ყვან-ე-ნ

ს-ცან

ცან-ი-ნ

შე-ს-თხაზ

შე-თხაზ-ნ

შენიშვნა: სრული ფუძე რომ წარმოიქმნილიყო, წყვეტილი-ში  $S_2$  პირის ფორმები მოეფუძნებო.

კვლავ გავიხსენოთ „ზმნის სხვადასხვა მწერებში სხვადასხვა ფუძე აქვს“. ეს დებულება და მოყვანილი მაგალითები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ამ დებულების საფუძველზე აწმყოსა და აწმყოს ბოლმეობითს, უწყვეტლისა და I ბრძანებითს, წყვეტილისა და II ბრძანებითს სხვადასხვა ნაკეთებად ვერ მივიჩნევთ.

აღნიშნულ წყვილთა სხვადასხვა ნაკეთებად მიჩნევა ნაკეთის განმარტების დაზუსტებას მოითხოვს: ან ნაკეთთა შორის ფუძეთა სხვაობის პრინციპი უნდა შეოცვალოს, ან ნაკეთის ფუძის განმარტება.

ნაკეთის ფუძის განმარტების შეცვლა ფუძეში პირის ნიშანთა შეტანის ივარაუდებდა (წერ-ს და წერ-ნ მხოლოდ პირის ნიშნებით განსხვავდება). საკითხის ასე დასმა, თავისთავად ცხადია, დაუშვებელია:

გვექნება იმდენი ფუჭე შესაბამისად იმდენი ნავეთიც), რამდენი ჭიჭი-  
შაცაა პირისა და რაყების ნიშნებით განსხვავებულ!

თუ ფუჭეთა სხვაობას არ მივიჩნევდით აუცილებლად ნავეთთა გა-  
მოყოფისათვის და მხოლოდ ფუნქციურ სხვაობას დავემყარებოდით,  
იმგვარ შედეგს მივიღებდით, რა ვითარებაჲც პრაქტიკულ გრამატიკებ-  
ში გვექონდა: ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა დროის (ნავეთის)  
ფორმად რომ განიხილებოდა ეს მეორე უკიდურესობაა. და რაც მთავა-  
რია: წერ-ს და წერ-ნ... ფორმათა სხვადასხვა ნავეთებად მიჩნევა და-  
არღვევს იმ ძირითად პრინციპს, რაც ნ. მარშია დანერგა სამეცნიერო  
გრამატიკაში — საწარმოებელი ფუჭის პრინციპს. ეს იქნება ფაქტობ-  
რად მიბრუნება იმ პრინციპისაკენ, რაც პრაქტიკულ გრამატიკებში იყო  
დამკვიდრებული.

სუბიექტური მესამე პირის ნიშნებით განსხვავებულ ფორმათა  
სხვადასხვა საეღვლებელ ერთეულებად მიჩნევა ამ გამოცემალ წინააღ-  
მდეგობაში ზაგვაგლო.

ყოველივე ეს იმ თვალსაზრისს დაუპერს მხარს, რომ აწმყოს ხოლ-  
მეობითი, I და II პარანებოთები ძველ ქართულში არაა დამოუკიდებ-  
ბელი ნავეთები.

მაინც რჩება ერთი საკითხი: რა ვეყოთ იმ ფუნქციურ სხვაობას,  
რომელიც წერ-ს და წერ-ნ ფორმათა შორისაა (და, შესაბამისად,  
წერ-ფ-ს და წერ-ა, წერ-ფ-ი-ს და წერ-ფ-ა ფორმებს შორის).

წერ-ს და წერ-ნ ფორმათა განმასხვავებელი ელემენტები სუბიექ-  
ტური მესამე პირის მორფემებია. ფორმათა შორის ფუნქციური სხვა-  
ობაა. ფაქტია ფორმათა განმასხვავებელი ელემენტები არაა განსხვა-  
ვებულ მნიშვნელობათა მორფოლოგიური ნიშანი...

როგორც ითქვა პარადულური — წარმომი და ხანიანი — წარმოე-  
ბა მესამე სუბიექტური პირისა დასტურდება რამდენიმე ნავეთში:

აწმყოში, უწყვეტილში, წყვეტილში, II ხოლმეობითში, I თურ-  
მეობითში.

**შენიშვნა:** თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ -ვდ სუ-  
ფიქსიანი წარმოება სუბიექტურია მესამე პირის მრავლობით  
რაიხვეში გარდა ჩამოთვლილისა, გვაქვს უწყვეტლის ხოლ-  
მეობითში და II კავშირებითში, შეიძლება ამ ნავეთებს  
დასახელებაჲც პარადულური ფორმიან ნავეთებად.

ამათგან დამოუკიდებელი ნავეთების გამოყოფას ვარაუდობენ  
(სხვადასხვა ფუნქციის საფუძველზე) მხოლოდ აწმყოსაგან, უწყვეტ-  
ლისა და წყვეტილისაგან. უწყვეტლის ხოლმეობითში, II ხოლმეობით-  
ში, II კავშირებითში პარადულური ფორმების არსებობა არ გამხდარა  
საფუძველი ახალი ნავეთების გამოყოფისა. თუ დავუშვებთ, რომ წ/ედ



სუფიქსებს პირველ შემთხვევაში შესწევთ ძალა ნაკეთია დაპირისპირებისა, რატომ არ ხდება ეს მეორე შემთხვევაში? თუ წავა ნაკეთის ფორმათა დამპირისპირებელი ელემენტებია, რატომ ვხვდებით ისინი მეორე რიგის ნაკეთობან? და კიდევ, რატომ ახდენს წველ დაპირისპირებას სხვადასხვა ფუნქციური თვალსაზრისით?

ვფიქრობთ, საქმე ისაა, რომ აწმყო, უწვავბელი და წვავბელი დროულ-კლოური თვალსაზრისით პოლიფუნქციური ნაკეთებია: აწმყოს ფორმას შესწევს უნარი კონკრეტული (აწმყო) დროის გადმოცემისა და ზოგადი აწმყოს მნიშვნელობაც აქვს (ანუ: დაუღლია კონკრეტული დროული მნიშვნელობისაგან); ეს სხვაობა საფუძველი ხდება ასპექტური სხვაობისა (კრძოდ, ურთგზისი და მრავალგზისი მნიშვნელობების გადმოცემის); ასევე, უწვავბელსა და წვავბელს შესწევთ უნარი თბრობითი და ბრძანებითი კლოს მნიშვნელობების გადმოცემისა (რაც ხდება საფუძველი დროული სხვაობისა; თბრობითი კლოს გადმოცემის შემთხვევაში დრო წარსულია, ბრძანებითი კლოს შემთხვევაში — დრო მომავალია).

იდეალურია ვითარება, როცა ენაში განსხვავებული ფუნქცია განსხვავებული ფორმით გადმოიცემა... წარმოდგენილ სამ ნაკეთში არსებული ფორმოპირი პარალელში ენამ ფუნქციური სხვაობისათვის გამოიყენა: ენაში უყვე არსებულმა ფორმებმა შეითავსეს ასევე ენაში უყვე არსებული შინაარსი. ეს შესაძლებლობა არ იყო I და II პირის ფორმებთან, ამიტომ ეს ფორმები კვლავინდებურად პოლისემანტიკური დაჩნა დროისა თუ კლოს თვალსაზრისით, თუმცა ხაში უნდა გავსვას იმასაც, რომ თვით ამ ნაკეთებშიც ეს არ გატარდა სისტემებრ ეს პრინციპი: ხანაინი ფორმა აწმყოსი ორივე მნიშვნელობას ითავსებდა (კონკრეტულსაც და ზოგადსაც), ე. ი. ზოგადი აწმყოს მნიშვნელობა ორივე ფორმით გადმოიცემოდა — ხანაინითა და წარაინით.

ვფიქრობთ, ეს ვითარება სუბიექტური შესაძვე პირის ნიშანთა სისტემაში მომზდარ ცვლილებასთან უშუალო კავშირში უნდა იყოს.

სუბიექტური შესაძვე პირის ნიშანთა სისტემა ძველ ქართულში აზგვარი სახით წარმოგვიდგება:

მბ. რიცხვი: -ღ	მრ. რიცხვი: -ედ
-ფ	-ენ/-ან/-ინ
-ს	-ეს
-ო	
(-ო)	

სალიტერატურო ენის ისტორია ნათლად გვიჩვენებს ამ სისტემის ცვლილებას სურათს: მხოლოდობით რიცხვში გამოყენების არეს იფარა-

ლოებს -ს სუფიქსი და იჭერს იმავე ფუნქციით აღქმურად -ს და ფორმანტების ადგილს იმედროულად -ს სუფიქსის ადგილს რაც შემთხვევაში -ა სუფიქსი იყავებს (დინამიკურ გარდაცვალ ზმნათა აწმყს-ში). მრავლობათ რიცხვში გამოყენების არეს იფართოებს წარმოშობა წარმოებლები. ვერძოდ -ეს სუფიქსი. -ედ ფორმანტი დაიკარგა, ხოლო -ეს სუფიქსის გამოყენების არე დაეწროვდა.

ამრავად, ცვლილების ტენდენცია ასეთია ვნამ ვერ იგუა ერთი და იმავე ფუნქციით რამდენიმე ფორმანტი და მხოლოდობით რიცხვში თანხმოვანსუფიქსთაგან -ს ვაბატონდა, მრავლობითში — -ეს სუფიქსი იჩენს ამგვარ მიდრეკილებას. ეს ტენდენცია ამჟამად კვეთიმიერულ დიალექტში წარმოგვიდგება თითქმის დასრულებული სახით: აქ -ეს სუფიქსი გარდამავალ ზმნათა წვეტილში -ეს-ში შეცვალა (გააკეთ-ენ, აამენ-ენ...), -ეს იჭერს -ას სუფიქსის ადგილსაც (ტარი-ენ, მოდი-ენ...).

აქ მარტივად წარმოდგენილი სისტემის ცვლილების ტენდენცია საკმაოდ ხანგრძლივია და რთული პროცესი ჩანს. ყველა დეტალს გათვალისწინება და ყველა ცვლილების შეფასება ჩვენთვის ამერადა, რა თქმა უნდა, ძნელია. მაგრამ ვფიქრობთ, რომ წარიან და სანიან ფორმათა შორის ფუნქციათა გადანაწილება (მაგალითად: ზოგადი და კონკრეტული აწმყოს ფუნქციათა გამოხატვა) ამ რთული პროცესის ამსახველი ერთ-ერთი ეტაპი უნდა იყოს. თუმცა, ჩვენი აზრით, ეს იყო ხანასაბი ტენდენციისა, რომელიც არც ბოლომდე გატარდა და არც ყველა ნაკეთის შემთხვევა მოიცვა.

ვიმეორებთ: პროცესი თავისთავად ძალზე სანტერესსია ფორმათა შორის ფუნქციათა გადანაწილებისა (განსხვავებული ფორმები განსხვავებულ ფუნქციებს ითვსებს...), მაგრამ არაა საჭმარისი წარიან და სანიან ვარიანტთა სხვადასხვა ნაკეთის ფორმებად მიჩნევისათვის...

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით აწმყოს ხოლმეობითის, I და II ბრძანებითების დამოუკიდებელ ნაკეთებად გამოყოფა არ მიგვაჩნია გამართლებულად. ვეთანხმებით იმ თვალსაზრისს, რომ ისინი აწმყოს, უწვევებლისა და წვეტილის ფორმობრივი ვარიანტებია, სუბიექტური მესამე პირის ნიშნებით განსხვავებული. ამ ნაკეთთა პარადიგმები ასეთი სახით წარმოგვიდგება:

აწმყო:	ვ-წერ	ვ-წერ-თ
	ს-წერ	ს-წერ-თ
	წერ-ს II ნ (II დ)	წერ-ენ II ედ
უწვევებლად:	ვ-წერ-დ-(ი)	ვ-წერ-დ-ით
	ს-წერ-დ-(ი)	ს-წერ-დ-ით
	წერ-დ-ა I წერ-დ-იან	წერ-დ-ეს II ედ

წვედრალი: ვ-წერ-ე  
ს-წერ-ე  
წერ-ა | წერ-ე-ს

ვ-წერ-ათ  
ს-წერ-ათ  
წერ-ეს | -ეს



შენიშვნით: სტრუქტურა მესამე პირის -ნ-ზედ სუფიქსიანი ფორმები აწმყოფს შემთხვევაში ზოგადი აწმყოფს მნიშვნელობის გამოხატველია, ხოლო წვედრალისა და უწვედრალის შემთხვევაში ბრძანებითი კლასის მნიშვნელობას იტვირთავს.

როგორც ითქვა, II სერიაში ლ. კეჩნაძემ კიდევ სამი ნავეთი გამოყო: **შერეული ნაშრო, შერეული ბრძანებითი და შერეული ხელმეობითი**, უკვე აღინიშნა, რომ ძველი ქართულისათვის ფაქტია **შერეული კავშირებითის** ნავეთის არსებობა, ლ. კეჩნაძე მსჯელობს: „რაცა შერეული კავშირებითი ფუნქციით I კავშირებითის ტოლია და ოდინანი წმინდების ამ შწერავს ფორმითაც ჰგავს, მის გვერდით უნდა არსებულყო ის შწერავიც, რომელაც ფუნქციით უწვედრალის ხელმეობითის ტოლი აქნებოდა, ხოლო ფორმით (გარეგნულად) არაფრით არ აქნებოდა განსხვავებული შერეული კავშირებითისაგან... ფორმით შერეული კავშირებითის მსგავს ამ შწერავს... შერეული ხელმეობითი უნდა ეწოდოს“ (ნაზი ატორისა — ვ. გ.) (ლ. კეჩნაძე, 1968, გვ. 187). რომ დადგოდიან და დიბან(ს)ოდან ტიპის ფორმებს „სან შერეული კავშირებითის ფუნქცია აქვს და სან შერეული ხელმეობითისა“ (იქვე, გვ. 190). ამგვარად, პარალელში

მი-ვ-ს-ც-ოდ-ი	მი-ვ-ს-ც-ოდ-ათ
მი-ს-ც-ოდ-ი	მი-ს-ც-ოდ-ათ
მი-ს-ც-ოდ-ი-ს	მი-ს-ც-ოდ-ი-ან

კონტექსტში გამოვლენილი ფუნქციისა და მიხედვით სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ნავეთად გაიპარება! თავისთავად ცხადია, ამგვარი გაიპარება არსებითად ეწინააღმდეგება ნავეთთა სისტემის აგების პრინციპს. ფაქტობრივ, ნ. შარის უდიდესი დამსახურება — სწარმოებელი ფუძის პრინციპის მიხედვით გამოყოფა საუღღუბელი ერთეულებისა — ამ უღღუბუბულყოფილია, ესაა მობრუნება პრაქტიკული გრამატიკებისაგან — ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა ფუნქციის გამოხატვის შემთხვევაში სხვადასხვა საუღღუბუბუ ერთეულად რომ გაიპარებოდან!

**შერეული ხელმეობითის** ნავეთის გამოყოფა ძველი ქართულისათვის ვაუშართლებელია.

ამგვ, ამ მოზიციოდან ვაუშართლებელად მიგვანია **შერეული ნაშროსა და შერეული ბრძანებითის** ნავეთების გამოყოფაც, მოვესმინათ



ავტორს: „ა. შანიძეს მოგვცეს ნენ ფორმის ადგილს, რომელიც  
ეჲ II ბრძანებითია, ხოლო სხვა ადგილას შეიძლება  
წვევითი იყოს, აღუდგენია მომიჯნაწილად. ამ წყაროს  
ფორმა რომელიც შერეულ ხელშეობითან და შერეულ კვანძების  
თან ერთად უნდა არსებულებო და რომლისთვისაც შეიძლება შე-  
რეული ბრძანებითი ვეწოდებინა“ (ლ. კეკელიძე, 1968,  
გვ. 192).

მომიჯნაწილად ფორმა რომ რეალურად არსებულებო ძველ ქარ-  
თულში, თავისთავად ცხადია, შეიძლება მსჯელობა დამოუკიდებელ  
ნაყთზე. მაგრამ არსებულ ფორმათა პარადიგმის რეალურ ნაყთად  
გამოცხადება და სისტემაში მისთვის ადგილის მიზნა ვაჭირდება...

ამგვარი დაშვება ავტორს კიდევ ახალი ნაყთის გამოყოფის საფუ-  
ძელს აძლევს: „რაც ა. შანიძეს შერეული ბრძანებითის ფორმა აღუ-  
დგენია, ცხადია, მას ისიც გათვალისწინებული ჰქონია, რომ თავის დრო-  
ზე ის წყაროც უნდა არსებულებო, რომლის ფუძეც გამოყენებულა  
იქნებოდა შერეული ბრძანებითისათვის და რომლისთვისაც შეიძლე-  
ბოდა შერეული ნამყო დაგვარქმობა: რაც არც I ბრძანებითს და არც  
II ბრძანებითს საკუთარი ფუძე არ ჰქონდა (I ბრძანებითი უწვევითის  
ფუძეს იყენებდა და II ბრძანებითი — წვევითისას), ცხადია, არც  
შერეულ ბრძანებითს ექნებოდა საკუთარი ფუძე და მას სათანადო შე-  
რეული წყაროს ფუძე უნდა გამოეყენებინა“ (იქვე, გვ. 192—193).

რომ რეალურად არსებულებო მომიჯნაწილად ტიპის ფორმები,  
მათი ორ ნაყთად მიხნევა (შერეულ ნამყო და შერეულ ბრძანები-  
თად) ბრინკისებლად გაუმართლებელი იქნებოდა, ამ შემთხვევაში ცო-  
რამდენადაც რეალურად ამგვარი ფორმები არ დასტურდება, ამ ნაყ-  
თებზე საუბაროც უეღმატო ვეჩვენება.

შენიშვნა: 1. ლ. კეკელიძის მსჯელობიდან ის მოამტკიცა და  
ბაც რჩება, რომ თითქოს შერეული ნამყო და შერეული  
ბრძანებითის გამოყოფა საფუძველს ა. შანიძის ნახრევიდან  
იღებს. მართალია, ა. შანიძე აღუდგენს ფორმას მომიჯნა-  
წილად, მაგრამ არ ხვამს საკითხს მისი დამოუკიდებელი ხე-  
რულზედ ერთეულად მიხნევის თაობაზე. საფუძველს მოკ-  
ლებული ვერაქნება მტკიცებაც, რომ „მას (ა. შანიძეს) ისიც  
გათვალისწინებული ჰქონია, რომ თავის დროზე ის წყარო-  
ც უნდა არსებულებო, რომლის ფუძეც გამოყენებულა იქ-  
ნებოდა შერეული ბრძანებითისათვის“. ა. შანიძის შრომებ-  
ში ამგვარი ნაყთების — შერეული ბრძანებითი, შერეული-  
ნამყო, შერეული ხელშეობითი — შესახებ არაა მსჯელობა.  
„ძველი ქართული ენის გრამატიკაში“, რომელიც 1976 წელს



დაიბეჭდა (ღ. კეცაძის ნაშრომი 1968 წელს გამოქვეყნდა). ამ ნაყოფებს ეგრ ეხებოდათ. როგორც წინა, ა. შანბაძის მიერ არება წარმოდგენილ თვალსაზრისს. ა. შანბაძის „უბუნებულა — ჰმნას სხვადასხვა შერევაში სხვადასხვა ფუძე აქვს“ — სხვაგვარი დასკვნის უფლებას არ გვაძლევს.


2. ღ. კეცაძის თვალსაზრისის შემადგენელ ფაქტობრივ მასალებს ცდილობს ზ. სარჯველაძე. აღიაროდა, ვერაფერ თუხ-ვეოდა, თუხ-ვეოდა — შერეული წყვეტილის ფორმებადაა მიანებული, ხოლო ფორმა აღადიდოდ — შერეულ ბრძანებითაჲ. თუმცა კატეგორიულად ამის მტკიცებას აცხროს არ ცდილობს. მსჯელობს — არის რამდენიმე შემთხვევა, როცა შერეული წყვეტალია სავსელებული“ და „თითქოს შერეული ბრძანებითაც ვხვდება ველათს ბიძლიაში“ — ვეაფიქრებინებს, რომ აცხროსისათვისაც მიიღოდ სარწმუნო არ არის ფორმათა ამგვარა კვალთაჲკაცია (იხ. ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 456-457).

I თურმეობითის იშვიათი ფორმები — ფუნობიენ, შვეტირაცხენ, მიუგვებინ — ტიპისა — როგორც ითქვა დამოუკიდებელი ნაყოფის ფორმებად გაიზრება (ი. აბულაძე, 1984, გვ. 145. ღ. კეცაძე, 1968, გვ. 192, ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 404-405). ამ ნაყოფს „III ხოლმეობითი“ (ი. აბულაძე) ან „I თურმეობითის ხოლმეობითი“ (ღ. კეცაძე) უწოდეს.

ჩვენ სარწმუნოდ და დამაყრებლად მიგვიჩნია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ამ შემთხვევაში, ასევე როგორც „აქმყოს ხოლმეობითის“ შემთხვევაში, სავსე გვაქვს I თურმეობითის არქაულ ფორმებთან: III სუბეპტერი პარის ნიშნით ვამსხვეფებულ პარალელურ წარმოებათან (ა. არაბული, 1980, გვ. 39). აქმყოს ხოლმეობითის თანბანზე ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ანალოგიას ამ შემთხვევაშიც იბოვის...

თუ შევფარებთ ყოველივე ზემოთქმულს, ყველა ქართულის უღვლილებს სისტემა ამ სახით წარმოგვიდგება:

- I სერია — 1. აქმყო — (და)წერ-ს
- 2. უწყვეტილი — (და)წერ-ღ-ა
- 3. უწყვეტილის ხოლმეობითი — (და)წერ-ღ-ა-ს
- 4. I კავშირებითი — (და)წერ-ღ-ის
- II სერია — 5. წყვეტილი — (და)წერ-ა
- 6. II ხოლმეობითი — (და)წერ-ა-ს
- 7. II კავშირებითი — (და)წერ-ა-ის
- 8. შერეული კავშირებითი — (და)წერ-ოდ-ა-ს

- 
- III სერია — 9. I თურმეობითი — (და) უწერ-ივ-ს  
 10. II თურმეობითი — (და)უწერ-ა  
 11. III ზოლმეობითი — (და)უწერ-ი-ა  
 12. III კავშირებითი — (და)უწერ-ი-ა

როგორც უხედავთ, განსხვავებას ახალი ქართული სისტემისაგან  
 ოთხი ნავეთი კმნის: უწევებლის ზოლმეობითი, II ზოლმეობითი, შე-  
 რეული კავშირებითი, III ზოლმეობითი. თუ იმ ფაქტსაც გავითავლის-  
 წინებით, რომ შერეული კავშირებითის ფორმები ჩვეულებრივ ზოლმე-  
 ობითის ფუნქციასაც ითავსებენ (რის გამოც შერეული ზოლმეობითიც  
 ეწოდება ამ ფორმებს), შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველი და ახალი  
 ქართულის უღვლილებას სისტემათა შორის არსებული განსხვავების  
 მიზეზი ზოლმეობითობის მორფოლოგიური კატეგორიის გაჭრობაა.

## თავი VIII. უღვლეულების სისტემა ქართული ენის ღიაღვივებაში

ნაკეთია ჩაოდენობის მიხედვით ქართული ენის ღიაღვივებები არა-ერთგვაროვან ვითარებას გვიჩვენებს.

ის რვა ნაკეთი, რომელიც ახალ ქართულში გვაქვს, დასტურდება ქართული ენის თითქმის უველა ღიაღვივებში. ვაშობთ თითქმისა, იმიტომ რომ თავისებური ვითარებაა მესამე კავშირებითთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ მესამე კავშირებითი ახალ ქართულში ყველაზე ნაკლებად ხმაურებული ნაკეთია: მის ნაკვლად მეორე თურმეობითი გამოიყენება (ა. შანიძე, 1973, გვ. 223; შ. ძიძიგერი, 1970, გვ. 250; ა. პაპიძე, 1979, გვ. 54). მიუთითებენ, რომ მესამე კავშირებითის ხმაურება ღიაღვივებში ისევე შეზღუდულია, როგორც სალიტერატურო ქართულში (ა. კინჭარაძე, 1960, გვ. 144; კ. კუბლაშვილი, 1985, გვ. 167 და სხვა). აქაც, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულში, მის მეორე თურმეობითი ცვლის, გამოწყლისს რატული ღიაღვივებების, სადაც კარგად შემოგვენახა III კავშირებითი. უფრო მეტიც, იგი ხშირად ცვლის II თურმეობითის, ეს ერთერთი სპეციფიკური ნიშანია რატული ღიაღვივებისა (შ. ძიძიგერი, 1970, გვ. 194...), ამგვარად მოვლენაზე მიუთითებენ ინგილოურსა და ატენის ზეობის ქართულშიც (ვ. იმნაიშვილი, 1952, გვ. 329). მიუხედავად იმისა, თუ როგორია III კავშირებითისა თუ II თურმეობითის გამოყენების სიხშირე ამა თუ იმ კლასში, ფაქტია, რომ ირივე ეს ნაკეთი დასტურდება ქართულ ღიაღვივებში.

ასე რომ, უღვლეულების სისტემის გამარტოება არ ხდება ღიაღვივებში; გართულება — კ.

უღვლეულების სისტემის თვალსაზრისით ქართული ენის ღიაღვივებები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიფოს:

1. ღიაღვივებები, რომლებიც ნაკეთია ჩაოდენობის თვალსაზრისით ახალი ქართულსაგან არ განსხვავდებიან — უღვლეულების სისტემაში რვა ერთგვლია წარმოდგენილი. ღიაღვივებია ამ ჯგუფს მიეკუთვნება: აჭარული, შესხური, ქვაახური, იმერზეული და ინგილოური.

**შენიშვნა 1.** ამ ნიშნის მიხედვით ინგილოური დიალექტი სამხრულ-დასავლურ დიალექტთა გვერდით აღმოჩნდა სხვაობას აღმოსავლური დიალექტებიდან, ვერძოდ კაბური-სიანს (რომელასაც ინგილოურს მრავალი მეხევედრის წერტილი აქვს), ხოლმეობითის საკეთების ქინა-არქინა ქმნის თუშკა, ხოლმეობითობის კატეგორიის გამოხატვის თვალსაზრისით, ინგილოური ამ ეგუფისაგან შანც განცალკევებით ღვას: ვე (||ვ) ნაწილაკაანი ფორმებით ხოლმეობითობის გამოხატვა ნიშანდობლივია ამ დიალექტისათვის (იხ. ვ. ანთაშვილი, 1966, გვ. 121), რაც უცხია ამ ეგუფის სხვა კალეებისათვის.

2. მოიტანით, შიანახით, ვაივა, ღანახით... ტიპის ფორმები, წვეტილის შინაშენლობით რომ გეხვდება ინგილოურში, არ შეიძლება ნათქვამის ისტორიული ხოლმეობითობის ფორმებად (მღრ ვ. ანთაშვილი, 1966, გვ. 121), იგი უნიფიკირებული წვეტილის ფორმებია ანალოგიას ეს მოვლენა ხეხურულში აიოვას.

2. განცალკევებით ღვას ხევსურული დიალექტი, ხოლმეობითობის მორფოლოგიური კატეგორია ამ დიალექტში უვალზე უკეთ და სრულად შემოგვენახა: დასტურდება სამივე ხოლმეობითობა:

- I ხოლმეობითი (უწვევებლ-ის ხოლმეობითი) — (ვა)-ავეთებ-ღ-ი-ს
  - II ხოლმეობითი — (ვა)-ავეთ-ი-ს
  - III ხოლმეობითი — (ვა)-ვეთ-ი-ს
- (ილ. ქინჭარაული, 1961; ა. არაბული, 1978).

**შენიშვნა:** ძველი ქართულის იფერტური ეითარება I და II ხოლმეობითობის წარმოებაში მხოლოდ III პირის ფორმებთან გვაქვს I-II სუბიექტური პირის ფორმებში -იღ სავრცობი იქნეს თავს:

I ხოლმეობითი —	აკეთებლ-იღ-მ	აკეთებლ-იღ-ი-თ
	აკეთებლ-იღ-მ	აკეთებლ-იღ-ი-თ
	აკეთებლ-ი-ს	აკეთებლ-ი-ან
II ხოლმეობითი —	აკეთ-იღ-მ	აკეთ-იღ-ი-თ
	აკეთ-იღ-მ	აკეთ-იღ-ი-თ
	აკეთ-ი-ს	აკეთ-ი-ან

**III ხოლმეობითის** ნაკეთის შემონახვაა ის ფაქტორი, რომელიც ხვესტრულს განსაღვრებით წარმოგედგენს.

3. ერთგვარ ეოთარებას გვიჩვენებს ფშატრი, მთიულურ-გუდამაყრული და მოხეურა (ვ. ცოცანიძე, 1978, ი. ქეთარაძე, 1985, 1961). ამ დიალექტებში შემონახულია I და II ხოლმეობითის ნაკეთები. ნაკეთთა წარმოების თვალსაზრისით მთიულურ-გუდამაყრული და მოხეური ძველი ქართულის ეოთარებას ასახავს:

I ხოლმეობითი — ვაეთებდ-ი	ვაეთებდ-ი-თ
აეთებდ-ი	აეთებდ-ი-თ
აეთებდ-ის	აეთებდ-ი-ან

II ხოლმეობითი — ვაეთ-ი	ვაეთ-ი-თ
აეთ-ი	აეთ-ი-თ
აეთ-ის	აეთ-ი-ან

ფშატრში ამ ნაკეთთა წარმოების პრინციპი ხვესტრულის მაგვარია. სახვაობას ის ქმნის, რომ ხვესტრულში გამოყენებული -თ სუფიქსის ნაკვლად ფშატრში -თ სუფიქსი იხმარება:

I ხოლმეობითი — ვაეთებდ-ოდ-ი	ვაეთებდ-ოდ-ით
აეთებდ-ოდ-ი	აეთებდ-ოდ-ი-თ
აეთებდ-ის	აეთებდ-ი-ან

II ხოლმეობითი — ვაეთ-ოდ-ი	ვაეთ-ოდ-ი-თ
აეთ-ოდ-ი	აეთ-ოდ-ი-თ
აეთ-ის	აეთ-ი-ან

ას. რაც ამ დიალექტებს სხვებისაგან გამოარჩევს, თბოენით-ბრძანებითა (თბოენით-წაქეზებით), II სერიის ნაკეთი:

ვაეთ-ოდ-ე	ვაეთ-ოდ-ე-თ
აეთ-ოდ-ე	აეთ-ოდ-ე-თ
აეთ-ოდ-ე-ს	აეთ-ოდ-ე-ან

**შენიშვნა 1.** განსხვავებულია ამ ნაკეთთა ხმარებას სიხშირე აღნიშნულ დიალექტებში: თუ ფშატრში მათი გამოყენება ნეულებრივია ფაქტია, მოხეურსა და მთიულურ-გუდამაყრულში შედარებით იშვიათია.

2. მოხეურში არის ტენდენცია ხოლმეობითობის ორგანული წარმოების ნაწილაგაინი წარმოებით შეცვლისა, „ხოლმე-

ობიის გამოყენების საჭიროება დარჩა, მაგრამ გამოხატვის ფორმა შეიცვალა... ფართოდ გავრცედა - ეს ნაწილაკის გამოყენება „ხოლმეს“ ფუნქციით“ (ი. ქავთარაძე, 1985, გვ. 57). ხანტერესო სურათია: გვერდიგვერდ დასტურდება სამი ვარიანტი - არქაული, გარდამავალი და ახალი:

- I ხოლმეობითი - აკეთების, აკეთების-ვე, აკეთებდა-ვე  
 II ხოლმეობითი - აკეთის, აკეთის-ვე, აკეთა-ვე

4. ერთგვაროვანია ეითარება თქმურში, კახურში, ქართლურსა და ფერეიდნულ დიალექტებში (თ. უფურგაძე, 1960; ვ. ცოცანიძე, 1970; ა. მარტიოსოვი, ვ. იმნაიშვილი, 1956; ვ. იმნაიშვილი, 1953, არ. ჩიჭობაძე, 1927; ბ. ჯორბენაძე, 1988...). ამ დიალექტებში სალიტერატურო ქართულსაგან განსხვავებული ორი ნაკეთი დასტურდება I და II ხოლმეობითები. წარმოების პრინციპითა და საშუალებებით თქმური ხოლმეობითები ხვესურულის იდენტურია: ქართლური, კახური და ფერეიდნული ხოლმეობითები ძველი ქართულისებურია.

ამ დიალექტებს ხვესურულისაგან III ხოლმეობითის არქონა განასხვავებს ფშურის, მოჭერისა და მთიულურ-გუდამაყურულისაგან — თხონითა-წაქეხებითი ნაკეთის არქონა.

5. სპეციფიკურ ეითარებას ქმნის ქართული ენის დასავლურ დიალექტთა ერთი ჯგუფი — იმერული, ლეჩხუმური, რაჭული და გურული.

დიალექტთა ამ ჯგუფში გამოიყო IV სერია სამი ნაკეთით: თურმეობითი III (მინავალი, ნაწერა), თურმეობითი IV (მინავალყო, ნაწერაყო) და კეშირებითი IV (მინავალიყოს, ნაწერაყოს) (ვ. როგავა, 1953). ამ ტიპის წარმოება მეგრულს გავლენით იხსნება (არჩ. ჩიჭობაძე, 1936, გვ. 146). „ქართული ენის დასავლურ კილოებს შორის ქვემო-იმერული ერთადერთია, რომელშიც აწმყოს ჯგუფის თურმეობითის ნაკეთები (ვ. ი. IV სერიის ნაკეთები — ვ. გ.) უველაზე უფრო მწყობრ სისტემას ქმნის“ (ვ. კვებლაშვილი, 1985, გვ. 170). როგორც ითქვამს IV სერიის ნაკეთები დასტურდება აგრეთვე ლეჩხუმურში, რაჭულსა და გურულში (ვ. როგავა, 1953; ვ. თოფურია, 1954; ბ. ჯორბენაძე, 1988). ამ ტიპის ფორმები გამოვლენილია ზემოიმერულშიც (ვ. ძიწენაძე, 1973). ქვემოიმერულის მაგალითზე წარმოვადგენთ IV სერიის ნაკეთთა პარადიგმებს:

- |                               |                |
|-------------------------------|----------------|
| III თურმეობითი: ე-ნაკეთებ-ვარ | ე-ნაკეთებ-ვართ |
| ხაკეთებ-ხარ                   | ნაკეთებ-ხართ   |
| ნაკეთებ-ა                     | ნაკეთებლარუნ   |

IV თურმეობითი: ვ-ნაყეთებ-იყავი  
 ნაყეთებ-იყავი  
 ნაყეთებ-იყო

ვ-ნაყეთებ-იყავით  
 ნაყეთებ-იყავით  
 ნაყეთებ-იყვენი



IV კავშირებითი: ვ-ნაყეთებ-იყო  
 ნაყეთებ-იყო  
 ნაყეთებ-იყოს

ვ-ნაყეთებ-იყოთ  
 ნაყეთებ-იყოთ  
 ნაყეთებ-იყონ

მიუთითებენ, რომ კავშირებითი IV-ის „ნაყეთი (შესაძლებელი ფორმა) ისევე იშვიათია, როგორც კავშირებითი შესამის ფორმა“ (ვ. როგავა, 1953, გვ. 23). იმასაც აღნიშნავენ, რომ „ქართულის ენაში ზეოთხე ქვეფის ნაყეთები ხვეულებრივ შესაძე პირის ფორმით გვხვდება: ნაწერა, მიწაელა, მიწაელიყო, ნაწოვაფა, ვანარება და სხე... პირველ და მეორე პირის ფორმებში იგი იშვიათად გვხვდება... პირის პრეფიქსები იხმარება უმთავრესად ნა- მიმღვობის აფიქსის წინ: ვ-ნაყეთებარ, ვ-ნაწერეარ, მ-ნაყეარება და სხე... ზოგან კი ნა- პრეფიქსსა და ზმნის ფუძეს შორისა მოთავსებული პირის ნიშანი... შენა-გვადლება“ (ვ. როგავა, 1953, გვ. 29).

•  
•

როგორც ვხედავთ, სალიტერატურო ქართულსათვის ნიშანდობ-  
 ლივი ნაყეთთა სისტემა არის ის, რაც აერთიანებს დიალექტებში და-  
 დსტერებულ სისტემებს. სხვაობას სალიტერატურო ქართულთან მი-  
 მართებით აღწენს 12 დიალექტი, თანხვედრა გვაქვს ხეთ შემთხვევაში  
 (ინგილოურ, მესხურ, ქავახურ, აქართლ და იმერხედლ დიალექტებში)-  
 დიალექტები, რომლებიც სხვაობენ სალიტერატურო ქართულთან შე-  
 დარებით. ზოგადად ორ ქვეფად შეიძლება დაიყოს: 1. რომლებშიც  
 არქაული ვითარებაა დაყუღლი (შხედველობაში გვაქვს ხოღმეობითების  
 ნაყეთები): ხევსურული, ფშაური, მოთუღურ-გედეამიერული, მოხეუ-  
 რი, თფშერო, ქართლური, კახური, ფარეიდნული; 2. დიალექტები,  
 რომელთა უღვლიღების სისტემას სალიტერატურო ქართულსაგან  
 ახალ წარმოწაქმნი ნაყეთები ვანასხეავენს (შხედველობაში გვაქვს IV  
 სეროის ნაყეთები): იმერული, ლენხემურო, რაჭული, ვერული. არის  
 ვარყაველი კანონზომიერება: პირველ ქვეფში შედის აღმოსავლური  
 დიალექტები (და ფარეიდნული, რომელაც ფაქტობრივ კახურა დია-  
 ლექტის განაყარია), ხოლო მეორე ქვეფში — დასავლური დიალექ-  
 ტები.



პირველი ქვეთის დიალექტებისათვის დამახასიათებელია სისტემის გამარტივების — სალიტერატურო ქართულთან დაახლოების — ტენდენცია. ხოლმეობითობის მორფოლოგიური კატეგორია იშლება მარის დიალექტებში — კახურში და ქართლურში — ნაწილობრივ შეინარჩუნეს I და II ხოლმეობითის ფორმები (შოლოდ ცალკეულ ტყავონებში); მთის დიალექტთაგან მოხეტრში მიიღო ამ ტენდენციამ გამოკვეთილი სახე: ორგანული წარმოების ფორმებს ცვლის აღწერითი წარმოება. ყველაზე სრულად და მყარად ხოლმეობითის ნაკვებები ხევისურულშია დაცული; შემდგომ თემურსა და ფშაურში. აქაც თითქოს ნათლად ჩანს გზა სისტემის გამარტივებისა ხევისურულიდან ქართლურ-კახურამდე... საერთო ჩანს თითქოს მოხეტრში ამჟამად მიმდინარე პროცესიც ხოლმეობითობის ორგანული წარმოების აღწერითი წარმოებით შეცვლისა...

მეორე ქვეთის დიალექტებისათვის დამახასიათებელია სისტემის გაართულების — სალიტერატურო ქართულსაგან განსხვავების — ტენდენცია. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის გათვალისწინება გვებარძებდებიან, რომ ხოლმეობითობის მორფოლოგიური კატეგორია ამ დიალექტებისთვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ამჟამად დასავლურ დიალექტებში ამის კვალიც არა ჩანს. ძველი ქართლის რთული სისტემა ხოლმეობითების დაკარგვის ხარჯზე გამარტივდა და აქვე იჩინა თავი სხვა თვალსაზრისით სისტემის გაართულების ტენდენციამ: ჩამოყალიბდა IV სერია...

ყოველივე ეს მეტად რთულ და საინტერესო ვითარებას ქმნის. საკვლევი და ასახსნელი ამ პროცესში ბევრი რამაა. ამჟერად ჩვენ მხოლოდ აღწერით ვკმაყოფილდებით.

**შენიშვნა: 1.** დიალექტებში დადასტურებული უფლილების სისტემის ამსახველი ცხრილი, რუკები და უფლილების ნიმუშები ტაბულების სახით დაერთვის ნაშრომს.

2. და კიდევ დიალექტოლოგიური ხასიათის გამოკვლევებში არაა საუბარი იმის თაობაზე, უნდა გამოიყოს თუ არა მყოფადის წრე ან თუ იმ დიალექტში. აკეთებს — გააკეთებს ფორმათა მარის რამდენადაც დროულა სხვაობა ყველა დიალექტშია და ამ საკითხზე რაიმე შენიშვნა არ კეთდება, ივარაუდება, რომ გაზარტებულია თვალსაზრისი მყოფადის წრის გამოყოფის თაობაზე. ეს, ერთი მხრივ, ტრამბოლოვიის საკითხის გადასაჩვენის მოითხოვდა დიალექტებში, რომლებშიც I ხოლმეობითის ნაკვთია დამოწმებული: მყოფადის წრის ხოლმეობითა (გაკეთებდა) და აქვე I ხოლმეობითა

(აქთებდის) ტერმინოლოგიურ შეუსაბამობას შექმნიდა. შე-  
ორე მხრივ, ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაბრის-  
პარების საფუძველზე ნაკეთა გამოყოფის საფუძვი პირველ  
და ხიდბუობითის ზმნისწინიან ფორმათა დამოუკიდებელ  
საუღლებელ ერთეულად გამოყოფის საკითხსაც დასვამდა  
აქთებდის — გააკეთებდის. ტრადიციულ თვალსაზრისზე  
დგომა მხედლობის მოითხოვს თუ აქთებდა — გააკეთებდა  
სხვადასხვა ნაკეთა, რატომ არ დგება ასევე საკითხი აქ-  
თებდის — გააკეთებდის ფორმათა მიმართ.

ეუიქრობთ, ის, რომ არ დგას საკითხი აქთებდის — გა-  
კეთებდის ფორმათა სხვადასხვა საუღლებელ ერთეულად  
მიჩნევისა, მხარს უჭერს წყნს თვალსაზრისს ამის თაობაზე,  
რომ აქთებდა—გაკეთებდა ერთი და იმავე ნაკეთის ფორმე-  
ბია.

**თემა VIII. ნაკვეთის ფაქტობრივი საკითხისათვის**

ითქვა, რომ საწარმოებელი ფუძის მიხედვით ნაკვეთის დაფუძნების წესი „ნ. შარმა ღანერგა სამეცნიერო გრამატოკაში და ეს მისი უფულო დამსახურება არის“ (არნ. ჩიქობავა). ისიც აღინიშნა, რომ საწარმოებელი ფუძის პრინციპის მიხედვით თუ პირველი და მეორე სერვისს გამოყოფა დავას არ იწვევს, ამას ვერ ვიტყვით შესაძგ სერვისს მიმართ. „თურმეობითის ქვეფს არ მოეპოვება საერთო ფუძე, ამოსავლად რომ ვეკონდეს წარმოებისას. ამით განსხვავდება თურმეობითის ქვეფი აწმყოს და ნამყო ძირითადის (ნ. შარით: აორისტის) ქვეფისაგან აწმყოს ქვეფი აწმყოს ფუძეზე დაამყარებული, ნამყო ძირითადისა — ნამყო ძირითადის ფუძეზე. თუ შესაძგ ქვეფი (თურმეობითის ქვეფი) შინც ვაერთიანდა, ეს იმიტომ, რომ ამ ქვეფში შემავალი დროები „ერთი და იმავე წესით იწარმოება“. შართლაც, ამ ქვეფში ინვერსიული წყობა ვეაქვს მაშინ, როდესაც აწმყოსა და ნამყო ძირითადის ქვეფებში წყობა პირდაპირია...“ პირველ და მეორე ქვეფში „წარმოება“ ამოსავალი, შესაძგ ქვეფი სხვა პრინციპს დაემყარა“ (არნ. ჩიქობავა, 1962, გვ. 93). დაარტვა ელასიფიკაციის პრინციპი. ელასიფიკაციის ერთიანი პრინციპის გატარების ცდამ ნაკვეთის ორ ქვეფად დაყოფის საკითხი დასვა. აღენიშნეთ კიდევ, რომ წინააღმდეგობა ამ ცდასაც ახლავს. როცა ამ საკითხზე ვსაუბრობდით, კითხვა დაესვით: არის ვი შესაძლებელი საელასიფიკაციო ნიშნად საწარმოებელი ფუძის პრინციპის პოლომდე გატარება, ნაკვეთის ორ სერვიად დაფუძნება?.. ახლა, როცა გამოიკვეთა ზეენი თვალსაზრისისა ნაკვეთის რაობისა და ნაკვეთის რაოდენობის შესახებ, ვფიქრობთ, შესაძლებელია ამ საკითხზე მსჯელობაც.

საწარმოებელი ფუძის პრინციპი ველისსმობს ვარკვევას იმისას, თუ წარმოების თვალსაზრისით როგორ მოეშართება ამა თუ იმ ნაკვეთის საერთდენი ფუძე მეორეს. ამისდაკვალობაზე, ნაკვეთის ფუძისათვის შეიძლება საყრდენად მეორე ნაკვეთის ფუძე იქნეს გამოყენებული, ანდა ორ ან რამდენიმე ნაკვეთის საყრდენად საერთო ფუძე პკონდეს.

**შენიშვნა 1.** ნაკვეთის საყრდენ ფუძეს ვწოდებთ ამ ნაწილს ზმნური ფორმისას, რომელსაც დაერთვის ნაკვეთის შა-

წარმოებულა. ა-კვთ-ე ფორმაში ნაკეთის საყრდენი ფუძე იქნება ა-კვთ; ა-კვთ-ებ-დ-ე ფორმაში — ა-კვთ-ებ-დ.

2. ნაკეთის მაწარმოებლად განიხილება ის ელემენტი ზმნური ფორმისა, რომელიც ვებედება ამა თუ იმ-ნაკეთის ფორმაში და არ ვადამყება სხვა ნაკეთში, შესაბამისად: ა-კვთ-ებ-დ-ე ფორმაში - ე სუფიქსი ნაკეთის მაწარმოებელი იქნება (მდრ.: ა-კვთ-ებ-დ-ი). თბ-ებ-ა ტიპის ფორმებში - ი ელემენტი ასევე ნაკეთის მაწარმოებლად განიხილება (მდრ.: თბ-ებ-ოდ-ი). ა-კვთ-ებ ტიპის ფორმებში მივიჩნევთ, რომ ნულაოვანი წარმოებაა ნაკეთისა; ნაკეთის საყრდენი ფუძე და ნაკეთის ფუძე ამ შემთხვევაში ერთმანეთს დაემთხვა.

პირველ შემთხვევას, როცა ფუძეები ერთმანეთს მიემართება, გაქვეური პრინციპით, უწოდებენ ფუძეთა წარმოების ხაზოვან პრინციპს. მაგალითად: ხაზოვანი პრინციპით მიემართება ერთმანეთს აწმყო-მყოფადისა და უწყვეტელ-ბოლმეობითის საყრდენი ფუძეები — აყთებ — აყთებლ... ხოლო როცა ფორმათა საყრდენი ფუძეები იდენტურია, უწოდებენ ფუძეთა წარმოების ჩანაცვლების პრინციპს. მაგალითად: ჩანაცვლების პრინციპით მიემართება ერთმანეთს წყვეტილისა და II კავშირებითის ფუძეები — აყთ-ე — აყთ-ო (მ. ქობინაძე, 1980, გვ. 124).

ფუძეთა წარმოების ამ ორი პრინციპის საფუძველზეა დაყვანებული ფაქტობრივ I და II სერის ნაკეთები. სწორია მსჯელობა, რომ „აწმყოს გვეფი აწმყოს ფუძეზეა დამყარებული, ნამყო ძირითადისა — ნამყო ძირითადის ფუძეზე“, მაგრამ ზოგი რამ მაინც დაზუსტებას მოითხოვს: კერძოდ, როგორც ითქვა, უნდა გავარჩივს ნაკეთის ფუძე და ნაკეთის საყრდენი ფუძე. აწმყო-მყოფადის ნაკეთის ფუძე ვნებითი გვარის ზმნებში • ელემენტის ფორმებს ვარაუდობს: ე-თბ-ებ-ა, ე-მდიდრ-დ-ებ-ი, ე-ი-ზრდ-ებ-ი... ფუძის კუთვნილება • ელემენტი ნაკეთის მაწარმოებლად ვააზრება იმიტომ, რომ აწმყო-მყოფადისაგან წარმოებულ ნაკეთებში იგი არ ფიგურირებს. უწყვეტელ-ბოლმეობითში აწმყო-მყოფადის ფუძე ამ ელემენტს ვარაუდობს წარმოდგენილია. ე. ი. უწყვეტელ-ბოლმეობითი წარმოება აწმყო-მყოფადის საყრდენი ფუძისაგან და არა ამ ნაკეთის ფუძისაგან. და სერთოდ: როცა ფუძეთა ურთიერთმიმართებას საკეთის ესტაში, უნდა დაისყვას საყრდენ ფუძეთა მიმართების საკეთის და არა ნაკეთთა ფუძეებისა.

I სერიაში უწყვეტელ-ბოლმეობითისა და I კავშირებითის საყრდენ ფუძეთა შორის სხვაობა არაა: ეს ორი ნაკეთი ერთსა და იმავე საყრდენ ფუძეს გამოიფენებს; სხვაობას მათ შორის ნაკეთის მაწარმოებლები ქმნის:

აკეთებ-დ  $\left\{ \begin{array}{l} \text{ი} - \text{უწვებელ-ხოლმეობითი} \\ \text{ე} - \text{I კავშირებითი} \end{array} \right.$



ამგვარად, მიმართება აწმყო-ყოფადსა და უწვებელ-ხოლმეობითს შორის საზოგადოებრივი პრინციპზეა დამყარებული, ხოლო უწვებელ-ხოლმეობითსა და I კავშირებითს შორის — ჩანაცვლების პრინციპზე.

თუ შეიძლება ვილაპარაკოთ „აწმყოსაგან ნაწარმოებ ნაყოფს უსრულზე“, არ შეიძლება საუბარი „ნაყოფს უსრულისაგან ნაწარმოებ კავშირებითს პირველზე“ (მდრ. არნ. ჩიქობავა, 1980, გვ. 062).

I კავშირებითიც ასევე იწარმოება აწმყოსაგან, როგორც უწვებელ-ხოლმეობითი:

აწმყო-ყოფ. — აკეთებ  $\left\{ \begin{array}{l} \text{აკეთებ-დ-ი} - \text{უწვებელ-ხოლმ.} \\ \text{აკეთებ-დ-ე} - \text{I კავშირებითი} \end{array} \right.$

**შენიშვნა:** უწვებელ-ხოლმეობითის ი ელემენტის ისტორიის გათვალისწინება საკითხს სხვაგვარად არ დაგვასშვეინებს. თ-ის გარეშე ახლ ქართულში ამ ნაკეთის ფორმა არ ვხვდებით, ამიტომაცაა, რომ ავი ნაკეთის მაწარმოებლად კვალიფიცირდება (ა. შანიძე, 1973, გვ. 424). ამ ნაკეთის (უწვებელისა და I კავშირებითის) მიმართების საკითხი ასევე დაისმის ძველ ქართულშიც. თუ -დ ფორმანტიან ზმნებში იქმნება შთაბეჭდილება, რომ აკეთებდ და აკეთებდ ფორმები ერთმანეთს საზოგადოებრივი პრინციპით მიემართებიან, სხვაგვარია ვითარება -ოდ ფორმანტიან ზმნებთან: აქ მიმართება ჩანაცვლების პრინციპს ემყარება:

უწვებელი — ტირ-ოდ-ე  
I კავშირებითი — ტირ-ოდ-ი

ეს ფაქტი -დ სუფიქსიან ფორმებში ნულოვანი წარმოების საკითხს დაგვასშვეინებს:

უწვებელი — აკეთებ-დ-მ/ი  
I კავშირებითი — აკეთებ-დ-ე

ამ შემთხვევაშიც ჩანაცვლების პრინციპზე უნდა ვისაუბროთ.

II სერიის ნაკეთის — წვებელი და II კავშირებითი — ერთმანეთს ჩანაცვლების პრინციპით მიემართებიან. საყრდენი ფუძე სერთია:

წვეართლი — აკეთ-ე  
 II კავშირებითი — აკეთ-ო



ამგეარად, I და II სერიაში სამი საყრდენი ფუძე გამოიყო: აკეთ — აკეთ-ებ — აკეთ-ებ-დ, რომლებიც ერთმანეთს ხაზოვანი პრინციპით შეემატებოდა. პირველი მათგანი საყრდენია მეორე სერიის ნაკვთებისათვის:

აკეთ  $\left\{ \begin{array}{l} \text{აკეთ-ებ} — \text{წვეართლი} \\ \text{აკეთ-ო} — \text{II კავშირებითი} \end{array} \right.$

II საყრდენი ფუძისაგან აწმყოს ნაკვთის ფუძე აწარმოება:

აკეთ-ებ — აკეთ-ებ-ი

III საყრდენი ფუძისაგან — უწვეართლ-ხოლმეობითი და I კავშირებითი.

აკეთ-ებ-დ  $\left\{ \begin{array}{l} \text{აკეთ-ებ-დ-ი} — \text{უწვეართლ-ხოლმეობითი} \\ \text{აკეთ-ებ-დ-ე} — \text{I კავშირებითი} \end{array} \right.$

I—II სერიის ნაკვთების დაფუძვლება საყრდენი ფუძის ურთიერთმიმართების მიხედვით ასეთ სურათს მოგვეცემს:

წვეართლი — აკეთ-ებ } საყრდენი ფუძე აკეთ  
 II კავშირებითი — აკეთ-ო }

აწმყო-მეოფადი — აკეთ-ებ-ი — საყრდენი ფუძე აკეთ-ებ

უწვეართლ-ხოლმეობითი — აკეთ-ებ-დ-ი } საყრდენი ფუძე აკეთ-ებ-დ  
 I კავშირებითი — აკეთ-ებ-დ-ე }

თუ შედმიწვეართლ თანამიმდევრულნი ეიქნებით საწარმოებელი ფუძის პრინციპის ბოლომდე გატარებაში, ნაკვთები შემოწარმოდგენილი თანამიმდევრობით უნდა დალაგდეს. მეორე სერიად მიჩნეული ნაკვთების საყრდენი ფუძე შედარებით მარტივია. I სერიის ნაკვთთა საყრდენი ფუძე რთულია, მარტივისაგან წარმოებულა. ფაქტი ცნობილია, მაგრამ სისტემის გადაფუძვლების საკვთები არ დასმულა. აქ, აღმათ, ტრადიციას გვეჩნია ანგარიში. და მეორეც, როგორც ხანს, დროულ სემანტიკას ეწეოდა ანგარიში, როცა უღვლილებს ერთეულთა

დასახელებას აწმყო დროის გამოშვებული ნაკვეთი იწვებდნენ. საქმე ეწინიერო გრამატოკაში ამ ტრადიციის დარღვევის ცდაა. ა. შანიძის მიერ ადრეულ ნაშრომში საუბრეებელ ერთეულთა პირველ (A) ქვეყნად „წამყო სრულის ქვეყნის“ მიჩნევა, ხოლო მეორე ქვეყნად (B) — „წამყოს ქვეყნის“ წარმოდგენა (ა. შანიძე, 1920, გვ. 6—7).

მიღებული თანმიმდევრობის შეცვლის სხვა ცდა არ ყოფილა. ამ შემთხვევაში ტრადიციას ანგარიში უნდა გაეწიოს.

კიდევ: როგორი უნდა იყოს თანმიმდევრობა ურთიერთანაცვლებულ ფუძეთა? როგორც ითქვა, წვეტილი და II კავშირებითი წარმოების მიხედვით არაა ერთიმეორეზე დამოკიდებული ნაკვეთი. თანმიმდევრობის შეცვლა საწარმოებელი ფუძის პრინციპს არ დაარღვევდა. მაგრამ ტრადიციულ თანმიმდევრობას ფორმობრივი გამართლებაც აქვს: რედუცირებადი ხმოვნის შემდეგ ფუძეებში წვეტილი ამოსავალი ხმოვნისანი ვარიანტითა წარმოდგენილი, II კავშირებითი — რედუცირებადი: ვ-კ-ღ-ი — ვ-კ-ღ-ი. საკითხი ასევე დიდგება უწყვეტელ-ხილუმობითისა და I კავშირებითის საყრდენ ფუძეთა მიმართებისას. ერთადერთი საკონტროლო საშუალება ამ შემთხვევაში ავ და ამ თემისნიშნისაა ზმნათა ზეუნება ძველ ქართულში: ვ-ხატ-ევ-დ(ი) — ვ-ხატ-ვ-ი-დ-ე-—

**შენიშვნა:** ვეარადობთ, რომ -ვ (ვ-ხატ-ვ-ი-დ-ე) ხმოვან-ვაუნინარტული ვარიანტია -ევ სუფიქსისა, თუმცა არ არის გამოირაცხული მისი -ავ სუფიქსიხეულობაც.

ამოსავალი ვარიანტი, ბუნებრივია, წინ უსწრებდეს მის მეორედ, ფონეტოკურ ვარიანტს. თუმცა საგულებელია, რომ ტრადიციული თანმიმდევრობისათვის სემანტიკური მოშენტია ამოსავალი. ურთიერთანაცვლებულ ფუძეთაგან, ორივე შემთხვევაში, ერთი უპირატესად თხრობითი კლასს გამოშვატვლია, მეორე — კავშირებითისა. თანამიმდევრობის საკითხიც, როგორც ჩანს, ამ ფაქტმა გადამწყვეტა. გაფხისენათ: პრაქტიკული გრამატოკებიდან მოყოლებული (და არა მხოლოდ ქართულში) ყველა შემთხვევაში ვერ თხრობითი კლასს გამოშვატვლი ფორმები განიხილებოდა, შემდეგ კავშირებითისა და ა. შ.

როგორია III სერის ნაკვეთის ფორმათა ფუძის სტრუქტურა და არის თუ არა შესაძლებელი საწარმოებელი ფუძის მიხედვით მათი I ან II სერიაში ჩართვა?

როგორც ითქვა, „თურმობითის ქვეყნის არ მოეპოვება საერთო ფუძე“ (არნ. ჩიქობავა). მსჯელობა არ ითვალისწინებს ერთპირიან ვარდაუვად ზმნათა შემთხვევას. ეს ერთადერთი გამოჩაყლისია, როცა

III სერის სამივე ნაკეთის წარმოება ერთგვაროვან პრინციპზეა დაყრდნობილი:



- |                                |               |
|--------------------------------|---------------|
| I თურმეობითი — გამთბარ-ხარ,    | გაზრდილ-ხარ   |
| II თურმეობითი — გამთბარ-იყავი, | გაზრდილ-იყავი |
| III კეშირებითი — გამთბარ-იყო,  | გაზრდილ-იყო   |

ფორმარმოების თვალსაზრისით III სერის ნაკეთთა ცალკე წევრად გამოყოფას მხოლოდ ამ ტიპის ზმნათა წარმოება დაუჭერდა მხარს... მაგრამ ეს სავანებო შემთხვევაა — აღწერითი წარმოება მიმდებარე ფორმათა გამოყენებით. ეს პრინციპულად განასხვავებს ამ ტიპის ფორმებს სტატუტურ ზმნათა აქმყოსა და ვარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითის წარმოებისაგან, რომლებშიც აღწერითი წარმოება ზმნურ ფუძეზეა დაშვარებული: ვ-ზი-ვარ, ვ-ტარი-ვარ (მდარ: ვ-ზი, ვ-ტარი...)... და-უხატავ-ხარ, ა-უშენებ-იხარ... საველისსმოთა ისიც, რომ ამ შემთხვევაში აღწერითი წარმოება I—II სუბიექტური პირის ფორმებთან ვეაქვს; III სუბიექტურ პირში ორგანული წარმოება: ზი-ს, ტარი-ს... და-უხატავ-ს, ა-უშენებ-ი-ა...

თვითონ ის ფაქტიც, რომ მესამე სერის ნაკეთთა წარმოებაში ასეთი პრინციპული სხვაობაა, მის განცალკევებით დააფიქრებს. ყოველ შემთხვევაში, გამთბარ-ხარ ტიპის ზმნათა I ან II სერაში გადაწინადადების საკითხი არ შეიძლება დადგეს.

ყველა სხვა ტიპის ზმნათთან I თურმეობითის წარმოება სხვაობს II თურმეობითისა და III კეშირებითის წარმოებისაგან. ეს სხვაობა პრინციპული ხასიათისაა.

პირველ ყოვლისა, ყურადღება გვიჩვენა მივაქციოთ ხმოვანპრეფიქსთა საკითხს. ნაკეთის ფუძის განმარტება ხმოვანპრეფიქსის ფუძისეულ ელემენტად წარმოგვიდგენს (გავიხსენოთ: ნაკეთის ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოსორებული აქვს ზმნისწინი, პირისა და რიცხვის ნიშნები). I და II სერის ნაკეთთა პარადიგმებში ხმოვანპრეფიქსი უცვლადებელი ელემენტია:

0-ხატავს,	0-ხატავდა,	0-ხატავდეს,	0-ხატა,	0-ხატოს
ა-ვეთებს,	ა-ვეთებდა,	ა-ვეთებდეს,	ა-ვეთა,	ა-ვეთოს
ი-ვეთებს,	ი-ვეთებდა,	ი-ვეთებდეს,	ი-ვეთა,	ი-ვეთოს
უ-ვეთებს,	უ-ვეთებდა,	უ-ვეთებდეს,	უ-ვეთა,	უ-ვეთოს
ვ-ზრდება,	ვ-ზრდებოდა,	ვ-ზრდებოდეს,	ვ-ზარდა,	ვ-ზარდოს...

III სერია სხვაობს I—II სერიისაგან ხმოვანპრეფიქსთა თვალსაზრისით:



გარდაამავალ ზმნათა I თურმეობითში I და II სერიაში გამოყენებული **მ, ა, ი, უ** ხმოვანპრეფიქსთა მონაცვლედ საობიექტო ქცევის **ფ(ი)** პრეფიქსი გველიწება:

საქონლის  
განყოფილება

- მ-ხატავს — და-უ-ხატავს
- ა-კეთებს — გა-უ-კეთებია
- ი-კეთებს — გა-უ-კეთებია
- უ-კეთებს — გა-უ-კეთებია

დამთხვევა ხდება მხოლოდ საობიექტო ქცევის შემთხვევაში. ამვე ტიპის ზმნებთან სრულიად განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს II თურმეობითში და III კავშირებითი ვიწრო შემთხვევაში ხმოვანპრეფიქსთა მონაცვლედ **ფ** გველიწება:

- |          |   |                |                |
|----------|---|----------------|----------------|
| მ-ხატავს | — | და-ე-ხატა,     | და-ე-ხატოს     |
| ა-კეთებს | — | გა-ე-კეთებინა, | გა-ე-კეთებინოს |
| ი-კეთებს | — | გა-ე-კეთებინა, | გა-ე-კეთებინოს |
| უ-კეთებს | — | გა-ე-კეთებინა, | გა-ე-კეთებინოს |

ხმოვანპრეფიქსთა თვალსაზრისით ერთფეროვანია ვითარება გარდაამავალ ზმნათა I თურმეობითში, განსხვავებული I—II სერიისაგან; ასევე: ერთფეროვანია ვითარება II თურმეობითისა და III კავშირებითში, განსხვავებული, ერთი მხრივ, I—II სერიისაგან და, მეორე მხრივ, I თურმეობითისაგან.

თუ ფუძის წარმოდგენილ განმარტებას გავიზიარებთ, საწარმოებელი ფუძის პრინციპის მიხედვით III სერის ფორმები განსახილველ ზმნათა I და II სერიაში ვერ გადაინაწილებია. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო გახდება ფუძის განმარტების შეცვლა — ხმოვანპრეფიქსთა უგველვებელოება.

საკითხი ასევე დადგება **ფ**-პრეფიქსთან ზმნათა მიმართაც: ზმნებში, რომელთაც I—II სერიაში **ფ**-პრეფიქსი აქვთ, III სერიაში ჩვეულებრივ ხმოვანპრეფიქსის გარეშე წარმოდგენილი:

- ე-ზრდება — გა-ზრდია
- გა-ზრდოდა
- გა-ზრდოდეს

III სერია ამ შემთხვევაში ერთგვარ ვითარებას გვიჩვენებს და განსხვავდება პრინციპულად I—II სერიისაგან.



ა. პრეფიქსიან ერთბაიანი ზმნებშიც ვითარება ანალოგიურია.  
 III სერიაში აღწერილი წარმოება გვაქვს და ხმოვანპრეფიქსის საფუძველზე  
 არ დგას.

ა-შლუბა — გა-შლილა  
 გა-შლილიყო  
 გა-შლილიყოს

ხმოვანპრეფიქსთა ვითარების გათვალისწინება მხარს დაუჭერს III სერიის ნაცვითა ცალკე ჩვეულებად გამოყოფას. ეს ითქმის, პირველ ყოვლისა, ყველა ტიპის ენებითი გვარის ზმნათა შესახებ. როგორც ითქვა, გარდამავალი ზმნები ამ ნიშნის მიხედვით ვერ ვაერთიანდება I ან II სერიასთან, თუმცა მათი ერთ ჩვეულებად ვაერთიანებაც არ ექნება გამართლებული: I თურმეობითი სხვაობს დანარჩენი ნაცვლებისაგან.

ვითარებას არ გამაჩტოვებს ხმოვანპრეფიქსთა მონაცემების გათვალისწინებლობაც. ერთბაიანი ენებითი გვარის ზმნათა III სერიის ფორმების შესახებ უკვე ითქვა ეს ჩვეუფი განცალკევებით დგას.

ისევე როგორც ხმოვანპრეფიქსების შემთხვევაში, ფუძის სტრუქტურის თვალსაზრისითაც ყველა შემთხვევაში სხვადასხვაგვარ ვითარებას გვიჩვენებს, ერთი მხრივ, I თურმეობითი, ხოლო მეორე მხრივ, II თურმეობითი და III კავშირებითი. ამ შემთხვევაშიც ერთგვარია ვითარება ამ ორი ნაცვლის წარმოებისა.

თუ შევხედულობამი არ მივიღებთ ხმოვანპრეფიქსებს, I თურმეობითის ფუძის სტრუქტურა ერთ შემთხვევაში ემთხვევა აწმყო-მყოფადის ფუძის სტრუქტურას, აწმყო-მყოფადის საფრდენი ფუძეა გამოყენებული საფრდენად I თურმეობითისათვისაც. ამგვარ ვითარებას გვიჩვენებს ერთი ნაწილი გარდამავალი ზმნებისა:

აწმყო — ხატ-ავს	I თურმეობითი — და-უ-ხატ-ავს
დგ-ამ-ს	და-უ-დგ-ამ-ს
ა-კეთ-ებ-ს	ვა-უ-კეთ-ებ-ო-ა
დრეკ-ს	მო-უ-დრეკ-ა-ა

ერთი ჩვეუფის გარდამავალ ზმნათა I თურმეობითი საფრდენად III სერიის ფუძეს იყენებს:

წყაბილა — ა-ქ-ო	I თურმეობითი — უ-ქ-ო-ა
გა-ა-თბ-ო	(შდრ. აწმყო — ა-ქ-ებ-ს)
	გა-უ-თბ-ო-ა
	(შდრ. აწმყო — ა-თბ-ობ-ს)

თავისებურია ვითარება გარდაუვალ ორპირიანი ზმნებისა: I თურმეობითის საყრდენი ფუძე არ ემთხვევა არც I და არც II სერის ფუძეებს:

	გარდაუვალ		
აქმყო-მყოფადი —	უ-კეთ-დ-ებ-ა	ე-ზრდ-ებ-ა	უ-დწინებ-ობოთა-ა
წყვეტილი —	გა-უ-კეთ-დ-ა	გა-ე-ზარდ-ა	გა-უ-დწინ-ა
I თურმეობითი —	გა-პ-კეთ-ებ-ი-ა	გა-ზრდ-ი-ა	გა-ს-დწინ-ობ-ი-ა

ამგვარად, რელატიურ გარდასვალ და გარდაუვალ ზმნათა I თურმეობითი ერთ შემთხვევაში I სერის ფუძეს დაემყარება, მეორე შემთხვევაში — II სერის ფუძეს, ხოლო მესამე შემთხვევაში განკუთვნილ ფუძეებთან დადგება. თუ ხმოვანპირფიქსთა მონაცემსავე გავითვალისწინებთ, შეუძლებელი აღმოჩნდება I თურმეობითის I ან II სერის ნაკეთობთან ვაერთიანება საწარმოებელი ფუძის მიხედვით.

ასეთივე დასკვნა ვაკეთებთ II თურმეობითისა და III კავშირებითის ფორმათა ანალიზის საფუძველზეც: რამდენადაც, როგორც ითქვა, საყრდენი ფუძე ამ ორი ნაკეთისა იდენტურია, ე. ი. ეს ორი ნაკეთი ერთმანეთს ჩანაყვლების პრინციპით მიემატება, მხოლოდ მეორე თურმეობითის მავალითს მივიყვანთ:

ა) გარდასვალ ზმნათა ერთი ჩვედის II თურმეობითი II სერის ფუძეს ემყარება:

აქმყო-მყოფადი —	ხატ-ავ-ს	ა-ქ-ებ-ს	დრეც-ს
წყვეტილი —	და-ხატ-ა	შე-ა-ქ-ო	მო-დრეც-ა
II თურმეობითი —	და-ე-ხატ-ა	შე-ე-ქ-ო	მო-ე-დრეც-ა

ბ) II თურმეობითის საყრდენი ფუძეს აქმყო-მყოფადის საყრდენი ფუძისაგან -ინ ფორმანტი განასხვავებს:

აქმყო-მყოფადი —	ა-კეთ-ებ-ს	ა-შენ-ებ-ს
II თურმეობითი —	გა-ე-კეთ-ებ-ინ-ა	ა-ე-შენ-ებ-ინ-ა...

გ) ორპირიან გარდაუვალ ზმნათა II თურმეობითის ფუძის სტრუქტურა განსხვავებულია როგორც I სერის, ისე II სერის ნაკეთის ფუძეთა სტრუქტურისაგან. სხვაობას ქმნის -ოდ სუფიქსი, რომელიც ვეცლია შემთხვევაში გამოვლინდება. იგივე -ოდ უწყვეტილშიც გვაქვს, მაგრამ სხვაობას ზოგ შემთხვევაში ენებითობის სუფიქსის უქონლობა ქმნის, სხვა შემთხვევაში — თემის ნიშანი: სურათი ასეთია:

უწყვეტილი	II თურმეობითი
უ-კეთ-დ-ებ-ოდ-ა	გა-პ-კეთ-ებ-ოდ-ა
ე-ზრდ-ებ-ოდ-ა	გა-ზრდ-ოდ-ა
ე-მალ-ებ-ოდ-ა	და-მალ-ე-ოდ-ა
ე-შრ-ებ-ოდ-ა	გა-შრ-ობ-ოდ-ა
უ-კვდ-ებ-ოდ-ა	მო-კვდ-ობ-ოდ-ა



თუ ამ შემთხვევაშიც სმოვანპრეფიქსთა ვითარებას გავითვალისწინებთ, სხვაობა III სერის ნაკვთთა საყრდენ ფუძეებსა და კომპლექსური ფუძეთა შორის უფრო აშკარა გახდება...

ის, რაც ვთქვით III სერის ფორმათა წარმოების თაობაზე, ცნობილი ფაქტებია. ჩვენს შიშანს არ შეადგენს ნაკვთთა წარმოების საყრდენების გამოწვლილითი ანალიზი. გვსურდა მხოლოდ ზოგადი სერათი წარმოგვედგინა და გვეჩვენებინა, რომ საყრდენი ფუძის სტრუქტურის თვალსაზრისით III სერიაში საკმაო სიჭრელეა, არა ერთგვაროვნება, რაც გამოროცხავს შესაძლებლობას სწარმოებელი ფუძის პრინციპის მიხედვით ამ ნაკვთთა I და II სერიაში გადანაწილებისას.

ამგვარად, სირთულე და არაერთგვაროვნება III სერის ნაკვთთა ფორმების წარმოებისა შეაძირობებს ამ სერის ცალკე ჯგუფად გამოყოფას. ეფექტობთ, ყველაზე ობტიშალური ვარიანტი ნაკვთთა დაქვეფებისა წ. შარისეული ვარიანტია იმ ნაკლოვანებით, რაც თვით ატორმა აღნიშნა თავის დროზე.

**შენიშვნა:** უკვე ითქვა თავისებურებამ და სირთულემ III სერის ფორმათა წარმოებისამ ა. ქუთათულაძე ამ ფორმათა უარყოფამდე მიიყვანა: „სათუო დაბრამი უარყყაით ვეულა ნამუ, რადგან ისინი შეცდომით ივენენ შებარულნიო“. ესეც თავისებური გამოხატულია სირთულის დამლევისა, თუმცა მიუღებელი.

## თავი IX. უღვლილეზის ტიპები

უღვლილეზის სისტემის შესწავლის ისტორიის საკითხებზე მსგელობისას აღუნიშნეთ, რომ ქართული ენის პრაქტიკულ გრამატიკებში იყო ცდები უღვლილეზის ტიპების გამოყოფისა, თუმცა ეს ცდები წარმატებულად ვერ წაითვლება.

სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად ორი თვალსაზრისია გატარებული ქართული ზმნების კლასიფიკაციისა, უღვლილეზის ტიპების გამოყოფისა.

ა. შანიძის აზრით, „მიღებულია ოთხი ტიპი უღვლილეზისა:

**I ტიპი.** უღვლება მოქმ. გვარის ზმნებისა. ამათი მთავარი თავისებურება ის არის, რომ ისინი III სერიის ფორმებს ინვერსიულად აწარმოებენ ამას გარდა, პირდაპირი მიმართების ფორმები მხოლოდ აქ არის შესაძლებელი.

**II ტიპი.** უღვლება დინამიკური ენებითი გვარის ზმნებისა, ძირითადი განსხვავება პირველი ტიპის ზმნათა უღვლებისაგან III სერიაში ირჩნს თავს. თანაც აქ ზმნები განიყოფა იმის მიხედვით, ერთ-პირიანაა ფორმა თუ ორპირიანი: ამას თავისი წარმოება აქვს და იმას — თავისი. ამას გარდა, ამ ტიპის ზმნებს პირველი ტიპის ზმნათაგან განსხვავებას სერცობი (ოდ).

**III ტიპი.** უღვლება საშუალ-მოქმედებითი (მედოოაქტივი) ზმნებისა. ამ ზმნებს შენაცვლების წესით აქვთ ნაწარმოები II და III სერიის ფორმები, აგრეთვე I სერიის მყოფადის წრისა. შენაცვლებისას გამოვლენებულია იმავე ფუძის მოქმედებითის სათავისოს ან სასხვისოს ფორმები.

**IV ტიპი.** უღვლება საშუალ-ენებითი (მედოობასივი) ზმნებისა და სტატუტური ენებითი გვარის ზმნებისა. ამათ ყველას აერთიანებს მწკრივების კლება (ან მეორე სერიისა მთლიანად, ან უწყვეტლესა და აწმყოს კეშირებითისა I სერიიდან). ამას გარდა, აწმყოში ესენი მეშველ ზმნას დაართავენ პირველსა და მეორე პირში.

თითოეული ტიპის შიგნით კიდევ არის თავ-თავისი დაყოფილება...“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 489).

როგორც ვხედავთ, საკლასიფიკაციოდ რამდენიმე ნიშანია გამოყენებული: გვარის კატეგორია, ინვერსიულობა, ნაცვითი წარმოების შე-

საძლებლობა, ნაკეთთა წარმოების თავისებურებანი. კლასიფიკაციის ამგვარში თვალსაზრისში საქარო ვახდა სხვა მორფოლოგიური კატეგორიების გათვალისწინებაც და ამისდაყვალობაზე — ქვეტიების გამოყოფა. ამ შემთხვევაში უწრადლება მახვილდება თემაზე, თემის ნიშნებზე, ნაკეთის ფუჭეთა ურთიერთმიმართებაზე, ვნებითის წარმოების ტიპზე, რა სამუდლებით ზდება ნაყლული ნაკეთების შეესება... ფონტიკური პრინციპიც იჩენს თავს — „იქმშება ფუჭე თუ არა“ —

არსებობს სხვა თვალსაზრისიც; არნ. ჩიქობავას აზრით, „ქართული ზმნების ძირითადი საყლასიფიკაციო ერთეულებია: სტატეური და დინამიკური ზმნები, ერთის მხრე, გარდაყვალვი და გარდაყვალვი ზმნები, მეორე მხრე“ (არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 051). ამისდაშესაბამისად, სამი ტიპი გამოიყოფა:

- I. დინამიკური ზმნები (ა. ვნებითიანი ტიპი)
- II. დინამიკური ზმნები (ბ. ვნებითიანი ტიპი)
- III. სტატეური ზმნები (ორი ქვეტიით:

ა) სტატეური ერთიპირიანი ზმნები

ბ) სტატეური ორპირიანი ზმნები...) (არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 063-074).

ტიპების გამოყოფა ერთი საყლასიფიკაციო ნიშნის — დინამიკურობა-სტატეურობის — მიხედვიით უდაყოფ სინტიერესო ფაქტია, ოღონდ მიღად ნათელი არაა ამ შემთხვევაში I და II ტიპების გამოყოფის აყცილებლობა; ვნებითის წარმოების ტიპის მიხედვიით სხვადასხვა ჩვეულების წარმოდგენა მესამე ტიპის ვნებითის ფორმათა საყლასიფიკაციო გარყვევას საქაროებს... გამოდის, რომ: **ზრდის** და **იზრდება/ზრდება** ერთი ტიპის უღვლოდების ზმნებია, **ტყბს** და **ტყდება** — მეორისა, ხოლო **წუბს**, **ცხოყრობს** და **ფყყარს** — მესამისა... **დგას**, **წის** და **ა. შ. ტიპის** ზმნებიც, აღბათ, აქ შემოყა (თუმიყა ამის თაობაზე მითითება არაა).

როგორც პირველი, ასევე მეორე თვალსაზრისის მიხედვიით ძირითადი უწრადლება ზმნურ ფორმათა წარმოების თავისებურებაზეა ვახახვილებული. კლასიფიკაციის ამგვარ პრინციპებზე დამყარება გამოყოფილ ერთეულთა სიმრავლეს ქმნის და, რაც მთავარია, არ ზერზდება ფორმათა წარმოების თვალსაზრისით ყველა სანის ზმნის გათვალისწინებაც, გარდა ამისა, არაა ერთგვაროვანი პრინციპი ვატარებული: სხვადასხვა თვალსაზრისით ზდება გამოყოფილი ტიპების დაბასიათება; პრინციპის ცელა კი „კლასიფიკაციის ელემენტარული წესის დარღვევად ითვლება მეცნიერების ყველა დარგში. ვნის მოვლენათა აღწერაც აქ გამონაკლისს ვერ შექმნის“ (არნ. ჩიქობავა, 1962, გვ. 98).

სანამ უღვლელების ტიპების გამოყოფის თაობაზე მსჯელობას გავაგრძელებდეთ, ერთ საკითხსაც გვინდა მივუძღვიოთ ყურადღება, ერთ-ერთ — ფორმათა სესტების საკითხს. ე. წ. საშუალო გვარში უღვლელების თაობაზე როცა მსჯელობენ, მიაჩნებენ, რომ უღვლელების შინაგნებებს შენაცვლების წესით აქვთ ნაწარმოები II და III სერიის ფორმები, აგრეთვე I სერიის მყოფადის წრისა. შენაცვლებისას გამოყენებულია იმავე ფუძის მოქმედებითის სათაფისოს ან სასწვისოს ფორმები“ (ა. შანიძე, 1973, გვ. 489); რომ ეს ზმნები ნაკლები ნაყოფების შესავსებად „ღვენებს დინამიკური ზმნებისაგან ნასესხებ ნაყოფებს“ (არნ. ჩაქობავა, 1950, გვ. 072...). ამგვარი კომენტარით საშუალო გვარის ზმნათა უღვლელების სრულ პარადიგმას წარმოადგენენ:

აქმყო	— ტირ-ის	ე-ყვარ-ს
უწყავებელი	— ტირ-ოდ-ა	ე-ყვარ-და
აქმყ. კავშ.	— ტირ-ოდ-ე-ს	ე-ყვარ-და-ე-ს

მყოფ.	— ი-ტირ-ებ-ს	ე-ყვარ-ებ-ა	ან	შე-ე-ყვარ-და-ებ-ა
ხალმ.	— ი-ტირ-ებ-და-ა	ე-ყვარ-ებ-ოდ-ა		შე-ე-ყვარ-და-ებ-ოდ-ა

მყოფ. კავშ. — ი-ტირ-ებ-და-ე-ს ე-ყვარ-ებ-ოდ-ე-ს შე-ე-ყვარ-და-ებ-ოდ-ე-ს

წვეტილი	— ი-ტირ-ა	შე-ე-ყვარ-და
II კავშირებითი	— ი-ტირ-ოს	შე-ე-ყვარ-და-ე-ს
I თურმეობითი	— ე-ტირ-[წ]-ი-ა	შე-ე-ყვარ-ებ-ი-ა
II თურმეობითი	— ე-ტირ-[წ]-ა	შე-ე-ყვარ-ებ-ოდ-ა
III კავშირებითი	— ე-ტირ-[წ]-ოს	შე-ე-ყვარ-ებ-ოდ-ე-ს

ფორმობრივი თვალსაზრისით ამ ფორმათა ერთ პარადიგმაში მოხვედრა იკავია, ა-კეთ-ებ-ს ზმნას გა-თ-კეთ-ა დაეუყენოთ გვერდით, ანდა უ-კეთ-ებ-ს ზმნას — გა-უ-კეთ-და. პარადიგმა სემანტიკური პრინციპით აბო; ამან ფორმობრივი პრინციპის დარღვევა გამოიწვია. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ტირ-ს და იტირ-ა, ან უყვარ-ს და შეუყვარ-და ფორმათა ერთ პარადიგმაში მოქცევა არ შეიძლება, თღონდ ერთთა; უნდა განხვავდეს სემანტიკური და ფორმობრივ-სემანტიკური პარადიგმები.

სემანტიკურ პარადიგმას ვუწოდებთ იმ პარადიგმას, რომელშიც ფორმობრივი პრინციპი დარღვეულია და სხვადასხვა ფუძის მქონე ზმნები ერთ პარადიგმაში მხოლოდ სემანტიკური პრინციპითაა გაერთიანებული.

ფორმოზ-სემანტიკურს ვუწოდებთ იმ პარადიგმას, რომელშიც  
 ორივე პრინციპია ვატარებელი — ფორმოზი და სემანტიკური  
 ტიპის — იტირებს — იტირა — უტირაა სემანტიკური პარადიგმა  
 იქნება: წერს — წერა — უწერია — ფორმოზ-სემანტიკურს

სემანტიკური პარადიგმები რამდენიმე სახის შეიძლება იყოს:

ა) როცა პარადიგმის წევრები ერთი და იმავე ძირისაგან წარმოებ-  
 ბული სხვადასხვა ზმნებია, ასეთი ვითარება ე. წ. სამშალი გვარის  
 ზმნებში, სადაც სრულ პარადიგმას ერთი და იმავე ძირისაგან წარმოებ-  
 ბული ზმნური ფორმები ქმნის:

მეფ-ობ-ს	ი-მეფ-ებ-ს	ფგ-ა-ს	ი-ფგ-ებ-ა
მეფ-ობ-დ-ა	ი-მეფ-ებ-დ-ა		ი-ფგ-ებ-ა-დ-ა
მეფ-ობ-დ-ე-ს	ი-მეფ-ებ-დ-ე-ს		ი-ფგ-ებ-ა-დ-ე-ს
	ი-მეფ-ა		ი-ფგ-ა
	ი-მეფ-ო-ს		ი-ფგ-ე-ს
	უ-მეფ-ო-ა		მფგ-არა
	ე-მეფ-ა		მფგ-არიყო
	ე-მეფ-ო-ს		მფგ-არიყოს

ბ) როცა პარადიგმების წევრები სხვადასხვა ძირისაგან წარმოებუ-  
 ლი ზმნური ფორმებია, ასეთი პარადიგმები შეიძლება იყოს როგორც  
 დინამიკური, ისევე სტატიკური ზმნებისა:

ამბ-ობ-ს	ი-ტყვ-ა-ს	არ-ა-ს	ი-ტყ-ებ-ა
ამბ-ობ-დ-ა	ი-ტყ-ობ-დ-ა		ი-ტყ-ებ-ა-დ-ა
ამბ-ობ-დ-ე-ს	ი-ტყ-ობ-დ-ე-ს		ი-ტყ-ებ-ა-დ-ე-ს
	ტყ-ა		ი-ყ-ა
	ტყ-ა-ს		ი-ყ-ო-ს
	უ-ტყ-ამ-ს		ყოფილა
	ე-ტყ-ა		ყოფილიყო
	ე-ტყ-ა-ს		ყოფილიყოს

**შენიშვნა:** აქ ამასაც მივაქვევთ ყურადღებას, რომ ამ  
 ძირისაგან წარმოებული ნეიტრალური ქვეყის ზმნა სემანტი-  
 კური პარადიგმის წევრია, ხოლო სასხვისი ქვეყის გამო-  
 ხატველი ზმნა — ფორმოზ-სემანტიკურ პარადიგმას ქმნის  
 უამბობს — უამბო — უამბნა...

უღვლილების სისტემა სემანტიკური პარადიგმისათვის განსხვავე-  
 ბული იქნება ფორმოზ-სემანტიკური პარადიგმის მქონე ზმნათა



ნაკეთებელი სისტემისაგან. ჩვენ მიერ შესწავლის საგნად ქველღო  
უღვლელების სისტემა ფორმობრივ-სემანტიკური სისტემაა.

სემანტიკური სისტემის აგების საინტერესო ცდა მოცემულია ან-  
ბელის ნაშრომში (იხ. ა. არაბული, 1984). ტრადიციული მყოფადან  
წრე სემანტიკურ პრინციპზე აგებულ სისტემაში თავის ადგილს დაი-  
კავებს. ასევე დადგება საკითხი ძველი ქართულისათვის აწმყოს ხოლ-  
მეობითობისა და ბრძანებითების თაობაზეც. ფორმობრივ (უფრო სწო-  
რად ფორმობრივ-სემანტიკურ) პრინციპზე აგებულ სისტემაში, რო-  
გორც ითქვა, მყოფადან წრე არ გამოიყოფა; ისევე როგორც დამოუკი-  
დებელ ერთეულად ვერ მივიჩნევთ აწმყოს ხოლმეობითობისა და ბრძანე-  
ბითებს ძველ ქართულში.

რამდენადაც ზმნურ ფორმათა სემანტიკის კვლევა ამგვრად არ შე-  
ადგენს ჩვენს მიზანს, სემანტიკურ პრინციპზე აგებული სისტემის შე-  
სახებ საუბარს აღარ ვაგვირქვამთ. ჩვენთვის არსებითია ის, რომ  
ფორმობრივი თვალსაზრისით მეფობს და იმეფებს, უყვარს და შეუ-  
ყვარდება სხვადასხვა ზმნათა ერთი და იმავე ნაკეთის ფორმებია. ცო-  
ველ შემთხვევაში, მეფობს და იმეფა სხვადასხვა ზმნების სხვადასხვა  
ნაკეთის ფორმებია.

ფორმობრივ-სემანტიკური პრინციპის გათვალისწინება საინტერე-  
სო სურათს წარმოგვიდგენს ზმნურ ფორმათა წარმოების შესაძლებ-  
ლობისდა მიხედვით. აღმოჩნდება, რომ გამოიყოფა ზმნათა ერთი ქვე-  
ფი, რომელთაც მხოლოდ აწმყო-მყოფადან ნაკეთის ფორმა ეწარმოე-  
ბათ (აწმყოს დროული მნიშვნელობით): არის, ზის, დგას... ზმნები,  
რომელთაც ყველა ნაკეთის ფორმა ეწარმოებათ.

უღვლელების ტიპების გამოყოფისას ამ ფაქტს განსაკუთრებულად  
ყურადღება უნდა მივაქცევს. უფრო მეტიც, ეფექტობთ, ეს ფაქტი უნდა  
დავადოს საფუძვლად ქართული ზმნის უღვლელების ტიპებად დაყოფ-  
ვას.

გავიხსენოთ: ფართო გაგებით უღვლელება „აღნიშნავს პირიანი  
ზმნის ფორმა-ცვალებას ყველა მწკრივში, რომლებიც ეს მოვლევება  
„ღებულ ზმნას“ (ა. შანიძე). სხვაგვარიცა: „უღვლელება არის ზმნის  
ცვალება ნაკეთების მიხედვით“ (ბ. ჯორბენაძე). დაბუსტება — „რო-  
მელიც ეს მოვლევება „ღებულ ზმნას“ — გულისხმობს იმას, რომ  
ყველა ზმნას არა აქვს შესაძლებლობა ყველა ნაკეთის ფორმათა  
წარმოებისა.

ეს ერთ-ერთი არსებითი ხასიათის ნიშანია ზმნის ფორმობრივ-სე-  
მანტიკური ანალიზისას. რამდენადაც უღვლელება ზმნის ცვლა ნაკე-  
თების მიხედვით, უღვლელების ქვეფიების გამოყოფაც ამ ნიშანს უნდა  
დაემყაროს: როგორცა შესაძლებლობა ზმნისა ნაკეთის ფორმათა წარ-

მოცბისა; სხვაგვარად შესწევს თუ არა უნარი ზმნას გველა ნაკეთის ფორმათა წარმოცბისა.



ნაკეთის ფორმათა წარმოცბის შესაძლებლობის მიხედვით ზმნებმა სამი ჯგუფად შეიძლება დაიყოს. შესაბამისად გვექნება სამი ტიპი უღვლოცბისა:

**I ტიპის უღვლოცბას** განეკუთვნება ის ზმნები, რომელთაც მხოლოდ პირველი ნაკეთის (აწმყო-მყოფადის) ფორმები მოცბოცებათ; ამ ჯგუფში შეშოვა ე. წ. სტატოცური ენებთის ფორმები: აბია, აბარია, აბადია, მბურავს, ხურავს და სხვა; ასევე: ე. წ. მედიოცბისიურ ზმნათა ერთი ნაწილი: დგას, ზის, ძეცხ, სხედან...

ამ ტიპის ზმნები შეიძლება იყოს როგორც ერთბირიანი (დასახლებული ნიშნები), ასევე ობბირიანი: აბია/უბია, აგია/უგია, აგდია/უგდია, ახვია/უხვია, აფენია/უფენია... დგას/უდგას, ზის/უზის...

**I ტიპის უღვლოცბის ზმნათა** ერთი დამახასიათებელი ნიშანი ისიცაა, რომ ისინი ზმნისწინს არ დაართავენ. კიდევ: I—II სუბიექტური პირის ფორმებს აღწერილად (მეშველი ზმნით) იწარმოცბენ დროული მნიშვნელობა ამ ფორმათა სტაბილურია — აწმყოს გამოხატავს.

**II ტიპის უღვლოცბას** განეკუთვნება ის ზმნები, რომლებიც მხოლოდ I სერის ნაკეთთა ფორმებს იწარმოცბენ:

აწმყო-მყოფადი — მეფობს, თამაშობს, ამბობს, იტყვის, იცის...  
უწამებტბლ-ბოლმეობითი — მეფობდა, თამაშობდა, ამბობდა, იტყოდა, იცოდა...

I კავშირებთი — მეფობდეს, თამაშობდეს, ამბობდეს, იტყოდეს, იცოდეს...

ძირითადად ამ ჯგუფში შეშოდის ის ზმნები, რომელთაც მედიოცბითერ ზმნებს ეწოცდებათ (სწავლობს, ცხოვრობს, ამხანაგობს, კაცობს)... გარდა ამისა, როგორც გამოჩაყლისთ, გარდამავალი დინამიკური (ამბობს, იტყვის, შერება, იხამს...), სტატოცური (იცის, უწყის) და გარდაუცვალი დინამიკური (იქნება, გაეძლება, გაეშტყუნება...) ზმნები.

ზმნათა უმეტესობა უზმნისწინთა, ზმნისწინს ვერ იცუებს. ერთი ნაწილი მედიოცბითერი ზმნებისა ზმნისწინთითა (უბირატცესად მოძრაობის აღმნიშვნელნი). ზმნისწინი II ტიპის ზმნებთთან დროულ მნიშვნელობას ვერ იცულის; არც სრული ასბექტის წარმოცბის უნარი შესწევს; ძირითადად მიმართულების ფუნქციით გამოდის; მიჩბის, მიფრინავს, მიდის...

არის საგანგებო შემთხვევებიც, როცა ფორმა მხოლოდ ზმნისწინთითა (გაეძლება, გაეშტყუნება, გაეწყობა...). ზმნისწინი ამ შემთხვევაში ზმნური ფორმის ლექსიკური მნიშვნელობას განსაზღვრავს.

**შენიშვნა: ა)** ამს თუ იმ ტიპის უღვლილებს ზმნათა მარ-  
 ფოდლოვიურ-სემანტიკური დახასიათება ცალკე კვლევის საგ-  
 ნად გვესახება. ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ წარგადგენი  
 ვანიშნებთ ფორმობრივ-სემანტიკურ თავისებურებებს.

**ბ)** ზმნისწინისა და ზმნური ფორმის ურთიერთმიმართე-  
 ბის საკითხი არსებით მნიშვნელობას იძენს, რამდენადაც  
 როგორც ენახეთ და ენახეთ, არის შემთხვევები, ა) როცა  
 ზმნა ზმნისწინის ვერ იგუებს, ბ) როცა ზმნური ფორმა ზმნის-  
 წინის გარეშე არ გვხვდება და გ) როცა პარალელური —  
 ზმნისწინიანი და უზმნისწინო ვარიანტები — თანასწორად  
 დასაშვებია. ამის გათვალისწინება ამს თუ იმ ზმნის უღვლი-  
 ლების პარადიგმის შედგენისას აუცილებლად მივყავართ.

**გ)** უძებნის შემთხვევაში, როცა ზმნა ზმნისწინიანია, შე-  
 იძლება თავისუფლად შეცვალოს რამდენიმე ზმნისწინი  
 (და-ხატავს, ჩა-ხატავს, ვადა-ხატავს...). ზმნისწინია შენაც-  
 ვლება ზმნის ფორმაცვალებასზე, ჩვეულებრივ, გაუღენას არ  
 ახდენს, ამიტომ მსგავს შემთხვევაში მხოლოდ ერთ-ერთ  
 მათგანს წარმოვადგენთ, უფრო ნეიტრალური სემანტიკისას  
 (მაგ.: დახატავს, გააკეთებს...).

**III ტიპის უღვლილებას განეკუთვნება ის ზმნები, რომლებიც  
 ყველა ნაკეთის ფორმებს იწარმოებს. ზმნისწინი ამ შემთხვევაში საგან-  
 გებო ვითარებას ქმნის. წინა შენიშვნა უპირობესად ამ ტიპის ზმნების  
 მიმართ ითქვა. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ზმნისწინის მიმართება  
 ზმნურ ფორმასთან, რამდენიმე ჯგუფი შეიძლება გამოიყოს.**

**1. ზმნები, რომელთაც პარალელური — ზმნისწინიანი და უზმნის-  
 წინო — ფორმები აქვთ ყველა ნაკეთში:**

წმყო-მყოფადი	— (და)-წერს	(ვა)-აკეთებს	(მო)-ღრცეს
წმკვავტ-ბოლმ.	— (და)-წერდა	(ვა)-აკეთებდა	(მო)-ღრცედა
I კავშირებითი	— (და)-წერდეს	(ვა)-აკეთებდეს	(მო)-ღრცედეს
წყვეტალი	— (და)-წერა	(ვა)-აკეთა	(მო)-ღრცია
II კავშირებითი	— (და)-წეროს	(ვა)-აკეთოს	(მო)-ღრციოს
I თურმეობითი	— (და)-წეროია	(ვა)-აკეთებოია	(მო)-ღრცეოია
II თურმეობითი	— (და)-ეწერა	(ვა)-ეკეთებინა	(მო)-ეღრცია
III კავშირებ.	— (და)-ეწეროს	(ვა)-ეკეთებინოს	(მო)-ეღრციოს

ამ ჯგუფში შემოვა მოქმედებითი გვარის ზმნათა ძირითადი ნაწილი.

**2. ზმნები, რომელთაც მხოლოდ უზმნისწინო ფორმები მოეპოვე-  
 ბათ ყველა ნაკეთში:**



აწმყო-ყოფადი	— იცხოვრებს	ბრძანებს	აქდება
უწყვადი-ხოლმ.	— იცხოვრებდა	ბრძანებდა	იქდებოდა
I კავშირებითი	— იცხოვრებდეს	ბრძანებდეს	იქდებოდეს
წყვადი	— იცხოვრა	ბრძანა	იქდა
II კავშირებითი	— იცხოვროს	ბრძანოს	იქდეს
I თურმეობითი	— უცხოვრია	უბრძანებია	მქდარა
II თურმეობითი	— უცხოვრა	უბრძანებინა	მქდარიყო
III კავშირებითი	— უცხოვროს	უბრძანებინოს	მქდარიყოს

ამ ჩვეულებაში შემოვა ძირითადი ნაწილი ამ ზმნებისა, რომლებიც სტრუქტურულ ლიტერატურაში საშუალო გვარის ზმნათა მონაცვლეად მიიხსენება შრომადის წრესა და II—III სტრუქტურის ნაკვთებშია აწმყოვნებს, იარსებებს, იმეტველებს, იტრიალებს (ის), იქვეიანებს, იქვამებს, ივულისსმებს... იღვება, იწვება...

სავე ნაწილი დინამიკური გარდასვლილი თუ გარდაუვლი ზმნებისა: აზილებს, აწამებს, გვემს, შობს, უღებუშებს, უთანაგრძნობს, უმზერს... მანბრდობს, ამრობებს და სხვა.

3. ზმნები, რომელთაც მხოლოდ ზმნისწინიანი ფორმები მოეპოვებათ უველი ნაკვთში:

აწმყო-ყოფადი	— აღ-იქვამს	გან-აგრძობს	აღმო-ცენდება
უწყვადი-ხოლმ.	— აღ-იქვამდა	გან-აგრძობდა	აღმო-ცენდებოდა
I კავშირებითი	— აღ-იქვამდეს	გან-აგრძობდეს	აღმო-ცენდებოდეს
წყვადი	— აღ-იქვა	გან-აგრძო	აღმო-ცენდა
II კავშირებ.	— აღ-იქვას	გან-აგრძოს	აღმო-ცენდეს
I თურმეობ.	— აღ-უქვამს	გან-უგრძობია	აღმო-ცენებულა
II თურმეობ.	— აღ-უქვა	გან-უგრძო	აღმო-ცენებულიყო
III კავშირებ.	— აღ-იქვას	გან-უგრძოს	აღმო-ცენებულიყოს

ამ ჩვეულებაში შემოვა უმთავრესად ის ზმნები, რომელთაც ზმნისწინთა არქაული ფორმები შემოინახეს (აღიარებს, აღწესბაეს, აღუთქვამს, აღბუტავს... განმუტავს, განაერკობს... წარმოშობს... შთაავონებს...). არის სხვა შემთხვევებიც (დასძენს, მიიბრძენს, მიქარავს, მოღწოდებს...), უმთავრესად ისეთი, როცა ზმნისწინის მოშორება ზმნას ლექსიკურ მნიშვნელობას შეუცვლის...

4. ზმნები, რომელთაც I სტრუქტურის ნაკვთებში პარალელური — ზმნისწინიანი და უზმნისწინო — ფორმები მოეპოვებათ, ხოლო II და III სტრუქტურის ნაკვთებში — მხოლოდ ზმნისწინიანი:

აწმყო-მყოფ. —	(გა)-თბება	(და)-ემალება	(გა)-კეთდება
II წევ-ბოღმ. —	(გა)-თბებოდა	(და)-ემალებოდა	(გა)-კეთდებოდა
I კავშირ. —	(გა)-თბებოდეს	(და)-ემალებოდეს	(გა)-კეთდებოდეს
წმადრლი —	გა-თბა	და-ემალა	გა-კეთდა
II კავშირ. —	გა-თბეს	და-ემალოს	გა-კეთდეს
I თურმ. —	გა-მთბარა	და-მალვია	გა-კეთებულა
II თურმ. —	გა-მთბარიყო	და-მალვოდა	გა-კეთებულყო
III კავშირ. —	გა-მთბარიყოს	და-მალვოდეს	გა-კეთებულყოს

ამ ქველში შემოვა უმოფრესად ვნებითი გვარის ზმნები.

III ტიპის უღვლილების ზმნებში ზმნისწინი პოლიფუნქციურია: ხშირად ერთდროულად რამდენიმე ფუნქციის გამომატველი.

**შენიშვნა:** ა) ე. წ. მედიაქტურ ზმნებთან არის ტენდენცია მო-, წა- ზმნისწინა სპეციფიკური ფუნქციით გამოყენებისა (წაიხვეწებს, წაიხუტებს... მოიბუჯითებს, მოიხულებს...) ზმნები, რომლებიც ამგვარი ფუნქციით გამოიყენებს წმნისწინებს, მესამე ეგუფში შევა — ზმნისწინს ვეღა ნაკვთში შეიბარებებს.

ბ) იმისდა მიხედვით, თუ რა სემანტიკას ანიჭებს ზმნისწინი ზმურ ფორმას, ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა ზმნისწინით შეიძლება სხვადასხვა ეგუფში მიხედეს.

გ) ასევე შეიძლება ერთი და იგივე ზმნა ზოგჯერ სხვადასხვა ტიპის უღვლილებაში მიხედეს იმისდა მიხედვით, თუ რა მნიშვნელობით გამოიყენება. მაგ. სევს — მნიშვნელობით „ღეღა ბავშვს სევს“ III უღვლილებისა იქნება, ხოლო მნიშვნელობით „თმა კოჭებამდე სევს“ — II უღვლილებისა. ასევე ცრის — მნიშვნელობით „ქალი ფქვილს ცრის“ III უღვლილების ზმნაა, ხოლო მნიშვნელობით „წეიბა ცრის“ — II უღვლილებისა.

ნაკვთის ფორმათა წარმოების შესაძლებლობათა მიხედვით ზმნების დაჯგუფებამ ერთი სინტაქსო ფაქტივ წარმოაჩინა:

ა) თუ ზმნას აქვს უწვევებელ-ბოღმოპიბითისა და I კავშირებითის ფორმები, ადვილებლად ექნება აწმყო-მყოფადის ფორმა. ბ) თუ ზმნას აქვს II და III სერის ნაკვთთა ფორმები, ადვილებლად ექნება I სერის ნაკვთთა ფორმებიც.

წესი შედეგადი არაა: ზმნას შეიძლება ჰქონდეს აწმყო-მყოფადის ფორმა, მაგრამ არ ეწარმოებოდეს სხვა ნაკვთის ფორმები. ანდა: ზმნას შეიძლება ჰქონდეს I სერის ნაკვთთა ფორმები, მაგრამ არ ეწარმოებოდეს II და III სერის ფორმები.

ეს ფაქტები გარკვეულად მხარს უჭერს ნაკეთი ტრადიციულ და  
ჩვეულებას...



ერთი საინტერესო კანონზომიერებაა ირვევა: თუ ზმნას აქვს  
უწყვეტილ-ხოლმეობითის ფორმა, ექნება I კავშირებითიც, ასევე —  
თუ ზმნას აქვს წყვეტილის ფორმა, ექნება II კავშირებითიც. ფაქტი  
ემითაა საინტერესო, რომ უწყვეტილ-ხოლმეობითი და I კავშირები-  
თი, ერთი მხრივ, და წყვეტილი და II კავშირებითი, მეორე მხრივ,  
ურთიერთთანაცდლებული ფორმებია. ასეთივე დამოკიდებულება არაა  
აქმყო-მყოფასა და უწყვეტილ-ხოლმეობითის შორის. ეს ორი ნაკეთი  
ერთმანეთს კი ხაზოვანი პრინციპით მიეშარებება.

შენიშვნა: ის, რაც ითქვა ახლა ქართულის სისტემის  
მაგალითზე, ითქმის ბედი ქართულისა და დასდებების  
სისტემათა შიშართაც. განსხვავებული ნაკეთები ამ კანონ-  
ზომიერებას არ არღვევს. I ხოლმეობითი (უწყვეტლის ხოლ-  
მეობითი) წინაცდლებას პრინციპით მიეშართება უწყვეტილ-  
სა და I კავშირებითის, ხოლო II ხოლმეობითი — წყვეტილ-  
სა და II კავშირებითის. შესაბამისად, თუ ზმნას აქვს უწყვეტ-  
ლის ფორმა, ექნება უწყვეტლის ხოლმეობითიც; ასევე: თუ  
ვაქვს წყვეტილის ფორმა, ექნება II ხოლმეობითიც. სხვა-  
გვარად: ურთიერთთანაცდლებად ფორმათაგან თუ არსებობს  
ერთ-ერთი, ექნება დანარჩენიც.

